

ედვინება
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
50 წლისთავს

კონსტანტინ ცერეტელი

განათლება და თბილისი

კონსტანტინ ცერეტელი. 1968 წ. — „განათლება“

КОНСТАНТИН ЦЕРЕТЕЛИ

Г р а м м а т и к а
современного ассирийского языка

Под редакцией проф. Г. В. Церетели

KONSTANTIN TSERETELI

A Grammar
of the Modern Assyrian Language

Edited by Prof. George V. Tsereteli

1968 — „განათლება“ — თბილისი

ИЗДАТЕЛЬСТВО „ГАНАТЛЕБА“, ТБИЛИСИ, 1968.

PUBLISHING HOUSE „GANATLEBA“, TBILISI, 1968.

ქონსგანვიხი ნაკრუთელი

თანამედროვე ასუჩადი ენის გრამატიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულია სახელმძღვანელოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის

44
492.12—5,
წ 394

რედაქტორი პროფ. ბ. წიკაბერიძე

წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს თანამედროვე ასურული ენის გრამატიკას, რომელიც ვათვალისწინებულა სახელმძღვანელოდ თბილისის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სემიტოლოგიის სპეციალობის სტუდენტებისათვის. ხსენებული ენის გრამატიკა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სასკოლოს, კარგა ხანია არ გამოცემულა. Th. Nöldeke-ს გრამატიკა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე არამეული დიალექტების მეცნიერულ შესწავლას, ზუსტად 100 წლის წინათ—1868 წ. გამოქვეყნდა¹. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაშრომს დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, ზოგი რამ მაინც გადასახედი და შესასწორებელ-შესავესებია. Nöldeke-ს შრომამდე გამოცემული D. T. Stoddard-ის გრამატიკა² უფრო პრაქტიკულ მიზნებს ემსახურება. მასალის თვალსაზრისით საყურადღებოა A. J. Maclean-ის გრამატიკული ნაშრომი³, რომელიც Nöldeke-ს გრამატიკის შემდეგ გამოვიდა, მაგრამ მეცნიერული ღირებულებით მასზე დაბლა დგას. ამის შემდეგ თანამედროვე ასურული ენის გრამატიკა, რომელიც ფონეტიკას, მორფოლოგიასა და სინტაქსს მოიცავდეს, დღემდე არ გამოქვეყნებულა.

წინამდებარე გრამატიკა, რომელიც ითვალისწინებს თანამედროვე არამეული დიალექტების შესწავლის დარგში ჩატარებულ მუშაობას, სასწავლო მიზნებს ემსახურება. იგი ემყარება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ავტორის მიერ წლების განმავლობაში წაკითხულ კურსს. სასწავლო-მეთოდურმა მიზნებმა განსაზღვრეს ამ სახელმძღვანელოს ხასიათი. გრამატიკაში დიდი ადგილი ეთმობა ზმნას, მის მარტივსა და რთულ ფორმებს, სახელის ფლექსიას, ფონეტიკურ მოვლენებს. აღნიშნული გარემოებით აიხსნება ის, რომ ზოგი რამ, რაც სინტაქსის ნაწილში უნდა ყოფილიყო მოთავსებული (მაგალად, ზედსართავის ხარისხის წარმოება, სახელის დე-

¹ Grammatik der neusyrischen Sprache (Leipzig).

² Grammar of the Modern Syriac Language (New-Haven, 1855).

³ Grammar of the Dialects of Vernacular Syriac (Cambridge, 1895).

ტერმინაცია და სხვ.), მოცემულია მორფოლოგიაში სათანადო აღ- გილას. დაცულია გარკვეული თანამიმდევრობა ორთოგრაფიის ხა- ზით. (როგორც ცნობილია, ამ მხრივ დიდი მერყეობა შეინიშნება), სახელდობრ:

(1) Verbum substantivum-ის III პირში (მხ. რ-ში) დაბოლო- ებად **ჰ-ია**: **ჰ** და **ჰ** (ტექსტებში პარალელურად გვხვდება როგორც **ჰ**, ისე **ჟ**: **ჰ** და **ჟ**, **ჰ** და **ჟ**), მაშინ როდე- საც იქ, სადაც ნაცვალსახელური სუფიქსი უფრო თვალსაჩინოა (მა- გალითად, ობიექტის ჩვენებისას, პრეტერიტ II-ის ფორმებში), **ჟ** და **ჟ**. დაცულია: **ჟ** „ის ამთავრებს მას (მამრ.)“, **ჟ** „მან დაამთავრა“;

(2) ვნებითი გვარის მიმღეობა, რომელიც status absolutus-ის ფორმაშია დაცული, პრეტერიტში მოცემულია მოკლემხოვნიანი ვა- რიანტით, თუ ფუძისეული მარცვალი დახურულია: **ჟ** (და არა **ჟ**, საიდანაც იგი მოდის), აქედან **ჟ** (და არა **ჟ**), მაგრამ **ჟ** (მდ. სქესის ობიექტით);

(3) დროთა I ჯგუფში (ასევე verbum substantivum-ში) მხ. რ-ის II პ-ში მდ. სქესის ფორმა ბოლოვდება **ჟ**-ზე (ნაცვლად **ჟ** -ისა) I პ-ის სათანადო ფორმის ანალოგიით. ამასთანავე, უფ- რო ბუნებრივია, რომ მოქმედ. გვარის მიმღეობის მდ. სქესის ფორ- მის -ა დაბოლოების (**ჟ**) შეერთებისას at ნაცვალსახელურ ენკლიტიკასთან გრძელი **ა** მიგველო, ვიდრე მოკლე **ა**. ამრიგად: **ჟ**, **ჟ** და არა **ჟ**, **ჟ** (შდრ. II პ. **ჟ**, **ჟ** და I პ. **ჟ**, **ჟ**). უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ დაწე- რილობას ხშირად მხარს უჭერს ასურელთა წერილობითი ტრადი- ციაც.

საილუსტრაციო მასალა უმეტესად მოტანილია ჩვენ მიერ შე- დგენილი ქრესტომათიიდან, რომელიც აგრეთვე თბილისის უნივერ- სიტეტის სტუდენტებისთვისაა განკუთვნილი¹.

კ. წერეთელი

თბილისი
1968 წ. ივლისი

¹ თანამედროვე ასურულის ქრესტომათია ლექსიკონითურთ, თბილისი, 1958.

შესავალი

თანამედროვე ასურული ენა ვარაუდობს ცოცხალ არამეულ დიალექტებს, გავრცელებულს ძირითადად ირანის აზერბაიჯანსა, ქურთისტანსა და მოსულის რაიონში (ერაყი).

არამეული ენა სემიტურ ენებს განეკუთვნება და უგარიტულ-ებრაულ-ფინიკიურთან ერთად ამ ენათა ჩრდილო-დასავლურ შტოს ქმნის.

სახელწოდება „არამეული“ და ამ ენაზე მოლაპარაკეთა აღმნიშვნელი ტერმინი „არამეელები“ მოდის სიტყვა „არამ“-იდან, რომელიც ბიბლიასა და აქადურ წარწერებშია მოხსენიებული. ბიბლიაში შესაქმეს X თავში (მუხლი 22) ნათქვამია: „ძენი სემისნი: აილიმ და ასსურ, და არფაქსად, და ლუდ, და არამ“. სახელი „არამ“ ბიბლიაში აღნიშნავს გეოგრაფიულ ადგილებსაც (ე. ი. ამ შემთხვევაში „არამ“ წარმოადგენს გეოგრაფიულ სახელს), და სახელდობრ: მესოპოტამიას, დამასკოს სირიასა და ზოგიერთ სხვა პუნქტსაც სირიაში; აქადური „არამ“ აღნიშნავს აგრეთვე დასახლებულ პუნქტს მდინარე ეფრატთან.

არამეული ენის პირველი კერა დღევანდელი სირიის ფარგლებში უნდა ყოფილიყო (უფრო შესაძლებელია დამასკოს რაიონში); საიდანაც იგი მეზობელ ტერიტორიაზეც გავრცელდა. სავარაუდოა, რომ არამეელები მესოპოტამიაშიც უძველესი დროიდან შეადგენდნენ მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს. ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის წინ არამეულმა ენამ სირიასა და მესოპოტამიასთან ერთად მოიცვა პალესტინა და ფინიკია, შემდეგ მისი გავრცელების ნაკადი ჩრდილოეთ ქურთისტანისა და არმენიისაკენ გაიჭრა, ხოლო აღმოსავლეთით — დღევანდელი ირანის ტერიტორიაზეც გადავიდა. ძველი წელთაღრიცხვის VII — IV საუკუნეებში ასურეთისა და ბაბილონის ბატონობის ეპოქაში და განსაკუთრებით აქამენიანთა ხანაში არამეულმა ენამ უზარმაზარი ფართობი მოიცვა მდ. ნილოსიდან ვიდრე ვანისა და ურმიის ტბებამდე. ასეთმა ვითარებამ არამეული ენა საერთაშორისო ენად აქცია და იგი ოფიციალური ენის ფუნქციას ასრულებდა ეფრატის დასავლეთით მცირე

აზიისა და ეგვიპტისათვის, ძველი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში არამეული ენა ხმარებიდან დევნის ებრაულს. I—III საუკუნეებში არამეულს სამწერლო ენად იყენებს არაბული წარმოშობის ზოგიერთი ტომიც (პალმირელები, ნაბატეელები). მაგრამ სწორედ არაბები მომდევნო წლებში ავიწროებენ არამეულ ენას (განსაკუთრებით VIII საუკუნიდან), თანდათან მცირდება არამეულად მოლაპარაკეთა რიცხვი და დღეს მათი რაოდენობა რამდენიმე ასეულ ათასსლა შეადგენს. ოდესღაც ორ კონტინენტზე — აზიასა და აფრიკაში ფართოდ გავრცელებული ენა დღეს, როგორც ეს უკვე აღინიშნა, ახლო აღმოსავლეთის რამდენიმე პუნქტშია შემორჩენილი.

არამეულ ენასთან ერთად ფართოდ ვრცელდებოდა არამეული დამწერლობაც, რომელიც ჩრდილო სემიტური ანბანის ერთ-ერთი ძირითადი შტოა. ჩვენამდე მოღწეული უძველესი არამეული წერილობითი ძეგლი თელ-ხალაიფას წარწერაა, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის I ათასწლეულის დასაწყისს განეკუთვნება. მას მოსდევს დამასკოს მმართველის წარწერა (დაახლოებით 850 წ. ჩვ. ერ-დე), ზაქირას სტელა (დაახლოებით 775 წ. ჩვ. ერ-დე) და სხვ. ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის მეორე ნახევარში არამეულ დამწერლობას იყენებენ მთელ ახლო აღმოსავლეთში, იგი სპარსეთის სამეფოს დასავლეთ პროვინციების ოფიციალური დამწერლობაა. სპარსეთის სამეფოს დაცემის შემდეგ არამეული დამწერლობა ფართო განშტოებას განიცდის. ვითარდება არამეული დამწერლობის სხვადასხვა სახეობანი, რომელთაც იყენებენ როგორც სემიტური, ისე არასემიტური ენებისათვის. არამეული დამწერლობის თავისებური სახეობა დადასტურებულია საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ ძეგლებშიც. დამწერლობის ამ სახეობამ „არმაზულის“ სახელწოდება მიიღო. არამეულ დამწერლობას უკავშირებენ აზიის მთელი რიგი ენების დამწერლობას (ფალაურს, ავესტას, სოდღურს, მონღოლურს და სხვ.). უკანასკნელ ხანებში არამეულ საწყისს ვარაუდობენ ისეთ ანბანთა წარმომავლობაშიც, როგორიცაა ქართული, სომხური და კავკასიის ალბანური.

ჩვენამდე მოღწეული წერილობითი მასალა საშუალებას იძლევა წარმოვიდგინოთ არამეული ენა ოცდაათი საუკუნის მანძილზე (ძველი წელთაღრიცხვის I ათასწლეულის დასაწყისიდან დღემდე). არცერთ სხვა სემიტურ ენას არა აქვს ასეთი დიდი დოკუმენტირებული ისტორია, რაც, ცხადია, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს არამეულ ენას სემიტურ ენათა ისტორიის შესწავლის საქმეშიც.

„არამეული ენა“ პირობითი საერთო სახელია სხვადასხვა ტერიტორიაზე და სხვადასხვა ხანაში გავრცელებული დიალექტებისა (თუ

ენებისა), რომლებიც საერთო ენობრივი ნიშნებით ხასიათდებიან. ამასთანავე, ამ ნიშანთა ერთობლიობით (სისტემით) ხსენებული დიალექტები მკვეთრად განირჩევიან სხვა სემიტური ენებისაგან. ოცდაათი საუკუნის მანძილზე დადასტურებულია დიდი რაოდენობა მოცემული დიალექტებისა, რომლებიც იმ გეოგრაფიული ადგილის სახელს ატარებენ, სადაც ისინი გავრცელებული იყვნენ, ან იმ წერილობითი ძეგლებისა, რომელთა მეოხებითაც ისინი ჩვენთვის ცნობილნი გახდნენ.

არამეული დიალექტების კლასიფიკაცია შესაძლებელია როგორც ტერიტორიული, ისე ქრონოლოგიური პრინციპით. პირველ შემთხვევაში მიზანშეწონილად მიიჩნევენ ისაუბრონ დასავლურ და აღმოსავლურ არამეულ დიალექტებზე, მეორე შემთხვევაში — ძველ და ახალ არამეულ დიალექტებზე (უბირისპირებენ რა მკვეთარ დიალექტებს ცოცხალ, ამჟამადაც ხმარებულ დიალექტებს).

ძველი არამეული ენა

ძველ არამეულში უნდა გამოიყოს უძველესი ენობრივი ფენი, რომელიც მოიცავს პერიოდს ძველი წელთაღრიცხვის X საუკუნიდან ვიდრე IV საუკუნემდე. ამ პერიოდისათვის ნაკლებადაა დამახასიათებელი არამეული ენის გაყოფა დასავლურ და აღმოსავლურ შტოდ, რომლებიც, თავის მხრივ, დიალექტთა გარკვეულ რაოდენობას მოიცავენ. მართალია, აქაც შეინიშნება ერთგვარი დიალექტური თავისებურებანი, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის წარმოდგენილი ის დიალექტური სხვაობანი, რაც დასტურდება ე. წ. დასავლურ და აღმოსავლურ არამეულ დიალექტთა შორის.

ხსენებული პერიოდის უძველესი ძეგლები არამეული წარწერებია, რომლებიც აღმოაჩინეს დამასკოში, ჰამაში, შამალსა და ასურეთში და განეკუთვნებიან ხანას X—VIII საუკუნეებს შორის. აღსანიშნავია, რომ შამალის წარწერების (ფანამუვა I-სა და ბარ-რაქიბის) ენა გარკვეული თავისებურებით ხასიათდება, რის გამოც მას იაუდის არამეულ დიალექტს უწოდებენ.

მომდევნო ხანის (VII—IV ს.ს.) არამეული კლასიკურ ან ოფიციალურ არამეულ ენადაა ცნობილი. ფართოდაა გავრცელებული სახელწოდება „სახელმწიფო არამეულიც“ (Reichsaramäisch), რამდენადაც მას იყენებდნენ ასურეთისა და სპარსეთის იმპერიებში (განსაკუთრებით ოფიციალურ წრეებში). ამ ენაზე არსებული წერილობითი ძეგლები (წარწერები, ოსტრაკა, პაპირუსები, ტყავის გრაგნილები) ნაპოვნია აზია-აფრიკის მრავალ ქვეყანაში, როგორცაა

მესოპოტამია, სპარსეთი, ინდოეთი, ავღანეთი, არაბეთი, ანატოლია და ეგვიპტე. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა პაპირუსები და ოსტრაქა ეგვიპტიდან, მათ შორის ცნობილი ელფფანტინის პაპირუსები (V—IV ს.ს.), რომელთა ენა ხშირად ეგვიპტის არამეულად იწოდება.

დასავლურ-არამეული დიალექტები

კლასიკური არამეულის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს პალესტინის არამეული მეტყველება, რომელიც ბიბლიაში აისახა. ეს არის ძველ აღთქმაში ხმარებული ცალკეული არამეული სიტყვები და პასაჟები, დაწერილი არამეულად (შესაქმე 31₄₇; იერემია 10₁₁; ეზრა 4₈—6₁₈, 7₂₂—26; დანიელი 2₄₄—7₂₈). ეს დოკუმენტები განეკუთვნება დაახლოებით V—II საუკუნეებს ჩვენს ერამდე და მათი არამეული ენა ცნობილია ბიბლიის არამეულის სახელწოდებით. როგორც ჩანს, ამ პერიოდისათვის ებრაული ენით ძირითადად სწავლულები სარგებლობდნენ, ხოლო არამეული პალესტინაში მოსახლეობის ყველა ფენისათვის გასაგები იყო.

არამეულ ენას, როგორც ეს უკვე ზემოთაც შევნიშნეთ, არაბებიც იყენებდნენ. არაბების ორ სამეფოში — ნაბატეველთა სამეფოსა და პალმირაში არამეული ენის ფართოდ ხმარებაზე მიუთითებენ საკმაოდ მრავალრიცხოვანი წერილობითი დოკუმენტები (უმეტესად წარწერები), რომლებიც ჩვენ ნაბატეველებმა და პალმირელებმა დაგვიტოვეს. ნაბატეველთა წერილობითი ძეგლები საკმაოდ დიდ ტერიტორიაზეა გაფანტული. (არაბეთში, ზემო ეგვიპტეში, საბერძნეთსა და იტალიაშიც კი) და თითქმის მთლიანად წარმოადგენს წარწერებს (უმეტესად საფლავის ქვებზე), რომელთაგან ზოგიერთს ბერძნული თარგმანიც ახლავს. უკანასკნელ ხანებში მკვდარი ზღვის მიდამოებში ნაპოვნ დოკუმენტთა შორის აღმოჩნდა ნაბატეური პაპირუსებიც. ეს ძეგლები I—III საუკუნეებით თარიღდება, ხოლო მათი ენა ნაბატეურ ენად იწოდება.

ამავე ხანისაა პალმირული ძეგლებიც. პალმირის სამეფო მდებარეობდა სირიის უდაბნოში დამასკოს ჩრდილო-აღმოსავლეთით. პალმირის ოფიციალური ენა არამეული იყო, თუმცა გვხვდება არამეულთან ერთად ბერძნული წარწერებიც (მონეტებზე, შენობებზე და სხვ.). ამ არამეულს პალმირულ არამეულს უწოდებენ. უძველესი პალმირული თარიღიანი წარწერა განეკუთვნება ძველი წელთაღრიცხვის მეცხრე წელს, ხოლო პალმირას დანგრევის შემდეგ (ახალი წელთაღრიცხვის 273 წ.) წარწერები ერთხანს კიდევ გვხვდება.

ბიბლიის არამეულთან ახლო დგას იუდეველთა არამეული მეტყ-

ველები, რომელიც გავრცელებული იყო პალესტინაში ახალი წელთ-
მღობის პირველ საუკუნეებში. იგი ასახულია „შესაქმეს“ აპო-
კრიფსა (Genesis Apocryphon) და „ძველი აღთქმის“ არამეულ
თარგმანებში — თარგუმებში. მათ შორის უძველესად მიჩნეულია
ე. წ. ონკელოსის თარგუმი, რომელიც მოსეს ხუთი წიგნის არამე-
ულ თარგმანს წარმოადგენს და იონათანის თარგუმი — წინასწარ-
მეტყველთა არამეული თარგმანი. აქვე უნდა დავასახელოთ იერუსა-
ლიმის თალმუდი და ზოგიერთი სხვა ებრაული ბიბლიისშემდგომი
ტექსტი, სადაც დაცულია ამავე ხანის გალილეაში გავრცელებული
სალაპარაკო ენა. ხსენებულ ძეგლებში წარმოდგენილ არამეულ ენას
განიხილავენ როგორც პალესტინის იუდეველთა არამეულ დია-
ლექტს.

ცალკე დიალექტურ ერთეულს ქმნის სამარიტანელთა თარგუმისა
და სხვა თხზულებათა არამეული ენა — სამარიტანული. თარგუმი
შეიცავს მოსეს ხუთ წიგნს და უნდა განეკუთვნებოდეს IV საუკუ-
ნეს, სხვა თხზულებანი კი მოგვიანო ხანისაა.

პალესტინაში იუდეველთა გვერდით გვხვდებიან ქრისტიანებიც,
რომელთა არამეული მეტყველება გარკვეულ სხვაობას ავლენს პა-
ლესტინის იუდეველთა მეტყველებასთან. ეს არის ე. წ. მელქითების
სალაპარაკო ენა, რომელიც დაცულია V—VIII საუკუნეების სირი-
ული დამწერლობით შესრულებულ ბიბლიურ ტექსტებში, ლიტურ-
დიკულ თხზულებებსა და სახარების ლექციონარში. ხსენებული არა-
მეული დიალექტები ცნობილია როგორც ქრისტიან პალესტინელთა
არამეული ენა.

ა ლ მ ო ს ა ვ ლ უ რ - ა რ ა მ ე უ ლ ი დ ი ა ლ ე ქ ტ ე ბ ი

ძველი ალმოსავლურ-არამეული დიალექტები შეიცავს ედესის
არამეულს, ბაბილონის თალმუდის ენასა და მანდურს. ედესური
ჩრდ. სირიისა და მესოპოტამიის ქრისტიან არამეელთა ლიტერატუ-
რულ ენას წარმოადგენდა (ქ. ედესა ჩრდ. სირიაში მდებარეობდა).
ხოლო, რადგანაც ქრისტიანი არამეელები თავის თავს ბერძნების
წაბაძვით „სირიელებს“ უწოდებდნენ (ბერძნ. Σύροι < Ἀσσυριοί) არა-
ქრისტიან არამეელთაგან გამოსაყოფად, ედესურ არამეულ დიალექტს
ჩვეულებრივ სირიულ ენას უწოდებენ. ამ ენის უძველეს წერილო-
ბით ძეგლებს წარმოადგენს წარწერები, რომლებიც ედესასა და მის
მიდამოებში აღმოაჩინეს. აქედან ყველაზე ადრეულია მა'ნუს საფლა-
ვის ქვის წარწერა (I საუკ.). უძველესი დოკუმენტია 243 წლის პერ-
გამენტი, რომელიც სავაჭრო ხელშეკრულებას შეიცავს.

სირიულ ენაზე მოგვეპოვება საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა,

რომლის დიდი ნაწილი საეკლესიო ხასიათისაა. მათგან უძველესია ძველი და ახალი აღთქმის სირიული თარგმანი — „ფეშიტა“¹, რომელიც III საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს. სირიული ლიტერატურის აყვავების ხანა III—VII საუკუნეებს მოიცავს, ხოლო VIII საუკუნიდან სირია-მესოპოტამიაში არაბების შემოსევის შემდეგ სირიული წყვეტს არსებობას როგორც სალაპარაკო ენა. მიუხედავად ამისა, სირიული XIV საუკუნემდე რჩება სამწერლობო ენად, ხოლო სირიულ ეკლესიაში ღვთისმსახურებისათვის მას დღესაც იყენებენ. აღანიშნავია, რომ სირიულმა ლიტერატურამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქრისტიანული აღმოსავლეთის ცხოვრებაში.

ბაბილონის თალმუდის არამეული ბაბილონელ ებრაელთა არამეულ შეტყვევებას წარმოადგენს და ასახავს IV—VI საუკუნეების ბაბილონის ხალხურ ენას. აღნიშნული თალმუდის გარდა ხსენებული არამეული დიალექტი ცნობილია ნიფურში აღმოჩენილი წარწერების მეშვეობით, ასევე V—VI ს.ს-ის მაგაკური ტექსტებით.

უფრო მოგვიანო ხანას ეკუთვნის მანდეველთა (იუდეურ-ქრისტიანულ-კერპთაყვანისმცემლური გნოსტიკური სექტის წევრთა) რელიგიური ხასიათის წიგნები. ამ ძეგლების ენას — ე. წ. მანდეურ ენას, რომელიც მესოპოტამიაში იყო გავრცელებული, ნაკლებად ემჩნევა ებრაულის გავლენა და ძალიან ახლო დგას ბაბილონის თალმუდის ენასთან. მანდეველთა თხზულებებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობისაა *Ginzā Rabbā* („დიდი საცავი“), სადაც თავმოყრილია მათი მითები, ჰიმნები და ლოცვები. აღნიშნულ წიგნებში მოცემული რელიგიური შეხედულებანი უნდა ჩამოყალიბებულიყო ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში, მათი წერილობითი „გაფორმება“ კი ბევრად გვიან უნდა მომხდარიყო. რაც შეეხება ჩვენამდე მოღწეულ რედაქციებს, მათგან უძველესი VII—IX საუკუნეებისაა, ხოლო ჩვენს ხელთ არსებული ხელთნაწერი ნუსხები XV—XVI საუკუნეებს განეკუთვნება. მანდეველები უმნიშვნელო რაოდენობით დღესაც არსებობენ ვასიტისა და ბასრის მიდამოებში.

ახალი არამეული ენა

არაბების გაძლიერებასა და მუსლიმანობის გავრცელებას მოჰყვა არამეულ ენაზე მოლაპარაკე ქვეყნების არაბიზაცია. არაბულმა ენამ ხმარებიდან განდევნა არამეული ისეთ ქვეყნებშიც კი, როგორცაა სირია და ერაყი (მესოპოტამია), და მხოლოდ ზოგიერთ პუნქტში შემორჩა იგი. ახალი არამეული ენა, რომელიც საკმაოდ დაშორდა

¹ „ფეშიტა“ (ܦܫܝܬܐ) „მარტივს“ ნიშნავს.

ძველ არამეულს როგორც გრამატიკული სტრუქტურის, ისე ლექსიკის თვალსაზრისით, მოიცავს დიალექტთა გარკვეულ რაოდენობას. ეს დიალექტებიც, ძველი არამეულის მსგავსად, ორად განიყოფიან: დასავლურ და აღმოსავლურ დიალექტებად.

დასავლურ - არამეული

დასავლურ-არამეული დღეს წარმოდგენილია მხოლოდ ერთი დიალექტით, რომელზეც ლაპარაკობენ ანტილიბანის (სირია) სამ სოფელში: ქრისტიანულ სოფელ მა¹ლულასა და მუსლიმანურ სოფლებში ბახასა და ჯუბ²-ადინში. აღნიშნულ სოფელთა არამეული მეტყველება ცნობილია მა¹ლულას დიალექტის სახელწოდებით. მა¹ლულამ ძირითადად დაიცვა ზმნის უღლების სემიტური ტიპი, დას. არამეულისათვის დამახასიათებელი $\dot{\text{y}}$ -პრეფიქსიანი წარმოება ზმნისა იმპერფექტივში, ენერგეტივის კილო, სახელთა მრავლობით რიცხვში დაბოლოება $-\dot{\text{y}}\dot{\text{a}}$ ($<-\dot{\text{a}}\dot{\text{y}}\dot{\text{a}}$) და ზოგიერთი სხვა. ამასთანავე, დიალექტში განვითარდა ზმნის ტემპორალი ფორმები, არაბული ზმნისათვის დამახასიათებელი თემები და სხვ. დიალექტში ფართოდაა წარმოდგენილი არაბული ლექსიკა.

აღმოსავლურ - არამეული

ყველა სხვა აღმოსავლური არამეული დიალექტი თანამედროვე ასურული ენის დიალექტებია.

თანამედროვე ასურული ენა სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვა სახელწოდებითაა ცნობილი: „ახალი სირიული“, „თანამედროვე სირიული“, „ხალხური სირიული“. ზოგიერთი სახელწოდებისათვის ამოსავალია „არამეული“: „ახალი არამეული ენა“, „თანამედროვე არამეული“. იგივე ენა ამიერკავკასიაში და აქედან მთელს რუსეთში „აისორულ ენა“-დაა ცნობილი¹.

სხვადასხვაგვარად უწოდებენ აღნიშნულ ენაზე მოლაპარაკეთა. ზოგი მათ „სირიელებს“ უწოდებს, ზოგი — „არამეელებს“ (მხოლოდ სამეცნიერო ლიტერატურაში), ზოგიც „ქალდეელებს“. საბჭოთა კავშირში გავრცელებულია ტერმინი „ასურელები“ („ასირიელები“), რომელიც ამ სახელით ცნობილი ხალხის თვითსახელწოდებას წარმოადგენს. ეს სახელი („ასურელები“) ჩვეულებრივია I მსოფლიო ომის შემდგომ უცხოურ ლიტერატურაშიც. საყურადღებოა, რომ ამავე სახელწოდებას ვხვდებით ქართულად დაცულ XVIII საუკუნის

¹ „აისორ“ „ასურ“ სიტყვის სომხურ გადმოცემას წარმოადგენს და ასურელებისათვის შეურაცხყოფელად ითვლება.

ლოკუმენტებშიც (ასურელი ეპისკოპოსის ისაიას წერილები ერეკლე II-სადმი)¹. ამ ბოლო ხანებში ასურულ ინტელიგენციაში იჭრება ტენდენცია თვითსახელწოდების მართებულ ვარიანტად წარმოადგინონ სახელწოდება ʿaturāji (ܐܘܪܝܝܐ), რომელიც მოდის ʿatur-ისაგან, რაც სავა არაფერია, თუ არ არამეული გადმოცემა სიტყვისა „ასურ“ (ებრ. და აქად. ʾašur)², ხოლო asur იმავე სიტყვის ბერძნული ტრანსკრიფციაა³.

ასურელების საერთო რიცხვი დაახლოებით 300 ათასს შეადგენს, აქედან 22 ათასამდე საბჭოთა კავშირში ცხოვრობს⁴. ესენი არიან უმეტესად ირანიდან და თურქეთიდან ემიგრირებულნი I მსოფლიო ომის დროს. ასურელ კოლონისტთა საკმაო ნაწილი ამერიკის შეერთებულ შტატებში დამკვიდრდა (კალიფორნია, ნიუ-ბრიტენი, ფილადელფია, ჩიკაგო და სხვა დიდი ქალაქები). ძირითადი მოსახლეობა კი, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, ირანში (ურმიის ტბის ჩრდილო და ჩრდ. დასავლეთ სანაპირო რაიონში), თურქეთში (ვანის ვილაიეთსა და ქურთისტანში), გრაცში (მოსულისა და ბაკუბას რაიონში) და სირიაში (მდ. დიდ ხაბურზე ხასეკასა და რას ელ-აინს შორის) ცხოვრობს.

სარწმუნოებით ასურელები ქრისტიანებია და განეკუთვნებიან ქრისტიანობის სხვადასხვა მიმართულებას. უმეტესობა ნესტორიანელებია (მიმდევრები რელიგიური სექტისა, რომელიც V ს-ში დააარსა კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ნესტორმა), ნაწილი იაკობიტები — მონოფიზიტები (სირიელი მონოფიზიტების სექტა, დაარსებული VI ს-ში); ასურელთა ერთი ნაწილი XVI ს-ში შეუერთდა რომის ეკლესიას, ე. წ. უნიატები. უფრო მოგვიანებით; XIX ს-ის დასასრულს, ურმიის ნესტორიანელთა ნაწილმა მიიღო მართლმადიდებლობა.

თანამედროვე აღმ. არამეულ დიალექტებში განსაკუთრებული ადგილი უკავია მათ შორის ყველაზე დასავლურ დიალექტს ტუროჲოს, რომელიც ქურთისტანის დასავლეთ ნაწილში — ტურ-აბდინშია გავრცელებული. ტუროჲოს, ყველა სხვა აღმოსავლური დიალექტისაგან განსხვავებით, ახასიათებს ფარინგალები^c და h, ხშული ყრუ ბაგისმიერი p-ს გადასვლა სპირანტ f-ში, გრძელი ā-ს და-

¹ Грамоты и другие документы, относящиеся до Грузии, т. II, вып. I, под ред. проф. А. Цагарели. С.-Петербург, 1893, гл. 59—61.

² ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს ფირა სარმასის წიგნი ܐܘܪܝܝܐ ܐܘܪܝܝܝܐ („ვინ ვართ ჩვენ?“), თეირანი, 1965.

³ შდრ. Ἰσσοριος „ასურელი“.

⁴ 1559 წლის აღწერით — 21800.

ვიწროება 5-დ, განსაზღვრული არტიკლის ხმარება, გრამატიკული დროების წარმოება მხოლოდ მიმღობათა საფუძველზე და სხვ., რის გამოც ტუროჯო შეიძლება აღმ. არამეულ დიალექტებს გამოეყოს და ცალკე თანამედროვე ცენტრალურ არამეულ დიალექტად იქნეს წარმოდგენილი.

თანამედროვე ასურული ენა მდიდარია დიალექტებით. ურმიის (ამეამად რეზაიეს) ტბის დასავლეთით მეტყველებენ ურმიის დიალექტი. ტურ-აზდინის აღმოსავლეთით ტიგროსსა და ბოქტან-სუს შორის (დას. ქურთისტანში) გავრცელებულია ბოქტანის დიალექტი, ცენტრალურ ქურთისტანში — ტიარის დიალექტი, ხოლო აღმოსავლეთ ქურთისტანში — ჯილუს დიალექტი. თურქეთში ვანის ვილაიეთის ასურელთა მეტყველება ცნობილია ვანის დიალექტის, ხოლო ქ. მოსულის მახლობლად მცხოვრებ ასურელთა დიალექტი — მოსულის დიალექტის სახელწოდებით. ასურელი ებრაელები დასახლებული არიან სალამასის, ურმიისა და ზახოს (ქალაქი მდ. მცირე ხაბურზე) რაიონში. მათი მეტყველება გარკვევით განსხვავდება ქრისტიან ასურელთა მეტყველებისაგან და ძირითადად სამ დიალექტს მოიცავს: ურმიის ებრაელთა დიალექტი, სალამასის ებრაელთა დიალექტი და ზახოს დიალექტი (ურმიისა და სალამასის ებრაელთა მეტყველება ზოგჯერ ირანის აზერბაიჯანის ებრაელთა არამეულ დიალექტადაც იწოდება). ხსენებულ აღმოსავლურ ასურულ დიალექტებს ახასიათებთ გემინატების გამარტივება, ფარინგალებისა და გლოტალების დაკარგვის ტენდენცია, ზმნების გრამატიკულ დროთა წარმოება ყველა ნაზმნარი სახელის (მათ შორის მასდარის) დახმარებით და სხვ.

თანამედროვე სალიტერატურო ასურული ენა, რომლის გრამატიკასაც წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს, ჩამოყალიბდა XIX ს-ის 40-იან წლებში ურმიის დიალექტის საფუძველზე. ხსენებული დიალექტის სალიტერატურო ენად ქცევის დიდად შეუწყვეს ხელი ურმიაში ჩასულმა მისიონერებმა. ისინი აარსებდნენ სკოლებსა და სტამბებს, თანამედროვე ასურულ ენაზე თარგმნიდნენ და ავრცელებდნენ საეკლესიო ლიტერატურას, ადგენდნენ სახელმძღვანელოებს, ბეჭდავდნენ ჟურნალებსა და გაზეთებს. ამ მიზნით გამოიყენეს სირიული დამწერლობა, რომლითაც სარგებლობდნენ ასურელი ნესტორიანელები საეკლესიო ლიტერატურისათვის. ამიერიდან სირიული საეკლესიო დამწერლობა იქცა თანამედროვე ასურულ დამწერლო-

ბად, რომელმაც ფართოდ გაიკაფა გზა ასურელთა კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში.

თანამედროვე სალიტერატურო ასურული, როგორც ეს ზემოთქმულიდანაც ჩანდა, წარმოიშვა ასურულად თარგმნის პროცესში. პირველ რიგში ითარგმნებოდა საეკლესიო ლიტერატურა სირიულიდან, რამაც ფართოდ გაუხსნა გზა ასურულში სირიული სიტყვების, ფორმებისა თუ მთელი გამოთქმების შემოსვლას. სირიულის გავლენა გარკვევით შეინიშნება ორთოგრაფიაში, რომელიც ხშირად ცოცხალ წარმოთქმას სცილდება და წმინდა ეტიმოლოგიური ხასიათისაა.

ხალხური სალაპარაკო ენის სალიტერატურო ენად ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულეს ასურულმა გაზეთებმა, რომლებიც თავდაპირველად ურმიაში გამოდიოდა. ასეთია, მაგალითად, **ܩܢܝܫܩܩܐ** „სინათლის სხივი“ (1850 წლიდან), **ܩܢܝܫܩܩܐ** („სიმართლის ხმა“ (1896 წლიდან), **ܩܢܝܫܩܩܐ** „დილის ვარსკვლავი“ (1906 წლიდან) და სხვ. მეოცე საუკუნეში გაზეთების რიცხვმა საგრძნობლად იმატა და ურმიის გარდა ასურული გაზეთები გამოდიოდა თეირანში, ბაღდადში, მოსულში, ბეირუთში და ამერიკაში. საყურადღებოა, რომ ასურული გაზეთები იბეჭდებოდა თბილისშიც: **ܩܢܝܫܩܩܐ** („აღმოსავლეთი“), **ܩܢܝܫܩܩܐ** („ნაკუშა“) და **ܩܢܝܫܩܩܐ** („აღმოსავლეთის ვარსკვლავი“). ეს უკანასკნელი გამოდიოდა მეორე მსოფლიო ომამდე. სალიტერატურო ასურული ენის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ირანში მცხოვრებ ასურელთა ლიტერატურულმა ჟურნალმა „გილგამეშმა“ (**ܩܢܝܫܩܩܐ**), რომელიც გამოდიოდა 1952 წლის აპრილიდან 1962 წლამდე თეირანში (სულ გამოვიდა 70 ნომერი).

თარგმნითი ლიტერატურის გვერდით თანამედროვე ასურულზე შეიქმნა ორიგინალური ლიტერატურაც. დაიწერა ლექსები, პოემები, პიესები, მოთხრობები. თანამედროვე ლიტერატურის ფუძემდებლად მიჩნეულია თ ო მ ა ო დ ო, ურმიისა და სალამასის მიტროპოლიტი (გარდაიცვალა 1918 წელს). განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს მისი იგავები ლექსად, რომლებიც მან გადმოაკეთა ფრანგულიდან.

მშობლიური ლიტერატურის განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით მთელ რიგ ასურელ პოეტებსა და მწერლებს, როგორცაა დავით გივარგის მალიქი, შიმუნ იშუ დ-სალამას, ფოლუს სარმას, ბენიამინ არსანის, ვილიამ სარმას, ფირა სარმას, ეან ალხას, მიშაილ ბით ფატრუს, ადაჟ

აღხას და სხვები. მათ შორის არიან მწერლები, რომელთა ლიტერატურული მოღვაწეობა დაკავშირებულია თბილისთან. ასეთია ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ფრიდუნ ათურაძე (1891 — 1925), ლილი თამრაზ, რომელიც დიდხანს მოღვაწეობდა თბილისში და ამჟამად თეირანში ცხოვრობს, პეტრუს სურა, დავით ილიანი და სხვები.

თანამედროვე აღმ. არამეული დიალექტების შესწავლა დაიწყო XIX საუკუნის პირველ ნახევარში. მისიონერები იყვნენ ის პირები, რომლებმაც პირველად მიაქციეს ყურადღება აღნიშნულ ენას და დაიწყეს მისი შესწავლა (J. Perkins, D. T. Stoddard, A. J. Maclean, J. Rhétoré). ასურული ენის პირველი გრამატიკა ამერიკელ მისიონერს D. T. Stoddard-ს ეკუთვნის. გამოიცა იგი 1855 წელს ნიუ-ჰავენში სახელწოდებით „Grammar of the Modern Syriac Language as Spoken in Oroomiah and in Koordistan“. განსაკუთრებით საყურადღებოა ინგლისელი მისიონერის A. J. Maclean-ის ვრცელი ნაშრომი „Grammar of the Dialects of Vernacular Syriac“, გამოქვეყნებული 1895 წელს კემბრიჯში. ავტორი ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოღვაწეობდა ურმიაში და ადგილზე შეკრიბა დიდძალი დიალექტოლოგიური მასალა. მანვე უფრო მოგვიანებით — 1901 წელს ოქსფორდში გამოსცა ასურულ-ინგლისური ლექსიკონი (A Dictionary of the Dialects of Vernacular Syriac), რომელიც დღესაც ყველაზე მნიშვნელოვნად ითვლება არსებულ ლექსიკონთა შორის. ურმიაში მოღვაწეობდა რუსული სასულიერო მისია, რომელმაც 1909 წელს ქ. ურმიაში დაბეჭდა „Русско-сирский лексикон“ არქიმანდრიტ სარგისისა.

თანამედროვე ასურულის მეცნიერულ შესწავლას საფუძველი დაუყარა გამოჩენილი გერმანელი სემიტოლოგის Th. Nöldeke-ს ნაშრომმა „Grammatik der neusyrischen Sprache“ (ლაიფციგი, 1868). ამ ნაშრომს დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და ასურული ენის შესწავლა ამ წიგნის გარეშე წარმოუდგენელია. Nöldeke-ს არა ერთი საინტერესო მოსაზრება გამოუთქვამს ხსენებული ენის გრამატიკის ცალკეულ საკითხებზე მის მიერ გამოქვეყნებულ სტატიებში (უმეტესად რეცენზიებში)¹.

1873 წელს გამოვიდა პირველი ასურული ქრესტომათია A. Merx-ისა — „Neusyrisches Lesebuch. Texte im Dialekte von Urmia“ (Breslau und Tübingen). აქ მოცემულია ურმიული ტექსტები ნეს-

¹ იხ., მაგალითად, Nöldeke-ს რეცენზიები: ZDMG 35 (1881), გვ. 218—335; 36 (1882), გვ. 669 — 682; 50 (1896), გვ. 302 — 310 და სხვ.

ტორიანული დამწერლობით, ლათინური ტრანსკრიფციითა და გერმანული თარგმანით. საყურადღებოა Merx-ის შენიშვნები ასურული თანხმოვნების წარმოთქმის შესახებ. ურმიულ დიალექტს უძღვნა სტატიები ასურელმა ლინგვისტმა ს. ოსიპოვმა. სტატიები გამოქვეყნებულია ფრანგულ ჟურნალში *Le Maître Phonétique* 1912-სა და 1913 წლებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტატია „Syriac“, სადაც მოცემულია ურმიული თანხმოვნების დახასიათება. ს. ოსიპოვი შემდეგში დიდ მონაწილეობას იღებდა სახელმძღვანელოების შედგენაში, რომლებიც გათვალისწინებული იყო საბჭოთა ასურული სკოლებისათვის. თანამედროვე ასურულის გრამატიკული მიმოხილვა გამოქვეყნებულია G. Bergsträsser-ის ცნობილ წიგნში *Einführung in die semitischen Sprachen* (მიუნხენი, 1928)¹. აქვე მოცემულია ურმიული ტექსტი ტრანსკრიფციით და მისი გერმანული თარგმანი. ენის ცალკეულ საკითხებს მიუძღვნა შრომები გამოჩენილმა საბჭოთა სემიტოლოგმა ნ. იუშმანოვმა. ასეთია მისი სტატიები: „Загадочное в новосирийского диалекта“ (*Язык и Мышление*, V, 1935) и „Сивгармонизм урмийского диалекта“ (კრებ. „Памяти акад. Н. Я. Марра“, М.—Л., 1938). საყურადღებოა ნ. იუშმანოვის მიმოხილვითი ხასიათის შრომაც — „Ассирийский язык и его письмо“ (კრებ. „Письменность и Революция“, I, М.—Л., 1933). ავტორი აქ ყურადღებას ამახვილებს თანამედროვე ასურული დიალექტების შესწავლის მნიშვნელობაზე და გამოთქვამს ზოგიერთ მნიშვნელოვან მოსაზრებას.

ცალკეული დიალექტების გრამატიკული დახასიათებისადმი მიძღვნილი I. Guidi-ს, Ed. Sachau-ს, A. Siegel-ის გამოკვლევები (*Beiträge zur Kenntnis des neuaramäischen Fellichi-Dialectes*, ZDMG, ტ. 37, 1883; *Skizze des Fellichi-Dialekts von Mosul*, ბერლინი, 1895; *Laut- und Formenlehre des neuaramäischen Dialektes des Tür-'Abdin*, ჰანოვერი, 1923).

თანამედროვე ასურულის შესწავლაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დიალექტოლოგიური ტექსტების ჩაწერასა და გამოცემას. ამ მხრივ საგრძნობი მუშაობაა ჩატარებული. განსაკუთრებით მრავლადაა ურმიის დიალექტზე გამოცემული ტექსტები. ასეთია Al. Socin-ის *Die neuaramäischen Dialekte von Urmia bis Mosul*, ა. კალაშევიჩის მიერ გამოცემული ამიერკავკასიაში ჩაწერილი ურმიული ტექსტები რუსული ტრანსკრიფციით (*Сборник материалов по описанию местностей и племен Кавказа*, XX, თბილისი, 1894),

¹ მეორედ ეს წიგნი გამოვიდა 1963 წელს დარმშტადტში.

G. Kampfmeyer-ის, D. Schahbaz-ისა და G. Bergsträsser-ის მიერ გამოქვეყნებული ურმიული ტექსტები, R. Duval-ის სალამასური ტექსტები, E. Prym-ის, A. Socin-ის, M. Lidzbarski-სა და H. Ritter-ის ტექსტები ტურ-აბდინის დიალექტზე, A. Löwy-ს, Gottheil-ის, J. J. Rivlin-ის, J. B. Segal-ისა და I. Garbell-ის მიერ გამოცემული ასურელ ებრაელთა მეტყველების ნიმუშები¹.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ ხანებში ერთგვარად გაძლიერდა მუშაობა თანამედროვე ასურული ენის შესწავლისა და კვლევის დარგში. 1943 წელს ჩიკაგოში ურმიელი A. J. Oraham-ი აქვეყნებს საკმაოდ ვრცელ ასურულ-ინგლისურ ლექსიკონს. 1955 წელს ინგლისელი სემიტოლოგი J. B. Segal-ი ბექდავს მის მიერ ისრაელში შეკრებულ ასურელ ებრაელთა ანდაზებს თარგმანითა და კომენტარებით (*Journal of Near Eastern Studies*, ტ. XIV, გვ. 171—186)². 1957 წელს იმავე ჟურნალში გამოქვეყნდა სტატია ურმიის დიალექტზე და ასურული ტექსტი. მისი ავტორია ამერიკაში მცხოვრები ასურელი L. Yaure³. იგი მოგვითხრობს ასურულის გავრცელებასა და შესწავლაზე, გვაწვდის ცნობებს თვით ასურელთა შესახებ და იძლევა თავის მოსაზრებას ურმიული დიალექტის წარმომავლობის შესახებ. 1959 წელს ცნობილი გერმანელი სემიტოლოგი J. Friedrich-ი აქვეყნებს საინტერესო გამოკვლევას საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ასურელთა მეტყველების შესახებ (*ZDMG*, ტ. 109, გვ. 50—81)⁴. ეს არის მოკლე, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი გრამატიკული მიმოხილვა თანამედროვე ლიტერატურული ასურული ენისა. გამოკვლევა ემყარება საბჭოთა კავშირში ლათინური დამწერლობით გამოქვეყნებულ ასურულ ლიტერატურას. J. Friedrich-ი ამ შრომით იწყებს მოცემული ენის შესწავლას და მალე აქვეყნებს სხვა შრომებსაც ამ დარგში. მომდევნო წელს ვისბადენში მან გამოსცა „Zwei russische Novellen in neusyrischen Übersetzung und Lateinschrift“. ეს არის რუსული მოთხრობების (ა. პუშკინის „სადგურის მეთვალყურისა“ და ლ. ტოლსტოის „მეჯლისის შემდეგ“) ასურული თარგმანი ლექსიკონითა და კომენტარებით⁵. ამას მოჰყვა გამოკვლევა — „Das Neu-

¹ იხ. თანდართული ბიბლიოგრაფია.

² იხ. კ. წყნეთლის რეცენზია ამ ნაშრომზე, საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, ტ. III, თბილისი, 1960.

³ იხ. კ. წყნეთლის რეცენზია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 108, თბილისი, 1964.

⁴ იხ. კ. წყნეთლის რეცენზია, Семитские языки, I, Москва, 1963.

⁵ იხ. H. J. Polotsk y-ს რეცენზია, Orientalia, ტ. 31, ნაკვ. 2, რომი, 1962.

syrische als 'Typus einer entarteten semitischen Sprache' (ნეაპოლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის შრომებში—*Annali*, ტ. 4, 1962, გვ. 95—106) და ტექსტები ასურული ანბანის წიგნიდან -- „Aus einer neusyrischen Fibel“ (*Rivista degli Studi Orientali*, ტ. XXXVIII, 1963). თანამედროვე ასურული ენის სტრუქტურის, განსაკუთრებით უღლების სისტემის შესწავლის თვალსაზრისით, უაღრესად ფასეულია H. J. Polotsky-ს შრომა — „Studies in Modern Syriac“ (*Journal of Semitic Studies*, ტ. 6, № 1).

საყურადღებოა აგრეთვე R. Macuch-ისა და G. Krotkoff-ის სტატიები, გამოქვეყნებული 1961—62 წლებში *ეურნალებში*: *Orientalistische Literaturzeitung* (1962, № 3/4), *ZDMG* (B. 112, Hf. 2). ასევე J. Friedrich-ისა და L. Yaure-ს მიერ ერთად გამოქვეყნებული საბჭოთა ასურელი პოეტის დავით ილიანის პოემა სათანადო თარგმანითა და კომენტარებით¹.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს Irene Garbell-ის მონოგრაფია *The Jewish Neo-Aramaic Dialect of Persian Azerbaijan*, The Hague, 1965 და მისი სტატია „The Impact of Kurdish and Turkish on the Jewish Neo-Aramaic Dialect of Persian Azerbaijan and the Adjoining Regions“, *JAOS*, ტ. 85, № 2, 1965. მონოგრაფიაში ფონოლოგიასა და გრამატიკასთან ერთად მოცემულია ტექსტები და ლექსიკონი.

გარკვეული მუშაობა მიმდინარეობს უკანასკნელ წლებში საბჭოთა კავშირშიც თანამედროვე ასურული ენის შესწავლის დარგში. ამ მუშაობის შედეგად ქვეყნდება დიალექტოლოგიური ტექსტები, გამოკვლევები, სახელმძღვანელოები: ნარკვევი თანამედროვე ასურული დიალექტების შედარებითი ფონეტიკისა, თბილისი, 1958; თანამედროვე ასურული ენის ქრესტომათია ლექსიკონითურთ, თბილისი, 1958; *Современный ассирийский язык*, Москва, 1964; *Материалы по арамейской диалектологии*, т. I: *Урмийский диалект*, Тбилиси, 1965 და სხვ.

¹ ZDMG, 112, Hf. 1, 1962.

A. ბ გ ე რ ა თ ა ს ი ს ტ ე მ ა

თანამედროვე ასურული ენის ბგერათა სისტემა გარკვევით განსხვავდება ძველი არამეულისაგან. ძირითადად ეს განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ შემცირდა წმინდა სემიტურ თანხმოვანთა რაოდენობა, მაგრამ სამაგიეროდ გამდიდრდა არამეული ვოკალიზმი. ამასთანავე, დღეს ასურულში ისმის ისეთი ბგერებიც, რომლებიც ძველ არამეულს (resp. ძველ სემიტურს) არ ახასიათებდა: f, g, c, z, d, p, k. ძველი არამეული ბგერათა სისტემის ასეთ ცვლას საფუძვლად უძევს არა უცხო ენობრივი გავლენა, არამედ სისტემის ცვლა, რაც თვით ენის შინაგანი განვითარების კანონზომიერი შედეგია. ამაზე საუბარია ქვემოთ, სადაც ცალ-ცალკე განხილულია ასურული ბგერები: თანხმოვნები, ხმოვნები, ნახევარხმოვნები, დიფთონგები, ბგერათცვლილების ფაქტები, რამდენადაც ეს შესაძლებელია საუნივერსიტეტო კურსის ფარგლებში. *

ვიდრე ბგერათა დახასიათებაზე გადავიდოდეთ, საჭიროა შეეჩერდეთ იმ დამწერლობაზე, რომელსაც დღეს ასურელები ხმარობენ.

თ ა ვ ი I

ასურული დამწერლობა

წინამდებარე წიგნის შესავალში აღნიშნული იყო, რომ ურმიის დიალექტი სამწერლობო ენად საკმაოდ გვიან (XIX საუკ.) იქცა. ამ დროისათვის ურმიული თავისი განვითარების გზაზე შორს იყო წასული ძველი არამეული დიალექტებისაგან, თუნდაც, ლიტერატურული სირიულისაგან, რომელსაც საკუთარი დამწერლობა ჰქონდა და ამ დროისათვის მკედარ ენას წარმოადგენდა. სირიულად ამ ხანებში ალარაფინ ლაპარაკობდა (იგი უკვე მკედარია XV საუკ.-ში)

და მის სამივე სახის დამწერლობას (რომლებიც ერთმანეთის სახესხვაობას წარმოადგენს) მხოლოდ საეკლესიო წიგნებისათვის იყენებდნენ, როგორც ხუცურს ქართულში ან სლავურს — რუსულ ეკლესიაში.

სირიულმა ეკლესიამ ადრევე (V საუკ.) განიცადა გაყოფა: დასავლელი სირიელები, ე. წ. იაკობიტები (სირიელ მონოფიზიტთა სექტა, რომელიც VI ს-ში დაარსდა) და აღმოსავლელი სირიელები, ე. წ. ნესტორიანელები (კონსტანტინეპოლის პატრიარქის ნესტორის მიერ V ს-ში დაარსებული სექტის მიმდევრები). იაკობიტებს თავისი საკუთარი დამწერლობა ჰქონდათ, რომელსაც სერტოს ან იაკობიტურ დამწერლობას უწოდებენ, ნესტორიანელებს კი — საკუთარი, ე. წ. ნესტორიანული. ნესტორიანობა ფართოდ გავრცელდა აღმოსავლელ არამეელთა შორის, მათ შორის — ურმიელებშიც. ნესტორიანულმა რელიგიამ თავისი საეკლესიო დამწერლობაც მოიტანა და ამგვარად, ურმიელებს უხდებოდათ ამ დამწერლობის შესწავლა, რათა ეკითხათ და ეწერათ თავიანთი საეკლესიო ლიტერატურა. ურმიელები დიდი ხნის განმავლობაში მოკლებული იყვნენ საშუალებას სალაპარაკო არამეული არამეული დამწერლობითვე გადმოეცათ (სამოქალაქო საქმიანობაში ურმიელები იყენებდნენ თურქულს ან სპარსულს).

XIX საუკუნიდან ურმიის რაიონში იწყებენ მოღვაწეობას ევროპელი და ამერიკელი მისიონერები, რომლებიც ცდილობენ ქრისტეს ჯერით გზა გაუკაფონ ახლო აღმოსავლეთში თავიანთ კოლონიზატორებს. საჭირო ხდება მათი ხელიდან გამოსული ლიტერატურის მისვლა მოსახლეობის ფართო ფენებთან. ამ მიზნით კი მკვდარი, საეკლესიო ენის გამოყენება ნაკლებზედგვიანი იყო. მისიონერებმა ხელი მოკიდეს ურმიის არამეულის „გალიტერატურებას“. გამოდის სახარება, ლოცვები, აპოკრიფული ლიტერატურა ურმიის დიალექტზე, რისთვისაც გამოყენებული იქნა ურმიის ეკლესიაში ხმარებული ნესტორიანული დამწერლობა. იხსნება სკოლები, სადაც ურმიელი ბავშვები სწავლობენ მშობლიურ ენას ნესტორიანული დამწერლობის მეშვეობით. გამოდის ამ დამწერლობით გაზეთები, წიგნები. ამგვარად, ნესტორიანული დამწერლობა თანამედროვე აღმოსავლელ არამეელთა მხოლოდ საეკლესიო დამწერლობა კი აღარ არის, არამედ საეროც.

ნესტორიანული დამწერლობის გავრცელების ასეთი გზა განსაზღვრავს მთელ რიგ შეუსაბამობას ასურელთა დამწერლობასა და მეტყველებას შორის.

ნესტორიანული დამწერლობა შეიცავს ნიშნებს იმ თანხმონე-

ბისა და ხმოვნებისათვის, რომლებიც სირიულისათვის, ე. ი. ძველი არამეულისათვის იყო დამახასიათებელი. ზოგი მათგანი დღეს ასურელების მიერ სრულებით არ წარმოითქმის; ასე, მაგალითად: 'ინინი (𐎶) 𐎠 და ალუფი 𐎠 𐎡, მცირე გამონაკლისის გარდა, საეცებით დაიკარგა. ძველი ემფატიკური $\$$ აღარ წარმოითქმის ემფაზით, და მაშასადამე, მისი და არაემფატიკური $\$$ -ს ცალ-ცალკე ნიშნებით (𐎠 და 𐎡) აღნიშვნა გამართლებული არ არის. არ არის განსხვავება არც სპირანტიზებულ თანხმოვნებსა. და მათთან ახლომდგომ სპირანტებს შორის: h და v , k და h დღეს v -დ და h -დ წარმოითქმის. შეიძლებოდა სხვა მსგავსი შემთხვევების დასახელებაც. ამგვარად, ნესტორიანული ანბანის ასოთა რაოდენობა სქარბობს ასურულში (ურმიულში) ხმარებულ სათანადო თანხმოვნების რაოდენობას (ანბანში 22 ასოა, ხოლო აქედან მეტყველებაში შესატყვისი აქვს 18 ასოს). ამასთანავე, ასურულში ისეთი თანხმოვნებიცაა, რისი აღმნიშვნელი ასოებიც სირიულ ანბანში არ მოიძებნება და საჭირო ხდება დამატებითი დიაკრიტიკული ნიშნების დართვა ნესტორიანული ასოებისათვის (ასეა 8 ასოს მიმართ).

აღნიშნული მიზნით ნესტორიანული დამწერლობის გამოყენებას, როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, არა აქვს დიდი ხნის ტრადიცია. ამასთანავე, სირიულიდან თარგმნა თანამედროვე ასურულ ენაზე, რომელსაც საფუძვლად ურმიის ხალხური დიალექტი უძვეს და სირიულისათვის როგორც საეკლესიო და ძველი ლიტერატურული ტრადიციებით მდიდარი ენისათვის ანგარიშის გაწევა, ბუნებრივია იწვევს ტენდენციას, ფართოდ იქნეს მოზიდული სირიული ენობრივი მასალა ამ ახალ ლიტერატურულ ენაში. ამის გამო ასურულ ტექსტებში ხშირად ვხვდებით სიტყვათა ისტორიულ დაწერილობას მისი ცოცხალი წარმოთქმის გადმოცემის ნაცვლად, ზოგჯერ კი სირიულიდან გადმოტანილია მთელი ფრაზები და გრამატიკული ფორმები, რის შედეგადაც ადგილი აქვს ერთმანეთის გვერდით სიტყვის ეტიმოლოგიური (resp. ისტორიული) და ფონეტიკური (resp. დღევანდელი წარმოთქმის შესაბამისი) დაწერილობების პარალელურად ხმარებას (შდრ. 𐎶𐎠𐎶 და 𐎶𐎠 𐎶 „აკეთებს“, 𐎶𐎠 და 𐎶 „ერთი“). ყველაფერი ეს მიუთითებს იმაზე, რომ თანამედროვე ასურული ენა თავისი სირიული (ნესტორიანული) დამწერლობით ჯერ კიდევ ვერ იქცა ისეთ სამწერლობო ენად, რომელსაც მკაცრად დადგენილი სალიტერატურო ნორმები და ტრადიცია აქვს.

ქვემოთ მოცემულია სირიული (ნესტორიანული) ანბანი ებრაული შესატყვისებითა და ლათინური ტრანსკრიფციით:

ნესტორიანული ანბანი

№/ს რიგ.	ასო	ებრაული შე- სატყვისი	ლათინური ტრანსკრიფცია	სახელწოდება	რომბე- თი მნიშ- ვებლობა
1	א	א	a	אָלֶף „ალეფ“	1
2	ב	ב	b	בֵּי „ბით“	2
3	ג	ג	g	גִּיּוֹן „გამალ“	3
4	ד	ד	d	דָּלֶת „დლლათ“	4
5	ה	ה	h	הֵי „ჰე“, „ჰი“	5
6	ו	ו	v	וָו „ვევ“	6
7	ז	ז	z	זֵי „ზენ“	7
8	ח	ח	h (h)	חֵי „ხეთ“	8
9	ט	ט	t	טֵי „ტეთ“	9
10	י	י	i	יָי „აჟდ“	10
11	כ	כ	k	כֵּי „კჰე“	20
12	ל	ל	l	לֵי „ლჰმარ“	30
13	מ	מ	m	מֵי „მიმ“	40
14	נ	נ	n	נֵי „ნუნ“	50
15	ס	ס	s	סֵי „სიმჰათ“	60
16	ע	ע		עֵי „ე“	70
17	פ	פ	p	פֵּי „ფე“	80
18	צ	צ	s	צֵי „სალი“	90
19	ק	ק	q	קֵי „კოფ“	100
20	ר	ר	r	רֵי „რეშ“	200
21	ש	ש	s	שֵּׁי „შინ-“	300
22	ת	ת	t	תֵּי „თავ“	400

№№ რიგზე	ასო	ლათინური ტრანსკრიფცია
4. (26)	ჭ	z
5. (27)	ქ	h (ისტორიული k)
6. (28)	ყ	č
7. (29)	ფ	f (ისტორიული p)
8. (30)	წ	z

ხმოვნების გადმოსაცემად ნესტორიანულ დამწერლობაში იხმარება წერტილები ან მცირე შტრიხები იმ ასოს ზემოთ თუ ქვემოთ, რომლის შემდეგაც ეს ხმოვანი წარმოითქმის. ამ წერტილებისა თუ შტრიხების საშუალებით, რომელთაც ხმოვნის (resp. ვოკალური) ნიშნები ეწოდებათ, გადმოიცემა შემდეგი ხმოვნები:

№№ რიგზე	ნიშნები	ლათინური ტრანსკრიფ- ცია	სახელწოდება
1.	ა ¹	ā, a, ǎ	اَ اِ أِ „ფთანა“
2.	ბ	ā, ā, ā	اَبَّ اَبَّٔ „სკანა“
3.	„	i, i, i	أِ أِٔ „ზლამა ქირა“
4.	„	ī, ī, ī	أِٔٔ أِٔٔٔ „ზლამა მარნა“

გარდა ამ ოთხი ვოკალური ნიშნისა, ხმოვნების გადმოსაცემად ასურულში გამოყენებულია ე. წ. ვოკალური თანხმოვნები ო და ა:

№№ რიგზე	ნიშანი	ლათინური ტრანსკრიფ- ცია	სახელწოდება
5.	Ა	ō, o	اَوَّ اَؤَّ „რვანა“
6.	Ბ	ū, u	اُوَّ اُؤَّ „რვანა“
7.	Გ	ī	أِٔٔٔٔٔٔٔ „მუდ ხვანა“

ō/o და ē/e ხმოვნები ზოგჯერ გადმოცემულია დიფთონგებით.

¹ ჰოროზონტალური ხაზით პირობით აღენიშნავთ ნებისმიერ ასოს.

ამ გადმოცემას საფუძვლად დაედო დიფთონგთა კონტრაქციით მონოფთონგთა მიღება, რაც ურმიულისათვის ჩვეულებრივია:

8.	$\text{a} \overset{\cdot}{\text{u}}, \text{o} \overset{\cdot}{\text{y}}$	$\bar{o}, o (< \bar{a}y, ay)$
9.	$\text{a} \overset{..}{\text{u}}, \text{a} \overset{..}{\text{y}}$	$\bar{e}, e (< \bar{a}j, aj)$

30-იან წლებში საბჭოთა კავშირში ასურული ლიტერატურა იბეჭდებოდა ლათინური დამწერლობით, რომელიც მოსკოვში გარკვეულ წრეში შემუშავდა. ამ დამწერლობამ ფართო გავრცელება ვერ პოვა. იგი არ მიიღეს საბჭოთა კავშირს გარეთ მცხოვრებმა ასურელებმა და ჩვენშიც მალე ხმარებიდან გავიდა. ამრიგად, ამჟამად ასურელები ყველგან ერთ დამწერლობას — სირიულს იყენებენ.

ქვემოთ მოტანილია ხსენებული ლათინური დამწერლობა:

1. თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ე ბ ი :

b	l	q (=j)
c (=h)	m	r
d	n	t (=t)
f	p (=p)	s (=შ)
g	r	ç (=ჯ)
h	s	z (=ზ)
j	t (=თ)	x (=ხ)
k (=ქ)		

2. ხ მ ო ვ ნ ე ბ ი :

წინა რიგის — a, e, i; უკანა რიგის — a, b, o, u.

თ ა ვ ი II

თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ე ბ ი

ლაბიალები. ლაბიალებიდან ასურულმა შეინარჩუნა ძველი არამეული b (ב) და p (פ), ხოლო პირველის სპირანტული სახესხვაობა h, რომელიც ნესტორიანულ დამწერლობაში h-ს ქვეშ წერტილის დასმით აღინიშნება — h, წარმოთქმაში მთლიანად დაემსგავსა v-ს (ნესტ. o). ამის გამო ხშირია ტექსტებში h-სა და o-ს აღრევის შემთხვევები: ho და ho „თაფლი“, ho და ho „იმედი“, ho და ho „შევიდა“ და სხვ. ხსენებულ ასოთა მონა-

ცვლეობა განსაკუთრებით ხშირია ახლადშემოსულ უცხოურ სიტყვებში, როგორცაა **خا** და **خو** „ხრახნი“ (რუს. ВИХТ), **خا** და **خا** „დღევი“ (სპარს. د).

ფშვინვიერი ბილაბიალის (წყვილბაგისმიერის) p-ს სპირანტული სახეობა f (**ف**) ჩანს რამდენიმე სიტყვაში: **خا** „სული“ (სადაც წარმოთქმაში **ف** -მა **و** მოგვცა: uōšā), **خا** „ბეჭი, მხარი“ და **خا** „ნიჩაბი“. ამ ორ სიტყვაში u-ს შემდეგ f (**ف**) i-ად წარმოითქმის: ruīšā და ruīšā.

ასურულმა შეიძინა ახალი ბილაბიალი ხშული, მკვეთრი p. ამ თანხმონისათვის დამწერლობაში სათანადო ნიშანი არ არის დამას **פ** (p) ნიშნით გადმოსცემენ. p-დ წარმოითქმის გარკვეულ შემთხვევაში ხ-ც და მაშინ მის შესატყვისად ტექსტში **פ** (h) ნიშანია. p გვხვდება არა მხოლოდ უცხოურ სიტყვებში, როგორცაა pleu (**פל**) „ტყვეობა“ (რუს. плеш), poi (**פ**) „იატაკი“, არამედ საკუთრივ ასურულ სიტყვებშიც: pīšā (**פל**) „ომი“, spāi (**פ**) „კარგი; კარგად“, šapīra (**פ**) „ლამაზი“ და სხვ.

ამრიგად, ამჟამად ასურულში გვაქვს ხშულ ბილაბიალთა სამეული: მჟღერი b, ფშვინვიერი p და მკვეთრი p, რომლებიც თავისი არტიკულაციითა და აკუსტიკური ეფექტით ქართულ ბ, ფ, პ-ს იდენტურია.

აღნიშნულ ბილაბიალებთან ერთად ასურულში არის საერთო სემიტური ნაზალი ბილაბიალიც — მჟღერი m (**מ** ანლაუტსა და ინლაუტში, **מ** — აუსლაუტში). გარდა ამ ხშული ლაბიალებისა, ენაში დასტურდება ნაპრალოვანი ლაბიალებიც: მჟღერი v (**ו**, **ו**) და ფშვინვიერი f (**פ**). f, გარდა უკვე აღნიშნული შემთხვევებისა, მხოლოდ უცხოურ სიტყვებში გვხვდება: **פ** (šarf) „შარფი“ (რუს. шарф), **פ** (fuut) „გირვანქა“ (რუს. фонт), **פ** (tušā) „მაგალითი, ნიმუში“ (ბერძნ. τύπος), **פ** „გამოკვლევა“ (არაბ. تفتيش), **פ** „ია“ (სპ. ياف), **פ** „ატამი“ (სპარს. اتام) და სხვ. ჩვეულებრივ კი ნასესხებ სიტყვებშიც f p-დ წარმოითქმის.

რაც შეეხება ᚕ-ს, იგი ერთი მხრივ მიღებულია ს (𐌆)-დან¹, მეორე მხრივ კი ბილაბიალ ყ(𐌔)-დან. ამ უკანასკნელმა დაკარგა ხმოვნის ძალა და ლაბიო-დენტალ ᚕ-ში გადაიწია: qarūva (𐌒𐌹𐌺𐌰) „მამალი“, bālūva (𐌒𐌰𐌺𐌰) „ყელი“, hatvāti (𐌒𐌰𐌹𐌴𐌹) „დები“, sārā (𐌒𐌰) „მოხუცი“, slīva (𐌒𐌹𐌶𐌰) „ჯვარი“, didva (𐌒𐌰𐌹𐌶) „ბუზი“ და სხვ.

დენტალები. ასურულში ხშულ დენტალთა სამეული გვაქვს: მტლერი ᄀ, ფშვინეიერი ᄁ და მკვეთრი ᄂ. მათ ნესტორიანულ დამწერლობაში შეესატყვისება ᄃ, ᄄ და ᄅ. ᄂ-დ წარმოითქმის ზოგიერთ შემთხვევაში ᄆ-ც. მკვეთრი ᄂ არამეულის ძველ დიალექტებში არ იყო, იგი შემდეგშია გაჩენილი: ერთი მხრივ ფშვინეიერი ᄁ-ს გამკვეთრებით, როგორც, მაგალითად, saḫṭa (𐌒𐌰𐌵𐌰) „ქალი“, ᄁ𐌰 (𐌒𐌰𐌵) „სამი“ და სხვ., მეორე მხრივ კი იგი (მკვეთრი ᄂ) ემფატიკური ᄁ-ს (=ებრ. ᄁ, არაბ. ᄁ) ნაშთია². ᄂ გვხვდება უცხოურ სიტყვებშიც: ustōl „მაგიდა“ (რუს. стол), ᄁ𐌰𐌰 „ფასი“ (ბერძნ. τμή).

ძველ არამეულში დადასტურებული ემფატიკური ᄂ თანამედროვე ასურულში ვერ პოულობს იდენტურ შესატყვისობას. ამეამად ემფატიკური ბგერებისათვის დამახასიათებელი არტიკულაცია მოიშალა და ამის შედეგად დარჩა მარტივი ᄁ. მაგრამ ოდესღაც არსებულმა ბგერის ემფაზმა სიტყვაში შექმნა მაგარი ტემბრი, რომელშიც ფშვინეიერი ᄁ გამკვეთრდა და ემფატიკური ᄁ-ს ნაცვლად მივიღეთ მკვეთრი ᄂ. ასეა ყველგან, სადაც ისტორიულად ემფატიკური ᄂ უნდა იყოს: ᄂ𐌰𐌰 „საქმრო“ — ᄁ𐌰𐌰, ᄂ𐌰𐌰 „ნაყოფი“ — ᄁ𐌰𐌰 და სხვ.

ᄀ (ᄃ) და ᄁ (ᄄ) თანხმოვნების სპირანტიზებული სახეობანი (ᄀ, ᄁ) თანამედროვე ლიტერატურულ ასურულ ენაში აღარ არსებობს. მხოლოდ აქა-იქ ძველადვე სპირანტიზებული თანხმოვნები წარმოთქმაში დაკარგულია³. უმეტესად კი იქ, სადაც ᄀ ან ᄁ უნდა ყოფილიყო, ყველგან არასპირანტიზებული, ე. ი. ხშული ᄀ და ᄁ გვაქვს. გარდა აღნიშნული ხშული დენტალებისა ასურულში დაცულია

¹ იხ. „თანხმოვანთა სპირანტიზაცია“, გვ. 71.

² ამის შესახებ იხ. ქვემოთ, გვ. 34—35.

³ იხ. ქვემოთ, „თანხმოვანთა სპირანტიზაცია“, გვ. 72.

საერთო სემიტური ნაზალი II (ჰ ანლაუტსა და ინლაუტში, ლ ან აუსლაუტში).

ბშულ დენტალებთან ერთად ასურულში გვხვდება სპირანტთა წყვილელიც: ფშინივიერი s (𐎎) და მელერი z (𐎏). ძველ არამეულში (სემიტურში საერთოდ) იყო მეორე სახის s-ც, ე. წ. ემფატიკური ṣ (=ებრ. צ; არაბ. ص), რაც ნესტორიანულ დამწერლობაში ჯ ნიშნით გამოიხატება. დღევანდელ ასურელთა მეტყველებაში ṣ-ს ემფატიკური წარმოთქმა აღარ დასტურდება, რის გამოც ისტორიული ორი s-ს ნაცვლად დღეს მხოლოდ ერთი მარტივი s იმის. ამდენად, სიტყვის დაწერილობაში არსებული ṣ (𐎎) ამ s-ს განსაკუთრებულ, 𐎎 საგან განსხვავებულ წარმოთქმაზე კი არ მიუთითებს, არამედ ბგერის ისტორიულ მხარეზე.

აღვეოლარები. ქართულის მსგავსად ასურულში აღვეოლართა სამეულია: მელერი ḡ (𐎗), ფშინივიერი ḥ (𐎗 — ანლაუტსა და ინლაუტში, ḥ ḥ — აუსლაუტში) და მკვეთრი ḫ, რომელიც ნესტორიანულ დამწერლობაში ჩვეულებრივ იმავე ḫ-ს ნიშნით (𐎗) გადმოიცემა.

ასურულში ḡ და ḥ სამ შემთხვევაში გვხვდება: (1) ḡ და k თანხმოვნების პალატალიზაციით ($\text{ḡ} > \text{ḡi} > \text{ḡ}$ და $\text{k} > \text{ki} > \text{k}$)¹; (2) ბგერათა შერწყმით: uḫā, iḫā (𐎗𐎗) „ცხრა“, maḥihli < maḥihli (𐎗𐎗) „მოდებნე!"; (3) უცხოურ სიტყვებში: ḡeiran (𐎗) „ჯეირანი“ (თურქ. çairan), ḡius (𐎗) „საუკეთესო, კარგი“ (არაბ. جنس „ჯიში“), qazanča (𐎗𐎗) „ქვაბი“ (თურქ. kazanca), qamčij (𐎗𐎗) „მათრახი“ (თურქ. kamçi) და სხვ.

რაც შეეხება ḫ-ს (=ქართ. ჰ-ს), იგი ორ შემთხვევაშია: (1) ḫ-ს გამკვეთრებით: muḫrīli (𐎗𐎗) „მოაბათქაშა“, pḫila (𐎗) „ირიბი“, qūḫa (𐎗) „ცერი“, ḫihā (𐎗) „ნატეხი“; (2) ḫ-ს ან k-ს პალატალიზაციით: ḫilpi (𐎗) „დაჩეხა, დააპო“ < Vt|p,

¹ ამის შესახებ სპეციალურად იხ. თავში „თანხმოვანთა პალატალიზაცია“, გვ. 67—68.

bi:zrā:ḫēlī, (ܒܝܙܪܐ ܫܠܝܢܐ) „ფხაქნის“ <Vzrt¹, triplī || ḫriplī (ܫܠܝܢܐ)
„მიწაზე დაახეთქა“, ḫqam || kīqam „ადგება ხოლმე“ <kī qam (ܩܡܐ)
ܟܘܠܡ) და მისთ.

ენაში დასტურდება ალვეოლარულ სპირანტთა წყვილგულიც: მელერი ž (ܙ ან ܝ) და ფშინვიერი ž (ܙ). ž-ს უმეტესად უცხოური წარმოშობის სიტყვებში ვხვდებით, როგორიცაა dižmin ܕܝܙܡܝܢ „მტერი“ (ქურთ. dižmin), giž (ܓܝܙ) „გიეი“ (აზერბ. ruž). ასურულში ადგილი აქვს ž-ს განვითარებას საკუთარ ნიადაგზეც, სახელდობრ, ž-ს გამეღრვების შედეგად: žgušja (ܩܘܫܝܗ) „არეულობა“, „აჯანყება“, hižbūda (ܗܝܙܒܘܕܐ) „რიცხვი“, už āti! (ܘܙ ܐܬܝ!) „დღე მოვიდეს!“ და სხვ.

აქვე უნდა აღინიშნოს საერთო სემიტური კორონალი ვიბრანტი r (ܠ).

პალატალები. უკანა ენის შუა სასაზე მიბჯენითა და ხშვა-სკდომით წარმოიქმნება ხშულ თანხმოვანთა სამეული: მელერი g, ფშინვიერი k და მკვეთრი k. ყველა ეს თანხმოვანი g, k, ḫ-ს (იხ. პრეველარები) პალატალიზებულ სახეობებს წარმოადგენს. ეს ერთგვარი შუალედი საფეხურია g, k, ḫ-ს პალატალიზაციით ḡ, ḳ, ḫ-ში გადასვლისა (იხ. ზემოთ ალვეოლარები). ჩვეულებრივ, g, k, ḫ-ს პალატალიზაციას და, ამდენად, ḡ, ḳ, ḫ-ს ვხვდებით სიტყვის ანლაუტში. ამასთანავე, ნაწილაკი kī (ܩܝ) ყოველთვის გადადის kī-ში, რომელიც მელერის წინ ḡ არის, ხოლო მკვეთრის წინ — ḳ.

ḡ, ḳ, ḫ შეიძლება ინლაუტშიც იყოს². ამ პალატალიზებული თანხმოვნების გარდა ასურულში ორი პალატალი თანხმოვანია i (ܝ) და l (ܠ). i განხილული იქნება ნახევარხმოვნებში, ხოლო რაც შეეხება პალატალ ლატერალ l-ს, მისი წარმოთქმისას წინა ენა ზედა კბილების ზურგს ებჯინება (ხშვაა), ენის გვერდები კი სასასთან კმნის ნაპრალებს, რომლებშიც ხორხიდან ამომავალი ჰაერნაკადი მოედინება. ასეთი პალატალური l აკუსტიკურად „რბილია“ და შეესიტყვება ფრანგულ l-ს.

¹ იხ. Th. Nöldeke, Neusyrische Grammatik, Leipzig. 1868. გვ. 42, § 21.

² სათანადო მაგალითები იხ. თავში „თანხმოვანთა პალატალიზაცია“, გვ. 67 და შემდ.

პრეველარები. უკანა ენის რბილი სასის წინა ნაწილთან ხვეითა და სკდომით ასურულში გვაქვს სამი რბილსასისმიერი (პრეველარული) ხშული: **g**, **k**, **ḵ** (ასურელები გადმოსცემენ: **g**-ს **𐤂** ასოთი, **k**-ს **𐤃** ნიშნით, ხოლო **ḵ**-ს ხან **𐤃** და ხან **𐤄** ნიშნით). აქედან პირველი — მეღერია, მეორე — ფშინიერი და მესამე — მკვეთრი. ეს ბგერები აკუსტიკურად სავსებით შეესატყვისებიან ქართულ სამეულს **g**, **q**, **q̄**-ს. პირველი ორი თანხმოვანი არამეულისათვის ჩვეულებრივია; უცხოა ამ ენისათვის **ḵ** ბგერა. იგი გვხვდება როგორც უცხოური წარმოშობის სიტყვებში, როგორცაა **ḵīlō** „კილოგრამი“ (**𐤊𐤍𐤋**) (რუს. **кило**), **ḵantḡun** (**𐤊𐤍𐤂𐤍**) (ბერძნ. **κέντρον**), **mēšōḵ** „ტომარა“ (**𐤌𐤍𐤆𐤊**) (რუს. **мешок**), ისევე **k**-ს გამკვეთრების ნიღაგზე: **škīnta** „დანა“ (**𐤍𐤊𐤍𐤏**), და სხვ.

პრეველარულია ლატერალი **ḵ** (ე. წ. „მაგარი ლ“), რომლის წარმოთქმისას ენის ზურგი ჩაზნექილია, ხოლო უკანა ენა აწეულია რბილი სასის მიმართულებით. აკუსტიკურად იგი რუსულ მაგარლ-ს მოგვაგონებს (მაგალითად, **л** სიტყვაში **лѣхна** „ქვის ზოდი“). ასეთი **ḵ** გვხვდება არა მარტო უცხოურ სიტყვებში (თურქულიდან შესული სიტყვა **ḵāḵḵā** „ხელსახოცი“, რუს. **пол** „იატაკი“ და სხვ.), არამედ საკუთრივ არამეულშიც: **ḵā** „სამი“ (**𐤊𐤍𐤏**), **ḵīlmā** „სიზმარი“ (**𐤊𐤍𐤋𐤌**), **ḵulānā** „ნამიანი“ (**𐤊𐤍𐤋𐤍**) და სხვ. ნესტორიანულ დამწერლობაში ასეთი ველარი **ḵ** არ არის გარჩეული პალატალი **l**-სგან: **𐤊**.

პრეველარი სპირანტები **g** (**𐤂**) და **ḵ** (**𐤃**), რომლებიც ძველ არამეულში მიიღებოდა **g** და **k**-ს სპირანტიზაციით, გადაიწია **g**-სა და **ḵ**-ში, სახელდობრ: **g** > **g** და **ḵ** > **ḵ** (ე. ი. პოსტველარ სპირანტებში)¹.

პოსტველარები. ასურულმა შემოინახა ორივე საერთოსემიტური პოსტველარი სპირანტი — **ḡ** (**𐤂**) და **ḵ** (**𐤃**). პირველი ფშინიერი, ხოლო მეორე მეღერი. ეს უკანასკნელი მიიღებიან უკანა ენისა და რბილი სასის უკანა ნაწილს შორის მცირე ნაპრალის დატოვებით, რომელშიც ხორხიდან ამომავალი ჰაერნაკადი გამოდის. **ḡ** არა მარტო სემიტურ **ḡ**-ს აღნიშნავს (= არაბ. **ح**), არამედ ფა-

¹ ამის შესახებ იხ. თავში „თანხმოვანთა სპირანტიზაცია“, გვ. 71.

რინგალ სპირანტ *h*-საც (არაბ. *ح*), რომელიც ჩვენს დიალექტში *h*-ში გადაიწია. ასე, მაგალითად: *hmarīl* „ვირი“ (არაბ. *حمار*)¹, *hūrī* „გველი“ (არაბ. *حَيَّة*), *husa* „სიყვარული“ (არაბ. *حَب*), *haji* „სიცოცხლე“ (არაბ. *حَيَاة*), *hulma* „სიზმარი“ (არაბ. *حلم*), *hōia* „თოკი“ (არაბ. *حبل*), *hijj* „ხორბალი“ (არაბ. *حنظل*), *hāivā* „რძე“ (არაბ. *حلب*).

მეორე მხრივ, *h* მოგვცა *k*-ს სპირანტიზაციამ, რაც ნესტორიანულ დამწერლობაში ჩვეულებრივ დაცულია (*ღ*).

ეტიმოლოგიურად სამი სხვადასხვა ბგერის (*h*, *h* და *k*) ერთ ბგერად დამთხვევის გამო (წარმოთქმაში) არ არის იშვიათი წერის დროს მათი აღრევა. ასე, მაგ. *ḥadā* || *ḥadā* „შენი მამა“, *ḥadā* || *ḥadā* „კურთხეული“, *ḥadā* || *ḥadā* „წავალ“, *ḥadā* || *ḥadā* „იტირა“ (მამრ.) და მრავალი მისთ.

ასურულში გვაქვს აგრეთვე ერთი ხშული მკვეთრი პოსტველარი—*q* (*ق*). იგი უფრო უკან იწარმოება, ვიდრე *h* ან *g*. *q*-ს წარმოებისას ენის ზურგი სასის უკიდურეს ნაწილს ეხება ნაქთან (უფულასთან), ამიტომ ამ ბგერას ნაქისმიერსაც (უფულარსაც) უწოდებენ. ეს იგივე ბგერაა, რაც არაბული *ق*. ეს *q* აქუსტიკურად ახლო დგას ქართულ *ყ*-სთან. ამიტომაც, რომ ასურელები თავისი მეტყველების ქართული ასოებით გადმოცემისას ყოველთვის *q*-ს *ყ*-თი აღნიშნავენ და არა *ქ*-თი. ასე, მაგალითად, შყილი „აილო“ = *šqili*, შუყ! „გაუშვი!“ = *šūq*, ყალა „ხმა“ = *qāla* და სხვ. ამდენად სრულიად უმართებულოა *q*-ს *ქ*-დ წარმოთქმა.

გლოტალები. ასურული იცნობს ორ გლოტალს: სპირანტ *h*-სა (*ח*) და ხშულ *h*-ს (*ח*)². პირველი მათგანი წარმოადგენს სუფთა ფშვინვას. ხმოვნების წინ იგი ბერძნული *spiritus asper*-ის მსგავსად ფშვინვითი შემართვაა, ხოლო ხმოვნების შემდეგ ფშვინვითი დამართვა. ამ ბგერის ანალოგიურია ქართული *ჰ*.

¹ შესადარებლად არაბული სიტყვები მოგვყავს, რადგან იქ პირვანდელი *h*-ც გვაქვს (*ح*) და *h*-ც (*ح*).

² იგივე უნდა გვკონოდა საერთოსემიტურშიც.

მეორე გლოტალი ² წარმოადგენს სახმო სიმების ხშვა-სკდომისაგან მიღებულ ეფექტს (შეესატყვისება მეგრულ ყ-ს). ხმოვნის წინ იგი მაგარი შემართვაა, ხოლო ხმოვნის შემდეგ მაგარი დამართვა.

ასურულში ხშული ² იშვიათად გვხვდება, ისიც მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც სიტყვის ანლაუტში ხმოვანი მაგარტემბრია. ასეთ დროს ანლაუტში გარკვეულად მოისმის ხმოვნის მაგარი შემართვა: აჰქჰა „წყარო; თვალი“, აჰქჰა „სირცხვილი“. სხვა დანარჩენ შემთხვევებში ² ნელ შემართვაში გადადის.

სიტყვის ინლაუტში ² არ ისმის. მაგარ დამართვად ² მხოლოდ ერთ სიტყვაში გვხვდება — ნეგაციურ სიტყვა Ia²-ში (კ) „არა“. ისიც მაშინ, როცა ეს სიტყვა კატეგორიული ხასიათის პასუხს წარმოადგენს კითხვაზე და მას (Ia²-ს) არაფერი არ მოსდევს.

ამგვარად, როგორც ზემოხსენებულიდანაც ჩანს ²-ს ასურულში ორგვარი წარმოშობა აქვს: ²-ს ერთი რიგი პირველადია, რომელმაც დაბოლოს ნელი შემართვა (spiritus lenis) მოგვცა, ხოლო მეორე — მეორადი, მაგარტემბრიანი ხმოვნის ანლაუტში გაჩენილი.

ემფატიკური ბგერები და ზინი. ძველ არამეულს ისევე, როგორც საერთოსემიტურს, ჰქონდა სემიტური ენებისათვის სპეციფიკური თანხმოვნები — ფარინგალი ზინი (ებრ. ע, არაბ. ح, სირ. ح) და ე. წ. ემფატიკური თანხმოვნები. ემფატიკ. თანხმოვნები დენტალეზია: ხშული ძ, თ და სპირანტი ჯ, ჟ. ისინი ჩვეულებრივი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მარტივი დენტალეზისაგან (d, t, z, s) იმით განირჩევიან, რომ ფიზიოლოგიურად, გარდა მარტივი დენტალეზისათვის დამახასიათებელი არტიკულაციისა, კიდევ ერთით რაღაც დამატებითი მუშაობა ხორხის (ლარინქსის) და ხახის (ფარინქსის) კუნთებისა, რაც აკუსტიკურად ენერგიულად, ემფაზით წარმოქმნილი ბგერის შთაბეჭდილებას ტოვებს. აღნიშნული ემფატიკ. თანხმოვნების ასეთი წარმოქმნა იწვევს მეზობელი ხმოვნების ველარიზაციას¹. არაბულში ოთხივე ემფატიკური დენტალია დაცული, ჩრდილო სემიტურში კი — ებრაულ-ფინიკიურსა და არამეულში — მხოლოდ ყრუ ემფატიკური დენტალეზია: ხშული თ და სპირანტი ჯ (ებრ. ד და ז, სირ. ד და ז). ურმიის ცოცხალმა არამეულმა დიალექტმა ვერც ერთი ემფატიკური თანხმოვანი ვერ შემოინახა. ამ დიალექტზე მერყველთა წარმოქმნაში, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მოიშალა ის დამატებითი არტიკულაცია, რაც მარტივ დენტალეზს სპეციფიკურობას — ემფაზს აძლევდა, რის გამოც დარჩა

¹ იხ. გვ. 59.

მხოლოდ მარტივი დენტალებისათვის დამახასიათებელი პირისმიერი (ორალი) არტიკულაცია. ამგვარად, t-სა და s-სათვის დღეს მივიღეთ t და s¹.

რაც შეეხება სემიტურ აინს, თუმცა იგი აღარ წარმოითქმის მისთვის საჭირო ლარინგალ-ფარინგალური არტიკულაციის მოშლის გამო, მან მაინც შესამჩნევი კვალი დატოვა ასურულში. ეს კვალი მდგომარეობს შემდეგში: ეტიმოლოგიური აინის მეზობლობაში ხმოვნები განიცდიან ველარიზაციას, „მაგრდებიან“, პალატალი I გადადის ველარ t-ში, სხვა თანხმოვნები კი ყრუდებიან, აქედან, ხშულები, განსაკუთრებით ფშვინეიერები, მკვეთრდებიან².

თ ა ვ ი III

ხმოვნები

1. მოკლე ხმოვნები

ასურულში ხუთი ძირითადი ხმოვანი ფონემა გვაქვს, რომლებიც სხვადასხვა გარემოში კვალიტეტურად განსხვავებულ თხუთმეტამდე ვარიანტს იძლევა. ეს ხმოვნებია: წინა რიგის #, e, i, u, u; შუა რიგის a, e, i, o, u და უკანა რიგის a, a, i, o, u. საბჭოთა ასურელთა ლათინურ დამწერლობაში, რომელიც ზემოთ იყო მოყვანილი³, გარჩეულია შვიდი ხმოვანი: წინა რიგის e (=i) და i, უკანა რიგის a (=a) და a (=i), და უწყვილეულო სამი ხმოვანი e, o, u. ზოგიერთი სპეციალისტი მოითხოვდა ხსენებულ ლათინურ ანბანში წინა რიგის e და i ხმოვნებისათვის და უკანა რიგის e-სათვის სათანადო ნიშნები შეტანილიყო⁴.

სირიულ დამწერლობაში ტემბრი გარჩეული არ არის. მოკლე ხმოვნებიდან სპეციალური ნიშნით აღნიშნება a ხმოვანი (ფათახით $\frac{a}{-}$) და i ხმოვანი (ზლამა ქირაათი $\frac{i}{-}$). დანარჩენი ვოკალური ნიშნების დიდი ნაწილი ($\frac{e}{-}$, $\frac{e}{-}$, $\frac{a}{-}$, $\frac{a}{-}$, $\frac{o}{-}$, $\frac{o}{-}$) აღნიშნავს როგორც მოკლე, ისე გრძელ სათანადო ხმოვანს. ამას-

¹ იხ. გვ. 29 — 30.

² იხ. გვ. 60—61.

³ იხ. გვ. 27.

⁴ იხ. Н. В. Юшманов, Ассирийский язык и его письмо, Письменность и Революция, сб. I, Москва — Ленинград, 1933, გვ. 121, § 9; К. Алавердов, Совещание по вопросам ассирийской орфографии, იქვე, გვ. 193.

თანავე $\text{a} \rightarrow \text{e}$ და $\text{a} \rightarrow \text{i}$ ნიშნებით გადმოცემული ხმოვნები ერთმანეთისაგან არ განსხვავდება (ორივე ნიშანი თანაბრად გადმოსცემს როგორც e -ს, ისე e -ს); ასევე სამივე ნიშანი e , $\text{o} \rightarrow \text{i}$ და o — გამოხატავს ერთსა და იმავეს: მოკლე და გრძელ o -ს.

ჩვენ მიერ აღნიშნული ხმოვნები აკუსტიკურად (ტემბრის თვალსაზრისით) შეიძლება ასე წარმოვადგინოთ: რბილი ტემბრის ხმოვნები (ä , e , i , ö , u), მაგარი ტემბრის ხმოვნები (á , o , j , o , u) და საშუალო ტემბრის ხმოვნები, რომლებსაც წინა ორს შორის საშუალო ადგილი უკავიათ (a , e , i , ö , u). აღნიშნულ ბგერით ვარიანტებს გარკვეულ შემთხვევაში ფონემატური ღირებულება აქვთ (ამაზე საუბარი ქვემოთაა), ამიტომ მათ ფონეტიკურ დახასიათებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. შევჩერდეთ თითოეულ მათგანზე.

/a/ ხმოვანთან ყველაზე ადვილად გაირჩევა მისი სამივე ტემბრითი ვარიანტი.

ä: მაგარტემბრიანი a იწარმოება დაახლოებით იქვე, სადაც ჩვეულებრივ უკანა ენის ხმოვნები (o , u). იგი იწარმოება უკანა ენისა და რბილი სასის შორის¹, ამიტომაცაა, ალბათ, რომ ხშირად ä-ს ნაცვლად o -სკენ გადახრილი a ან o ისმის, განსაკუთრებით სიტყვის ანლაუტში². ამავე მიზეზით უნდა აიხსნას ლაბიალთან ä ხმოვნის გადასვლა u -ში: durmäinä „წამალი“ < därmäinä , umä-rät „სასახლე“ < ämärät , uprä „მიწა“ < äprä და სხვ.

a: საშუალოტემბრიანი a შესატყვისია ქართული ა-სი. ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, წმინდა a არის.

ä: რბილტემბრიანი a წინაენისმიერი ხმოვანია და აკუსტიკურად გერმანული უმლაუტთან a -ს (ä) თანატოლია.

/e/:

e: e უკანაენისმიერი ველარი ხმოვანია. იგი ä-სთან შედარებით უფრო ვიწროა. ამ მხრივ დაახლოებით o -ს მსგავსია, მაგრამ ბაგეების მომრგვალების გარეშე³.

e: საშუალოტემბრიანი e დაახლოებით ფრანგულ è -ს შეესატყვისება; იგი შუაენისმიერი ფართო ხმოვანია.

e: რბილტემბრიანი e წინაენისმიერი ვიწრო ხმოვანია და დაახლოებით ფრანგულ é -ს უდრის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ

¹ შდრ. Н. Юшманов, Сингармонизм урмийского диалекта, „Памяти акад. Н. Я. Марра“, Москва—Ленинград, 1938, გვ. 297.

² იხ. იქვე, გვ. 298, შენ. 1.

³ შდრ., იქვე, გვ. 298—299.

ტემბრის *ც*-ს აკუსტიკურად დაქერა ყოველთვის ადვილად არ ხერხდება. ხშირად მას საშუალოტემბრიანი *ც* ცვლის.

/i/:

ქ: უკანაენისმიერი ველარი ხმოვანი, აკუსტიკურად ახლო დგას რუსულ *ж*-სთან. ასეთი ხმოვნის არსებობა Nöldeke-ს შესაძლებლად მიაჩნია მხოლოდ უცხოურ სიტყვაში (მაგალითად, თურქულში)¹. მაგრამ ასეთი ქ ხშირია თვით არამეულ სიტყვებშიც: ჰმიქი „გაიგონა“, ჰმიქი „გატეხა“ და სხვ. მართებულად შენიშნავს ნ. იუშმანოვი, რომ ქ დელაბიალიზებული უ არის². ქ ხმოვანი ჰ-ს მსგავსად ლაბიალთან მეზობლობაში ადვილად გადადის უ-ში: ხუსჰი „ხახვი“ < ხუსჰი, უჰი „თეძო“ < იჰი, ხუსჰი „ხორცი“ < ხუსჰი და სხვ.

1: საშუალოტემბრიანი ი შუაენისმიერი, ი-ზე ფართო ხმოვანია. მისი წარმოების ადგილი რუსულ *ж*-ზე აქეთაა ი-ს მიმართულებით, მაგრამ უფრო ახლოსაა *ж*-სთან, ვიდრე ი-სთან.

ი: რბილტემბრიანი ი უკიდურესი წინაენისმიერი ვიწრო ხმოვანია.

/o/:

ო: მაგარტემბრიანი უკანაენისმიერი ხმოვანია, რომელიც აკუსტიკურად ქართულ *ო*-ს ჰგავს, მაგრამ მასზე ფართო უნდა იყოს³.

ო: საშუალოტემბრიანი, ოდნავ წინ წამოწეული *ო* ხმოვანია⁴.

ო: რბილტემბრიანი წინაენისმიერი ვიწრო ხმოვანია, რომელიც გერმანულ *ö*-ს ან ფრანგულ *œ*-ს მოგვაგონებს.

/u/:

უ: მაგარტემბრიანი უკანაენისმიერი ხმოვანია (= ქართ. უ-ს).

უ: საშუალოტემბრიანი, ოდნავ წინ წამოწეული *უ*.

უ: რბილტემბრიანი წინაენისმიერი ვიწრო ხმოვანია, მსმენელზე გერმანული *ü*-სა და ფრანგული *y*-ს შთაბეჭდილებას ტოვებს.

2. გრძელი ხმოვნები

ყოველ „ძირითად ხმოვანს“ (/a/, /e/, /i/, /o/, /u/), გარდა ზემოაღნიშნული მოკლე სახეობისა, შეიძლება ჰქონდეს გრძელი სახეობაც. ასე, მაგალითად:

ა: ძააა „დრო“, შაი „ქერი“, ხუაა „თეთრი“ (მამრ.) და სხვ.

ა: ძააა „კაცი, ადამიანი“, ჯარჰაი „მეზბორე“, გაააი! „შეხედე!“ და სხვ.

¹ Nöldeke, Neusyr. Gr., გვ. 12, § 3.

² Н. Юшманов, ხს. შრ., გვ. 299.

³ Н. Юшманов, იქვე.

⁴ შდრ. იქვე.

- ä: hmar̄a „ვირი“, pāglā „თავლა“, himizmāni „სიტყვები“ და სხვ.
 ǝ: t̄era „ფრინველი“, sādā „ნადირობა“ და სხვ.
 ē: qēsa „შეშა“, bēta „სახლი“, srēta „დარდი“ და სხვ.
 ē: nēt̄a „უმი (მღ.)“, lēli „ლაქე“ და სხვ.
 ĩ: sl̄ivā „ჯვარი“, q̄iv̄ā „მოკლული“ (მამრ.) და სხვ.
 i: qida „დამწვარი“ (მამრ.), sp̄iq̄a „ცარიელი“ (მამრ.), hīna „სხვა“
 და სხვ.
 i: rišā „თავი“, miskīnā „ლატაკი“, sīmuu! „წადით!“ და სხვ.
 o: p̄t̄or̄in „შევალ“ (მამრ.), rōba „ბეერი“, šōqa „შუქი“ და სხვ.
 o: mōt̄ā „სიკვდილი“;
 ō: sōt̄ā „დედაბერი“, zōḡiā „წყვილი“, kōm̄āk „ქომაგი, შემწე“ და
 სხვ.
 ū: br̄ūna „ვაგი“, ah̄ūna „ძმა“, q̄ūha „გროვა“ და სხვ.
 ū: h̄ūl̄ā „თავთავი“, zm̄ūruu! „იმღერეთ!“ და სხვ.
 ū: z̄ūzi „ფული“, h̄ūn̄i „ვაჭიშვილები“, s̄ūriā „პატარა“ (მამრ.)
 და სხვ.

თუმცა ხმოვნის ყოველი ცალკეული ვარიანტი სათვრის იძებნება სათანადო მაგალითი, მაგრამ აქვე უნდა შეინიშნოს, რომ მაგარ ტემბრში, და ზოგჯერ საშუალო ტემბრშიც, გრძელი ხმოვანი აკუსტიკურად ძნელად შეიგრძნობა. განსაკუთრებით იშვიათია ĩ და ǝ. მაგარ ტემბრში მათ ჩვეულებრივ საშუალო ხმოვნები i და ē ცვლის. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ აკუსტიკური შთაბეჭდილების მიხედვით გრძელი ხმოვნები იმავე კვალიტეტის მოკლე ხმოვნებთან შედარებით უფრო რბილი არიან (ტემბრის თვალსაზრისით), ე. თ. ჰ უფრო რბილია, ვიდრე ä და a. შ.

ხმოვანთა სიგრძე ნესტორიანულ დამწერლობაში ზოგიერთი ხმოვნის მიმართ გამოხატულია. ასე, ვოკალური ნიშნებით გამოიხატებოდა: გრძელი და მოკლე a (— და —), მოკლე i (—), გრძელი e (—), რომლითაც დღეს ასურულში გრძელ i-ს გამოხატავენ¹; ვოკალური ასოების დახმარებით გამოხატული იყო გრძელი ī (—). o და u ხმოვნების სიგრძე გარჩეული არ იყო. ნიშნები 6 და 7 (რეზა და რეზა) გამოხატავდა როგორც მოკლე, ისე გრძელ o-სა და u-ს.

დღეს ასურულში გრძელი ხმოვნები მხოლოდ გარკვეულ შემთხვევაში გვხვდება, სახელდობრ, მახვილიან ღია მარცვალში: ყველა სხვა შემთხვევაში (მახვილიანი დახურული მარცვალი, უმახვილო

¹ იხ. გვ. 26.

მარცვალი) ხმოვანი მოკლეა. თუ გავიხსენებთ იმას, რომ წერის დროს ანგარიში ეწევა. სიტყვის ეტიმოლოგიურ შედგენილობას, გასაგები იქნება, რომ ხ²შირად $\text{—} \bar{a}$ -დ იკითხება, ხოლო $\text{—} \bar{a}$ -დ. საერთოდ კი, ხმოვანთა წერის შესახებ უნდა ითქვას, რომ ასურულ ტექსტებში ადგილი აქვს ხმოვანთა გრძელ და მოკლე სახეობათა აღმნიშვნელი ნიშნების აღრევას.

ასურულში პირველადი გრძელი ხმოვნების გვერდით მეორეული წარმოშობის გრძელი ხმოვნებიცაა. ეს უკანასკნელნი მიღებულია გლოტალების $\text{—} \bar{a}$ -სა და $\text{—} \bar{h}$ -ს, ფარინგალი $\text{—} \bar{c}$ -სა და გემინანტი თანხმოვნის დაკარგვის ან დიფთონგის კონტრაქციის შედეგად.

თანხმოვანთა (\bar{c} , \bar{h} , \bar{a}) დაკარგვით ისეთ შემთხვევაში, როცა რომელიმე ამ თანხმოვანთაგანი მახვილიან მარცვალს ხურავდა, მარცვალი ღია აღმოჩნდა და მისი ხმოვანი გაგრძელდა. ასე, მაგ., $\text{tā}^{\text{h}}\bar{a}$ „მელა“ < $\text{ta}^{\text{h}}\bar{a}$, $\text{sā}^{\text{h}}\bar{r}$ „ქერი“ < $\text{sa}^{\text{h}}\bar{r}$, $\text{nā}^{\text{h}}\bar{r}$ „მდინარე“ < $\text{na}^{\text{h}}\bar{r}$, $\text{bā}^{\text{h}}\bar{r}$ „სინათლე“ < $\text{ba}^{\text{h}}\bar{r}$, $\text{rī}^{\text{h}}\bar{a}$ „თავი“ < $\text{ri}^{\text{h}}\bar{a}$, $\text{dī}^{\text{h}}\bar{v}$ „მგელი“ < $\text{dī}^{\text{h}}\bar{v}$, და სხვ.

ასურულში გემინაცია დაკარგულია. დღეს არა მარტო თანხმოვანი არ ორკეცდება, არამედ ოდესღაც გაორკეცებული თანხმოვანი გემინანტსაც კი კარგავს. ასეთ შემთხვევაში იმავე მოვლენას აქვს ადგილი, რაც \bar{c} , \bar{h} , \bar{a} -ს დაკარგვის შემთხვევაში (რა თქმა უნდა მაშინ, თუ გემინანტი წინამავალ მარცვალს ხურავდა) — გაღებულ მარცვალში ხმოვანი გრძელდება. ასე, მაგალითად: $\text{rā}^{\text{h}}\bar{b}$ „ბევრი“ < rab , bā^{h} , $\text{gā}^{\text{h}}\bar{d}$ „კედელი“ < gud და სხვ. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ ასე არ არის ყოველთვის. საკმაოდ ხშირად გემინანტი დაკარგულია, მაგრამ ამის შედეგად მიღებულ მახვილიან ღია მარცვალში ხმოვანი მაინც მოკლეა. მაგალითად: šqil „აილო“ (მამრ.) < šqilli , miri „თქვა“ (მამრ.) < mirri < mir-li , dib „დათვი“ < dibbā და სხვ. გემინანტის დაკარგვა და ამის შედეგად მახვილიანი მარცვლის ღიაობა ახალი მოვლენაა. ამიტომ ყოველთვის, როგორც ჩანს, ეს ღიაობა ჯერჯერობით არ შეიგრძნობა. ამის გამო, თუ შეიძლება ასე ითქვას, ყოფილი დახურული მარცვლის მოკლე ხმოვანი „ინერციით“ რჩება მოკლე.

გრძელი ხმოვნები დიფთონგთა კონტრაქციითაც მიიღება. სახელდობრ, $\text{aj} > \bar{a}$, ხოლო $\text{au} > \bar{o}$. ასე, მაგალითად, $\text{bā}^{\text{h}}\bar{t}$ „სახლი“ < bajtā , $\text{lā}^{\text{h}}\bar{c}$ „ლაბე“ < $\text{la}^{\text{h}}\bar{c}$, $\text{tā}^{\text{h}}\bar{r}$ „ხარი“ < taurā , $\text{nā}^{\text{h}}\bar{r}$ „სარკე“ < naura და სხვ. კონტრაქცია მოუდის აგრეთვე ისტორიულ $\text{ab}||\bar{a}$ -ს, რაც \bar{o} -ს იძლევა: $\text{gā}^{\text{h}}\bar{b}$ „ქმარი“ < gabra , $\text{orā}^{\text{h}}\bar{a}$ „შემსვლელი“ (მამრ.) < ābrānā და სხვ.

აჲ და აი დიფთონგთა კონტრაპირებული და უკონტრაქციო ფორმების საშუალებით დიფერენცირებულია წარმოთქმაში ნაცვალსახელთა ორი რიგი: პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელები. სახელდობრ: კონტრაპირებული აჲ და აი, ე. ი. \bar{o} ($< \bar{o}$) და \bar{e} ($< \bar{e}$) აღნიშნავენ ჩვენებით ნაცვალსახელებს, პირველი — მამრ. სქესისას, მეორე — მდედრ. სქესისას. უკონტრაქციო ფორმები კი — აჲ და აი — III პირის ნაცვალსახელს, აქედან აჲ მამრ. სქესისას, აი — მდედრ. სქესისას. ასე, მაგალითად, $o\ n\bar{a}\bar{s}$ „ის ჯაცი“, $o\ i\bar{a}\bar{s}$ „ის ბიკი“, $e\ b\bar{a}\bar{h}\bar{t}\bar{a}$ „ის ქალი“, $e\ h\bar{m}\bar{a}\bar{t}\bar{h}$ „ის დედამთილი“, მაგრამ $av^1\ miri$ „მან (მამრ.) თქვა“, $av\ kribli$ „ის (მამრ.) გაჯაგრდა“, აი $h\bar{i}\bar{t}\bar{h}$ „მან (მდ.) ჰამა“, აი $t\bar{i}\bar{s}$ „ის (მდ.) მოვიდა“ და სხვ.

თანამედროვე ასურულში ძლიერია გრძელი ხმოვნების დავიწროების ტენდენცია, რაც სრულიად სხვადასხვა სისტემის ენებს ახასიათებს. ჯერ კიდევ ძველ არამეულში, მაგალითად სირიულში, ვხვდებით $\bar{a} > \bar{o}$, $\bar{e} > \bar{i}$ და $\bar{o} > \bar{u}$. ჩვეულებრივია \bar{a} -ს დავიწროება \bar{o} -დ დასავლურ თანამედროვე არამეულ დიალექტში — მა^ალულაში. ასურულში ვიწროვდება გრძელი \bar{o} (\bar{o}) და გრძელი \bar{e} (\bar{e}); \bar{a} -ს დავიწროება ჯერჯერობით არ შეიმჩნევა. ასურულ ენაში აღნიშნულ ხმოვანთა დავიწროების ტენდენცია იმდენად ძლიერი იყო, რომ ყოველი $\bar{o} > \bar{u}$, ხოლო $\bar{e} > \bar{i}$ ². გამონაკლისს წარმოადგენს მხ. რიცხვის III პირის მდედრ. სქესის ნაცვალსახელური სუფიქსი, სადაც პირველადი \bar{o} , თუმცა ამჟამად მოკლე o -ს სახით, დატულია: $\bar{e}\bar{t}$ (იკითხება o -დ). ამგვარად, წარმოთქმაში გარჩეულია მესამე პირის ნაცვალსახელური სუფიქსები სქესის მიხედვით: u ($< \bar{u}$) — მამრ. სქესისათვის და \bar{o} ($< \bar{o}$) — მდედრ. სქესისათვის. მაგ., $t\bar{i}\bar{v}\bar{i}\bar{r}\bar{t}\bar{o}$ „მისი (მდ.) ძროხა“, $t\bar{i}\bar{v}\bar{i}\bar{r}\bar{t}\bar{u}$ „მისი (მამრ.) ძროხა“, $b\bar{r}\bar{u}\bar{n}\bar{o}$ „მისი (მდ.) ვაჟი“, $b\bar{r}\bar{u}\bar{n}\bar{u}$ „მისი (მამრ.) ვაჟი“ და სხვ.

გრძელი ხმოვნების აღნიშნულ დავიწროებასთან დაკავშირებულია ვიწრო გრძელი ხმოვნების დიფთონგიზაციის ტენდენცია. ხშირად მოუდის დიფთონგიზაცია \bar{i} -სა და \bar{u} -ს, იშვიათად \bar{e} -ს.

$\bar{i} > ij$: $m\bar{d}\bar{i}\bar{t}\bar{a} > m\bar{d}i\bar{j}\bar{t}\bar{a}$ „ქალაქი“, $b\bar{i}\bar{t}\bar{a} > b\bar{i}i\bar{j}\bar{t}\bar{a}$ „კვერცი“ და სხვ.,
 $\bar{u} > uj$: $g\bar{u}\bar{d}\bar{a} > g\bar{u}i\bar{j}\bar{d}\bar{a}$ „ქედელი“, $n\bar{u}\bar{n}\bar{a} > n\bar{u}i\bar{j}\bar{n}\bar{a}$ „თეზი“ და სხვ.,
 $\bar{e} > ej$: $k\bar{i}\bar{t}\bar{e}\bar{t}\bar{a} > k\bar{i}t\bar{e}i\bar{j}\bar{t}\bar{a}$ „ქათამი“, $\bar{s}\bar{t}\bar{e}\bar{t}\bar{h} > \bar{s}\bar{t}\bar{e}i\bar{j}\bar{t}\bar{h}$ „სმა“ და სხვ.

¹ $av < a\bar{u}$.

² იგულისხმება პირველადი \bar{o} და \bar{e} და არა დიფთონგთა კონტრაქციით ზიდებული \bar{o} და \bar{e} .

პირველი პირის ნაცვალსახელური სუფიქსი ჰ (i) ყოველთვის ij -დ, უფრო სწორად -ix -დ წარმოითქმის (i-ს ბოლოს მოისმის ფშვინვა)¹.

ზემოთ აღნიშნული იყო ხმოვნის ორი სიგრძე: მოკლე და გრძელი ხმოვნები. ზოგჯერ გვხვდება ულტრამოკლე ხმოვანიც —², რომელიც ისმის მხოლოდ პრეფიქსალური ნაწილაკების შემდეგ (უმეტესად რელაციური ნაწილაკ ჰ -სა და ჱ -ს შემდეგ: ძ° , ხ° ...).

თავი IV

ნახევარხმოვნები და დიფთონგები

ასურულში ორი ნახევარხმოვანი გვაქვს: ბილაბიალი უ (⊙) და პალატალი ი (⊙).

წარმოშობით ასურულში ორი უ არის: პირველადი (=არაბ. و , ებრ. ו) და მეორადი.

პირველადი უ დაცულია ზოგიერთ დიფთონგში, როგორიცაა ⊙° , ან ⊙° , რომელსაც ჩვეულებრივ კონტრაქცია მოუდის ⊙ -ს სახით²: $\text{t}^{\circ}\text{-r}^{\circ}$ „ხარი“ (⊙°), $\text{m}^{\circ}\text{-r}^{\circ}$ „სარკე“ (⊙°), $\text{q}^{\circ}\text{sa}$ „ალთქმა“ (⊙°) და სხვ. ყველა სხვა შემთხვევაში კი უ გადადის ლაბიო-დენტალში: ასე, $\text{verbum substantivum}$ -ში: $\text{iv}^{\circ}\text{in}$ (⊙[⊙]) „ვარ“ (მამრ.), $\text{iv}^{\circ}\text{an}$ (⊙[⊙]) „ვარ“ (მდ.), $\text{iv}^{\circ}\text{it}$ (⊙[⊙]) „ხარ“ (მამრ.), $\text{iv}^{\circ}\text{at}$ (⊙[⊙]) „ხარ“ (მდ.), $\text{qar}^{\circ}\text{u}^{\circ}$ „მამალი“ (⊙°), $\text{p}^{\circ}\text{ar}^{\circ}$ „ტოტი“ (⊙°), $\text{t}^{\circ}\text{iv}^{\circ}\text{it}^{\circ}$ „მატლი“ (⊙°) და სხვ.

რაც შეეხება (უ)-ს (⊙) „და“-კავშირს, იგი u -დ იქცა.

მეორადი უ მიღებულია v -საგან, როცა ამ უკანასკნელს u მოსდევს ან წინ უსწრებს ($\text{vu} > \text{vu}$ ან $\text{uv} > \text{uv}$): $\text{ki}^{\circ}\text{v}^{\circ}\text{u}^{\circ}\text{tr}^{\circ}$ $>$ $\text{ki}^{\circ}\text{v}^{\circ}\text{u}^{\circ}\text{tr}^{\circ}$ „სადილი“, $\text{ḫ}^{\circ}\text{v}^{\circ}\text{u}^{\circ}\text{t}^{\circ}$ „მეზობლობა“ $>$ $\text{ḫ}^{\circ}\text{v}^{\circ}\text{u}^{\circ}\text{t}^{\circ}$, $\text{ki}^{\circ}\text{t}^{\circ}\text{v}^{\circ}\text{u}^{\circ}\text{t}^{\circ}$ $>$ $\text{ki}^{\circ}\text{t}^{\circ}\text{v}^{\circ}\text{u}^{\circ}\text{t}^{\circ}$ „მწერლობა“, $\text{d}^{\circ}\text{iv}^{\circ}\text{u}^{\circ}$ $>$ $\text{d}^{\circ}\text{iv}^{\circ}\text{u}^{\circ}$ $>$ $\text{d}^{\circ}\text{iv}^{\circ}\text{u}^{\circ}$ || (დისიმილაციით) $\text{d}^{\circ}\text{iv}^{\circ}\text{u}^{\circ}$ „თაფლი“.

¹ ij -ის წარმოთქმის შესახებ იხ. გვ. 42.

² ამის გამო, ხშირად წერენ ხოლმე ⊙ -სათვის ⊙ -სა ან ⊙° -ს.

უ გვაქვს i-ის ნაცვლად u-ს შემდეგ: māstūyi „მორწყვა“ (𐌆𐌆𐌔𐌚), tāsūyi „დამალვა“ (𐌆𐌆𐌔𐌚), mānšūyi „დაკვიწყება“ (𐌆𐌆𐌔𐌚) და სხვ.

პირველადი u თითქმის მუდამ იკარგება verbum substantivum-ში: brihsin „მივდივარ“ (მღ.) (𐌆𐌆𐌔𐌚), biktāvūt „წერ“ (მღ.) (𐌆𐌆𐌔𐌚), bithārit „იხსენებ, იგონებ“ (მამრ.) (𐌆𐌆𐌔𐌚), bitrāiāh „ემართავთ (ურემს)“ (𐌆𐌆𐌔𐌚) და სხვ.

i იწარმოება როგორც გერმანული j და აკუსტიკურადაც მისი თანატოლია. აუსლაუტში i ფშვინვით წარმოითქმის (როგორც რუსულში ж სიტყვებში: мой, трамвай, пош და მისთ.) და უფრო სწორია იგი ტრანსკრიფციაში χ-თი აღგვნიშნა (χ i-ის ყრუ კორელატია). i-იც ორგვარი წარმოშობისაა: პირველადი (= არაბ. ع, ებრ. ו) და მეორადი.

პირველადია i ზოგიერთ დიფთონგში, როგორიცაა ai, რომელიც უმეტესად კონტრაქციის შედეგად ē-ს იძლევა. დაცულია ეს i დიფთონგში, თუ ანლაუტში ეტიმოლოგიური წინაა: āinā „თვალი; წყარო“ (𐌆𐌆𐌔), āivā „ღრუბელი“ (𐌆𐌆𐌔), āibā „სირცხვილი“ (𐌆𐌆𐌔) და სხვ. ხოლო დიფთონგები ai და āi ყოველთვის ē, ē-ში გადადის: bēta „სახლი“ (𐌆𐌆𐌔), šēfēn „სმა“ (𐌆𐌆𐌔), sēpā „ხმალი“ (𐌆𐌆𐌔), rēha „სუნი“ (𐌆𐌆𐌔), lēli „ლამე“ (𐌆𐌆𐌔), qēsā „ხე; ჯოხი“ (𐌆𐌆𐌔), „e || ai „ის“ (მღ.) (𐌆𐌆) და სხვ. პირველადია i აგრეთვე ზოგიერთ სიტყვაშიც: iūma „ღლე“ (𐌆𐌆𐌔), iāfān „ვიცი“ (მღ.) (𐌆𐌆𐌔), iālpin „ვსწავლობ“ (მამრ.) (𐌆𐌆) და სხვ.

მეორადი i წარმოიშვა: ა) ბგერის რედუქციის გამო, როცა ეს ბგერა ხმოვანს მოსდევს, რის შედეგადაც იქმნება დიფთონგი: rūiṣā < rufša „მხარი“, dūitā „ადგილი“ < dūktā, nuṣta < nufša „ნავთი“; ბ) i-ს შეხვედრის შედეგად წინამავალ ხმოვანთან. ასე, მაგალითად, მდღერ.. სქესის სახელების მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელთან — āi > āi (resp. āi, āi)¹, სახელებთან ზმნისართის მაწარმოებელ it (𐌆𐌆)-ის დართვისას — pārsāit „სპარ-

¹ ეს დიფთონგები კონტრაქციას არასოდეს არ განიცდიან.

სულად“ (𐎠𐎢𐎡𐎢𐎠), glürgāit „ქართულად“ (𐎠𐎢𐎡𐎢𐎠) და მისთ.;
 გ) ვიწრო გრძელი ხმოვნის დიფთონგიზაციის შედეგად, ასე,
 მაგ., u > ui: tūra > tujra „მთა“, barnašuta > barnašujta „ქა-
 ცობრიობა“, gišūš > gišijš „თხრილი“, tūmā > tūimā „ნიორი“,
 zūzi > zūjzi „ფული“, malkūtā > malkūjā „სახელმწიფო“ და
 სხვ., i (resp. ī, ī) > ij (resp. ij, jī): mditā > mdijā „ქალაქი“,
 tšānītā > tšānijtā „ჩრდილი“, šaqitā > šaqijta „რუ; ნაკადული“
 და სხვ.¹

ამგვარად, დღეს ასურულში მხოლოდ i ქმნის დამავალ დიფ-
 თონგს, -ისიც გარკვეულ შემთხვევაში. უ ან ᚕ-ში გადაიწია ანდა
 წინამავალ a, u ხმოვნებთან კონტრაქცია მოუვიდა. სამაგიეროდ,
 u და i დატულია აღმავალ დიფთონგში. მაგრამ აქვე უნდა შევნიშ-
 ნოთ, რომ აღმავალი დიფთონგი შედარებით ახალი მოვლენაა;
 ძველი სემიტურისათვის დამავალი დიფთონგია დამახასიათებელი.

u აღმავალ დიფთონგში გვხვდება: (1) ᚕ-ს ასიმილაციის შედეგად
 u-ს წინ, (2) i-ის ნაცვლად u-ს შემდეგ. ამრიგად, ყველგან აქ u მე-
 ორეული წარმოშობისაა.

i აღმავალ დიფთონგში დასტურდება: (1) არამეულ სიტყვებში,
 სადაც i სიტყვის ანლაუტში მაგარი შემართვის ᚕ-ს მონაცვლაა,²
 (2) უცხო სიტყვებში.

B. მთავარი ფონეტიკური მოვლენები

თანამედროვე ასურული ენის განვითარების ცალკეულ საფეხუ-
 რებზე შესაძლებელია სხვადასხვა ფონეტიკური მოვლენის გაძლიე-
 რებისა თუ შესუსტების, ახლად განვითარებისა თუ მოქმედებიდან
 გასვლის დადასტურება. ხშირად ამა თუ იმ ფონეტიკური პროცე-
 სის შესუსტება ან გაძლიერება ჩვენს თვალწინ ხდება, რაც შესაძ-
 ლებლობას იძლევა წარმოვიდგინოთ ზოგიერთი ფონეტიკური მოვ-
 ლენის ისტორია და გავითვალისწინოთ მისი მომავალიც. არის
 ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ენის ერთ დიალექტში შეიმჩნევა
 ტენდენცია რაიმე ფონეტიკური მოვლენის განვითარებისადმი მა-
 შინ, როდესაც სხვა დიალექტები თუ თქმები ამ მხრივ სრულიად
 საპირისპირო ვითარებას გვიჩვენებენ. ზოგჯერ მოცემული ენის

¹ ვიწრო გრძელი ხმოვნის დიფთონგიზაციის შესახებ იხ. გვ. 40—41.

² ასეთ შემთხვევებში არაბულში მაგარი შემართვაა, რაც სემიტურის უფრო
 ადრეულ მდგომარეობას უნდა ასახავდეს.

ფონეტიკური დახასიათების სისწორისათვის აუცილებელი ხდება სხვა მონათესავე ენებისა თუ დიალექტების მასალის გათვალისწინებაც. ეს უკანასკნელი საშუალებას გვაძლევს გამოვალინოთ თანამედროვე ასურულში ოდესღაც მოქმედი ფონეტიკური პროცესები, რაც, თავისი მხრით, გასაგებს ხდის მთელ რიგ ენობრივ ფაქტებს, რომელთაც ადგილი აქვთ ასურელთა დღევანდელ მეტყველებაში.

აქ წარმოდგენილია მხოლოდ მთავარი ფონეტიკური მოვლენები, რომელთა დახასიათებაზეც გადავდივართ.

თ ა ვ

ასიმილაცია

კომბინაციური ბგერათცვლილების მნიშვნელოვანი მოვლენა — ასიმილაცია, ჩვეულებრივ, ენაში არსებულ ფონეტიკურ მოვლენათა შორის ყველაზე გავრცელებულია. განსაკუთრებით გავრცელებულია იგი თანამედროვე ასურულში.

ბგერათასიმილაციას (დამსგავსებას) შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს მხოლოდ თანხმოვნებში, ან მხოლოდ ხმოვნებში, ანდა თანხმოვნებსა და ხმოვნებს შორის. ამ უკანასკნელ შემთხვევაში გაირჩევა თანხმოვნების ასიმილაცია ხმოვნებთან, ან, პირიქით, ხმოვნების ასიმილაცია თანხმოვნებთან. პირველის მაგალითი იქნებოდა ხშულთა სპირანტიზაცია¹, მეორისა (ხმოვნის ასიმილაცია თანხმოვანთან) — ხმოვანთა ველარიზაცია ემფატიკურ თანხმოვნებთან². თანხმოვანთა და ხმოვანთა ურთიერთობა აღნიშნული თვალსაზრისით, ისევე როგორც ასიმილაციები ხმოვნებში განხილულია ქვევით, სხვა თავებში³. აქ კი „ასიმილაციის“ ქვეშ განვიხილავთ დამსგავსების შემთხვევებს თანხმოვნებში.

ბგერა შეიძლება ბგერას მთლიანად დაემსგავსოს და მაშინ საქმე გვექნება ბგერათა ს რ უ ლ ა ს ი მ ი ლ ა ც ი ა ს თ ა ნ. შესაძლებელია ბგერათა დამსგავსების შედეგად მათ საერთო აღმოაჩნდეთ მხოლოდ ერთი მხარე: წარმოების ადგილი, გვარობა (სიჟღერე ან სიყრუე). ასეთ შემთხვევაში მიუთითებენ ბგერათა ნ ა წ ი ლ ო ბ რ ი ვ ა ს ი მ ი ლ ა ც ი ა ზ ე. ზოგჯერ ბგერა ემსგავსება მის უშუალო მეზობლობაში

¹ იხ. აქვე თ. VIII: „სპირანტიზაცია“, გვ. 70 და შემდ.

² იხ. აქვე გვ. 61.

³ ამ შემთხვევების ცალკე გამოყოფისა და მათა დახასიათების საფუძველი იქვეა მოცემული. რაც შეეხება ასიმილაციას დიფთონგებთან (კონტრაქციას) და ნახევარხმოვნებსა და ხმოვნებს შორის, იხ. თ. IV: „ნახევარხმოვნები და დიფთონგები“.

მყოფ ბგერას — კონტაქტური ასიმილაცია, ზოგჯერ კი ასიმილატორსა (გავლენის მომხდენი ბგერა) და ასიმილირებად (გავლენის განმცდელ) ბგერას შორის სხვა ბგერა ან ბგერებია — შორეული ანუ დისტანციური ასიმილაცია. ასიმილაციაზე მსჯელობისას მხედველობაში ღებულობენ ასიმილაციის მიმართულებასაც: ბგერა ემსგავსება წინამავალ თუ მომდევნო ბგერას. პირველ შემთხვევაში ლაპარაკობენ პროგრესულ ასიმილაციაზე, მეორე შემთხვევაში — რეგრესულ ასიმილაციაზე.

ასურულში, როგორც წესი, გავრცელებულია თანხმოვანთა კონტაქტური ასიმილაციები. ეს შეიძლება თანაბრად ითქვას როგორც სრული, ისე ნაწილობრივი ასიმილაციის მიმართ. ისეთი შემთხვევები, როგორიცაა $\xi\ddot{u}l\xi$ „ჩქარა, მალე“ სხვაგვარ ახსნას უფრო იგუებს. ასე, სიტყვაში $\xi\ddot{u}l\xi < \xi\ddot{u}l\ddot{u}di$ (جُلْدِي) მეორე ξ პირველი ξ -ს ზეგავლენით კი არ უნდა იყოს მიღებული \ddot{u} -საგან, არამედ ძირეული ξ -ს დამოუკიდებლად \ddot{u} -ს პალატალიზაციით. ამ საექვო მაგალითის გარდა სრული დისტანციური ასიმილაციის სხვა მაგალითები არ გვხვდება. დაახლოებით იგივე მდგომარეობაა ნაწილობრივი დისტანციური ასიმილაციის მხრითაც. სიტყვაში $z\ddot{u}m\ddot{u}$ „დრო“ (زَمَّة) z გამჟღერებულია ხ-ს გავლენით $< za\ddot{u}n\ddot{u}$, რომელიც აქადური $sim\ddot{u}n\ddot{u}$ -დან მომდინარეობს. მაგრამ ეს ასიმილაცია ($s...m > z...b$) ძველია, იმ დროინდელი, როდესაც \ddot{u} (სპირანტიზებული ს) ჯერ კიდევ არ იყო გადაწეული \ddot{u} -ში¹, ანდა, ყოველ შემთხვევაში, \ddot{u} დიფთონგის კონტრაქცია არ ხდებოდა. ამეამად $z\ddot{u}m\ddot{u}$ -ში ასიმილატორის დაძვბნა ჰქირს. შესაძლებელია აქ z -იანი სიტყვა ნასესხები იყოს არამეულის სხვა დიალექტებიდან², მაგალითად, ედესის დიალექტიდან (სირიულიდან), სადაც $za\ddot{u}n\ddot{u}$ გვაქვს, რასაც თანამედროვე ასურულში სწორედ $z\ddot{u}m\ddot{u}$ უნდა მოეცა; ე. ი. დისტანციური გამჟღერება s -სი ასურულის ნიადაგზე არ მომხდარა. ისეთი შემთხვევა, როგორიცაა $saqran$ „მოექსოვ“ (მდედრ.) $< z\ddot{a}q-r\ddot{u}n$ (زَقْرَان) შეიძლება სხვაგვარადაც აიხსნას: ანალოგიით ისეთ ფორმებთან, სადაც z q -სთან კონტაქტშია და ამიტომ s -დ დაყრუებული ($bizq\ddot{a}ra$ (بِزْقَارَا), $squra$ (سُقْرَا) და მისთ.), ანდა აქ z -ს დაყრუება აიხსნას სიტყვაში არსებული ტემბრით³. დისტანციური

¹ იხ. თ. VIII: „სპირანტიზაცია“, გვ. 70, შემდ.

² ასურულში არის სხვა სიტყვაც „დრო“-ს აღსანიშნავად: $z\ddot{u}m\ddot{u}$ (زَمَّة).

³ შდრ. თ. VI: „სინჰარმონიზმი“, გვ. 62.

ნაწილობრივი ასიმილაციის სხვა მაგალითებიც შესაძლებელია იმავე მიზეზით (ტემბრით) აიხსნას. ყველგან აქ ასიმილატორად q (**𐌚**) გვევლინება, რომლის შორეულ მეზობლობაში სპირანტი ყრუვდება, ხოლო ფშვინვიერი ხშული (ჩვეულებრივ p **𐌚**) მკვეთრდება: $sq̄ipa$ „ჯვარი“ < $zq̄ipā$ (**𐌚𐌚𐌚𐌚**), $sq̄āpa$ — გრძელი $ā$ -ს ნიშანი — „სკაპა“ < $zq̄āpā$ (**𐌚𐌚𐌚𐌚**). სხვა მაგალითებს აქაც (ნაწილობრივ ასიმილაციებში) ვერ დავასახელებთ. ამდენად, ქვემოთ განხილული შემთხვევები ყველა კონტაქტურ ასიმილაციას განეკუთვნება.

თანხმოვანთა სრული ასიმილაცია. თანხმოვანთა სრული ასიმილაციის დადასტურება დღეს ასურულში სპეციალურ ძიებას მოითხოვს. ეს გამოწვეულია, ძირითადად, შემდეგი გარემოებით. როგორც ცნობილია, სრული კონტაქტური ასიმილაციის შედეგად მიიღება ორი იდენტური ბგერა. ასურულს (განსაკუთრებით ურმიულს) კი დღეს გემინირებული თანხმოვანი აღარ ახასიათებს, რის გამოც გემინატი გაზარტივებულია. იქ, სადაც ისტორიულად ორი იდენტური თანხმოვანია მოსალოდნელი (სულერთია, ეს ორი თანხმოვნის სრული ასიმილაციისა თუ ერთი თანხმოვნის გემინაციის შედეგია), მხოლოდ ერთი თანხმოვანია. ასეა ყოველთვის წარმოთქმაში, ხოლო წერაში კი ზოგჯერ ასიმილირებული თანხმოვანი ჩანს, რომელსაც წარმოთქმელობის ნიშანი $talqāna$ (**𐌚𐌚𐌚𐌚**)¹ აწერია. ასეთი დაწერილობა სიტყვის ისტორიულ წარმოთქმაზე მიუთითებს და მოცემული სიტყვის თანამედროვე წარმოთქმას არ გამოხატავს. ასე, მაგალითად: **𐌚𐌚𐌚𐌚** „ქალაქი“, აქედან — $m'dittā$ და ბოლოს $mdittā$ (ან $m:lixtā$); **𐌚𐌚** „შენ“ (მამრ.) > att > at ; **𐌚𐌚𐌚** „მუცელი“ > $kissā$ > $kisā$ (სადაც i მახვილიან ღია მარცვალში გაგრძელდა)², **𐌚𐌚𐌚** „წავიდეთ!“ > $āzzāh$ > $āzzah$ < $āzah$ და სხვ. ასიმილირებული აფიქსისეული თანხმოვანი ყოველთვის $talqāna$ -ს გარეშეა: **𐌚𐌚𐌚** „თქვა“ (მამრ.) > $mirri$ > $miri$; **𐌚𐌚𐌚** > $zvinna$ „იყიდა“ (მდედრ.). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევებში უფრო ჩვეულებრივია წმინდა ფონეტიკური დაწერილობა: **𐌚𐌚𐌚**, **𐌚𐌚𐌚** და მისთ. არ

¹ იხ. თ. XIII: „კითხვის ნიშნები“, გვ. 91.

² იხ. გვ. 38—39.

წერენ talqāna-ს სხვა სიტყვებშიც, სადაც თანხმოვანთა სრულ ასიმილაციას ენის განვითარების ადრეულ საფეხურზე ჰქონდა ადგილი (ამის გამოვლენაში გვეხმარება ძველი არამეული დიალექტები და სემიტური ენები); ასე, მაგალითად: ḥāšā „ზურგი“ (حَشَا) < ḥaššā < ḥaršā; inā „მაგრამ“ (إِنَّمَا) < inuā < 'in-lā, gibā „მხარე, გვერდი“ (جِبَا) < gibbā < ginbā და სხვ.

განსაკუთრებით ხშირად ასიმილაციას განიცდის სონორები: r (ر), l (ل), n (ن). აქედან ყველაზე სუსტი ბგერა (ადვილად ასიმილირებადი) არის l. მას თითქმის არ შეუძლია დაიმსგავსოს არც წინამავალი და არც მომდევნო თანხმოვანი (გამონაკლისია ḥāšā „მაგრამ“ < in + lā, შდრ. ზემოაღნიშნული inā); თვით კი ადვილად ემსგავსება მას, თუ ეს თანხმოვანი სონორია (r, n) ან დენტალი (z, s)¹. ასე, მაგალითად: āzah < azzah < 'āzilāh (أَزْهَى), suq „ადი!“ < ssuq < sluq (سُوق), g'virā „გათხოვდა“ < g'virrā < gvir-la (غَيْرَلَا), tuḥminī „იფიქრა“ (მამრ.) < tuḥ-ninī < tuḥmin-li (تُحْمِنَلِي). l-ს ასიმილაციის ყველა ეს აღნიშნული შემთხვევა პროგრესულ ასიმილაციას განეკუთვნება. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სუფიქსისეული l-ს ასიმილაცია წინამავალ სონორთან სისტემურია (ასიმილაციას აუცილებელი ხასიათი აქვს).

l-ს შემდეგ სხვა თანხმოვნებზე ადვილად ასიმილაციას განიცდის n. იგი ემსგავსება მომდევნო თანხმოვანს, თუ ეს თანხმოვანი მას უშუალოდ მოსდევს. გამონაკლისია l, რომელიც თვით ემსგავსება წინამავალ n-ს. ასე, მაგალითად: nt > tt (> t): šitā „წელიწადი“ < šittā < šintā (شَيْتَا), nb > bb (> b): gibā „მხარე, გვერდი“ < gibbā < giubā (جُبَا), ng > gg: zigā „ზარი“ < ziggā < zaggā < სპ. zang (زَنْج), და სხვ., მაგრამ nl > nn: šūdini „გაგიჟდა“ < šudinī < šudin-li (شُدِينَلِي), inā „მაგრამ“ < innā < 'in-lā (إِنَّمَا). ამ უკანასკნელი შემთხვევის (nl > nn) გარდა, n ასიმილაციას განიცდის მხოლოდ რეგრესულად.

ამავე სახისაა (ე. ი. რეგრესული) მესამე სონორის r-ს (ر) ასიმილაცია, მხოლოდ n-საგან განსხვავებით r-ს ასიმილაცია უფრო ნაკლები რაოდენობის თანხმოვნებთან მოულის, სახელდობრ, დენ-

¹ შემთხვევა, სადაც l უსწრებდეს აღნიშნულ თანხმოვნებს, არ გვხვდება.

ტალებთან — n, t, s, ისტ. ř . ასე, მაგალითად: $\text{rn} > \text{nn} (> \text{n})$: qāna „რქა“ < qanna < qarnā (قَانَا); $\text{rt} > \text{tt} (> \text{t})$: hita „მეორე, სხვა“ (მღედრ.) < hitta < ḥirtā (حِيرْتَا); $\text{rs} > \text{ss} (> \text{s})$: kisā „მუცელი“ < kissā < kirsā (كِرْسَا); ისტ. $\text{rř} > \text{řř} (> \text{ř})$ > ამჟამად არაემფატიკ. s : hāsā < hūsā < haššā < ḥarsā (حَارْسَا) და სხვ.

ასიმილაციას ზოგჯერ განიცდის დენტალებიც. ასე, d ემსგავსება მეზობელ t -ს სიტყვებში hāta „ხალი“ < hatta < hadtā (حَادْتَا) და istā „იქვსი“ < šittā < šidtā (شِدْتَا)¹. დენტალთა ასიმილაციის სხვა შემთხვევები არ შეიმჩნევა. ორივე აღნიშნულ სიტყვაში ასიმილაცია მოუღის d -ს (ჟ) და ორივეგან ეს ასიმილაცია რეგრესულია. უნდა ითქვას, რომ დენტალთა სრული ასიმილაცია საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა სემიტურ ენებში; მაგრამ მათგან ყველაზე ნაკლებად ასურულშია წარმოდგენილი.

ველარი h (ح) მთლიანად ემსგავსება მომდევნო q -ს (ق) სიტყვაში riqa „შორს“ < riqqa < riḥqa (رِحْقَا).

სხვა თანხმოვნები, გარდა ზემოაღნიშნულისა (სონორები, დენტალი d , ველარი h), რომლებიც სრულ ასიმილაციას განიცდიდნენ, ასურულში არ გვხვდება.

თანხმოვანთა ნაწილობრივი ასიმილაცია. თანხმოვანთა ნაწილობრივი ასიმილაცია ჩვეულებრივი მოვლენაა. თუ სრული ასიმილაციისას თანხმოვანთა დამსგავსება სიტყვის ისტორიის გათვალისწინების გარეშე შეუტყობელი იყო, მოცემულ შემთხვევებში ნაწილობრივი ასიმილაციის შედეგი სახეზეა. ამდენად, ნაწილობრივი ასიმილაციის ფაქტის დასადგენად ხშირად საკმარისია თვით ასურული მასალის სტატიკური ანალიზი.

ასიმილაციას² ადგილი აქვს როგორც ბგერის წარმოების ადკილისა, ისე ბგერის ხასიათის (resp. ბუნების) მიხედვით (ხასიათში, ბუნებაში ვგულისხმობთ ბგერის სიძლიერე-სიყრუეს. ბგერა თავის აასიათით მძლერია ან ყრუ. სემიტური ბგერისათვის სიძლიერე-სიყრუეს ემატება ემფაზიც: სემიტური ბგერა არა მარტო მძლერი ან ყრუ შეიძლება იყოს, არამედ ემფატიკურიც). ამგვარად, ნაწილობ-

¹ შდრ. სამხრ. არაბული šid „იქვსი“.

² აქ მხოლოდ ნაწილობრივი ასიმილაცია იგულისხმება.

ჩივი ასიმილაციის შედეგად მიიღება ან ჰამოოროგანული ბგერები (ე. ი. ერთ-ადგილს ნაწარმოები), როგორცაა m და x, ან n და d, ანდა ერთბუნებოვანი (ჰომოგენური) წყვილი: p და t, x და d, ო და მისთ.

ასიმილაცია წარმოების ადგილის მიხედვით სპორადულია (ასეთ ასიმილაციას ხან აქვს ადგილი, ხან არა). იგი (ასიმილაცია) მხოლოდ სონორებს m-სა (𐌆𐌆) და n-ს (𐌆𐌆) მოუღის წყვილბავისმიერი x (𐌆) და p-სა (𐌆), ან დენტალების d, t, t-ს (𐌆, 𐌆, 𐌆) წინ.

n გადადის m-ში. ხ და p-ს წინ: tumbāna „შარვალი“ < tumbāna (𐌆𐌆𐌆𐌆, 𐌆𐌆𐌆𐌆), tumbili „ჩამოქიდა“ (მამრ.) < tumbili (𐌆𐌆𐌆𐌆), bimpāleš „ვარდება ძირს“ (მდედრ.) < bimpāleš (𐌆𐌆𐌆𐌆), bimpāheli „უბერავს“ (მამრ.) < bimpāheli (𐌆𐌆𐌆𐌆) და სხვ.

ნაწილობრივი ასიმილაციის სხვა შემთხვევები ბგერათწარმოების ადგილის მიხედვით არ გვხვდება. ყველა ზემოაღნიშნული შემთხვევა კი რეგრესულ ასიმილაციას განეკუთვნება.

ასიმილაცია ბგერის ხასიათის მიხედვით განსაკუთრებით ხშირია. ასეთი ასიმილაციები ნაწილობრივი ასიმილაციის შემთხვევების უდიდეს ნაწილს მოიცავს.

მუღერის ასიმილაციას ყრუსთან (ასიმილაციურ დაყრუებას) აუცილებელი ხასიათი აქვს, და ეს დაყრუება პოზიციურად განუსაზღვრელია, ე. ი. აღნიშნულ ასიმილაციას შეიძლება ადგილი ჰქონდეს სიტყვის ყოველ ნაწილში: თავშიც (ანლაუტში), შუაშიც (ინლაუტში), ბოლოშიც (აუსლაუტში). ასიმილაცია მომდევნო ყრუ თანხმოვანთან მოუღის ყოველ მუღერს, რომელსაც ყრუ კორელატი აქვს. ასე, მაგალითად: b > p: phēla „სიძლიერით“ < bhēla (𐌆𐌆𐌆), klāiptā „ეუ ძალი“ < klāibtā (𐌆𐌆𐌆), māpsimlun! „განკურნე ისინი!“ < māpsimlun (𐌆𐌆𐌆𐌆); d > t: atha „ასე, ამგვარად“ < adha < hādka (𐌆𐌆𐌆), thiri „გაიხსენა“ (მამრ.) < dhiri < dkir-li (𐌆𐌆𐌆); gi > ki: khikli „გაიცინა“ (მამრ.) < ghikli (𐌆𐌆𐌆); z > s: sqāpa < zqāpa „სკაპა, ა-ს სახელწოდება“ (𐌆𐌆𐌆) და სხვ. ყველა აღნიშნულ მაგალითში ასიმილაციას რეგრესული ხასიათი აქვს. პროგრესული ასიმილაციის შემთხვევები აქ არ გვხვდება.

ყრუხ ასიმილაცია მუდგერთან (ასიმილაციური გამგდერება) ისევე, როგორც დაყრუება, მხოლოდ რეგრესული მიმართულებით ხდება. მაგალითად: $\xi > \zeta$: $\xi g u \xi i a$ „არეულობა“ $\langle \xi g u \xi i a$ (𐌆𐌅𐌸𐌹𐌺), $h i \zeta b \ddot{u} n a$ „რიცხვი, რაოდენობა“ $\langle h i \zeta b \ddot{u} n a$ (𐌆𐌹𐌺𐌸𐌹𐌺); $s > z$: $h i \zeta d \ddot{a}$ „მკა“ $\langle h i \zeta d \ddot{a} \langle h i \zeta d \ddot{a}$ (𐌆𐌹𐌺𐌸), $z g i d l i$ „თაყვანი სცა“ (მამრ.) $\langle s g i d l i$ (𐌸𐌹𐌺𐌸); $h > g$: $g d a$ „ერთი“ (მდედრ.) $\langle h d a$ (𐌆𐌸), $g d \ddot{a} r t \ddot{a}$ „სერილობა“ $\langle h d \ddot{a} r t \ddot{a}$ (𐌆𐌸𐌸); $k l > g l$: $g l d a m h a$ „წეება“ (მდედრ.) $\langle k l d a m h a \langle k i d a m h a$ (𐌆𐌸𐌸 𐌆), $g l b \ddot{a} i$ „უნდა, სურს“ (მამრ.) $\langle k l b \ddot{a} i \langle k i b \ddot{a} i$ (𐌆𐌸 𐌆) და სხვ.

საინტერესოა და საყურადღებო, რომ ასურულში სონორები r, l, m, n ვერ ამგდერებენ ყრუებს ვერც რეგრესული და ვერც პროგრესული მიმართულებით (აქა-იქ ორიოდ გამონაკლისია n-სთან), მაშინ, როცა სხვა სემიტურ ენებში სწორედ სონორები იჩენენ განსაკუთრებულ ძალას მეზობელი ყრუ თანხმონების გამგდერების მხრით. ასე, მაგალითად, ამბობენ $m n h r i p l i$ „გალესა“ (მამრ.) (𐌸𐌹𐌺𐌸𐌸) და $i r h i$ „წისკილი“ (𐌆𐌸) და არა $m u g r i p l i$ ან $i r g i$; ამბობენ: $m h i \chi$ „დაარტყი!“ (𐌸) და არა $m g i \chi$, $l a h m a$ „პური“ (𐌆𐌸) და არა $l a g m a$, $\xi i p l i$ „წაუსვა“ (მამრ.) (𐌸𐌹𐌺) და არა $\xi i b l i$, $\xi l p \ddot{a}$ „ათასი“ (𐌆𐌸) და არა $\xi l b \ddot{a}$, $h n i q l i$ „დაიხრჩო“ (მამრ.) (𐌸𐌹𐌺) და არა $g n i q l i$, $\xi i p n \ddot{a}$ „ვარცილი“ (𐌆𐌸) და არა $\xi i b n \ddot{a}$ და მისთ.

რაც შეეხება სიტყვა $d i \zeta m i n$ -ს „მტერი“ $d \ddot{u} \xi m \ddot{a} n$ -ის გვერდით (𐌆𐌸 𐌆 და 𐌆𐌸), აქ $\xi m \zeta m$ -ს კი არ იძლევა, არამედ ეს უცხო სიტყვა სხვადასხვა გზითაა შემოსული: $d \ddot{u} \xi m \ddot{a} n$ — სპარსულიდან (𐌆), ხოლო $d i \zeta m i n$ ქურთულიდან ($d i \zeta m i n$).

ფშვინვიერი თანხმონების ასიმილაცია მკვეთრთან (ასიმილაციური გამკვეთება) გვხვდება $k l$ და ξ თანხმონებთან (ორივე $\langle k i$ 𐌆) q -ს (𐌸) წინ: $k l q a m \langle k l q a m$ „დგება“ (მამრ.) (𐌸 𐌆 𐌆), ან $\xi q a m \langle \xi q a m$ (იმავე მნიშვნელობით), $k l q \ddot{a} r i$ ან $\xi q \ddot{a} r i \langle k l q \ddot{a} r i$ || $\xi q \ddot{a} r i$ „კითხულობენ“ (𐌸 𐌆) და სხვ.

ასიმილაციის შემთხვევების განხილვიდან ცხადია, რომ ასიმილაციითაა უდიდესი ნაწილი რეგრესულია. ამ უკანასკნელს განე-

კუთვნება ნაწილობრივი ასიმილაციის თითქმის ყველა შემთხვევა¹. პროგრესული ასიმილაცია სიტყვის ფუძეში გამონაკლისის სახით გვხვდება; იგი ჩვეულებრივია ზმნასთან სუფიქსაციის დროს, სადაც სუფიქსისეული თანხმოვანი 1 ემსგავსება წინამაველ ძირეულ თანხმოვანს. აქ პროგრესული ასიმილაცია უნდა აიხსნას 1-ს ბუნებით, და არა იმით, რომ პროგრესული ასიმილაცია ასურულისათვისაა დამახასიათებელი.

ასიმილაცია ზოგჯერ შეზღუდულია სიტყვათა მნიშვნელობით. ასე, უასიმილაციო სიტყვა *šintā* (𐎱𐎠𐎺) „ძილი“ განსხვავებულია იმავე ბგერებიდან შედგენილი სიტყვისაგან *šitā*, სადაც *t*-ს წინ *n*-ს ასიმილაცია მოუვიდა მასთან: *šintā* > *šittā* > *šitā* „წელიწადი“ (𐎱𐎠𐎺𐎡). (ორივე სიტყვაში რომ ასიმილაცია მომხდარიყო, მივიღებდით: *šitā* „ძილი“ და *šitā* „წელიწადი“ < *šintā* და ორი სემანტიკურად განსხვავებული სიტყვა ფონეტიკურად განუსხვავებელი იქნებოდა). გვაქვს სიტყვა *hīta* „მეორე, სხვა“ (მდღრ.) <²*hirtā* (𐎱𐎠𐎺𐎡) და იმავე ძირიდან ნაწარმოები *harta* „შემდეგ, მეორე“ (𐎱𐎠𐎺𐎡), სადაც *r*-ს მდღრ. სქესის იმავე ნიშანთან *t*-სთან ასიმილაცია არ მოუვიდა.

აქ არ აღვნიშნავთ ისეთ ასიმილაციებს, რომლებიც სინჰარმონიზმის ნაწილს წარმოადგენს³.

საკმაოდ ხშირად ადგილი აქვს ასიმილაციას (რეგრესულს) სიტყვათა შორის: ერთი სიტყვის ბოლო თანხმოვანი ემსგავსება მომდევნო სიტყვის პირველ თანხმოვანს. ასეთი ასიმილაციები სპორადულია (პარალელურად გვხვდება უასიმილაციო სიტყვები). აღნიშნულ ასიმილაციას ადგილი აქვს ისეთ სიტყვებში, რომლებიც, ჩვეულებრივ, ერთმანხვილიანია, რაც გამოწვეულია მათი მჭიდრო შინაარსეული კავშირით. უმეტესად ეს არის რაიმე სიტყვა წინდებულთ ან ნაწილაკით. მაგალითად: *šām bidā* „არ ვიცი“ (მდღრ.) < *lēyan bidā* (𐎱𐎠𐎺𐎡 𐎠𐎺), სადაც პირველ სიტყვაში *ēy* ჩავარდა, ხოლო *lan*-ის *n* მომდევნო *h*-ს გამო >*m*; *bid glāšiq* „შეხვდავს, დაათვალიერებს“ (მამრ.) < *bit* (მყოფადის ნაწილაკი) *glāšiq* (𐎠𐎺𐎡 𐎠𐎺), *kiz bābij* „მამაჩემთან“ < *kis bābij* (𐎠𐎺 𐎠𐎺) და სხვ.

¹ გამონაკლისია სიტყვა *ptānā* „გულანი“ (𐎱𐎠𐎺) < *paddānā*.

² ამის შესახებ იხ. ქვემოთ თ. VI: „სინჰარმონიზმი“.

სინჰარმონიზმი

თანამედროვე ასურულში შეინიშნება ფონეტიკური მოვლენა, რომელიც ჩვეულებრივ თურქულის დამახასიათებლად არის მიჩნეული. ეს არის ხმოვანთა ჰარმონია (resp. სინჰარმონიზმი).

ხმოვანთა ჰარმონია ასიმილაციის შედეგია, მის კერძო შემთხვევას წარმოადგენს. იგი გულისხმობს სიტყვის ყველა ხმოვნის ასიმილაციას ერთ-ერთი ხმოვნისადმი. თუ ასიმილაციის დროს საკმარისია ერთი ბგერის დამსგავსება მეორისადმი, სინჰარმონიზმისასაკი ასიმილაციაში მონაწილეობას ღებულობს სიტყვის ყველა ხმოვანი, ან, ზოგჯერ, სიტყვის ყველა ბგერა (ე. ი. ხმოვნებთან ერთად თანხმოვნებიც).

ხმოვანთა ასიმილაციები სინჰარმონიზმის გარეშე არ გვხვდება, ამიტომ მათ შესახებ საუბარი ამ თავშია. ამავე მიზეზით აქ განხილულია ხმოვნებისა და თანხმოვნების ურთიერთდამსგავსების ზოგი შემთხვევა.

ასურულში, კერძოდ, ურმიის დიალექტში, გარკვევით შეიმჩნევა სიტყვის ყველა ხმოვნის ჰარმონია რომელიმე ამ ხმოვნის ტემბრის მიხედვით. ერთი სიტყვის ყველა ხმოვანი ღებულობს ამავე სიტყვის ერთ-ერთი ხმოვნის ტემბრს, რის გამოც მიღწეულია სიტყვაში ხმოვანთა ჰარმონია.

ასურული ხმოვნები ძირითადად სამი ტემბრისაა: ორი მოპირდაპირე, ჰოლარული რიგის ხმოვნები — მაგარტემბრიანი \hat{a} , \hat{e} , \hat{i} , \hat{o} , \hat{u} , რბილტემბრიანი \tilde{a} , \tilde{e} , \tilde{i} , \tilde{o} , \tilde{u} და მესამე, შუა რიგის, საშუალო ტემბრის ხმოვნები — a , e , i , o , u ¹. ამგვარად, ასურულში არსებობს სამი ტემბრის სიტყვები: რბილი, საშუალო და მაგარი.

რბილი ტემბრის სიტყვები შეიცავს ხმოვნებს რბილტემბრიანებიდან — \tilde{a} , \tilde{e} , \tilde{i} , \tilde{o} , \tilde{u} -ს. აქვე უნდა შეინიშნოს ერთი გარემოება: ზემოთ აღნიშნული იყო, რომ \hat{o} და \hat{u} საშუალო ტემბრისანი არიან, რამდენადაც მათ საშუალო ადგილი უკავიათ რბილტემბრიან \tilde{o} , \tilde{u} -სა და მაგარტემბრიან o , u -ს შორის. მაგრამ ეს ხმოვნები მხოლოდ რბილტემბრიან სიტყვაში გვხვდება ლაბიალური თანხმოვნების შემდეგ. მაშასადამე, \hat{o} და \hat{u} , წარმოადგენენ რა რბილტემბრიანთა (\tilde{o} , \tilde{u}) სახესხვაობებს ლაბიალების შემდეგ, სინჰარმონიზმის თვალსაზრისით რბილი ტემბრის ხმოვნებთან თავსდება — \tilde{a} , \tilde{e} , \tilde{i} ,

¹ იხ. თ. III: „ხმოვნები“, გვ. 35.

ü (ö), ü (ü). რბილტემბრიანი სიტყვებია: გმისი „აქლემი“, ჰმრმა „ვენახი“, ჰმამ „სალამი; მშვილობა“, სივა „ზამთარი“, ლიბი „წაილო; წაიყანა“ (მდ.), პუნდისლ „დაავუბეს (წყალი)“ და სხვ.

საშუალოტემბრიანი სიტყვებია შემდეგი: ჰმსულა „როდინი“, ჰმაღა „ყანა“, პაგრა „სხეული“, ალმა „ღმერთი“, მაჩხი „იპოვი“ (მამრ.), ედამტა „დილა“. როგორც ვხედავთ, საშუალოტემბრიან სიტყვებში ა, ე, ი-სთან ერთად გვაქვს უ, ე. ი. მაგარი ხმოვანი. საშუალოტემბრიან სიტყვებში ი-ც მაგარია: ჰმრაგ „ხორაგი“, ემა „ალტემა“.

მაგარტემბრიან სიტყვებში მხოლოდ მაგარი ხმოვნებია; ასე. მაგ.: ჰქიმა „სიზმარი“, ჰმსა „ზურგი“, სჰმა „თითი“, პქქქ „გამოვიდა“ (მამრ.), ვქქ „შევიდა“ (მდ.), ჰმა „ფრინველი“ და სხვ.

აქ აღნიშნული მაგალითები მიუთითებს ასურულში არსებულ ფაქტზე: ხმოვანთა ტემბრითი პარამონიის შედეგად გვაქვს სამი ერთმანეთისაგან განსხვავებული ჯგუფის სიტყვები: რბილტემბრიან სიტყვათა ჯგუფი, საშუალოტემბრიან სიტყვათა ჯგუფი და მაგარტემბრიან სიტყვათა ჯგუფი.

ასურულში მრავლად იხილეთ სიტყვებიც, რომელთა სემანტიკურ განსხვავებას მათი ტემბრი გამოხატავს. მაშასადამე, ტემბრი ასეთ შემთხვევებში ერთადერთი საშუალებაა სიტყვათა სემანტიკაში გარკვევისათვის. შენიშნავს რა ამ მოვლენას, იუშმანოვი სრულიად მართებულად აღნიშნავს, რომ ტემბრი აქ კოლექტიური ფონემის როლში გამოდის¹, მაგ.: მამტა „სოფელი“ და მამტა „მუწუკი“, ჰმა „ძიძა“ და ჰმა „მუნჯი“, ჰმა „ხაფანგი“ და ჰმა „მელა“, ჰმა „სვლა“ და ჰმა „რთვა“, ხმა „მეხსიერება“ და ხმა „ღმერთმანი“ (ფიცი) და სხვ.

ყოველივე ზემოაღნიშნული ნათლად ასახავს ასურული (ურმიული) სინპარამონიზმის სახეს: ასურული სინპარამონიზმი ტემბრითი სინპარამონიზმია. ტემბრის „კოლექტიური ფონემის“ როლში გამოსვლა მიუთითებს ტემბრითი სინპარამონიზმის ერთ-ერთ ძირითად, დამახასიათებელ ნიშანზე.

ხმოვანთა პარამონია, პირველ ყოვლისა, ფუძეშია მოცემული. ასე იყო ზემოაღნიშნულ მაგალითებში. ხმოვანთა პარამონიის კანონის თანახმად პარამონია სუფიქსაციის დროსაც ხდება, ე. ი. ფუძის ბოლოში დართული აფიქსები ფუძის ხმოვანთა ტემბრს ღებულობს. ასე, მაგალითად: იტ-ვა „იყო“, იტ-ვა-ლი „პქონდა“ (მამრ.), გურვის-ლი

¹ იხ. Н. В. Юшманов, Сингармонизм урмийского наречия, Памяти акад. Н. Я. Марра, М.—Л., 1938, გვ. 305.

„გაიზარდნენ“, *ḡaqlēla* „აილო“ (მდ.); *vīr-i* „შევიდა“ (მამრ.), *plīt-tā* „გამოვიდა“ (მდ.), *qātīt-tī* „მომკლავს“, *hīš-la* „წავიდა“ (მდ.), *gūr-tā* „ლილი“ (მდ.), *bit tārš-āḡ in* „გავაკეთებთ“, *bizā-zī* „ხერელები“.

ხმოვანთა პარმონიის კანონი პრეფიქსაციის დროსაც მოქმედებს: *bi-dürbin* „ღურბინდი“, *bi-rhāḡā* „გაქცევით“, *mīn-tārā* „ქარებიდან“, *išt-ān-ā* „მცოდნე“, *raqd-ān-a* „მოცეკვავე“, *mā-tāv-tā* „დადება“ და სხვ.

როგორც ვხედავთ, პარმონია ასურულში (ურმიულში) ფუძისა და აფიქსების ურთიერთობის თვალსაზრისით პროგრესულიცაა და რეგრესულიც, ე. ი. ფუძის ტემბრი გავლენას ახდენს როგორც პრეფიქსთა ხმოვნების ტემბრზე, ისე სუფიქსების ხმოვნების ტემბრზეც. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ხმოვანთა პარმონია ყოველთვის ფუძის სასარგებლოდ არ წყდება: ზოგჯერ აფიქსი განსაზღვრავს ფუძის ხმოვანს, თუ ფუძე ერთმარცვლიანია, იშვიათად კი ერთზე მეტი მარცვლიანი ფუძის ყველა ხმოვანს. ასე, მაგ.: *rīḡit uāša* „ადამიანის სუნი“, მაგრამ *rēḡa* „სუნი“, *brūnij* „ჩემი ვაჟი“, მაგრამ *brūnoḡun* „თქვენი ვაჟი“, *bābīj* „ჩემი მამა“, მაგრამ *bāba* „მამა“ და ზოგიერთი სხვა. ესეც რეგრესული პარმონიის მაგალითებია.

მაშასადამე, ასურული სინპარმონიზმი არა მარტო პროგრესულია (როგორც ეს თურქულშია), არამედ რეგრესულიც. ზოგჯერ ხმოვანთა პარმონირება პროგრესულად და რეგრესულად ერთდროულად წარმოებს. ორმხრივი პარმონირების მაგალითებია: *ma-qraḡ-le* „ჩვენ მათ ვასწავლით“, *qam mā-tiv-tā* „დადო“ (მდ.), *mā-rīj-ān-išt-qāz-zī* „ბატების მწყემსი“, *mā-rī-tē* „მწყემსე!“ . *mu-šīn-ela* „გააცხელა“ (მდ.), *bi-šmāḡtē-vīt* „სტეხ“ (მამრ.).

ასურულ სინპარმონიზმს აქვს ძლიერი ტენდენცია ამ პარმონიის უნიფიცირებისა: პარმონირება არა მარტო რომელიმე ხმოვნის მხოლოდ ტემბრის მიხედვით ხდება, არამედ ხმოვნები რომელიმე ხმოვანს (ცხადია, ერთ სიტყვაში) მთლიანად ემსგავსება, ე. ი. ადგილი აქვს აბსოლუტურ პარმონიას. მაშასადამე, აბსოლუტურა სინპარმონიზმი გულისხმობს ერთისა და იმავე (resp. აბსოლუტურად იდენტური) ხმოვნების არსებობას სიტყვაში. სიტყვა ასეთ შემთხვევაში უნდა შეიცავდეს არა მარტო *h*, *i*, *ḡ*-ს ან *š*, *j*, *o*-ს (ე. ი. ერთტემბრიანებს), არამედ ან მხოლოდ *h*-ს, ან *š*-ს; ან *i*-ს, ან *j*-ს და ა. შ., ე. ი. რომელიმე მათგანს.

აბსოლუტური პარმონიის შემთხვევები ჩვეულებრივ ორმარცვლიანში გვხვდება: *kilpāt* > *kilpit* „ოჯახი“, *mēlet* „ერი, ეროვნება“ < *milet*, *ki dāmāḡ* < *kidāmīḡ* „წვება ხოლმე“ (მამრ.), *dürbitn* „ღურბინდი“, *tūptuḡ* „შენი საცოლე“ < *tūptuḡ*, *la qēmet*

„ნუ ადგები!“ <la qemat, vārā „შევიდა (მღ.)“ <vrā და სხვ. განსაკუთრებით ხშირად ვხვდებით ასეთ პარამონირებას ხალხურ მეტყველებაში გაერთიანებული გენეტივის გამომხატველი ნაწილაკ -it-ის (<დ*) ხმოვნის ასიმილაციისას ფუძისეულ ხმოვანთან: hāsāt slijsi „ცხენის ზურგი“ <hāsīt sūjsi, ājūāt ārijā „ლომის თვალი“ <ājūīt ārijā, tārāt sōtā „დედაბრის კარი“ <tārīt sōtā, aqlat hā inne „ერთი მათგანის ფეხი“ <aqlit hā nue, sādṛāt jimu „დედა-მისის მკერდი“ <sādṛīt jimu, semet hūvi „გველის შხამი“ <samit hūvi, ḡvanqat sūrājī „სირიელი ახალგაზრდა“ <ḡvanqit sūrājī და სხვ. როგორც ვხედავთ, აბსოლუტურ სინპარამონიზმში მონაწილეობას e, i ხმოვნები იღებენ.

აბსოლუტური სინპარამონიზმი ტემბრითი სინპარამონიზმის განვითარების შემდგომ საფეხურს, ამ განვითარების კულმინაციას წარმოადგენს. ეს განვითარება, როგორც დავინახეთ, ხან აფიქსების სასარგებლოდ, ხან კი ფუძის სასარგებლოდ წყდება.

ასურული ტემბრითი სინპარამონიზმის ფიზიოლოგიური საფუძველი ძირითადად ენის მოძრაობაა — ენისმიერი არტიკულაცია. მაგრამ გვაქვს ისეთი შემთხვევები, როცა დაპირისპირება ხმოვნებისა ხდება არა მარტო ენისმიერობის, არამედ ლაბიალობის მხრითაც, ე. ი. ერთ სიტყვაში გვაქვს მხოლოდ ლაბიალი ხმოვნები (o, u), ხოლო მეორეში — არალაბიალები (a, e, i). ასეა ზოგჯერ თურქულში. ასურულში ასეთ დაპირისპირებას უიღრესად იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებით: uprut bābīj „მამაჩემის მიწა“ <uprit bābīj, qoṣūnut bābah „მამაშენის ჯარი“ <qoṣūnit bābah; რუსულიდან შემოსულ სიტყვებში: uḡqoḡ „სკოლა“ (школа), kuruṣka „ტოლჩა“ (перья), მაგრამ ṡarpāt ilānā „ხის ფოთოლი“ <ṡarpīt ilānā, karahmaḡ „სახამებელი“ (крахмал), skijāḡ „საწყობი“ (склад) და ზოგიერთი სხვა.

ამგვარად, ასურულში პალატალური სინპარამონიზმის (ე. ი. სინპარამონიზმისა ენისმიერობის მიხედვით) გვერდით ლაბიალურ სინპარამონიზმსაც (ე. ი. სინპარამონიზმს ლაბიალობის მიხედვით) ვხვდებით, თუმცა ჯერჯერობით საკმაოდ იშვიათად.

ასურულში, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ხმოვანთა პარამონია განსაზღვრავს სიტყვის ტემბრს: სიტყვა ან მაგარტემბრიანია, ან საშუალო, ან რბილტემბრიანი. სიტყვის ტემბრის სიმაგრე-სიბილესთან დაკავშირებულია თანხმოვანთა მკვეთრობა-ფშვინვიერობა; სახელდობრ, სიტყვაში, რომელშიც ხმოვანთა მაგარი ტემბრია, მკვეთრები გვაქვს, ხოლო სიტყვაში, რომელშიც ხმოვანთა რბილი ტემბრია — ფშვინვიერები.

ასე, მაგარ ტემბრში: *turjstj* „გააკეთა“ (მამრ.) < *turjstj*, *purťanā* „რწყილი“ < *purťanā*, *tā* „სამი“ < *tā*, *sāt* „საათი“ < *sāt*, *sjprā* „ჩიტი“ < *sjprā*, *plāšā* „ომი“ < *plāšā*, *ptūha* „ბრტყელი“ < *ptūha*.
purmīj „გააგო“ (მამრ.) < *purmīj*, *učā* „ცხრა“ < *učā*.

რბილ ტემბრში: *gipitā* „ვაზი“, *dūktā* „ადგილი“, *kūtā* „შვადი“,
klpīnā „მშიერი“, *kisā* „ქისა“, *kirjā* „მოკლე“, *člčāgīn* „ყვავილი“,
kīpā „ქვა“, *kitētā* „ქათამი“, *čūmbilā* „დაკიდა“ (მღ.), *mālkūtā*
 „სამეფო“, *tāmbān* „ზარმაცი“, *siktā* „პალო“, *tinā* „კვამლი“ და სხვ.

საშუალო ტემბრში კი ამ მხრივ ნარეგობას აქვს ადგილი, ე. ი. ყრუ-ხშულების ორივე სახეობა გვხვდება: როგორც ფშინვიერები, ისე მკვეთრები. ასე, მაგ.: *bahča* „ბალი“, *rakīha* „რბილი“, *hitna* „სიძე“, *nhipta* „სირცხვილი“, *bahta* „ცოლი; „ქალი“, *pagra* „სხეული; ხორცი“, *puqdāna* „ბრძანება“, *puqāq* „ბაყაყები“, *palāha* „მუშა“, *klāna* „მღვდელი“, *čāčka* „ურემი“, „ბოძკა „კასრი“, *zamaska* „საგოზავი“, *kara* „ყრუ“, *kič* „გოგო“.

აქვე აღსანიშნავია ერთი გარენობაც: მაგარ ტემბრში, სადაც ფშინვიერები ხშირად სათანადო მკვეთრებში გადადიან, მდებარ. სქესის ნიშანი *t*, რომელიც ფუძეში ბოლოკიდურ თანხმოვანს წარმოადგენს, ჩვეულებრივ ამ წესს არ ემორჩილება და არ მკვეთრდება¹, ასე, მაგ.: *tāšāstā* „ნაფოტი“, *tuntā* „ნაყოფი“, *tāmtā* „საუზზე“, *sāvjitā* „ფეხსაცმელი“ (ერთი ცალი), *dāntā* „დრო“, *māštā* „მაშა“ „მირქმა უფლისა“, *āmtā* „მამიდა“, *nāuptā* „წვეთი“; *bājtā* „უსაქმური“, *ārmuntā* „ბროწყული“, *tāšānūtā* „ნიშნობა“, *zādīāntā* „მშიზარა“ და სხვ. შესაძლებელია ეს იმით აიხსნას, რომ სიტყვის ტემბრი სიტყვის ბოლოში ერთგვარად ნეიტრალდება (კარგავს სიმაგრეს) და ამიტომაც *t*-ს გამკვეთრებას ვერ ახდენს. ამავე დროს, ჩვენ გვხვდება სხვა ფშინვიერებიც იმავე მდგომარეობაში (სიტყვის ბოლოში) და მაინც გამკვეთრებული (თუმცა არა ყოველთვის). ასე, მაგალითად: *tāpā* || *tāpā* „მოლუნვა“, *tjāpā* || *tjāpā* „წერტილი“, *qunčepā* „მტევანი“. ეს გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნულ შემთხვევებში არსებობს ტენდენცია დაცული იქნეს მორფოლოგიური ელემენტი მისი პირვანდელი სახით.

მაგარ ტემბრში არა მარტო ფშინვიერი ხშულები გვევლინება „მაგრებად“. იმავე პირობებში ადგილი აქვს *l*-ს გამაგრებასაც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მაგარ ტემბრში *l* ყოველთვის გადადის *č*-ში; ასე: *šlāmā* < *šlāmā* „ხალხი“, *šlūšā* < *šlūšā* „ქუჩა“, *šlīšā* < *šlīšā* „ჩამოვიდა“ (მღ.), *dīlč* < *dīlč* „იცნო“ (მამრ.), *ki tšlīš*

¹ გამონაკლისია *šlrfā* „პატარა“ (მდებარ.).

< ki t̄ājib „სთხოვს ხოლმე“ (მამრ.), pulj̄t̄ā < pulj̄t̄ā „გამოიყვანა“ (მღ.) და მრავალი სხვა.

მაგარტემბრიან სიტყვაში ზოგჯერ პირველადი მელერის ნაცვლად ყრუებია (ხშულები იძლევა მკვეთრებს). ასე, მაგ.: t̄ān „ოფლი“ < d̄ān, sup̄ „თითი“ < sub̄. ārp̄ „ოთხი“ < ārb̄, sūr̄ „პატარა“ (მამრ.) < sūr̄ < z̄ūr̄.

რბილ ტემბრში კი პირველადი მელერები ყოველთვის დაცულია: z̄iḡ „ზარი“, b̄ārd̄ „სეტყვა“, ḡib̄ „მხარე, გვერდი“, ḡidil̄ „ყინული“, ḡid̄ī „ზეინი“, ḡild̄ „ტყავი“, z̄il̄ „ლერწამი“ და სხვ.

ამდგევარად ვღებულობთ თანხმოვანთა ჰარმონიასაც სიყლერესიყრუის მიხედვით: ან ყრუებია სიტყვაში, როცა სიტყვა მაგარტემბრიანია, ანდა მელერები, როცა სიტყვა რბილტემბრიანია (შდრ. მაგ. ზემოაღნიშნული სიტყვები: t̄ān და ḡidil̄, sup̄ და ḡib̄). მაგრამ თანხმოვანთა ჰარმონიას სპონტანური ხასიათი აქვს. ისეთი სიტყვების რაოდენობა, სადაც ჰარმონია გვაქვს სიყლერე-სიყრუის მიხედვით, მეტად მცირეა. ხშირად შეხვდებით მაგარტემბრიან სიტყვას, სადაც მელერები მოისმის. ასე, მაგ.: d̄j̄ „იციო“, d̄ur̄n̄ „წამალი“, s̄ādr̄ „მკერდი“, s̄āj̄d̄ „მონადირე“, z̄ān „რთვა“, ān̄ „მოსასხამი“ და სხვ.

მეორე მხრით, როგორც უკვე აღინიშნა, თანხმოვანთა ჰარმონიას ადგილი აქვს თვით ყრუებში (ყრუ-ხშულებში): მაგარ ტემბრში მკვეთრებია, რბილ ტემბრში — ფშვინეიერები. მაგრამ აქაც ჰარმონიას ისეთი საყოველთაო და გავრცელებული სახე არა აქვს, როგორც ხმოვანთა ჰარმონიას: მრავლადაა მაგარტემბრიანი სიტყვები, სადაც ფშვინეიერი ბგერა არ არის გამკვეთრებული. ასე, მაგ.: t̄ār̄ „კარი“ (და არა t̄ār̄), p̄āv̄ „ტოტი“ (და არა p̄āv̄), p̄āj̄t̄ā „გამოიტანე!“ (და არა p̄āj̄t̄ā) და მრავალი სხვ.

ამგვარად, ასურულში ხმოვანთა ჰარმონიის გვერდით თანხმოვანთა ჰარმონიასაც ვხვდებით. ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს ხმოვანთა და თანხმოვანთა ჰარმონიის ერთად არსებობას (იმ სიტყვებში, სადაც თანხმოვანთა ჰარმონიაა, ხმოვანთა ჰარმონიაც გვაქვს). აქ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ბგერათა ჰარმონიაა, რადგან სათანადო სიტყვაში ხმოვანთა ჰარმონია და თანხმოვანთა ჰარმონია სხვადასხვა ნიშნით კი არ ხასიათდება, არამედ ერთი ნიშნით: ყველა ან „მაგრებია“, ან „რბილებია“. ამავე დროს ჩვენ ვხედავთ, რომ იქ, სადაც თანხმოვანთა ჰარმონიაა, ხმოვანთა ჰარმონია გვაქვს, ხოლო, სადაც ხმოვანთა ჰარმონიაა, იქ ყოველთვის არ გვაქვს თანხმოვანთა ჰარმონია. ამდენად, თანხმოვანთა ჰარმონია დამოუკიდებელ მოვ-

ლენად არ გვეჩვენება, იგი მკიდროდაა დაკავშირებული ხმოვანთა პარამონიასთან.

ბოლოს ჩვენ გვსურს შევჩერდეთ ლაბიალი ხმოვნების მონაწილეობაზე ხმოვანთა. პარამონიაში, რადგან ეს ხმოვნები სხვა ხმოვნებთან შედარებით გარკვეულ თავისებურებას იჩენენ ხმოვანთა პარამონირების დროს.

ლაბიალი ხმოვნები ხმოვანთა პარამონიაში მონაწილეობის მიღების თვალსაზრისით ორად იყოფა: ფუძისეული ლაბიალი ხმოვნები და აფიქსისეული ლაბიალი ხმოვნები.

ფუძისეული ლაბიალი ხმოვნები პარამონიაში ყოველთვის ლეზულობენ მონაწილეობას. ამდენად, მათ შორის გვხვდება როგორც რბილტემბრიანი (ö, ü), ისე მაგარტემბრიანი ლაბიალი ხმოვნები (o, u): täuürä „თორენ“, tünilä „უთხრა“ (მდ.), nõñäitš „მარტობა“, tüpra „კული“, dõra „საუკუნე“ და სხვ.

აფიქსისეული ლაბიალი ხმოვნები კი ტემბრით პარამონიაში არავითარ მონაწილეობას არ ლეზულობენ: არ განიცდიან ფუძის გავლენას და თვითაც ფუძის ხმოვანთა ტემბრზე გავლენას ვერ ახდენენ. ასე, მაგ.: jima „დედამისი“ (მამრ.), ärmiltu „მისი (მამრ.) ქვრივი“, tävirto „მისი (მდ.) ძროხა“, züzuhi „შენი (მამრ.) ფული“ და სხვ.

აფიქსისეულ ლაბიალ ხმოვნებს შეიძლება ნეიტრალური ვუწოდოთ, რადგან ისინი გავლენის გარეშე დგანან.

აღნიშნული გარკვევით მიუთითებს ასურულში (ურმიის არამეულ დიალექტში) ხმოვანთა პარამონიის არსებობის ფაქტზე, მაგრამ ასურული სინპარამონიზმის გაიგივება თურქულ სინპარამონიზმთან შეუძლებელია. მათ შორის პრინციპული და არსებითი განსხვავებაა. თურქული სინპარამონიზმი მხოლოდ პროგრესული სინპარამონიზმია, ასურული — პროგრესულიცაა და რეგრესულიც. თურქული სინპარამონიზმი, თუ შეიძლება ასე ითქვას, წმინდა ხმოვანთა პარამონიაა, ასურული სინპარამონიზმი კი ფაქტიურად არა მარტო ხმოვანთა პარამონიაა, არამედ თანხმოვანთაც. ხმოვანთა და თანხმოვანთა პარამონია ერთმანეთთან ორგანულადაა დაკავშირებული. ამავდროულად აქვს ხმოვანთა პარამონიას თანხმოვნებთან. ამდენად, ასურული სინპარამონიზმი, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ბგერათა პარამონიაა. მარტოოდენ ხმოვანთა პარამონიის გამოყოფას ერთგვარად ხელოვნური ხასიათი აქვს, ამდენადვე, უფრო მართებული იქნებოდა გველაპარაკა არა ასურულ ხმოვანთა პარამონიაზე, არამედ ასურულ სინპარამონიზმზე და ამ უკანასკნელში. ხმოვანთა პარამონიასთან ერთად თანხმოვანთა პარამონიაც გვეგულისხმა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასურულში ყოველი სიტყვა გარკვეულ ტემბრს შეიცავს: ან მაგარს, ან რბილს, ან საშუალოს. ამდენად, ასურული სინჰარმონიზმის საფუძვლის გარკვევა ნიშნავს გაირკვეს — რა არის სიტყვის ტემბრის განმსაზღვრელი.

დღევანდელ ასურელთა მეტყველებაში არ არსებობს არც აინი და არც ემფატიკური ბგერები. მაგრამ სიტყვა, რომელიც უნდა შეიცავდეს ეტიმოლოგიურ აინს ან რომელიმე ემფატიკურ ბგერას, დიამეტრულად განსხვავდება სიტყვისაგან, რომელშიც ასეთი ბგერა არა გვაქვს. ასე, მაგალითად, ეტიმოლოგიური ḫ -ს (სადეს) შემცველ სიტყვაში სხვა ტემბრია, ხოლო s -ს (სიმჭეთის) შემცველში — სხვა: $\text{ḫiṣā} < \text{biṣā}$ „ხახვი“ და simāltā „კიბე“. პირველ შემთხვევაში მაგარი ტემბრია (მაგარტემბრიათი ხმოვნები i , ā , მაგარი ḫ), მეორეში კი რბილი ტემბრია (რბილი ხმოვნებია i , ā , რბილია l -ც). ორივე სიტყვაში s გვაქვს, მაგრამ ეტიმოლოგიურად ეს ორი s ერთმანეთისაგან განსხვავდება: პირველ სიტყვაში s არის — ṣ , მეორეში კი s — ṣ . ასევეა სხვა სიტყვებშიც: sāma „ნაწილი, წილი“ — ṣ და ṣāḫāda „მონადირე“ — ṣ , siwā „დაბერდა“ (მდ.) — ṣ და ḫiṣā „გაბყლიტა“ (მდ.) — ṣ და სხვ.

იგივე შეიძლება ითქვას ეტიმოლოგიურ ემფატიკურ t -სა და მეორეულ t -ს შესახებ: baḫta „ცოლი; ქალი“ და ḫiptā „საცოლე“. პირველ სიტყვაში მეორეული წარმოშობის t არის: baḫta (ḫ -სთან t გამკვეთრდა) — ṣ და ხმოვნები საშუალო ტემბრისაა, ხოლო მეორე სიტყვაში ეტიმოლოგიური t არის — ṣ , ხმოვნებიც მაგარი ტემბრისაა. შეიძლება სხვა მაგალითების დასახელებაც: praḫta „გაფრენა“ — ṣ და ḫōtā „კეთილი“ — ṣ , pṭātin „მოვალ“ (მამრ.) — ṣ და ntiri „დაიცვა“ (მამრ.) — ṣ და სხვ.

როგორც ვხედავთ, მაგარი ტემბრია ყოველთვის, თუ სიტყვა შეიცავს ეტიმოლოგიურ ემფატიკურ ბგერას. ასურულში ემფატიკურმა ბგერამ თვითონ დაქარგა ემფაზი და იგი ახლო მეზობლობაში მყოფ ხმოვნებს გადასცა.

მაშასადამე, ასურულისათვის ემფატიკური ბგერა დღეს ასეთ განმარტებას მიიღებდა: ბგერა, რომელიც იწვევს ხმოვანთა მაგარ ტემბრს. ასეთია ემფატიკური ბგერის კვალი ასურულში.

ემფატიკურ ბგერად მიიჩნევენ ზოგიერთები ζ -საც¹, მაგრამ იგი აქ ასეთად არ ჩანს.

მაგარ ტემბრს ვამჩნევთ ზოგჯერ z და d -ს შემცველ სიტყვებში, ე. ი. ასეთ შემთხვევებში z და d , გვევლინებიან რა ტემბრის „გამამაგრებლად“, იჩენენ იმ თვისებას, რაც ემფატიკური ბგერისათვისაა დამახასიათებელი. მაგრამ, როგორც ცნობილია, ემფატიკური z და d ებრაულ-არამეულ ენებს არ მოეპოვებათ; ისინი მხოლოდ არაბულში გვხვდება ($ظ$ და $ض$). ალბათ, აღნიშნული სიტყვები შემოსულია არაბულიდან, სადაც ამ სიტყვებში მართლაც ემფატიკური ბგერები z და d არის. ასეთი სიტყვები იმაზე უნდა მიუთითებდნენ, რომ არაბულიდან შემოსულ სიტყვებში დაცულია არაბულ ემფატიკურთა-ძალა ხმოვანთა ტემბრის გამაგრების სახით. ზოგჯერ ხმოვანთა ტემბრის გამმაგრებლის როლში r და l გამოდის, მაგ.: $hijma$ **حِمَامٌ** „სისმარი“, $lā$ **لَا** „სამი“, $prjštj$ **شُرْطُ** „იჩხუბა, იომა“ (მამრ.) და სხვ., $rāma$ **رَمَامٌ** „მალალი“, $rjmtj$ **رَجْمَةٌ** „მალა ავიდა“ და სხვ.

გარდა ზემოაღნიშნული ემფატიკური ბგერებისა, ხმოვანთა მაგარ ტემბრს **ح** აინიც იძლევა. აინი დღეს დაკარგულია, მაგრამ იგი, ჩვეულებრივ, უკვალოდ არ იკარგება (თუმცა ცალკეულ გამოწკლისებს აქვს ადგილი). ^c მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს როგორც ცალკე ბგერა, მთლიანად ხმოვნების ტემბრში „ითქვიფება“. ამდენად, აინის არსებობა მხოლოდ მაგარი ტემბრის არსებობით შეიცნობა. თუ სიტყვა ეტიმოლოგიურ **ح**-ს შეიცავს, იგი მაგარტემბრიანია. აინის ეტიმოლოგიური არსებობის სხვაგვარი კვალი არ შეიმჩნევა; ასე, მაგ.: $ištjn$ „ვიცი“ (მამრ.) < $iād'in$, $šmjtā$ „გაიგონა“ (მდ.) < $šmi'lā$, $lārā$ „კარი“ < $tar'ā$, და სხვ. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს იმ წყვილებულში, სადაც ბგერები ერთნაირია, მაგრამ ტემბრი და სიტყვათა მნიშვნელობები სხვადასხვა. ეს განსხვავება დაწერილობაში **ح**-ით ჩანს, ხოლო წარმოთქმაში ტემბრით: $dilā$ „დაბადებული“ **حَدِيدٌ** და $dilā$ „იცოდა“ **حَدِيدٌ**, $mātā$ „სოფელი“ **حَدِيدٌ** და $mātā$ „მუწუკი“ **حَدِيدٌ** და სხვ.

ამგვარად, დღეს ასურულში ^c იმდენად არსებობს, რამდენადაც მის შემცველ სიტყვაში „მაგარი“ ხმოვნებია. დღეს ასურულ დამწერლობაში **ح** სხვა არაფერია, თუ არ, იუშმანოვის მოსწრებულ

¹ თ. ნელდგეკე. კ. ბ. ოკულმანი.

გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ბანის გასაღები სიტყვის ხმოვანთა ტემბრისათვის¹: **ა** სიტყვის დაწერილობაში მიუთითებს იმაზე, რომ ამ სიტყვის ხმოვნები მაგარ ტემბრში უნდა წარმოითქვას.

• წინისა და ემფატიკური ბგერების არტიკულაცია იწვევს მის უშუალო მეზობლობაში მყოფი ხმოვნების უკანაენისმიერ წარმოებას, მათ (ხმოვნების) ველარიზაციას, რის გამოც ამ ხმოვნებს თან სდევთ მაგარი ტემბრი.

ასეთია წინისა და ემფატიკური ბგერების გავლენა ხმოვნებზე. საინტერესოა აღნიშნულ ბგერათა ურთიერთობა თანხმოვნების მივართაც. ^ე და ემფატიკური ბგერები „ამაგრებენ“ არა მარტო ხმოვნებს, არამედ თანხმოვნებსაც (განსაკუთრებით ხშულ ფშვინვიერებს). ამ „გამაგრებას“ ხელს უწყობს სიტყვაში არსებული ხმოვანთა მაგარი ტემბრი, რის შედეგადაც მიიღება მკვეთრები, თანხმოვანთა ის რიგი, რომელიც სემიტურში უცნობი იყო.

როგორია გლოტალების გავლენა ხმოვნებზე?

ლარინქსში წარმოთქმული თანხმოვანი **ა** ხმოვნის ჰომოგენურია და ამ ხმოვნისათვის დამახასიათებელ ტემბრს (საშუალოს, რამდენადაც ეს ტემბრი არც მაგარია და არც რბილი) იძლევა. ამის გამო გლოტალების მეზობლობაში მყოფი **ა** (საშუალოტემბრიანი **ა**) ყოველთვის დაცულია: არ იქცევა არც **ჰ**-დ და არც **ჰ**-დ.

იგივე გლოტალები წინაენისმიერი ხმოვნების საარტიკულაციო ბაზისის ოდნავ უკან გადაწევას იწვევენ, რის შედეგადაც ვიწრო **ე** და **ი**-ს ნაცვლად გლოტალების მეზობლად მათი ფართო სახესხვაობანი **ე** და **ი** გვხვდება. ამ ხმოვანთა ტემბრიც საშუალო ადგილს იჭერს **ა**, **ჰ** და **ჰ**, **ი** ხმოვანთა ტემბრებს შორის. ამდენად, გლოტალებთან საშუალოტემბრიანი **ე** და **ი**-ც გვაქვს. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ საშუალო ტემბრის შემჩნევა /**ე**/ და /**ი**/ ხმოვნებისათვის ზოგჯერ ჭირს, მაშინ როცა **ა** (საშუალოტემბრიანი **ა**) ყოველთვის ნათლად მოისმის.

რაც შეეხება **ა**/ო/ და **ა**/ი/-ს, საშუალოტემბრიან ხმოვნებთან **ო** და **ი**-ს (ე. ი. მაგარტემბრიან სახეობებს) გვიჩვენებენ.

ხშირად გლოტალი დაკარგულია, მაგრამ სიტყვაში საშუალო ტემბრი მაინც არის. გლოტალი, ასეთ შემთხვევებში, მეზობელ ხმოვანთა ტემბრში ცოცხლობს: **ქ**āzū „მოვალ“ (მამრ.) < **ك**āzū „ამბობს“ (მამრ.) < **ك**āha „ღმერთი“ — **ك**āzū,

¹ იხ. Н. Ю ш м а н о в, ხს. შრ., გვ. 296.

sāra „მთვარე“ **𐌸𐌰𐌱𐌰**, nāra „მდინარე“ **𐌸𐌰𐌱**, bāriṭ āṇijī „ჩემო
თვალის სინათლე“ < **𐌸𐌰𐌱𐌰** **𐌸𐌰𐌱** და სხვ.

გლოტალების გავლენით არსებულ საშუალო ტემბრში თანხმოვ-
ნები ზოგან მკვეთრდებიან, სახელდობრ: თანხმოვანი მკვეთრდება,
თუ მას უშუალოდ მოსდევს ɣ^2 (რა თქმა უნდა, ეტიმოლოგიური,
რადგან დღეს იგი, ჩვეულებრივ, დაკარგულია). მაშასადამე, ɣ^2 -თან
ვლინდება იგივე თვისება, რაც **𐌸**-ს აქვს, მხოლოდ იმ განსხვავე-
ბით, რომ ბგერათა დაყრუება-გამკვეთრებას ადგილი აქვს ɣ^2 -ის წინ
(უშუალოდ), ხოლო წინის ძალა მთელ სიტყვაზე ვრცელდება: შდრ.
sūrta „პატარა“ (მდ.) < **z²ur²tā 𐌸𐌰𐌱𐌰𐌱𐌰**, სადაც დაყრუვდა **z-ც** და
გამკვეთრდა მდღერ. სქესის ნიშანიც **t**, და pātāin „მოვალ“ (მამრ.)
(და არა pātāin). სიტყვის დასაწყისში დაკარგული ხმოვნის მიგარი
შემართვა ɣ^2 სიტყვის შუაში მოხვედრისას გამოვლინდა არა მარტო
ხმოვანთა საშუალო ტემბრის შექმნით (თუ დაცვით), არამედ მე-
ზობელ თანხმოვანთა (**b**, **t**) გამკვეთრებაშიც. ამ გზით მიღებული
გვაქვს: pūru „მის ხელში“ (**b²idū**-სათვის), purha „გზაზე“ (**b²ur-**
ha-სათვის), სადაც ɣ^2 -ის წინ **b** > p.

როგორც დავინახეთ, გლოტალების დაკარგვა უკვალოდ არ
ხდება: მათი გავლენით სიტყვაში ხმოვანთა საშუალო ტემბრია.
ამასთანავე, გლოტალი ამკვეთრებს უშუალო მეზობლობაში მყოფ
(წინამავალ) თანხმოვნებს. იგივე ტემბრი გვაქვს მაშინაც, თუ გლო-
ტალი დაცულია (მაგ. sahda „მოწმე“).

საშუალო ტემბრია აგრეთვე ველარებთანაც: **h** და **q**-სთან. აღ-
ნიშნული თანხმოვნები ხასიათდება არა მარტო ხმოვანთათვის სა-
შუალო ტემბრის მინიჭებით, არამედ თანხმოვანთა დაყრუება-გამ-
კვეთრებითაც. ეს უკანასკნელი მოვლენა განსხვავდება ɣ^2 -ის მიერ
გამოწვეული გამკვეთრებისაგან. პირველის დროს მკვეთრდება უშუ-
ალოდ მომდევნო ფშვინვიერი თანხმოვანი (ე. ი. **h²**, **q²** > **h²**, **q²**,
ხოლო **g²** > **h²** და მისთ.), ხოლო მეორის დროს წინამავალი (ე. ი.
t² > **t²** და მისთ.).

საშუალო ტემბრია **h**-ს გამო: hāmīle „შეინახე!“, halta „ღეიდა“
და სხვ.; **g**-ს გამო: magdili „გაახარე!“, magzij „მაჩვენე!“, big-
dārin „ესეირნობ“ (მამრ.), galba „გამარჯვება“ და სხვ.; **q**-ს გამო:
qalpa „ქერქი“, qāia „კლდე“, qidra „დაიწვა“ (მდ.) და სხვ.

q-ს შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს. ზოგს იგი ემფატიკურად
მიაჩნია, და თუ ეს ასეა, **q**-ს მაგარი ტემბრი უნდა მოეცა.

q კი, როგორც ზემოთაც ჩანს, იმავე თვისებებს იჩენს, რასაც ველარები (ჟ, ჳ) და არა ემფატიკურები. ამ უკანასკნელთა მსგავსად q-ს არ შეუძლია არც l-ს l-დ ქცევა; ასე ჰქონდა „აღება“ და არა ოღება, როგორც ეს ემფატიკურ ბგერებთან გვექნებოდა, qმა „ხმა“ და არა ომა, qalma „მკბენარი“ და არა qalma და მისთ.

განხილულმა დაგვანახა, რომ ველარები (ჟ, ჳ, q) თავისი გავლენის მიხედვით ერთგვარად ხასიათდებიან: მათ მეზობლობაში ხმოვანთა საშუალო ტემბრია და მკვეთრდება უშუალოდ მომდევნო ბგერა (ფშინიერი). ყველა სხვა თანხმოვანთან ხმოვანთა რბილი ტემბრი გვაქვს; ასე, მაგ.: ოღება „სალამი; მშვილობა“, ოღება „ძვალი“, ოღება „ეზო“, ოღება „საკმეველი“, ოღება „დაწერა“ (მღ.), ოღება „დაჯდა“ (მამრ.) და სხვა მრავალი.

როგორც ვხედავთ, თანხმოვანთა უმრავლესობა რბილ ტემბრს ქმნის, რის შედეგადაც ასურულში რბილტემბრიანი ხმოვნები ბევრად უფრო სპარბობს სხვა დანარჩენთ.

ხმოვანთა ტემბრი განისაზღვრება თანხმოვნებით. სემიტურ ბგერათა სამყაროში, სადაც განსაკუთრებით მრავლადაა თანხმოვნები, ტემბრში მკვეთრად განსხვავებული ხმოვნები გვაქვს; ორი მოპირდაპირე რიგის ხმოვნები — რბილი და მაგარი, და ოღება, ე. წ. საშუალო ტემბრის ხმოვნები, რაც შუალედ საფეხურს წარმოადგენს პირველ ორს შორის. აღნიშნულ ხმოვანთა მოპირდაპირე ტემბრები, პირველ ყოვლისა, როგორც ამას ი უ შ მ ა ნ ო ვ ი სამართლიანად აღნიშნავს, მიღებულია სემიტურ თანხმოვანთა ტემბრითი დაპირისპირებით. მართალია, ყველა ენაში თანხმოვანთა ჯგუფები ერთმანეთისაგან ტემბრით განსხვავდება, მაგრამ ასეთი დაპირისპირება ტემბრში, რაც ორ სრულიად განსხვავებულ თანხმოვანთა რიგს იძლევა, სემიტურისთვისაა დამახასიათებელი. ერთი მხრით, სემიტურს აქვს „მაგარი თანხმოვნები“, მეორე მხრით „რბილი თანხმოვნები“. ასეთ დაპირისპირებას სემიტურისათვის დამახასიათებელი სამეტყველო არტიკულაცია ქმნის, რის შედეგადაც ვლბულობთ ფარინგალს — აინს და ე. წ. ემფატიკურ ბგერებს. ამრიგად, მიიღება მთელი რიგი „მაგარი“ თანხმოვნებისა: ო, ო, ო, ო, ო (არაბულში აგრეთვე ო, ო). ამათ უპირისპირდება ყველა სხვა თანხმოვანი, რომელთაგან ლარინგალები და ველარები აკუსტიკური „სიმაგარი“ სხვებთან შედარებით პირველებთან („მაგრებთან“) უფრო ახლო ღვანან.

თანდათანობით თანხმოვანთა სიმაგრე-სირბილე მათ მეზობელ ხმოვნებს გადაეცათ: ხმოვნები თავისი ტემბრით ემსგავსებოდნენ გარემომცველ თანხმოვნებს. „მაგარი თანხმოვნების“ გვერდით გაჩნდნენ „მაგარი ხმოვნები“, „რბილი თანხმოვნების“ გვერდით — „რბილი

ხმოვნები⁴. გამდიდრდა ხმოვანთა სამყარო, ამ გარემოებამ კი ხელი შეუწყო ემფატიკურ ბგერათა ემფატიკურობის დაკარგვას. მაგარი ხმოვნებში „გაითქვიფა“ აინი და ემფატიკურ ბგერათა ემფაზი.

დაიკარგა მაგარი თანხმოვნები, მაგრამ მაგარი ხმოვნები მაინც დარჩნენ. სემიტურმა არტიკულაციამ წარმოშვა დაპირისპირებული ხმოვნები: მაგარი და რბილი. ერთ სიტყვაში მოხვედრილი სხვადასხვა (მოპირდაპირე) ტემბრის ხმოვნებმა დაიწყეს ბრძოლა ერთი ტემბრის სასარგებლოდ (ერთტემბრიანობისაკენ მიდრეკილება სემიტურში არა მარტო ხმოვნებში, არამედ თანხმოვნებშიც იყო) (შდრ. არაბულ ძირებში თანხმოვნების განაწილება). დაპირისპირებულთა ბრძოლა მაგარი ხმოვნების სასარგებლოდ გადაწყდა. საკმარისია სიტყვაში ყოფილიყო ერთი მაგარი ხმოვანი, რომ სხვა ხმოვნებიც ამ სიმაგრის გავლენის ქვეშ მომხდარიყვნენ. ასე, რბილხმოვნიანი სიტყვების გვერდით გაჩნდა მაგარხმოვნიანი სიტყვებიც. რბილხმოვნიან სიტყვებში, ცხადია, თავიდანვე ყველა ხმოვანი რბილი იყო (სხვა შემთხვევაში სიტყვა რბილტემბრიანი ვერ იქნებოდა). ამგვარად, დაპირისპირებული ხმოვნების ნაცვლად დაპირისპირებული სიტყვებიც გაჩნდა: მაგარტემბრიანი სიტყვები და რბილტემბრიანი სიტყვები. ამ დაპირისპირებულ ტემბრთა შორის არსებული შუალედი ხმოვნის ტემბრმა (გლოტალეგისა და ველარების მეზობელი ხმოვნები) განსაზღვრა მესამე — საშუალოტემბრიან სიტყვათა ჯგუფიც (ე. ი. სიტყვები, რომლებიც თავისი ტემბრით მაგარ და რბილტემბრიანთა შორის ლაგდებიან).

ამგვარად, ასურული სინჰარმონიზმის წყაროს სხვადასხვა ტემბრის თანხმოვნები წარმოადგენენ, რასაც წმინდა სემიტური კონსონანტიზმის თავისებური არტიკულაცია ქმნის (ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებს კონსონანტიზმის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე სემიტურში). აღნიშნული არტიკულაციის შედეგად მიიღება ბგერათა (თანხმოვანთა და ხმოვანთა) ძლიერი ტემბრითი დაპირისპირება — ასურული სინჰარმონიზმის საფუძველი.

გარკვეული ინტერესის შემცველია სინჰარმონიზმის თვალსაზრისით კომპოზიტები და უცხოური სიტყვები.

კომპოზიტები ასურულში საკმაოდ ხშირია. აქ ერთ სიტყვად წარმოგვიდგება არა მარტო ერთტემბრიანი კომპონენტის სიტყვები, არამედ სხვადასხვა ტემბრიანებიც. ამ უკანასკნელ შემთხვევაში საანალიზო სიტყვები ორად ჯგუფდება: კომპოზიტები, რომლის კომპონენტები თავ-თავის ტემბრს იცავენ და, ამდენად, ორტემბრიანებია¹ და კომპოზიტები, სადაც ტემბრი უნიფიცირებულია ერთ-

¹ ორკომპონენტიანზე მეტი კომპოზიტები ასურულში არ გვხვდება.

ერთი კომპონენტის სასარგებლოდ და, ამდენად, ერთტემბრია-
ნებია.

პირველი ჯგუფის კომპოზიტებისათვის დამახასიათებელია ორ-
მახვილიანობა: ყოველ კომპონენტს თავისი მახვილი აქვს. ამასთან-
ავე ცალკეულ კომპონენტთა დამოუკიდებელი სახე ფონეტიკურად
შუკლელია (ან თითქმის შუკლელია). ეს უნდა მიუთითებდეს იმაზე,
რომ ამ რიგის კომპოზიტები ახალი წარმონაქმნია, ამავე მიზეზით
ტემბრი ჯერ კიდევ უნიფიცირებული არ არის. ასე, მაგალითად:
təsmi-təsmā „ქამარი“ (تَسْمِي تَسْمَا) < təsmā „თასმა“ + təsmā
„ზურგი; წელი“, izlā-kūlīši „ობობა“ (إِزْلَا كُولِيْشِي) < izlā (st.
cs.) „მრთველი“ + kūlīši „თითისტრები“, māri-qāja „კლდიანი“
(مَارِي قَايَا) < māri (stat. const.) „პატრონი“ + qāja „კლდე“, māri-
tānūtā „ჩრდილიანი“ (مَارِي تَانُوْتَا) < māri (st. cs.) „პატრო-
ნი“ + tānūtā „ჩრდილი“ და სხვ.

ასეთი ორტემბრიანი კომპოზიტები ცოტაა. მათ ბევრად სქარბობს
ერთტემბრიანები. ამ უკანასკნელთ მახვილიც ერთი აქვთ; გაერთმახვი-
ლიანებამ კი თავის მხრით ხელი შეუწყო სიტყვათა გაერთტემბრია-
ნებასაც. ასე, მაგალითად: qistjmarān „ცისარტყელა“ (قِيْسْتَجْمَارَان) < qistai (st. cs.) „მშვილდები“ + marān „უფალი ჩვენი“, აქედან
qistjmarān „მშვილდები უფლისა ჩვენისა“ > „ცისარტყელა“; bitqorj
„სასაფლაო“ (بِيْت قُوْرَجِي) < bit (st. cs.) „სახლი“ + qorj „საფლა-
ვები“; dimitjān „ცრემლი“ (دِيْمِيْتَجَان) < dimit „სისხლი“ + jān
„თვალეები“; martjān „ძვირფასი“; (مَارْتَجَان) < māri „პატრონი,
მქონე“ + tānūtā „ფასი“; mārzdūtā „საშიში“ (مَارْتَزْدُوْتَا) < māri
„პატრონი, მქონე (რისიმე)“ + zdūtā „შიში“ და სხვ.

ასურულში უხედაა შემოსული უცხოური სიტყვები, რომლებშიც
ენა ცდილობს ჰარმონია შეიტანოს და მოცემული სიტყვა გარკვე-
ული ტემბრის მქონედ აქციოს: რბილ, საშუალო ან მაგარტემბრიან
სიტყვად. ჰარმონიის ამოსავალი აქ უმეტესად თანხმოვნებია. ასე,
მაგალითად: ა) მაგარ ტემბრის იძლევა: ბერძნული τ (t) სიტყვაში
tānūtā „ფასი“ (تَانُوْتَا) < ბერძ. ταμή; არაბული ემფატიკური თან-
ხმოვნები — ص (s), ض (d), ظ (z), ط (t), როგორცაა: māzjir „მმარ-
თველი, მოურავი“ (مَزَجِيْر) < مَزَجْر, hāzjir „ეზადება“ (მამრ.) (هَزَجْر) <
حَاضِر; რუსული л (l) — skjizād „საწყობი“ (Склад) < склад, pādvaš

„სარდაფი“ (سَرْدَاب) < სიძვანა; ქართული ც (ც), რომელიც, როგორც ჩანს, ემფატ. ჟ-დ იქნა აღქმული¹: sardāf „მცხეთა“ (سَرْدَاب) < მცხეთა, შეიძლება ამავე მიზეზით stānsā „სადგური“ (سَدْرَاب) < станция (შესაძლებელია ქართულის გზითაც); ბ) საშუალო ტემბრს იძლევა: ქართული შევეთრები პ (p), ტ (t), კ (k), ჭ (č), რუსული ყრუ-ხშულები (უფრო ქართული გზით შესულები), მაგ.: čančurta „ქანჭური“ (ერთი ცალი) (چانچورتا) < ქართ. ქანჭური, aqoŋqa „ფანჯარა“ (چاقچاق) < окошко, qalandāš „ფანჯარი“ < карандаш; ბერძნული x: qadāla „ქოთანის“ (چادالا) < καλνδερειον, ქურთული გ სიტყვაში šūla „საქმე“ (چادالا) < šuglā < ქურთ. šughul; გ) დანარჩენი თანხმოვნები უმეტესად რბილ ტემბრს იძლევა.

სინჰარმონიზმის ამოსავლად უცხოურ სიტყვებში ზოგჯერ ხმოვნებიცაა: თუ სიტყვაში უკანა რიგის ხმოვანია, სიტყვაში მაგარი ტემბრია, ხოლო თუ ასეთი არ არის — რბილი ტემბრია. ასე, მაგალითად: tēmā „შურისძიება“ (چامه) < ქურთ. tola, kirjāš „სახურავი“ (چاخ) < რუს. крыша, zābur „ლობე“ (چابور) < რუს. забор, miā (چامه) „ცარი“ < რუს. мей და სხვ.

თურქულ სიტყვათა გადმოცემისას ტემბრი ნასესხებ სიტყვაშია: უკანა რიგის ხმოვნების შემცველი თურქული სიტყვა ასურულშიც მაგარტემბრიანია, ხოლო წინა რიგის შემცველი სიტყვა — რბილტემბრიანი. მაგალითად: jājīhtā „ხელსახოცი“ (چاييتا) < jalihita, sātīj „ვედრო“ (چاييت) < satil, tāmiz „სუფთა“ (چايمز) < temiz, sōgūl „საყვარელი, ძვირფასი“ (چاگل) < sevgili და სხვ.

ამგვარად, ასურულში სინჰარმონიზმის გარეშე არ რჩება არც კომპოზიტები (უმეტესად) და არც უცხოური სიტყვები.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, არც ისე იშვიათია ჰარმონიის დარღვევის შემთხვევები. ამ დარღვევას (დეჰარმონიზაციას) ადგილი აქვს მაგარ და საშუალო ტემბრში, აქედან საშუალოში უფრო ხშირად. ჰარმონიას ჩვეულებრივ არღვევს პალატალები (განსაკუთრებით აღმავალ დიფთონგში) და i. ამის მიზეზი აღნიშნულ ბგერათა არტიკულაციის ადგილია — სასის წინა ნაწილი და წინაენა,

¹ შდრ. ებრაული ჟ-ს (צ) ც-დ წაკითხვა.

რის შემდეგაც ენას უძნელდება უკანა რიგის ხმოვნები აწარმოოს და წინა ან შუა რიგის ხმოვნებს აწარმოებს, რომლებიც თავისი საშუალო თუ რბილი ტემბრით არღვევენ მაგარი ტემბრის მთლიანობას. ასე, მაგალითად: *kisāija* „ჩამოდის“ (მღერ.) **كِسَايَا** **چ** (ნაცვლად *kisāijā*-სი), *kiṭārijāli* „მართავს“ (მღერ.) (ურემს, ეტლს და მისთ.)“ **كِيْطَارِيْجَالِي** **چ** (ნაცვლად *kiṭārijālij*-სა), *sāhsujili* „ცდის“ (მამრ.) **سَاهْسُوْجِيلِي** „დამბალე!“ **زَادِيَا** „ეშინია“ (მღერ.) **زَادِيَا** და მისთ.

მაგარტემბრიან სიტყვაში ბოლოკიდური ხმოვანი ხშირად მაგარ ტემბრს არ იღებს (განსაკუთრებით სამ და მეტმარცვლიან სიტყვებში) და საშუალო ტემბრის ხმოვნად მოისმის: *siṭva* „ჯვარი“ **سِيْطْوَا**, *pulāia* „გამოიღო“ (მღერ.) **پُلَايَا**, *dārvāza* „ქიშკარი“ **دَارْوَازَا**.

პარმონიის დარღვევას ადგილი აქვს რბილ ტემბრშიც, როდესაც სიტყვაში აფიქსისეული ლაბიალი ხმოვნებია¹.

თ ა ვ ი VII

თანხმოვანთა პალატალიზაცია

თანამედროვე ასურულში საკმაოდ ძლიერია ველარი ხშულების *g*, *k*, *q* და *ḫ*-ს პალატალიზაციისადმი ტენდენცია, განსაკუთრებით პრეველარი სამეულისა: *g*, *k*, *q*. ამ უკანასკნელთა პალატალიზაციის შედეგად მიიღება პალატალიზებულ თანხმოვანთა სამეული: *g*l, *k*l, *q*l. ეს თანხმოვნები უფრო წინ წარმოითქმის, ვიდრე *g*, *k*, *q*. პალატალიზებული თანხმოვნებია სიტყვებში: *kiḫlax* (**كِيْخَلَاخ**) „ძალი“, *gūmlax* (**گُوْمَلَاخ**) „აქლემი“. *māgila* (**مَاغِيلَا**) „ნამგალი“, *dūklax* (**دُوْكَلَاخ**) „ადგილი“ და სხვ. პალატალიზაციას აქვს ადგილი აწმყო ზოგადის ნაწილაკის თანხმოვანთან *k*-სთან — *kl*. ეს *kl* ემსგავსება ხოლმე მომდევნო თანხმოვანს, რის გამოც *kl*-ს ვარიანტებად გვხვდება: *gl* (თუ *kl* მელერის წინ მოექცა), *ql* (თუ *kl*-ს ყრუმკვეთრი მოსდევს). ასე, მაგ.: *kiḫlax* „თხოვს“ (მამრ.) (**كِيْخَلَاخ** **چ**), *klpāriḫ* „ფრენს“ (მამრ.) (**كَلْپَارِيْخ** **چ**), *glāri* „ასხამს, აქეევს“ (მამრ.) (**گَلْرِي** **چ**).

¹ იხ. გვ. 58.

g, k, k-ს პალატალიზაციის პროცესი ზოგჯერ არ მთავრდება g_i, k_i და k_i-ს მიღებით. ამ პროცესის შემდგომი საფეხურია ალვეოლარი აფრიკატები ḡ, ḥ და ḑ, რომლებიც ძველი არამეული დიალექტებისათვის სრულიად უცხო ბგერებს წარმოადგენდნენ. ასე, k > k_i > ḑ: ḥm_i „რამდენი“ (𐎡𐎢), ḥm_i „ყველა“ (𐎡), birḥm „მუხლი“ (𐎡𐎢); g > g_i > ḡ: ḡm_i „ძვალი“ (𐎡𐎢), წინდებული ḡm „ში“ (𐎡); k_i > ḑ: ḑam „ღვება“ (მამრ.) (𐎡𐎢 ḑ), ḑāram „იგებს“ (მამრ.) (𐎡𐎢 ḑ). აქვე უნდა შეინიშნოს, რომ გამორიცხული არ არის ḑ k-დან კი არ იყოს მიღებული, არამედ ზოგჯერ იგი (ḑ) მოდიოდეს ḥ-დან მომდევნო მკვეთრის გავლენით.

პალატალიზაციის ორივე ზემოაღნიშნული საფეხური (პალატალიზებული g_i, k_i, k_i და აფრიკატები ḡ, ḥ, ḑ) ერთმანეთის გვერდით არსებობს. ისინი არ არიან ერთმანეთისაგან გამიჯნული. g_i და ḡ, k_i და ḑ, ან k_i და ḑ შეიძლება ერთსა და იმავე სიტყვაში შეგვხვდეს, ხშირად ერთსა და იმავე მთქმელთან. ასე, გვხვდება: k_iḥb_i-ც და ḥḥb_i-ც, ḡm_i და ḡm_i, ḡm_i და ḡm_i (ḡ-ც) და მისთ. ეს იმაზე მიუთითებს, რომ g, k, k-ს პალატალიზაციის პროცესი ამჟამად მიმდინარეობს, ფებს იკიდებს ენაში, მაგრამ ჯერ არ დამთავრებულა: პალატალიზებულ თანხმოვანთა აფრიკატიზაციას საყოველთაო ხასიათი არა აქვს. პალატალიზაციის აღნიშნული ფაქტები წერის დროს ჯერ კიდევ არ იჩენს თავს: ურმიელი ამბობს ḥḥb_i, მაგრამ წერს ḥ-ს ნაცვლად k-ს — 𐎡𐎢 (თუმცა, როგორც ვიცით, ნესტორიანულ დამწერლობაში ḥ-ს აღმნიშვნელი ასოც არსებობს — 𐎡), ამბობს ḡm_i და წერს 𐎡𐎢 (და არა 𐎡𐎢)¹. რაც შეეხება პალატალიზებულ სამეულს — g_i, k_i, k_i-ს, მათთვის სპეციალური ნიშნები არც არსებობს.

სიტყვებში lajba „ამ მხარეს, აქეთ“ და lojba „იმ მხარეს, იქით“ უნდა გვქონდეს პირველადი ḡ-ს გადასვლა i-ში. აღნიშნული სიტყვები შედგენილია შემდეგგვარად: lajba < l (ე. წ. nota dativi) + a (შეკვეცილი ფორმა ჩვენებითი ნაცვალსახელის ḥa-სი — 𐎡𐎢) + ḡb_i „მხარე, გვერდი“ (𐎡𐎢); lojba < იგივე l + o (იქითა მწკრივის ჩვენ. ნაცვალსახელი ḥ) + იგივე ḡb_i (𐎡𐎢). ეს სიტყვები i-ით

¹ პალატალიზაცია წერისას მაშინ ჩანს, თუ იგი სემანტიკურ ნიჟანას კმნის; ი.ბ. გვ. 69—70.

(laiba, luiba) მხოლოდ ზეპირ მეტყველებაში გვხვდება. აქ გ-ს ნაცვალის $i \text{ გ} > \text{გ}i > \text{გ}$ -ს შემდგომ საფეხურს უნდა წარმოადგენდეს.

q-ს პალატალიზაციას არ ვხვდებით. სიტყვა māḡḡāntā (مَغْمَغْمَغَاتُ) „აღმოცენება“ maqianta-ს (مَقِيَانَتَا) გვერდით, რომელიც იმავე მნიშვნელობით იხმარება, არ უნდა წარმოადგენდეს ამ მხრივ გამონაკლისს. ორივე სიტყვა ნაწარმოებია qīna (قِنَا) „მწვანე“-საგან, მაგრამ māḡḡāntā -ში ḡ მიღებული უნდა იყოს არა q-დან, არამედ g-დან, რაც q-ს გამჟღერებით იქნა მიღებული. გ-ს პალატალიზაცია i-ის წინ კი ბუნებრივია.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, პალატალიზაცია მოუდის ველარ ḡ-საც, რის შედეგად რბილი, პალატალი l მოისმის (დაწერილობაში ეს ცვლილება არ ჩანს: ორივე შემთხვევაში არის ḡ). ასე, მაგ.: tā „სამი“ (تَا), მაგრამ tāi „ოცდაათი“ (تَاي); tānā „ნამი“ (تَانَا || تَانَا), მაგრამ tānānā „სინესტე, ნამიანობა“ (تَانَانَا). ზოგჯერ ადგილი აქვს l-ს შემდგომ პალატალიზაციასაც და მაშინ l-ის ნაცვლად i მოისმის.

აღნიშნულ თანხმოვანთა პალატალიზაციას ორ შემთხვევაში აქვს ადგილი:

(1) პალატალიზაციას იწვევს უმეტესად პალატალი ბგერები i და i, უფრო იშვიათად პალატალიზებული ხმოვნები — ā , ū , ū ან მათი გრძელი სახეობანი. ასე, მაგალითად: kā , $\text{č} < \text{kā}$ (كَا), dūḡā „სიცრუე“ < (دَاوَا), rākiāwā „მხედარი“ (رَاكِيَاوَا), māḡā „ნამგალი“ (مَاغَا);

(2) g, k, ḡ თანხმოვნები პალატალიზაციას განიცდიან გარკვეულ პოზიციაში, კერძოდ, სიტყვის დასაწყისში, თუნდაც სიტყვა არარბილტემბრიანი იყოს: kāḡā „ლატაკი“ (كَاغَا), kāḡā „მწიფე“ (كَاغَا), ḡāḡā ! „შეხედე!“ (غَاغَا) და სხვ.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია ისეთი შემთხვევები, როდესაც თანხმოვანთა პალატალიზაცია სემანტიკურ ნიუანსს ქმნის: ერთი და იგივე სიტყვები, ერთი და იმავე თანხმოვნების შემცველი, შინაარსობლივ სხვაობას გვიჩვენებენ, თუ ერთ სიტყვაში არაპალატალიზებული ან ნაკლებად პალატალიზებული, ხოლო მეორეში მეტად პალატალიზებული თანხმოვანია. ასე, მაგალითად: ḡānā „მოიპარა“

(მამრ.) და ḡnivli „მოიტაცა“ (მამრ.) (𐌆𐌆𐌆𐌆 და 𐌆𐌆𐌆𐌆 < Vgnb). მოცემულ სიტყვათა ერთმანეთთან შედარება ცხადყოფს, რომ ამ სიტყვათა სემანტიკური დიფერენცირება ახალი ფაქტია, რისთვისაც გამოყენებულია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფონეტიკური მოვლენა. ამგვარად, ზოგჯერ პალატალიზაციის შედეგად მიღებულ ბგერებს ფონემური ღირებულება აქვთ (kǝlǝxǝ || ʒǝlǝxǝ „ძალი“, მაგრამ ḡǝniv და აქედან მიღებულ ḡǝniv-ს შორის ტოლობის ნიშანს ვერ დაეწერთ, თუმცა ასეთი სიტყვებით გამოხატული ცნებები ერთმანეთთან ახლო დგას: „იპარავს“ და „იტაცებს“).

თ ა ვ ი VIII

სპირანტიზაცია

ჩრდილო სემიტური ენებისათვის დამახასიათებელია ხმოვნის შემდეგ ხშული თანხმოვნის ნაპრალოვანი წარმოთქმა ანუ სპირანტიზაცია, თუ ეს ხშული გაორკეცებული არ არის. ხშული თანხმოვნის სპირანტული (ნაპრალოვანი) წარმოთქმა შედეგია ამ თანხმოვნის ასიმილაციისა წინამავალ ხმოვანთან ნაპრალოვნობის მხრით: ხმოვნის წარმოთქმისას საჭირო ღიაობა ხმოვნის შემდეგ წარმოსათქმელი თანხმოვნის დროსაც მთლიანად არ ისპობა, სრული ხშვა არ ხდება. თანხმოვნები, რომლებიც აღნიშნულ პოზიციაში სპირანტიზაციას განიცდიან ჩრდ. სემიტურში, შემდეგია: წყვილბაგისმიერი ხ და p, კბილბაგისმიერი ḍ და t, სასისმიერი ḡ და k — სულ ექვსი თანხმოვანი. ამ თანხმოვანთა სპირანტიზებულ სახეობებს ტრანსკრიპციაში პორიზონტალური შტრიხით აღნიშნავენ ასოს ზემოთ. ან ქვემოთ: ხ და ḵ, p და Ṗ, ḍ და ḍ̄, t და ṭ, ḡ და ḡ̄, k და ḵ̄ (აქედან პირველი ხშულებს გადმოსცემენ, მეორეი — მათ სპირანტიზებულ სახეობებს). მოცემულ თანხმოვანთა ორგვარ წარმოთქმას ებრაელები და არამეელები ადვილად არჩევენ, რასაც სპეციალური ნიშნებით გრაფიკულადაც გამოხატავენ¹.

ებრაულსა და არამეელის ძველ დიალექტებში სპირანტიზაცია იმდენად ცოცხალი მოვლენა იყო, რომ ფლექსიის დროს, იმისდამხედვით ძირეული თანხმოვანი ხმოვანს მისდევდა თუ არა, იცვლებოდა ამ თანხმოვნის წარმოთქმა: იგი ხან ხშული იყო, ხან ნაპრალოვანი. ასე, მაგალითად, ებრაულში: meleḵ „მეფე“, მაგრამ — malkī „ჩემი მეფე“, ძირეულებია m l k; სირიულში: d̄mak „დაწვა“

¹ იხ. თ. XIII: „კითხვის ნიშნები“, გვ. 90—91.

(მამრ.), მაგრამ demkeŋ „დაეწეკი“, ძირეულებია d m k. თანხმოდანთა ასეთი მონაცვლეობა (მონაცვლეობა თანხმოდანის ხშულ და სპირანტიზებულ სახეობათა შორის) წარმოადგენს სპირანტიზაციის არსს.

თანამედრ. ასურულში სპირანტიზაციის წესი დღეს აღარ მოქმედებს: თანხმოდანთა ზემოაღნიშნულ მონაცვლეობას ადგილი აღარ აქვს. მაგრამ მოცემული, ენის განვითარების ადრეულ საფეხურებზე სპირანტიზაცია ისეთივე ცოცხალი და ძლიერი მოვლენა იყო, როგორც არამეულის ძველ დიალექტებში. ამის კვალი ენამ შემოინახა. იგი მდგომარეობს ზოგიერთი ბგერის გადაწევისა და დაკარგვაში.

ბგერათგადაწევა შეეხო ოთხ თანხმოდანს: b, p, g და k-ს. ენაში ოდესღაც არსებული სპირანტიზაციის შედეგად ბილაბიალები b და p ლაბიოდენტალურ სპირანტებში v-სა და f-ში გადაიწია. როგორც ჩანს, სპირანტიზებული ბილაბიალები b და p ნაკლებად მდგრადნი აღმოჩნდნენ და, თუმცა შეინარჩუნეს სპირანტობა, წარმოების ადგილი ინაცვლეს, უკან გადაიწიეს: b > v, ხოლო p > f. იგივე ითქმის პრეველარების g-სა და k-ს მიმართაც: მათ გადაიწიეს პოსტველარ სპირანტებში g-სა და k-ში (g > ǰ, ხოლო k > ǰ) ¹. ამგვარად, ზოგიერთ სიტყვაში ხმოვნის შემდეგ წარმოთქმული სპირანტები v, f, ǰ და ǰ მიუთითებენ იმაზე, რომ აქ ოდესღაც ადგილი ჰქონდა სპირანტიზაციას. ასე, მაგალითად: kitāvā „წიგნი“ < ktābā (كُتَابًا) ², tivli „დაჯდა“ (მამრ.) < itiblih (تِيبْلِي), pagra „სხეული, ხორცი“ < pagra (بَغْرَا), briḥta „კურთხეული“ (მდედრ.) < briktā (بَرِيكْتَا), laḥa „აქ“ < l'akā (لَأَكَا), dmīḥa „დაწოლილი“ (მამრ.) < dmīkā (دَمِيكَا) და სხვ.

სპირანტიზებული p-საგან მიღებული f დაცულია წინამდებელ a-სთან კონტრაქციის შედეგად მიღებულ ო-ში, როგორიცაა uḥšā „სული“ < naḥšā < naḥšā (نَحْشَا), ან დაკარგულია u-ს შემდეგ (შესაძლებელია აქაც კონტრაქციაა, რაც იძლევა u-ს, რომელიც წარმოთქმაში ჩვეულებრივ > ai): rūjšā „მხარი“ < ruḥšā < ruḥšā და rūjštā „ნიჩაბი“ < ruḥštā < ruḥštā. ყველა სხვა შემთხვევაში (ჩვეულებრივ, უცხო სიტყვებშიც) p > f ისევ > p ³. აღნიშნულის გამო p

¹ შდრ. ამავე ბგერათა წარმოთქმა ებრაულში.

² ნესტორიანულ დამწერლობაში სპირანტიზაციას ასოს ქვეშ წერტილის დასმით გამოაჩვენებენ, იხ. თ. XIII: „კითხვის ნიშნები“, გვ. 90—91.

³ f-ს უკუგადასვლა p-ში გაპოწვეულა უნდა იყოს f-ს ნაკლებად მდგრადობით ამ ენაში, რასაც ხელს უწყობს f ბგერის არაორგანულობა არამეულისათვის.

ისმის იქ, სადაც ბგერათგადაწევის შედეგად f-ს უნდა მოველოდეთ. მაგალითად: lipil „სწავლული“ < ilipā (لِپِیَا), haripa „მანვილი, გალესილი“ (მამრ.) < harripā (حَرِیپَا), niyula „შერცხვა“ (მდედრ.) < niyūlāh (نِیُولَاه) და სხვ.

აღსანიშნავია, რომ კონტრაქცია მოუდის v თანხმოვანსაც წინამავალ a-ბმოვანთან, თუ v მარცვალს ხურავს. ამ წესმა გამონაკლისი არ იცის. ასე, bit lōšin „ჩაიცვამ“ (მამრ.) < bit lūvšin < bit labšin (بِیْتُ لَوْشِین), orānā „შემსვლელი“ (მამრ.) < ‘āvraūā < ‘ābrānā (اَوْرَانَا), sōtīl „ღელაბერი“ < silvtil < savtā (سَوْتِیْل), ასევეა უცხოურ სიტყვებშიც: gōra „ნაცრისფერი“ < gavra < ქურთ. gaver, sōgūl „საყვარელი, ძვირფასი“ < თურქ. sevgili.

რაც შეეხება დენტალებს d-სა და t-ს, ისინი სპირანტიზაციის შედეგად არ გადაწეულან სათანადო სპირანტებში, როგორცაა z და s, არამედ, უმეტესად, ხმოვნების შემდეგაც ხშულებად d-დ და t-დ წარმოითქმიან. ასე, მაგალითად: mitlā „მოკვდა“ (მდედრ.) < mitlāh (مِیْتُ لَاه), brāta „გოგო“ < brātā (بَرَاتَا), itlix „მაქვს, მყავს“ < ‘itlii (اِیْتِیِی), sitvā „ზამთარი“ < sitvā (سِیْتُوَا) და სხვ. აქ იმავე შემთხვევას აქვს ადგილი, რაც p-სთან იყო, ე. ი. d, t სპირანტიზაციის გამო > d, t, მაგრამ ასურულმა ამ ბგერათა არტიკულაცია ვერ შეინარჩუნა და d, t ისევ ხშულ მდგომარეობას დაუბრუნდნენ (> d, t), თუმცა ასე არ არის ყოველთვის. ზოგიერთ სიტყვაში სპირანტიზებული დენტალები d და t სავეებით დაკარგულია. ასე, მაგალითად: hā „ერთი“ < hād (حَاد), qam „წინ, წინაშე“ < qadm (قَادِم), bar „შემდეგ, უკან“ < baṭr (بَاتِر), qāi „რემთვის“ < qāiī (قَائِی), მრავლობითი რიცხვის დაბოლოება — āi < āti (اِی), მაგ. ahuvāi „ძმები“ || ahuvāti, rigiṣvāi „მსახურები“ || rigiṣvāti... ამ უკანასკნელ შემთხვევაში d, t გადადის d, t-ში, ხოლო შემდეგ სულ იკარგვის. აქ თანხმოვანი, რომელიც ხმოვანს მოსდევდა, იმდენად დაემსგავსა მას, რომ ნაპრალი გაიზარდა და ჩქამის შემქმნელი პირობა მოიშალა; სპირანტი წინამავალ ხმოვანში „გაითქვიფა“. ხმოვნის შემდეგ ხშულის დაკარგვა ამ ხშულის სპირანტიზაციის უკანასკნელი საფეხურია.

სპირანტიზაციით უნდა აიხსნას g-ს დაკარგვაც სიტყვებში: sāda „ნუში“ < sāgdā < sāgdā (سَادَا), rayūla „ვაკი“ < ragūla < ragūlā (رَاوُولَا).

ამგვარად, ბგერათდაკარგვა ზოგჯერ ისევე, როგორც ბგერათ-
გადაწევა, სპირანტიზაციის კვალს წარმოადგენს ენაში.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ასურულში სპირანტები გვხვდება
თანხმოვნის, ხოლო ხშულები ხმოვნის შემდეგაც. პირველ შემთხვე-
ვაში საქმე გვაქვს მახვილის ზეგავლენით სპირანტის წინამავალი
ხმოვნის დაკარგვასთან: *nvijā* „წინასწარმეტყველი“ < *nʿvijā* (𐎎𐎠𐎹𐎠).
lvistā „ტანსაცემელი“ < *lʿvistā* (𐎠𐎺𐎠𐎹𐎠), *ḫvāva* „მეზობელი“ < *ḫʿvā-
vā* (𐎠𐎺𐎠𐎹), *ḫgusjā* „არეულობა“ < *ḫʿgusjā* (𐎠𐎺𐎠𐎹𐎠), *ḫalva* „რძე“
< *ḫalabā* (𐎠𐎺𐎠𐎹), *hatha* „ასე, ამგვარად“ < *hāda + kā* (𐎠𐎺𐎠𐎹),
ან იმავე ძირის სხვა სიტყვების ანალოგიასთან, როდესაც მოცემულ
თანხმოვანს ხმოვანი უსწრებს¹. ასე, მაგალითად: *iurḫa* „სიგრძე“
(𐎠𐎺𐎠𐎹) < *iurkā*, შდრ. *iāriḫ* < *iāriḫ* (𐎠𐎺𐎠𐎹) „გრძელდება“; *glvirtā*
„გათხოვილი“ (მღერ.) < *gbirtā* (𐎠𐎺𐎠𐎹), შდრ. *glāvir* < *gābir*
„ქორწინდება“ (𐎠𐎺𐎠𐎹); განსაკუთრებით ხშირად ზმნაში: *dviqu*
„დაიჭირა“ (მამრ.) < *dbiqli* (𐎠𐎺𐎠𐎹), შდრ. *bdōqu* „დავიპერ“
(მამრ.) < *bit davqin* (𐎠𐎺𐎠𐎹), *bkātvan* „დაწვერ“ (მღერ.)
< *bit kātvan* (𐎠𐎺𐎠𐎹), შდრ. *kituv* „დაწერე“; *bit nāsvān*
„დავრგავ“ (მღერ.) < *bit nāsvān* (𐎠𐎺𐎠𐎹), შდრ. *nsivā* „დარ-
გო“ < *nšiblāh* (𐎠𐎺𐎠𐎹) და სხვ.

მეორე შემთხვევაში (ხშული ხმოვნის შემდეგ) ადგილი აქვს ან
დიფთონგის კონტრაქციას, ან გემინირებული თანხმოვნის გამარ-
ტივებას, გემინატის დაკარგვას. არ არის აქ გამორიცხული პირველ
შემთხვევაში აღნიშნული ანალოგიებიც. ასე, მაგალითად: *sēpa* „ხმა-
ლი“ < *saipā* (𐎠𐎺𐎠𐎹), *mōtā* „სიკედელი“ < *mautā* (𐎠𐎺𐎠𐎹), *sēdā*
„ნადირობა“ < *šaidā* (𐎠𐎺𐎠𐎹); *dibā* „დათვი“ < *dibbā* (𐎠𐎺𐎠𐎹), *ḫūbā*
„სიყვარული“ < *ḫubbā* (𐎠𐎺𐎠𐎹), *libā* „გული“ < *libbā* (𐎠𐎺𐎠𐎹), *gūj-
dā* || *gūmā* „კედელი“ < *guddā* (𐎠𐎺𐎠𐎹), *rākīāvā* „მხედარი“ < *rak-
kābā* (𐎠𐎺𐎠𐎹), *glzābin* „ყიდის“ (მამრ.) < *ki zabbin* (𐎠𐎺𐎠𐎹)

¹ გამონაკლისს წარმოადგენს აქ *kūhvā* || *kihvā* „ვარსკვლავი“ (𐎠𐎺𐎠𐎹)
< *kabkʿhā*, სადაც კონტრაქციის შედეგად მიღებული ო-ს (რომელიც > u, i)
შემდეგ გიხვდება სპირანტი *ḫ* (< *k* < *k*).

(შლრ. gīzāvin „ყიდულობს“ (მამრ.) < kī zābin (كِيْ زَابِيْن), სადაც მეორე ძირეული ს ისტორიულად გაორკეცებული არ არის და ამიტომ ხმოვნის შემდეგ გადადის ჯერ ხ-ში, ხოლო შემდეგ v-ში); ანალოგიით უნდა აიხსნას ისეთი შემთხვევები, როგორიცაა: bar-hin „ვაკურახები“, ძირისაგან brk (შლრ. burihli, სადაც k-ს წინ ხმოვანია), d̄viri „დაკეტა“ (მამრ.), ძირისაგან dbr (შლრ. bdāvriin > bdōriin „დავკეტავ“, სადაც ხმოვანი ხ-ს წინ გვაქვს), thira „გაახსენდა“ (მღერ.), ძირისაგან dkr (შლრ. bdahra „გაახსენდება“) და მისთ.

ხმოვნის შემდეგ ხშული დაცულია ზოგჯერ მაგარ ტემბრში: uprā „მიწა; ქვეყანა“ < aprā (اَپْرَا), ābētā „მოსასხამი“ < ābajitā (اَبَايْتَا), supā „თითი“ < sibā (سِبَا), sādriā „მკერდი“ < sadrā (سَادْرَا), iāḥāiā „მცოდნე“ (მამრ.) < iādānā (اِيَادَانَا).

ხშული დაცულია მაშინაც, როდესაც იგი მორფოლოგიური ფუნქციითაა დატვირთული. ასეა, ჩვეულებრივ, მღედრობითი სქესის ნიშანი t, ან იგივე t კრებითი და აბსტრაქტული სახელების მაწარმოებელ ūtā-ში. მაგალითად: suūūtā „დედალი მერცხალი“ (سُوُوُوُوَاتَا), puqita „ბაყაყი“ (მღერ.) (پُوُقِيْتَا), ḥoravaiūta „ამხანაგობა“ (حُوْرَاوَايُوُوَاتَا), ḡvanqūta „ახალგაზრდობა“ (غُوْوَانْقُوُوَاتَا), bānūtā „მშენებლობა“ (بَانُوُوَاتَا) და სხვ.

თანხმოვანი t დაცულია verbum existentium-ში: it „არის, არსებობს“ (اِت) და lit „არ არის, არ არსებობს“ (لِت).

ხშულები ხმოვნის შემდეგ დაცულია უცხოურ სიტყვებშიც, ე. ი. სპირანტიზაციას აქ ადგილი არა აქვს. ასე ziblā „ნაგავი“ < ქურთ. zēbel (زَيْبَل), vāgon „რონოლა“ (وَاغُوْن) < რუს. вагон, pāgiā „თავლა“ (پَاغِيَا) < სპარს. پَاغِيَا, vākil „წარმომადგენელი, ვეჟილი“ (وَاكِيْل) < თურქ. vekil, āḡibūta „გაკვირება“ (اَغِيْبُوُوَاتَا) < არაბ. اَعْجَبَ.

ზოგჯერ ხშულთა სპირანტიზაციით მიღწეულ სიტყვათა აკუსტიკურ დიფერენციაციას (ერთგან ხშული, მეორეგან სპირანტი) უკავშირდება ამ სიტყვათა სემანტიკური დიფერენციაცია (შლრ. ზემოაღნიშნული gīzāvin „ყიდულობს“ და gīzābin „ყიდის“, ორივეგან ძირეულებია zbn, bit bārik „დაიჩოქებს“ და bit bāriḥ „აკურთხებს“, ძირეულებია ორივეგან brk). აღნიშნული გარემოება

უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ სიტყვაში $\text{ā}i\text{v}\text{ā}$ „ლრუბელი“ (لرْبَلِي) v ($< \text{h}$) დიფთონგის შემდეგაა, რადგან ამის გვერდით ასურულში არის იმავე თანხმოვნების შემცველი მეორე სიტყვა — $\text{ā}i\text{h}\text{ā}$ (لرْبَلِي) „სირცხელი“.

თ ა ვ ი IX

დისიმილაცია

ბგერათა დისიმილაციის (განმსგავსების) შემთხვევები ასურულში ბევრად უფრო ნაკლებია, ვიდრე მისი საპირისპირო ფონეტიკური მოვლენის — ბჟერათა ასიმილაციის (დამსგავსების) შემთხვევები.

ბგერათა დისიმილაციისას უნდა გაირჩეს მისი ორი სახე: 1) დისიმილაციის პროცესის შედეგად ორი მსგავსი ბგერის ნაცვლად განსხვავებულ ბგერათა მიღება (ასე, მაგ., ქართ. ორარი $>$ ოლარი) და 2) იმავე პროცესის შედეგად ორი მსგავსი ბგერიდან ერთის დაკარგვა (მაგ. ქართ. მგრგული $>$ მრგვალი). პირველ შემთხვევას ჩვეულებრივ დისიმილაციას უწოდებენ, მეორეს — ბგერის დისიმილაციურ დაკარგვას. დისიმილაციის შედეგად შესაძლებელია მთელი მარცვლიც ამოვარდეს (მაგ., მინერალოგია $>$ მინერალოგია). ასეთ შემთხვევაში ლაპარაკობენ ჰაპლოლოგიურ დაკარგვაზე ან მოკლედ — ჰაპლოლოგიაზე. ამდენად, დისიმილაციაში ფართო გაგებით ვგულისხმობთ საკუთრივ დისიმილაციას და დისიმილაციურ ბგერათდაკარგვას (ჰაპლოლოგიის ჩათვლით).

ასიმილაციის მსგავსად, დისიმილაციაც შეიძლება იყოს კონტაქტური (უშუალო მეზობლობაში) და დისტანციური (შორეულ მეზობლობაში), პროგრესული (ბგერის წინაშეაღმართისგან განმსგავსება) და რეგრესული (ბგერის მომდევნოსაგან განმსგავსება).

დისიმილაციას (ჩვეულებრივი გაგებით) ადგილა აქვს როგორც ბგერის წარმოების ადგილის, ისე ბგერის სიძლერე-სიყრუისა თუ ემფატიკურობის მიხედვით (ეს უკანასკნელი — ისტორიულად).

განსაკუთრებით ხშირია თანხმოვანთა დისიმილაცია მათი წარმოების ადგილის მიხედვით. როგორც წესი, ამ სახის დისიმილაცია გვხვდება სონორებში¹. სონორები, ასეთ

¹ შდრ. სონორთა განსაკუთრებული ტენდენცია ასიმილაციაში; იხ. თ. V: „ასიმილაცია“, გვ. 47—48.

შემთხვევაში გამოდიან არა მარტო დისიმილირებად (დისიმილა-
ციის განმცდელ) თანხმოვნებად, არამედ დისიმილატორებადაც (დი-
სიმილაციის გამომწვევ თანხმოვნებად). ამგვარად, სონორები, იც-
ვლიან რა სონორთავე გავლენით წარმოების ადგილს, უმეტეს შემ-
თხვევაში, სონორებადვე რჩებიან. აქედან დისიმილაციას განსაკუთ-
რებით ხშირად განიცდის r და l. ასე, რეგრესულად: r > l:
dulġar (دولج) „დურგალი“ <სპ. durgar¹, šalvar دُولجُ
„შარვალი“ <სპ. šalvar², orarium> olaria „ოლარი“ (ასევე სირი-
ულშიც — olaria); l > n: tātīl (تاتيل) „ტანტალი, ხეტიალი“
<talīl <გაორკეც. Vtī, zīlzil (ذيل) „შერხევა, დაზანზარება“
<zalzil <გაორკეც. Vzī; l > r: darqul (دورقول) „წინააღმდეგ,
საპირისპიროდ“ <dalqul <dalqubī; პროგრესულად: r > l:
mārīl (ماريل) „მწარე იყო; გამწარდა“ <სახელიდან marīra
„მწარე“ (مَرِيْرَة), r > n: mārglānīta „მარგალიტი“ <ბერძნ. mar-
garitē (μαργαριτη). გვხვდება n და m-ს დისიმილაციის შემთხვევ-
ებიც; ასე, n > l: lišanqa (ليشانقا)³ „ნიშანი“ <nišanqa, n > r: tre
„ორი“ (ترين) <trēn <*tūcū⁴, n > b: zōnā „დრო“ (زونا) <zabnā
<ბიბლ. არამ. zīmūā (<აქად. simānu), māni || bāni „თვლა“
(بانت), ამოსავალია māni. ყველა ეს შემთხვევა — რეგრესულ დისი-
მილაციას განეკუთვნება.

სხვა თანხმოვანთა დისიმილაციის შემთხვევები უაღრესად იშვია-
თადაა: ველარი q > t წინამავალი q-ს გამო სიტყვაში zarqūta
(زرقوتة) „კრაზანა“ <ქურთ. zarqeq, ალვეოლარი k > k წინამა-
ვალი k-ს გამო სიტყვაში — šikvānā (شيكوانة) „ქიანქველა“ <šis-
vānā.

თანხმოვანთა დისიმილაციის აღნიშნული შემთხვევები, თითქმის
ყველა, დისტანციურ დისიმილაციას განეკუთვნება (გამონაკლისია

¹ შდრ. ამას ქართ. „დურგალი“, სადაც დისიმილაცია პროგრესული მი-
მართულებით მოხდა.

² შდრ. ქართ. „შარვალი“, სადაც იგივე მდგომარეობაა, რაც „დურგალ“-ში.

³ წერენ ليشانقا-საც.

⁴ აღნიშნული დისიმილაცია საერთოარამეულია.

zōmā < zaḥmā, რომელიც ბიბლ. არამეული zimmā-დან მიღებულად იგარაუდება). ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევათა უდიდესი ნაწილი რეგრესული დისიმილაციის მაგალითებია.

დისიმილაცია თანხმოვნის ხასიათის (სიძლეერესიყრუისა თუ ემფატიკურობის) მიხედვით ბევრად უფრო ნაკლებია, ვიდრე ზემოგანხილული დისიმილაციის შემთხვევები (დისიმილაცია ბგერის წარმოების ადგილის მიხედვით). ასე, მაგალითად, მომდევნო თანხმოვნის გამო მკლერი დაყრუედა სიტყვებში: *klilndir* „ტრიალებს, ბრუნავს“ (كَلْدَانِدِير) < *gnḏr, qaribāia* (قَرِيبَايَا) „უცხო, ყარიბი“ < არაბ. *garīb*.

აქ ცალკე გამოსაყოფია შემთხვევები, როდესაც დისიმილაციურად ადგილი აქვს ფშვინვიერის გამკვეთრებას. ასურულში დაკანონებულია ბგერათცვლილების ის შემთხვევა, რისადმიც ძლიერია ტენდენცია თითქმის ყველა ენაში (ინდო-ევროპული, თურქული): ყრუ სპირანტის შემდეგ ფშვინვიერი თანხმოვანი შესატყვის მკვეთრში გადადის: მაგ. *ht* > *ht*: *baḥta* „ქალი; ცოლი“ (بَحْتَا), *ḥaḥta* „კიდევ ერთი, ერთიც“ < *ḥa ḥta* < *ḥa ḥita* (სადაც *t* არ არის გამკვეთრებული) (حَحْتَا); *ḥp* > *ḥp*: *ḥpira* „გათხარა“ (მკლერ.) (حَپِيرَا) < *ḥpira*; *st* > *st*: *masta* „მაწონი“ (مَسْتَا) < *mastā*; *sk* > *sk*: *skinta* „დანა“ (سَكِينْتَا) < *skintā*; *šk* > *šk*: *āškāra* „აშკარა, ცხადი“ (أَشْكَارَا) < *aškārā* < სპ. *aškare* და მრავალი მისთ.

ასეა ჩვეულებრივ კონტაქტურ მდგომარეობაში, თუმცა ზოგჯერ იმავე მოვლენას ადგილი აქვს შორეულ მეზობლობაშიც (არა უშორეს ერთი მარცვლისა): *šapira* „ლამაზი“ < *šapira* (شَپِيرَا).

თუ სპირანტს ფშვინვიერი თანხმოვანი უსწრებს, ფშვინვიერის გამკვეთრებას ადგილი არ ექნება (ასეთი კომპლექსი ბუნებრივია და ამიტომ მასში ბგერათცვლილება არ ხდება): *ḥt*, მაგრამ *tḥ* (და არა *tḥ*), *šp* > *šp*, მაგრამ *pš* (და არა *pš*) და მისთ. ამგვარად, სპირანტის მეზობლობაში აუცილებელია ფშვინვიერის გამკვეთრება, თუ ეს უკანასკნელი სპირანტს მოსდევს. ეს მოვლენა ასურულისათვის ფონეტიკურ კანონს წარმოადგენს. რადგან ამ მოვლენის შედეგად ორი ფშვინვიერის ნაცვლად (ყრუ სპირანტები ფშვინვით წარმოითქმინან, ე. ი. ფაქტიურად ფშვინვიერებია) ერთი მკვეთრში გადადის და ამის აუცილებელი მიზეზი მისი წინამავალი ყრუ სპირანტია (ე. ი. თანხმოვანი, რომელსაც მომდევნოსთან საერთო ჰქონდა ასპირაცია), ამიტომ ამ ფონეტიკურ კანონს დისიმილაციური გამკვეთრების კანონს ვუწოდებთ.

ამგვარად, დისიმილაციიდან ბგერის ხასიათის (რაგვარობის) მიხედვით ყველაზე გავრცელებულია თანხმოვანთა დისიმილაციური გამკვეთრება.

დისიმილაციური დაკარგვა და ჰაპლოლოგია. ასურულში, სინ-ჰარმონიზმის ენაში, ბგერათა დისიმილაციური დაკარგვა შესამჩნევად სკარბობს ბგერათა ჩვეულებრივ დისიმილაციას.

ბგერათა დისიმილაციური დაკარგვის რამდენიმე შემთხვევა უნდა გაირჩეს. სახელდობრ: ა) ბგერათა დისიმილაციური დაკარგვა გაორკეცებულ ძირებში, ბ) ბგერათა დისიმილაციური დაკარგვა გემინირებულ თანხმოვნებთან, გ) ბგერათა დისიმილაციური დაკარგვა აფიქსაციის დროს.

ბგერათა დისიმილაციური დაკარგვა გაორკეცებულ ძირებში სემიტურისათვის საერთოდ დამახასიათებელი და საკმაოდ ძველი მოვლენაა. გაორკეცებულ (რედუპლიცირებულ) ძირებში (ჩვეულებრივ ორთანხმოვნიან რედუპლ. ძირებში) ერთ-ერთი ძირეული იკარგება, რის შედეგადაც მიიღება სამთანხმოვნიანი ძირი: šilšiltā „ჯაპვი“ (𐎲𐎺𐎠𐎵) < šilšiltā — რეგრეს. დისიმილაც. დაკარგვა, hālil „იბანს (ხელ-პირს, ტანს)“ (𐎲𐎠𐎻) < halhil — პროგრეს. დისიმილაც. დაკარგვა. hālil -ის გვერდით იხმარება მისი ამოსავალი ფორმა halhil ოდნავ განსხვავებული მნიშვნელობით — „ჩამორეცხვა (ნაპირისა მდინარის ან ნიაღვრის მიერ)“ < გაორკეც. Vhl .

გემინირებულ თანხმოვანთაგან ერთი ყოველთვის იკარგვის: libā „გული“ (𐎵𐎺) < libbā , hūāra „თეთრი“ (𐎲𐎠𐎺) < hiy-ūārā , dība „მხეცი“ (𐎠𐎺) < dibbā და სხვ.

ასევე სრული ასიმილაციის შედეგად მიღებულ ორ იდენტურ თანხმოვანთან: ერთი მათგანი დისიმილაციურად იკარგვის. ასე, მაგ.: šitā „წელიწადი“ < šittā < šintā (𐎲𐎺𐎠), gībā „მხარე, გვერდი“ < gibbā < ginbā (𐎲𐎺) და სხვ.¹

ჩვეულებრივია ხ || bi პრეფიქსის დაკარგვა ძირებთან, რომელთა თავკიდური თანხმოვანი ხ ან p არის. ასე, მაგალითად: bēta „სახლი“ და ამავე დროს — „სახლში“-ც. ეს უკანასკნელი < bbēta (𐎲𐎺𐎠); prāqeli „ამთავრებს“ (მამრ.) < biprāqeli (𐎲𐎠𐎺𐎠𐎵) და სხვ.

მარცვლის დისიმილაციური დაკარგვით — ჰაპლოლოგიით მიღებულია: qāša „მღვდელი“ (𐎵𐎺) < qaššā , qalta „ფუნა“

¹ იხ. აგრეთვე თ. V: „ასიმილაცია“, გვ. 44—48.

(𐌆𐌿𐌸) < q̄c̄qaltā, p̄iqa „ბაყაყი“ (𐌆𐌿𐌸) < p̄iqaqā, tinā „ქვამლი“
 (𐌆𐌿𐌸) < tenānā, āriā „ლომი“ (𐌆𐌿𐌸) < ʾariaiā, hāiā „ცოცხალი“
 (𐌆𐌿𐌸) < h̄aiiāiā და სხვ.

სისტემურია ნამყო უწყვეტელ კონკრეტულში ნამყო დროის ენ-
 კლიტიკის va-ს (𐌆𐌿𐌸) წინ av || ev მარცვლის ამოვარდნა I და II
 პირის ფორმებში: biktāvevinvā > biktāvinvā (მხ. რ. I პ. მამრ.)
 „ეწვრიდი“, biktāvevñhvā > biktāvñhvā (მრ. რ. I პ.) „ეწვრიდით“
 და ა. შ.

თ ა ვ ი X

ბგერათდაქარგვა

ასურულში ბგერათდაქარგვა სხვადასხვა ხასიათისაა. იგი შეიძ-
 ლება იყოს რომელიმე ფონეტიკური ან მოცემული ბგერის ფიზიო-
 ლოგიური სისუსტის შედეგი. ბგერათდაქარგვა ზოგჯერ გამოწვე-
 ულია მოცემული ბგერის პოზიციით (ადგილით) სიტყვაში: ესა თუ
 ის ბგერა სიტყვის თავში ან ბოლოში ადვილად იქარგვის. ასეთ
 შემთხვევაში ადგილი აქვს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ბგერათა პო-
 ზიციურ დაქარგვას.

ჩვენ უკვე გავცანით ბგერათდაქარგვის ისეთ შემთხვევებს, რომ-
 ლებიც გარკვეულმა ფონეტიკურმა პროცესებმა გამოიწვიეს. ასე, მა-
 გალითად, ზევით¹ საუბარია ბ გ ე რ ა თ და ქ ა რ გ ვ ა ზ ე, რ ო გ ო რ ც
 თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ თ ა ს პ ი რ ა ნ ტ ი ზ ა ც ი ი ს ე რ თ-ე რ თ კ ვ ა ლ ზ ე
 ასურულში. იქვე მოცემულია ბგერათდაქარგვის სათანადო მაგა-
 ლითები.

ბგერათდაქარგვაზე დისიმილაციის შედეგად, რომელსაც დისი-
 მილაციურ დაქარგვას (თუ საქმე ერთ ბგერას შეეხება) ან
 ჰაპლოლოგიას (თუ საქმე მარცვალს შეეხება) უწოდებენ, საუ-
 ბარია IX თავში².

ამდენად, ამ თავში ჩვენ ბგერათდაქარგვის ისეთ შემთხვევებს
 შევხებით, რომლებიც არ წარმოადგენენ ჩვენ მიერ უკვე განხი-
 ლული ფონეტიკური პროცესების შედეგს.

ბგერათდაქარგვა როგორც ბგერათა სისუსტის შედეგი. ასუ-
 რულში გლოტალები³ (ღ) და ლ (თ) სუსტი ბგერებია. ეს სისუსტე

¹ იხ. თ. VIII: „სპირანტიზაცია“, გვ. 72—73.

² იხ. თ. IX: „დისიმილაცია“, გვ. 78—79.

გამოიხატება მათი წარმოთქმისათვის საჭირო ხორხისმიერი არტიკულაციის (სახმო სიმების გარკვეული მდგომარეობის) მოშლაში, რაც, რაღა თქმა უნდა, გლოტალების დაკარგვას იწვევს. გლოტალების დაკარგვა არ არის განსაზღვრული რაიმე ადგილით სიტყვაში. ისინი იკარგვიან სიტყვის ყოველ ნაწილში: ანლაუტშიც, ინლაუტშიც და აუსლაუტშიც. ჩვეულებრივია ²-ს დაკარგვა. იგი, ორიოდ შემთხვევის გარდა¹, ყველგან იკარგვის. ასე, მაგ.: ანლაუტში: atūta „ასო“ < ³atūtā (اَتُوْتَا), ahūna „ძმა“ < ³ahūnā (اَهْوِنَا), ikīā „სად?“ < ³ēka < ³aikā (اَيْكَا), alā „ღმერთი“ < ³alāhā (اَلْاِهْ), āna „მე“ < ³ānā (اَنَا), alpā „ათასი“ < ³alpā (اَلْاَلْفَا); ინლაუტში: divā „მგელი“ < ³di'bā (دِيْبَا), hirā „ჰე“ < ³bi'rā (بِيْرَا), rišā „თავი“ < ³ri'šā (رِيْشَا). აუსლაუტში ³ არ გვხვდება ძველ არამეულ დიალექტებშიც².

h იკარგვის ანლაუტში: პირის ნაცვალსახელებში av „იგი“ (მამრ.) და ai „იგი“ (მდედრ.) < hav და hai (هَوْ და هَي), aḥa „ასე, ამგვარად“ < haḥā (اَحَا), vili „დაიბადა“ (მამრ.) < hvili (هْوِيلِي), va „იყო“ < h'vā (هَوَا) ...; ინლაუტში: bāra „სინათლე“ < baḥrā (بَاْحَرَا), nāra „მდინარე“ < naḥrā (نَاْحَرَا), sāra „მთვარე“ < saḥrā (سَاْحَرَا), adīa „ახლა, ამჟამად“ < ³ādīhā (اَدِيْهَا), lāia „ალი (ცეცხლის)“ < lāhā (لَاهَا)³...; აუსლაუტში: ნაცვალსახელოვანი სუფიქსების āh და ih-ის თანხმოდნური ელემენტი h, რომელიც აბსოლუტურ აუსლაუტშია, არ წარმოითქმის: mīlī „მიალწია“ (მამრ.) < mīlīh (مِيْلِيْه), qriā „წაიკითხა“ (მდედრ.) < qri-lāh (قْرِيْلَاه), lkisli „მასთან“ (მამრ.) < lkislih (لَكِيْسْلِيْه), itlā „აქვს, ჰყავს“ (მდედრ.) < itlāh (اَيْتْلَاه)

გლოტალებთან აღნიშნული თვალსაზრისით ახლო დგას i (ا) და u (و). i ანლაუტში იკარგვის, თუ მას ხმოვანი არ მოსდევს (ან

¹ იხ. თ. II: „თანხმუნები“, გვ. 33—34.

² გამონაკლისია la²; იხ. იქვე.

³ ამ უკანასკნელ ორ მაგალითში დაკარგული h-ს შემდეგ გაჩნდა i ხმოვნების ერთმანეთისაგან დასაცილებლად: adīha > adīa > adīia და lāhā > lāa > lāia.

ისტორიულად ულტრამოკლე ხმოვანი — შვა ახლავს): $\xi i n t \dot{a}$ „ძილი“ < * $\xi i n t \dot{a}$ < $V i \xi u$ (𐌆𐌿𐌸); ეს მოვლენა კარგად ჩანს ზმნებთან, რომელთაც პირველი ძირეული i აქვთ (verba V^{E}). ამ ზმნებიდან ნაწარმოებ ვნებითის მიმღობებში, ნამყო წყვეტილსა და ბრძანებითში პირველი ძირეული i უხმოვნოა და, ამის გამო — დაკარგული¹. ასე, მაგ.: $lip \dot{a}$ „ნასწავლი“ (მამრ.) < $i lip \dot{a}$ (𐌆𐌿𐌸), $lip \dot{s}$ „ისწავლა“ (მდედრ.) < $i lip \dot{s}$ (𐌆𐌿𐌸), $l \dot{u} p$ „ისწავლე!“ < $i l u p$ (𐌆𐌿𐌸) < $V i l p$; $q \dot{i} d \dot{a}$ „დამწვარი“ (მამრ.) < $i q \dot{i} d \dot{a}$ (𐌆𐌿𐌸), $q \dot{i} d \dot{s}$ „დაიწვა“ (მამრ.) < $i q \dot{i} d \dot{s}$ (𐌆𐌿𐌸), $q \dot{u} d$ „დაიწვი!“ < $i q \dot{u} d$ (𐌆𐌿𐌸) < $V i q \dot{d}$ ². ინლაუტში i იკარგვის V^{E} ზმნების კაუზატივში (ყველა ფორმაში) და V^{Y} ზმნების (ე. წ. ცარიელი ზმნების) ზოგ ფორმაში. ასე, მაგალითად: $m \dot{u} l i p l i$ „ასწავლა“ (მამრ.) < $m u i l i p l i$ (𐌆𐌿𐌸), $m a q \dot{i} d \dot{a}$ „დაწვი იგი!“ (მდედრ.) < $m a i q \dot{i} d \dot{a}$ (𐌆𐌿𐌸); აქ ორივეგან კაუზატივია $i l p$ და $i q \dot{d}$ ზმნებისა. რაც შეეხება V^{Y} ზმნებს, აქ i იკარგვის თბრობითი კილოს ნამყო წყვეტილში და ვნებითის მიმღობებში: $\xi i p l i$ „წაუსვა“ (მამრ.) < $\xi i p l i$ (𐌆𐌿𐌸), $\xi i p \dot{s}$ (მამრ.) და $\xi i p \dot{s}$ (მდედრ.) „წასმული“ (𐌆𐌿𐌸 და 𐌆𐌿𐌸), $q \dot{i} m \dot{a}$ „ადგა“ (მდედრ.), < $q \dot{i} m \dot{a}$ (𐌆𐌿𐌸), $q \dot{i} m \dot{a}$ (მამრ.) და $q \dot{i} m \dot{t} a$ (მდედრ.) „მდგარი“ (𐌆𐌿𐌸 და 𐌆𐌿𐌸). ამ უკანასკნელ შემთხვევაში i -ის დაკარგვა გამოწვეულია მომდევნო i ხმოვნით. აქვე უნდა შეინიშნოს, რომ ინლაუტში დაკარგული i არც სათანადო სიტყვის დაწერილობაში ჩანს.

i -ის აუსლაუტში დაკარგვა იშვიათი მოვლენაა. მას ადგილი აქვს მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როდესაც i -ის მეზობლობაში ხმოვანი აღარ არის (დაკარგულია). ასეა მხ. რიცხვის მეორე პირის მდედრ. სქესის ნაცვალსახელში $a t$ < $^{\text{a}} a n t i$ (𐌆𐌿𐌸), ამავე პირის ნაცვალსახელურ სუფიქსში $a h$ < $^{\text{a}} \dot{a} k i$ (𐌆𐌿𐌸).

u -ს დაკარგვის შემთხვევები უმეტესად ინლაუტში გვხვდება, რის პირობასაც u ხმოვნის უშუალო მეზობლობა წარმოადგენს: $u \dot{u}$ და

¹ წერის დროს i (𐌆) დატულია და ჩვეულებრივ მას $t a l q \dot{a} n \dot{a}$ აწერია (𐌆).

² იხ. აგრეთვე თ. XXII: სუსტი ზმნები.

უნ > უ¹. ასეა ცარიელი ზმნების ბრძანებითში: qumun „ადექით!“ < qumun (მდრ. prugun, p̄tun და მისთ.), ჰუპ „წაუსვი!“ < ჰუპ, ჰურ „გადახტი!“ < ჰურ, რუq „გადააფურთხე!“ < რუq, k̄up „დაიხარე, მოიხარე!“ < k̄up. ასევეა ზმნებთან, რომელთაც შუა ძირეული v აქვთ (ჟ). აქ u-ს წინ v > უ², რომელიც შემდეგ i“უ-ს მსგავსად აღვილად დაიკარგა: ჰუq „გაუშვი!“ < ჰუq < ჰუq, ძიq „დაიპირე!“ < ძუq, luš „ჩაიცივი!“ < l̄uš, dur „დაექტე!“ < dur. დაკარგული უ ჩვეულებრივ არ იწერება (ღაჟჟ, კჟჟ, ჰჟჟ, კჟჟ), მაშინ როცა v სიტყვის დაწერილობაში თითქმის ყოველთვის ჩანს: **ჟჟჟ, ჟჟჟ, ჟჟჟ, ჰჟჟ**.

უ იკარგვის ინლაუტში u-ს შემდეგ, თუ უ მარცვალს ხურავს: h̄uia „წყვიდადი, სიბნელე“ < h̄uia < h̄uia (ჰჟჟჟ || ჰჟჟჟ), gl̄i-r̄iūš „დიდებული“ < glu-r̄iūš < glu-r̄iūš (ჰჟჟჟ || ჰჟჟჟ).

უ-ს დაკარგვის შემთხვევებს აუსლაუტშიც ვხვდებით. ასე, მაგალითად: tuj < t̄u „დაჯექ!“ < tu < tu (ჟჟჟჟ), n̄gu „უსაყველურე!“ < n̄gu (ჟჟჟჟ).

ბგერათა პოზიციური დაკარგვა. თანხმოვანთა დაკარგვის შემთხვევების უდიდესი ნაწილი სიტყვის თავსა (ანლაუტსა) და ბოლოზე (აუსლაუტზე) მოდის. ანლაუტში დაკარგულია ინტენსივის თემის მიმღობებისა და ინფინიტივის პრეფიქსალური m (< m¹) და II უღლების ზმნებთან კონკრეტული დროების მაწარმოებელი პრეფიქსი b (< b¹)³. ასე, მაგალითად: z̄ubn̄ „გაყიდული“ (მამრ.) < m̄z̄ubn̄ (ჰჟჟჟ), z̄ūb̄n̄i „გაყიდვა“ (მასდ.) > m̄z̄ab̄n̄i (ჰჟჟჟ), pur̄qa „გადარჩენილი“ (მამრ.) < m̄pur̄q̄ (ჰჟჟჟ), par̄uq̄i „გადარჩენა, შველა (ვისიმე)“ (მასდ.) < m̄par̄uq̄i (ჰჟჟჟ), h̄ām̄z̄ūm̄ili „ლაპარაკობს“ (მამრ.) < b̄h̄ām̄z̄ūm̄ili (ჰჟჟჟ ჰჟჟჟჟ), h̄ad̄ūrīva „ამზადებდა“ < b̄h̄ad̄ūrīva (ჰჟჟჟ ჰჟჟჟჟ), taq̄t̄ūq̄īva „აკაკუნებდა“ < b̄taq̄t̄ūq̄īva (ჰჟჟჟ ჰჟჟჟჟ) და სხვ. ამავე პოზიციაში ზოგჯერ იკარგ-

¹ პირველადი უ-ს (⊙) დაკარგვის შესახებ verb. subst.-ში იხ. თ. IV: „ნახევარხმოვნები და დიფთონგები“, გვ. 42.

² v > უ-ს შესახებ იხ. გვ. 41.

³ ამ პრეფიქსების შესახებ იხ. თ. XX: „სწორი სამთანხმოვნოანი ზმნა“.

ვის სონორი თანხმოვნები: kislii „ჩემთან; ჩემკენ“ < kislii (كيسلي),
 sādā „სანადიროდ“ < lšādā (لشاد) || (كشاد), gđāra „სასეირნოდ“
 < l'gđāra (لگدرا || گدرا); pilā „დაეცა“ (მდედრ.) < npil-la (نپللا),
 čilūn „მოწყვეტეს“ < nčilūn (نچیلون), hišī „წავიდა“ (მამრ.)
 < rhiš-li (رھیشلی), huš „წადი!“ < rhuš (رھوش).

აუსლაუტში დაკარგულია n მრავლობითი რიცხვის ზოგ მაწარ-
 მობელში: მოქმედებითი გვარის მიმღობის მრ. რიცხვის დაბოლო-
 ება I (پ) მოდის in-იდან (پ-); მაგ.: ki parqi „ამთავრებენ“
 (كپ قذپ) < ki parqin¹, bit šāti „დაღევენ“ (بیت شاتپ) < bit šātīn,
 bit pālti „გამოვლენ“ (بیت پالتپ) < bit paltīn. იგივე მდგომა-
 რეობაა ათეულების აღმნიშვნელ რაოდენობით რიცხვით სახელებში:
 isri „ოცი“ (يسري) < isrīn, ārpj „ორმოცი“ (آرپج) < ²arbcin,
 ḥamšī „ორმოცდაათი“ (ھمشي) < ḥamšīn. ეგვევ n დაკარგულია
 მრ. რიცხვის შესამე პირის ნაცვალსახელში āniī (آني) < hānīn.
 სხვა თანხმოვნებიდან სიტყვის ბოლოს დაკარგულია: š — სიტყვაში
 midri „ისევ, კიდევ“ < min-d-riš² (میدریش), l სიტყვაში sī „წადი!“
 (سپ || سپ) < zī < zil, m სიტყვებში qui „ადექ!“ < qū < qum
 (قوم) და udju „დღეს“ < ud-i-um < ³idī i-um (ؤدیوم) (ამ უკა-
 ნასკნელ მაგალითებში m-ს დაკარგვას რომ მისმა პოზიციამ შეუწყო
 ხელი და არა u-ს შემდგომ წარმოთქმამ მხოლოდ, ჩანს u-ს მომ-
 დევნო m-ს დაცვიდან სიტყვის ინლაუტში: rumta „ბორცვი“ და
 არა rūta, qumta „ტანადობა“ და არა qūta და მისთ.), t სიტყვაში
 iktū || uktū „ქვეშ, ქვევით“ < ltaht (لتاھت, لتاھت).

ინლაუტში ბგერათდაკარგვის შემდეგი შემთხვევები გვხვდება:
 m იკარგვის სიტყვაში berāšī „სალამოს“ < bēt ramšī (بەت رامشي),
 r სიტყვაში zāijā „ბარცვი“ (زآيچا) < za³irā (زآيرآ), v ზმნაში mš-

¹ ისტ. მოქმ. გვარის მიმღობა დღეს დაცულია აწმყო ზოგადსა და მყო-
 ჯადში.

² ზუსტად: „თავიდან“.

³ აქ ძირეულებია zcr (زآر). ამავე ძირიდან ნაწარმოებ მეორე სიტყვაში
 ოწრშ (زآرھ) „პატარა“ ძირეული r დაცულია.

tävtx „დადება, მოთავსება“ (კაუზატივი ზმნისა itx „დაჯდომა“), თუ ინლაუტში მყოფ v-ს უსწრებს ან მოსდევს i ხმოვანი — mätin „დავდებ“ (მამრ.) < mätvin (مَتَوَّن), mütivi „დადო, მოათავსა“ (მამრ.) < mütivli (مُتَوِّلًا), მაგრამ აუსლაუტში ეგევე v i-ს შემდეგ დაცულია — mätiv „დებს, ათავსებს“.

ხმოვნების დაკარგვა. ხმოვანთა დაკარგვა ასურულში ხშირი შემთხვევაა. ზოგან იგი აღრეული მოვლენაა. ამის გარკვევა სათანადო სიტყვის ისტორიის გათვალისწინებითაა შეიძლება; ზოგან კი ეს დაკარგვა ჩვენს თვალწინ ხდება: ხმოვანდაკარგული სიტყვის გვერდით იხმარება იგივე სიტყვა ხმოვნით.

პირველის მაგალითებია: skintä „დანა“ (سَكِنْتَا) < sakkintä, ptānā „გუთანი“ (پَتَانَا) < padḏānā, hvārā „თეთრი“ (هَوَّارَا) < hiya-urā, prizlā „რკინა“ (پَرِزْلَا) < parizlā და სხვ. ზოგჯერ ოდესღაც არსებული ხმოვნის კვალი დაცულია სპირანტის სახით ხშული თანხმოვნის ნაცვლად¹. ყველგან აქ ხმოვნის დაკარგვა გამოწვეული უნდა იყოს სიტყვის მახვილით: მოკლე ხმოვანი ინტენსიური მახვილის წინ იკარგება².

აღნიშნული მიზეზითვე უნდა აიხსნას ხმოვნის დაკარგვა დღეს ასურულში შემდეგ შემთხვევებში: špāš „დე, დარჩეს; დატოვოს!“ < huš pāš, mḥābnit „ცოდოა, აფსუსია!“ < mūḥabna d' (مُوْحَابِنَا د'), letiva „არ მოდიოდა“ < le ativa (لَا تَأْتِي), tādānu „არ გავაკეთებ“ (მდღერ.) < le odānu (لَا نَعْمَلُ). ამ მაგალითებში ხმოვანი იკარგვის მახვილის წინ. გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, სადაც ხმოვანი მახვილის შემდეგაა დაკარგული: ḥaḥta „სხვა“³ < ḥā ḥita (حَا حِيْتَا), ḥāḥca „ცოტა“⁴ < ḥā ḥaḥca (حَا حَاْحَا), ḥāiwa „ერთ დღეს“ < ḥā iūwa (حَا اِيُوَا), oimit... „იმ დღეს, როდესაც...“ < ḥā iūma d... (حَا اِيُوَا د...), gōino „მის (მდღერ.) თვალში“ < gōino (غُوَيْنُوَا). აქ მოტანილი მაგალითები წარმო-

¹ იხ. თ. VIII: „სპირანტიზაცია“, გვ. 70 და შემდ.

² შდრ. იქვე.

³ ზუსტად: „ერთი სხვა“.

⁴ ზუსტად: „ერთი ცოტა“.

ადგენენ ერთი მახვილით გაერთიანებულ სიტყვებს, სადაც მახვილიანი ხმოვანი მკაფიოდ მოისმის, ხოლო მისი მეზობელი ხმოვნები გაბმული მეტყველებისას წარმოთქმაში რედუცირდებიან — იკარგვიან.

მარცვლის დაკარგვა¹. ასურულში ადგილი აქვს არა. მარტო თანხმოვნის ან ხმოვნის დაკარგვას, არამედ მთელი მარცვლის დაკარგვასაც. ჩვეულებრივ, ეს არის თანხმოვანი ხმოვნით (ღია მარცვალი), რომელიც უმეტესად სიტყვის თავსა და ბოლოში, უფრო იშვიათად — სიტყვის შუა ნაწილში იკარგვის.

სიტყვის თავში (ანლაუტში) ხშირია მაგარშემართვიანი ხმოვნის დაკარგვა (ე. ი. ^ა+ ხმოვანი): ḫāta „და“ < *ahātā (𐎧𐎠𐎢𐎡 || 𐎧𐎠), ḫarta „შემდგე“ < *ahartā (𐎧𐎠𐎢𐎡), iar „მისი“ < *ijjār (𐎢𐎠), gīārī „სახლის ბანი“ < *iggārā (𐎢𐎠𐎢𐎡)², naša „კაცი, ადამიანი“, < *nāšā (𐎢𐎠𐎢𐎡) და სხვა. სიტყვაში bīla „თავთავი“ (𐎠𐎢𐎠) დაკარგულია თავკიდური šī: bīlā < šibbīlā; ^ი მარცვალი დაკარგულია სიტყვაში dīnu „დრო“ < *iddānā (𐎢𐎠𐎢𐎡).

სიტყვის ბოლოს (აუსლაუტში) იკარგვის მარცვალი -ha: alā „ღმერთი“ < alāha (𐎠𐎢𐎠), ḫagla „ერთხელ“ < ḫa glāha (𐎧𐎠𐎢𐎡), egla „მაშინ, იმ დროს“ < e glāha (𐎢𐎠𐎢𐎡), adī „ახლა, ამჟამად“ < adīha (𐎠𐎢𐎠).

თ ა ვ ი XI

მეტათეზისი

ასურულში მეტათეზისის შემთხვევები საკმაოდ ხშირია. ბგერათა გადანაცვლებას ადგილი აქვს როგორც სახელებთან, ისე ზმნებთან.

მეტათეზისის შემთხვევათა უდიდესი ნაწილი სახელებთან საერთოარამეულია, ან, ყოველ შემთხვევაში, საზიაროა არამეულის ზოგი

¹ აქ მოცემულია შემთხვევები, რომლებიც ჰალოლოგიას არ განეკუთვნება. მარცვლის ჰალოლოგიური დაკარგვის შესახებ იხ. თ. IX: „დისრმილიცია“, გვ. 78—79.

² აქ დახურული მარცვლის დაკარგვა კი არ არის, არამედ გემინატი (j, g) დაიკარგა გემინაციის მოწლის გამო, ხოლო ^ი მისგან დამოუკიდებლად დაიკარგა.

დიალექტისათვის. ამ რიგისაა: qalma „მკებნარი“ (قلم) < qamlā, tārā < tarā „კარი“ (قار) < Vtʿr, purtānā < purtānā „რწყილი“ (قارن) < Vprʿt, qdīla „გასალები“ (قذيل) < qlidā (ბერძნ. κλεῖμα) და ზოგი სხვაც.

აღნიშნულის გვერდით გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, რომლებიც არამეულის ძველი დიალექტებისა და მაღალქალასათვის დამახასიათებელი არ არის. ამ რიგისაა: pāṣā < paṣā „ტოტი“ (قاص) < ʿaṣpā, ḡdīlā „ყინული“ (قذيل) < ḡlīdā, ḥmāṣā „ნემსი“ (قاص) < mhāṣā (Vhit), simultā „კიბე“ (قاص) < Vslm¹, spādīta „ბალიში“ (قاص) < psadīta < bsadīta და სხვ.

განსაკუთრებით საყურადღებოა მეტათეზისი სუსტ ზმნებთან. ზმნები, რომელთაც პირველი ძირეული i (ا) აქვთ, გარკვეულ ფორმებში ამ i-ს მეორე ძირეული თანხმოვნის შემდეგ გვიჩვენებენ. ასეთი nomina actionis-ში, მასდარში და ამ უკანასკნელიდან ნაწარმოებ ღრობებში: აწმყო კონკრეტულსა და ნამყო უწყვეტელ კონკრეტულში. მაგალითად: kīālip (كيا لپ) „სწავლობს“ (მამრ.), მაგრამ — liāptā (ليا پتا) „სწავლა“, liāpū — მასდ. (كيا لپ), biljāpeli „სწავლობს (ამეამად)“ (მამრ.) (بيلجا پلي), biljāpeṣā (بيلجا پسا) „სწავლობდა (ახლახან)“; kīāqid „იწვის (ხოლმე)“ (كيا قيد), მაგრამ — qiata (قيا تا) „წვა“, qiāda (قيا دا) — მასდ., biqīādeli (بيلجا پديلي) „იწვის (ამეამად)“, biqīādeva (بيلجا پديوا) „იწვოდა (ახლახან)“; kīātiv „ჯდება“ (كيا تيد), მაგრამ tiāvtā (تيا پتا), tiāṣā (تيا صا), bitjāveli (بيلجا ويلي).

პირველი ძირეული მეორე ადგილზე გადადის ზოგიერთ²-ით დაწყებულ ზმნაშიც. ასეთ შემთხვევაში გადასმული² (2) i (ا)-ით ინაცვლება: ki āsir < kī ʿāsir (كيا اسير) „აბამს“, მაგრამ sijlītā

¹ ასურ. simlītā-ს (سمليت) შესატყვისად სირიულშია sīhultā (سحلت) იმავე მნიშვნელობით, მაგრამ აქ ძირეულებია s l m (შდრ. ებრ. סלמ და არაბ.

(**𐌅𐌰𐌹𐍃**) „დაბმა, მიბმა“, *siāra* (**𐌰𐌹𐍃**) -- მასდ., *bisjāreli* (**𐌰𐌹𐍃𐌹**
𐌵) „აბამს (ამეამად)“, *bisjāreṽ* (**𐌰𐌹𐍃 𐌰𐌹𐍃𐌹**) „აბამდა (ახლა-
 ხან)“, *ki āqiš* „ცივდება; დედდება“ < *ki ʾāqiš* (**𐌵𐌹𐌺 𐌵**), მაგრამ
qiašta (**𐌵𐌹𐌺𐌹**), *qiaša* (**𐌵𐌹𐌺**), *bijašeli* (**𐌵𐌹 𐌵𐌹𐌺𐌹**), *bijaševa*
 (**𐌰𐌹𐍃 𐌵𐌹𐌺𐌹**)¹.

აღსანიშნავია, რომ ასურულში ერთმანეთის გვერდით იხმარება
 ზნა *ild* (**𐌵**) და აქედან მეტათეზისით მიღებული *idl* (**𐌵**),
 რომელნიც, თუმცა ერთ მოქმედებას გადმოსცემენ — „ზობს, ბადებს“,
 განსხვავდებიან სუბიექტის მიხედვით: *ild* იხმარება „ვინ“ - კლასი-
 სათვის, ხოლო *idl* კი „რა“ - კლასისათვის.

თ ა ვ ი XII

მ ა ხ ვ ი ლ ი

დღეს ასურულში მახვილი, რომელიც ექსპირაციულია და ძლი-
 ერი, როგორც წესი, პენულტიმაზეა (ე. ი. სიტყვის ბოლოდან მე-
 ორე მარცვალზე). ასე, მაგალითად: *šārḫa* „ხბო“ (**𐌰𐌹𐍃𐌵**), *lāḫma*
 „პური“ (**𐌵𐌹𐌺**), *pāti* „სახე; ზედაპირი“ (**𐌵𐌹𐌺**), *kiṣā* „ქვეა“ (**𐌵𐌹**),
šišiltā „ჯაქვი“ (**𐌵𐌹𐌺𐌹**), *šiqirvā* „მორიელი“ (**𐌵𐌹𐌺𐌹**), *maššētā*
 „მორწყვა“ (**𐌵𐌹𐌺𐌹**) და სხვ.

მახვილის დასმის აღნიშნული წესი უცხოურ სიტყვებზეც ვრცელ-
 დება: *uštoš* „მაგიდა“ (რუს. стол), *taṽḫdomāre* „თავმჯდომარე“
 (ქართ.), *krēḫoz* „კოლმეურნეობა“ (რუს. колхоз), *āḫval* „მდგომა-
 რეობა“ (არაბ. أحوال), *qalāndaš* „ფანქარი“ (რუს. карандаш).
kōmūr „ნახშირი“ (თურქ. kömür).

იგივე წესი რჩება მეტწილად სუფიქსაციის დროსაც: *šurīḫi* „და-
 იწყო“ (მამრ.) < *šurī-li* (**𐌰𐌹𐍃𐌹**), *purīql* „გადაარჩინა“ (მამრ.)

¹ ამ ტიპის ზნების შესახებ იხ. აგრეთვე თ. XXII: „სუსტი ზნები“.

< puriq-li (پوريق لي), kīparquva „ვამთავრებდი“ (მამრ.) < kīparqim va (پوريقم وا), pārimli „დაქრის მას“ < pārim-li (پريم لي). მაგრამ ისეთ შემთხვევაში, როდესაც ზმნის წარმოებისათვის გამოყენებულია ე. წ. verbum substantivum (აწმყო კონკრეტული, ნამყო უწყვეტელი კონკრეტული, პერფექტი, წინარე ნამყო), ეს უკანასკნელი, წარმოადგენს რა ენკლიტიკას, მახვილს ვერ უნაცვლებს ადგილს. ამის გამო მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზე მოდის. აქვე უნდა შეინიშნოს, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში უმახვილო ენკლიტიკა ცალკე იწერება: biktāšvīn „ვეწერ“ (მამრ.) (بكتاشين), tārūsəlī „აკეთებს“ (მამრ.) (تاروسلي), kitivtēlā „დაწერილია“ (მდედრ.) (كتيوتليا), tūrīstela „აშენებულია“ (მდედრ.) (تورستلا).

გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მახვილი ულტიმაზეა (სიტყვის ბოლოდან პირველ მარცვალზე). ასეა, ჩვეულებრივ, აღმოსავლურ დიალექტთა დიდ ნაწილში მდედრ. სქესის სახელთა მრავლობით რიცხვში, სადაც დაბოლოება $\tilde{a}i$ მახვილიანია: aḥunvāi¹ „ძმები“, betvāi „სახლები“, qoravāi „საფლავები“ და სხვ. ასეა სადაურობის აღმნიშვნელ სახელთა მრავლობით რიცხვშიაც (მამრ. სქესში): sūrāi² „სირიელი“, მაგრამ sūrāi „სირიელები“, gūrāi² „ქართველი“, gūrāi „ქართველები“, inglisnāi „ინგლისელები“ და სხვ. ამ შემთხვევაში მახვილიანი მარცვლის ბოლოდან პირველ ადგილზე ყოფნა ახალი მოვლენაა, იგი შედეგია გარკვეული ბგერათცვლილებებისა სიტყვაში. მრ. რიცხვის მაწარმოებელი $\tilde{a}i$ მიღებულია ორ-მარცვლიანი ფორმანტიდან: $\tilde{a}i < \tilde{a}ti$, სადაც t ორ ხმოვანს შორის სპირანტიზაციის შედეგად დაიკარგა ($\tilde{a}ti > a\tilde{t}i > \tilde{a}i$)², ხოლო ორი სრული ხმოვნის შეხვედრამ დიფთონგი მოგვცა ($\tilde{a}i > \tilde{a}i$), ე. ი. ორი მარცვლიდან შეიქმნა ერთი მარცვალი. მახვილიანი \tilde{a} მახვილიანივე დარჩა, მაგრამ ახლა უკვე ბოლო მარცვლის დაკარგვის გამო ბოლოდან პირველი აღმოჩნდა: $-\tilde{a}i$ დაბოლოების გვერდით იხმარება $-\tilde{a}ti$: aḥunvāti, betvāti, qoravāti, რაც ხელს უწყობს $-\tilde{a}i$ ფორმანტზე-მახვილის შენარჩუნებას.

¹ aḥūna „ძმა“ მრავლობით რიცხვს აწარმოებს როგორც მდედრ. სქესის სახელი.

² იხ. თ. VIII: „სპირანტიზაცია“, გვ. 72.

სადაურობის აღმნიშვნელ სახელთა მრავლობით რიცხვში და-
 კარგულია რიცხვის მაწარმოებელი $\dot{\text{i}}$: sürāi , აქედან მრ. რ. — sürāi-ī ,
 gürāi-ī და მისთ. ეს $\dot{\text{i}}$ დაუტულია წერაში: سُرَايِ , گُرَايِ ...
 ამგვარად, ამ ტიპის სახელთა გარჩევა რიცხვში მამრ. სქესში ასე-
 თია: მხ. რიცხვში გვაქვს დაბოლოება $-\dot{\text{i}}$ (sürāi-ī), ხოლო მრ.
 რიცხვში ეს დაბოლოება იკვეცება (sürāi-). ამდენად, აქაც მახვილი
 ბოლო მარცვალში მეორეულია, ახალი მოვლენაა.

მახვილი ულტიმაზე გვხვდება ზოგ უცხოურ სიტყვაშიც, თუმცა უმე-
 ტესად უცხოური სიტყვები მახვილის საერთო წესს ემორჩილება (ე. ი.
 მახვილი პენულტიმაზეა)¹. ულტიმაზეა მახვილი ზოგჯერ პროფესიის
 აღმნიშვნელ თურქულ სიტყვებში ($-\dot{\text{c}}/\dot{\text{ç}}-\text{თი}$ ნაწარმოებ სიტყვებში):
 sāpārçī „მოგზაური“ (سَافَرچِي), sāhīççī „მეთევზე“ (سَافَرچِي),
 gāmīçī „მენავე“ (گَافَرچِي), elçī „შუამავალი“ (اِلچِي).

მახვილიანი ხმოვანი გრძელია, თუ ეს ხმოვანი ღია მარცვალშია
 და იგი არ წარმოადგენს სიტყვის ბოლო მარცვალს. ყველა სხვა
 შემთხვევაში (მახვილიან დახურულ მარცვალში, უმახვილო ღია მარ-
 ცვალში, მახვილიან ღია ბოლო მარცვალში), როგორც ეს უკვე
 ითქვა, ხმოვანი მოკლეა. საინტერესოა ის გარემოება, რომ გრძე-
 ლი ხმოვნისათვის საჭიროა არა მარტო მახვილიანი ღია მარცვა-
 ლი, არამედ გარკვეული პოზიციაც სიტყვაში: აუსლაუტში გრძე-
 ლი ხმოვანი არ გვხვდება (შდრ. ზემოაღნიშნული თურქული სიტყ-
 ვები).

მახვილიან ღია მარცვალში (სიტყვის ანლაუტში) ხმოვანი ყო-
 ველთვის გრძელი არ არის, თუ მოცემული მარცვლის ღიაობა მე-
 რეულია².

ენის განვითარების მანძილზე მახვილის გავლენით ადგილი
 ჰქონდა ხმოვნების არა მხოლოდ დამოკლებას, არამედ ზოგჯერ
 სრულ რედუქციას — ხმოვნები დაიკარგა. ასეა ხშირად მახვილის
 წინა მარცვალში³.

მახვილი გარკვეულ როლს ასრულებს მთელი რიგი ფონეტიკური
 პროცესების განვითარებაში, რაც ნაჩვენებია თვით ამ ფონეტიკურ
 მოვლენათა დახასიათებისას.

¹ იხ. გვ. 87.

² იხ. გვ. 39.

³ იხ. თ. VIII: „საპირანტიზაცია“, გვ. 73, აგრეთვე თ. XI: „ბგერათდაკარგვა“,
 გვ. 84—85.

კითხვის ნიშნები¹

ნესტორიანულ დამწერლობას თანამედროვე ასურულში თან გად-
მოჰყვა კითხვის ის ნიშნები, რომლებიც სირიულ ხელნაწერებში იხ-
მარებოდა, მაგრამ ყველა ამ ნიშანმა თანაბარი გამოყენება ვერ
პოვა: ზოგი მათგანი სისტემურად იხმარება, ზოგის ხმარებას კი
უაღრესად ხელოვნური ხასიათი აქვს და ამიტომ მეტად იშვიათად
გვხვდება, ისიც რელიგიურ ტექსტებში, რომლებიც სირიულიდან
ითარგმნება.

ქჷფჷ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩრდილო სემიტური ენები-
სათვის დამახასიათებელია ხ გ ძ კ p t თანხმოვნების ორგვარი
წარმოთქმა: ხშული და სპირანტული². პირველ შემთხვევაში მიუთი-
თებენ თანხმოვნის „მაგარ“ წარმოთქმაზე, ან „მაგარ თანხმოვანზე“,
მეორე შემთხვევაში — თანხმოვნის „რბილ“ წარმოთქმაზე ან „რბილ
თანხმოვანზე“. კითხვისას ამ თანხმოვანთა გარჩევის მიზნით შემოღე-
ბულია სპეციალური ნიშნები. ასე, თანხმოვნის „სიმაგრის“ გამოსა-
ხატავად, ებრაული ძგგჃ-ის შესატყვისად, სირიელები ხმარობდნენ
ქჷფჷ-ს, რაც „სიმაგრე“-ს ნიშნავს. ეს არის წერტილი სათანადო
თანხმოვნის ზევით (ჷ, ჶ, ჳ და მისთ.). იგივე ნიშანი გამოიყენება
გაორკეცებული თანხმოვნის გადმოსაცემად (=ებრაულ ძგგჃ forte-ს,
არაბულ თემლიდს): ჷ = ხ ან ხხ, ჶ = t ან tt, ჳ = k ან kk. **ქჷფჷ**
თანხმოვანზე, რომელსაც არა აქვს ორგვარი წარმოთქმა, ამ თან-
ხმოვნის გაორკეცებას გამოხატავს მხოლოდ: ჴ = zz, ჵ = ჳჳ და მისთ.

რადგან დღეს თანხმოვანთა სპირანტიზაცია ცოცხალ მოვლენას
არ წარმოადგენს და გემინირებული თანხმოვანიც აღარ არის,
ქჷფჷ უაღრესად იშვიათად იხმარება. მის ხმარებას დღეს მხო-
ლოდ ეტიმოლოგიური საფუძველი აქვს.

ქჷფჷ. **ქჷფჷ**-ს საპირისპირო დანიშნულება, ე. ი. თანხმოვნის
„სირბილის“ (სპირანტული წარმოთქმის) გამოხატვა დაკისრებული
აქვს წერტილს, დასმულს სათანადო თანხმოვნის ქვეშ — **ქჷფჷ**-ს,

¹ კითხვის ნიშნებში იგულისხმება ყველა ნიშანი, გარდა თანხმოვნებისა და
ხმოვნების აღნიშნული ნიშნებისა, რომლებიც ტექსტში გვხვდება.

² იხ. თ. VIII: „სპირანტიზაცია“, გვ. 70 და შემდ.

რაც „სირბილე“-ს ნიშნავს (=ებრაულ rāḇē-ს, შტრიხს თანხმოვნის ზევით: \bar{r} , \bar{v} და მისთ.). ასე, $\text{פ} = \text{h}$ (შდრ. $\text{פ} = \text{h}$), $\text{ק} = \text{t}$ (შდრ. $\text{ק} = \text{t}$), $\text{צ} = \text{k}$ (შდრ. $\text{צ} = \text{k}$) და მისთ. დღეს קָדָשׁ იმ თანხმოვან-თან დაისმის, რომელიც ოდესღაც მოქმედი სპირანტიზაციის შედეგად სათანადო სპირანტიზი გადიიწია. ასე, მაგალითად: קָדָשׁ „მგგ-ლი“ < dīḥā , იკითხება: dīvīl , שָׂבִיל „მოხუცი“ < sāḥā , קָדָשׁ divhā „მსხვერპლი“ < dībhā , רַקִּיחַ „რბილი“ (მამრ.) < rak-kīkā , בְּרִיחַ brihta „კურთხეული“ (მდედრ.) < briktā ¹.

מִדְּבַר . ნესტორიანულ დამწერლობაში არსებობს სპეციალური ნიშანი, რომელიც დაწერილი თანხმოვნის წარმოუთქმელობაზე მიუ-თითებს. იგი პატარა შტრიხს წარმოადგენს, წარმოუთქმელი თან-ხმოვნის ზევით იწერება და מִדְּבַר -დ („დამკარგველად“) იწოდება: מִדְּבַר , იკითხება mdīḥl (n-ს מִדְּבַר აქვს და არ იკითხება — \bar{d}); עֵבֶר , იკითხება: hā „ერთი“ (צ-ს עֵבֶר აქვს — \bar{v}); אֲזִיז , იკითხება: āzīz „მივდივარ“ (צ-ს אֲזִיז ახლავს — \bar{z}) და სხვ. ზოგჯერ מִדְּבַר წარმოადგენს ვერტიკალური შდგომარეობიდან ოდნავ მარჯვნივ გა-დახრილ შტრიხს, რომელიც სათანადო თანხმოვანზეა დაშვებული. ასეთი מִדְּבַר გვხვდება, ჩვეულებრივ, \bar{v} -ზე: כִּסִּי (შდრ. ზემოაღ-ნიშნული עֵבֶר), იკითხება: kīsil „მუცელი“ (צ-ს כִּסִּי აქვს — \bar{v}); חֵיט , იკითხება: hīta „მეორე, სხვა“ (მდედრ.) და სხვ.

מִדְּבַר -ს ხმარება ჩვეულებრივია და იშვიათია ისეთი გახმოვ-ნებული (ხშირად გაუხმოვნებელი) ტექსტი, სადაც ამ ნიშანს არ შეხვდებით. მაგრამ, ამასთანავე, מִדְּבַר -ს ხმარება არ არის თანა-მიმდევრული: სათანადო თანხმოვანს ზოგჯერ ახლავს წარმოუთქმე-ლობის ნიშანი, ზოგჯერ არა. ასე, მაგალითად: טִיבִל „დაჯდა“, იკითხება: tīvli , მაგრამ זְבִינִי „იყიდა“, იკითხება: zvīni ; זְבִינִי .

¹ קָדָשׁ -ს ხმარების შესახებ უცხოურ სიტყვებში იხ. თ. II: „თანხმოვნები“.

„ისწავლა“ (მდღერ.), მაგრამ ამის გვერდით ვხვდებთ **ᲛᲗᲗᲗ**.
ორივე იკითხება: *lipli*¹.

ᲛᲗᲗᲗ. ტექსტში, უალრესად იშვიათად, ვხვდებით **ᲛᲗᲗᲗ**-ს მსგავს შტრიხს თანხმოვნის ქვეშ — **ᲛᲗᲗᲗ**-ს. იგი ეწერება ქვეშ თანხმოვანს, რომელიც მარცვალს ხურავს და რომელსაც უხმოვნო თანხმოვანი მოსდევს, ასე, მაგ., **ᲛᲗᲗᲗ** „აღმოსავლეთი“, **ᲛᲗᲗᲗ** „მორიელი“; **ᲛᲗᲗᲗ** „დედოფალი“ და მისთ. ასეთ შემთხვევებში თავს იყრის სამი თანხმოვანი ერთად (*madnha, ᲗᲗᲗᲗ, mǎlktā...*) და წარმოთქმის გასაადვილებლად პირველ მარცვალსა და მომდევნო თანხმოვანს შორის ჩნდება მეშველი ხმოვანი, ჩვეულებრივ *i*; **ᲛᲗᲗᲗ** ასეთი ხმოვნის წარმოთქმაზე მიუთითებს: **ᲛᲗᲗᲗ**, იკითხება: *madnha*; **ᲛᲗᲗᲗ**, იკითხება: *ᲗᲗᲗᲗ*; **ᲛᲗᲗᲗ**, იკითხება: *mǎlktā*. დღეს, როგორც წესი, მეშველი ხმოვანი იწერება და ამიტომ **ᲛᲗᲗᲗ** ასეთ შემთხვევაში არ იხმარება. **ᲛᲗᲗᲗ**-ს მეშველი ხმოვნის ნაცვლად ვხვდებით მხოლოდ რელიგიური ხასიათის ტექსტებში (იქაც იშვიათად).

ᲛᲗᲗᲗ. სახელის მრავლობით რიცხვს გამოხატავს ორი წერტილი, დასმული მრ. რიცხვში მყოფი სახელის ერთ-ერთ თანხმოვანზე (—). ამ ნიშანს **ᲛᲗᲗᲗ**-ს უწოდებენ. **ᲛᲗᲗᲗ**, როგორც წესი, სიტყვის ბოლო თანხმოვანზეა: **ᲛᲗᲗᲗᲗ** „ძმები“, **ᲛᲗᲗᲗ** „მეფეები“, **ᲛᲗᲗᲗ** „ზღვები“ და სხვ. თუ სიტყვაში **Თ** ან **ჯ** არის, მაშინ **ᲛᲗᲗᲗ** ამ ასოებზე იწერება, რა ადგილზეც არ უნდა იყოს ეს ასოები. ამასთანავე, უპირატესობა **Თ**-ს აქვს, ე. ი. თუ სიტყვაში **Თ**-ც არის და **ჯ**-ც, მაშინ **ᲛᲗᲗᲗ** **Თ**-ს ესმის. რადგან **Თ**-ს ერთი წერტილი უკვე აქვს, **ᲛᲗᲗᲗ**-სათვის კიდევ ერთ წერტილს უმატებენ (ორი წერტილის ნაცვლად) და ამგვარად ლეზულობენ ასეთ ნიშანს — **Თ**. მაგალითად: **ᲛᲗᲗᲗ** „გმირები“, **ᲛᲗᲗᲗ** „მხედრები, ცხენოსნები“, **ᲛᲗᲗᲗ** „სხივები“, **ᲛᲗᲗᲗ** „არწივები“ და სხვ.

¹ შდრ. აგრეთვე თ. V: „ასიმილაცია“, გვ. 46—47.

ზოგ შემთხვევაში **كَلْبٌ** ერთადერთი საშუალებაა სახელის რიცხვში გარკვევისათვის: **كَلْبٌ** „ჩემი შვილი“, მაგრამ **كَلْبٌ** „ჩემი შვილები“, **اَشْهَابٌ** „მისი (მამრ.) მეფე“, მაგრამ **اَشْهَابٌ** „მისი (მამრ.) მეფეები“ და სხვ. უხმოვნო ტექსტებში: **كَلْبٌ** „ყვავილი“, მაგრამ **كَلْبٌ** „ყვავილები“, **كَلْبٌ** „ლატაკი, საწყალი“, მაგრამ **كَلْبٌ** „ლატაკები, საწყლები“, **كَلْبٌ** „გაყიდული“ (მამრ.), მაგრამ **كَلْبٌ** „გაყიდულები“ და სხვ. ეს უკანასკნელი გარემოება უნდა უწყობდეს ხელს **كَلْبٌ**-ს ხმარების აუცილებელ ხასიათს დღეს ასურულში.

ასურელები გარკვეულ შემთხვევაში ხმოვნის ნაცვლად ხმარობენ დიდ წერტილს, რომელიც, თუ თანხმოვნის ზევით ზის ა-დ იკითხება, თუ ქვეშ — i-დ. ასეა **كَلْبٌ**-თან: **كَلْبٌ** იკითხება *kan*-ად და ნიშნავს კითხვით ნაცვალსახელს — „ვინ?“, **كَلْبٌ** იკითხება *min*-ად და წარმოადგენს წინდებულს (=ქართულ თანდებულს „გან“). იგივე წერტილი დაისმის მესამე პირის ნაცვალსახელებთან, რომლებიც იქითა მწკრივის ჩვენებით ნაცვალსახელებსაც წარმოადგენს¹: **كَلْبٌ** იკითხება: *av* ან *o* „ის, იგი“ (მამრ.) და **كَلْبٌ** — იკითხება: *aj* ან *e* „ის, იგი“ (მდედრ.). ამგვარად, აქაც წერტილი ხმოვნის ნიშნის ნაცვალაა. აღნიშნული წერტილი ყოველთვის ხმოვნის მაგივრობას როდი ეწევა. იგი დიაკრიტიკულ ნიშანს წარმოადგენს მორფოლოგიური თვალსაზრისითაც. ასეთ შემთხვევაში წერტილი ხმოვნად აღარ იკითხება. იგი დაისმის ნაცვალსახელოვანი სუფიქსის **كَلْبٌ**-ს თავზე და გამოხატავს მის კუთვნილებას მდედრობითი სქესისადმი. უწერტილო **كَلْبٌ** (**كَلْبٌ**-საგან განსხვავებით) მამრობითი სქესის ნაცვალსახელოვან სუფიქსს წარმოადგენს. ასე, მაგ.: **كَلْبٌ** „თქვა“ (მამრ.) და **كَلْبٌ** „თქვა“ (მდედრ.), **كَلْبٌ** „აქვს, ჰყავს“ (*s* — მამრ.), **كَلْبٌ** „აქვს, ჰყავს“ (*s* — მდედრ.), **كَلْبٌ** **كَلْبٌ** „ათა-ვებს“ (*o* — მამრ.), **كَلْبٌ** **كَلْبٌ** „ათავებს“ (*o* — მდედრ.) და სხვ.

სასვენი ნიშნები. დღეს ასურელები ჩვეულებრივ იმ სასვენ ნიშნებს ხმარობენ, რომლებიც საყოველთაოა დღევანდელ სამწერ-

¹ იხ. თ. XIV: „ნაცვალსახელი“, გვ. 95, 105.

ლობო ენებში. განსხვავება მხოლოდ სასვენი ნიშნების მიმართულების შეცვლაშია, რაც თვით წერის მიმართულებითაა გამოწვეული (როგორც ვიცით, ასურელები წერენ მარჯვნიდან მარცხნივ): მძიმე—**ე** (შდრ. **ჟ**), კითხვის ნიშანი—**ჟ** (შდრ. **?**), წერტილ-მძიმე—**ჟ** (შდრ. **;**). სხვა ნიშნები უცვლელია. მიუხედავად აღნიშნულისა, ტექსტებში გვხვდება ის სასვენი ნიშნებიც, რომლებიც სირიული ხელნაწერებისათვისაა დამახასიათებელი. ასე: მცირე პაუზისათვის — **ჟ**, დიდი პაუზისათვის — **ჟ**, აბზაცის ბოლოს — **ჟ**; ხოლო შეკითხვისათვის—**ჟ**.

ნაწილი II

მოკვლეობა

თავი XIV

ნაცვალსახელი

1. პირის ნაცვალსახელი

თანამედროვე ასურულში პირის ნაცვალსახელები სქესის მიხედვით მხოლოდ მხოლოდობით რიცხვშია გარჩეული; ამასთანავე, I პირში ორივე სქესისათვის საერთო ფორმაა.

მხ. რიცხვი:

I პ.	𐎧𐎺
II პ.	{ მამრ. 𐎧𐎺 მდედრ. 𐎧𐎺
III პ.	{ მამრ. 𐎧𐎺 მდედრ. 𐎧𐎺

მრავლობით რიცხვში თითო პირისათვის თითო ფორმაა (სქესის თვალსაზრისით).

მრ. რიცხვი:

I პ.	𐎧𐎺
II პ.	𐎧𐎺 (𐎧𐎺)
III პ.	𐎧𐎺

ყოველ ამ ფორმას სათანადო შესატყვისი აქვს სხვა სემიტურ ენასა თუ დიალექტში და ასურული აქ საერთაოსემიტურისაგან განსაკუთრებულ სხვაობას არ გვიჩვენებს.

მხ. რიცხვის II პირის ნაცვალსახელი, როგორც ზემოთ დავინახეთ, ორი სახისაა: 𐎧𐎺 და 𐎧𐎺; აქედან პირველი მამრ. სქესის-

სათვის, ხოლო მეორე — მდებარ. სქესისათვის. მაგრამ ასეთი გარჩევა (სქესის მიხედვით) მხოლოდ გრაფიკაში ჩანს, რადგან a არ იკითხება. ამასთანავე, მეორე თანხმოვანს — z -ს ასიმილაცია მოუვიდა a -სთან ($\text{aut} > \text{att}$) და ეს z დატულია მხოლოდ წერისას z -ს ქვეშ (az და az). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ, რადგან ასურულში თანხმოვნის გაორკეცება დღეს აღარ არის და სრული ასიმილაციის შედეგად მიღებული ორი იდენტური თანხმოვნიდან ერთი თანხმოვანიღა რჩება¹, II პირის ორივე ნაცვალსახელი (az და az) at -ად ბგერს. მხ. რაცხვის II პირის მდებარ. სქესის ნაცვალსახელის დაწერილობაში a უნდა მიუთითებდეს ამ ნაცვალსახელის აუსლაუტში i -ს წარმოთქმაზე, რომელსაც ადგილი უნდა ჰქონოდა ძველად (მდრ. ამ ნაცვალსახელის წარმოთქმა სხვა სემიტურ ენებში: არაბ. anti , ეთიოპ. anti , აქად. atti). ასურულში აქ ისეთი მდგომარეობაა, როგორც ზოგჯერ ებრაულ ტექსტებში გვაქვს: at (at -ის გვერდით at -სათვის).

მხ. რიცხვის III პირის ნაცვალსახელებში at და at h აღარ წარმოითქმის, იგი (h) ხმოვნის წინ დაკარგულია² ($\text{at} = \text{at}$ და $\text{at} = \text{at}$). ამდენად, ამ ნაცვალსახელთა დაწერილობა მათ პირვანდელ სახეს გადმოგვცემს (მდრ. არაბ. at და at და ებრ. at და at). იშვიათად at -სა და at -ს გვერდით III პირის ნაცვალსახელებად იხმარება მათი კონტრაპირებული ფორმები: მამრ. სქესისათვის at ($< \bar{\text{a}}$) და მდებარ. სქესისათვის at ($< \bar{\text{e}}$) (ე. ი. ზოგჯერ at და at -ს o -დ და e -დ კითხულობენ).

მხ. რიცხვის II და III პირთა ნაცვალსახელები ზოგჯერ გავრცობილი ფორმით იხმარება, და სახელდობრ, პაუზაში. ეს მავრცობაა at : at და at , at და at . at მავრცობის წარმომავლობა ბუნდოვანია.

მრ. რიცხვის I პირის ფორმაში at დაკარგული უნდა იყოს თავიკიდური h , ხოლო ბოლოკიდური -an (at) შემდგომში გაჩე-

¹ იხ. გვ. 46—47.

² იხ. გვ. 80.

ნილი (შდრ. არაბ. *naḥiṣ*, ებრ. *naḥiṣ*)¹. ასურულ *𐎠𐎢𐎽𐎢*-თან ახლოდგას მხოლოდ სირიული *𐎠𐎢𐎽*, სადაც დაკარგულია თავიკიდური *na* (ასურულში კი მხოლოდ *n*) და ასურული ფორმის მსგავსად გავრცობილია სუფიქსალური ელემენტით *-an*².

მრ. რიცხვის II პირისათვის, გარდა ზემოაღნიშნული *𐎠𐎢𐎽*-ისა, ზოგჯერ ისმის *𐎠𐎢𐎽𐎢* და *𐎠𐎢𐎽𐎢*. *𐎠𐎢𐎽* (საერთოარამეული *atton*-ის ნაცვლად) მიღებული უნდა იყოს I პირის ნაცვალსახელის *𐎠𐎢𐎽*-ის გავლენით, როგორც ამას ნელ დეკე შენიშნავს³. ეს ო გვხვდება აღნიშნული ნაცვალსახელის მეორე ვარიანტშიც — *𐎠𐎢𐎽𐎢*. აქ უკვე ნაცვალსახელში *𐎠* დაბოლოება შენაცვლებულია ამავე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელური სუფიქსით *𐎠𐎢*-ით (შდრ. *𐎠𐎢𐎽𐎢* „თქვენი სახლი“ და მისთ.⁴). ასეთივეა ამავე პირის წარმოება არამეულის სხვა ცოცხალ დიალექტებში: მა⁵ლ. *haḥḥun* „თქვენ“ (მამრ.) < *haḥḥ* „შენ“ (მამრ.) + *-hun* (მრ. რიცხვის II პირის ნაცვალსახელური სუფიქსი), სალამასის დიალექტში — *ahḥiḥ*, სადაც ბოლოკიდური *u* შენაცვლებულია *h*-თი. მესამე ვარიანტი *𐎠𐎢𐎽𐎢* გარკვევით წარმოადგენს მრ. რიცხვის I პირის ნაცვალსახელის *𐎠𐎢𐎽*-ისა და მრ. რიცხვის II პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელური სუფიქსის *𐎠𐎢*-ის კომპოზიციას. *𐎠𐎢𐎽𐎢* და *𐎠𐎢𐎽𐎢* „არალიტერატურულ ფორმებად“ ითვლება და მხოლოდ ზეპირ მეტყველებაში ისმის.

მრ. რიცხვის III პირის ნაცვალსახელი *𐎠𐎢𐎽* *hāniṣ* ფორმიდან უნდა მომდინარეობდეს. აქ ისევე, როგორც მხ. რიცხვის მესამე პირის ნაცვალსახელებში, თავიკიდური *h* დაკარგულია (ამ შემთხვევაში გრაფიკაშიც). რაც შეეხება ბოლოკიდურ *𐎠*-ს (რომელიც *-in*-იდან მოდის), იგი მრ. რიცხვის დაბოლოებაა და ასეთად გვხვდება მრ. რიცხვის სხვა სახელებთანაც⁶.

¹ *nḥi* გვხვდება ყველა სხვა სემიტურ ენაში მრ. რიცხვის I პირის ნაცვალსახელისათვის.

² სირიულში *ḥiṣan*-ის გვერდით *ʾaḥiṣan*-იც გვხვდება.

³ იხ. Nöldeke, ხს. შრ., გვ. 74, § 35.

⁴ იხ. გვ. 98.

⁵ იხ. გვ. 143—144.

2. პირის ნაცვალსახელური სუფიქსები

ასურულში, სხვა სემიტურ ენათა მსგავსად, გარდა დამოუკიდებლად ხმარებული პირის ნაცვალსახელებისა, არსებობს ე. წ. ნაცვალსახელური სუფიქსები. ეს უკანასკნელნი წარმოადგენენ პირის ნაცვალსახელთა ფორმებს, რომლებიც გარკვეული პირის ირიბი ბრუნვის გამოსახატავად სახელს, ზმნას თუ რაიმე ნაწილს სუფიქსების სახით დაერთვიან.

ნაცვალსახელური სუფიქსები ფუნქციის მიხედვით ორად გაიყოფა: კუთვნილებითი ნაცვალსახელური სუფიქსები (suffixa possessiva), რომლებიც პირის ნაცვალსახელთა გენტივს გამოხატავენ და ობიექტის ნაცვალსახელური სუფიქსები (suffixa objectiva), რომლებიც პირის ნაცვალსახელთა აკუზატივს ან დატივს გადმოსცემენ. კუთვნილებითი ნაცვალსახელური სუფიქსები სახელთან იხმარება და თავისი მნიშვნელობით კუთვნილებით ნაცვალსახელებს შეესატყვისება (აღჲ „ჩემი სახლი“, თაღჲ „მისი (მღერ.) ძროხა“ და მისთ.). ობიექტის ნაცვალსახელური სუფიქსები ზმნასთან და ნაწილაკებთან იხმარება და დამატებას (ირიბს ან პირდაპირს) წარმოადგენს.

კუთვნილებითი ნაცვალსახელური სუფიქსებია:

მხ. რიცხვი

- | | | |
|------|---------------------|--------|
| 1 პ. | ა | „ჩემი“ |
| 2 პ. | მამრ. ზჲ | „შენი“ |
| | მღერ. აჲ | |
| 3 პ. | მამრ. ათჲ (თ --) | „მისი“ |
| | მღერ. თჲ, თა (თ --) | |

მრავლობით რიცხვში, ისევე, როგორც პირის ნაცვალსახელებთან, სქესი გარჩეული არ არის.

მრ. რიცხვი

- | | | |
|------|------------|----------|
| 1 პ. | აჲ (ა --) | „ჩვენი“ |
| 2 პ. | აჲჲ (ა --) | „თქვენი“ |
| 3 პ. | აჲ | „მათი“ |

მხ. რიცხვის I პირის სუფიქსი ა (i) ამეამად ii-დ წარმოითქმის (მოკლე i ხმოვანი იოტაციით)¹. ეს ა (i) I პირის კუთვნილებით ნაცვალსახელურ სუფიქსად გვხვდება თითქმის ყველა სემიტურ ენაში (არაბ., ებრ., აქად. i, მა^ლ. i). საინტერესოა, რომ აღმოსავლურ არამეულის დიალექტებში — მანდეურსა და სირიულში ეს i დაკარგულია.

მხ. რიცხვის II პირისათვის ორი სუფიქსია: მამრ. სქესისათვის აჰ- (იკითხება: ah) და მდედრ. სქესისათვის აჰ^ჲ (იკითხება: ah^ჲ). აღნიშნული სუფიქსების თანხმონური ელემენტი ა (წარმოთქმაში — h) საერთოსემიტურია (შდრ. არაბ. ka და ki, ებრ. k^א და k^כ, აქად. ka და ki); განსხვავებას ამ უკანასკნელისაგან ქმნის სუფიქსების ხმოვნური ელემენტები: u მამრ. სქესში და a მდედრ. სქესში. ეს u აჰ-ში უნდა იყოს ამავე პირის მრ. რიცხვის სუფიქსის აჰ^ჲ (-ah^ჲ)-ის ანალოგიით მიღებული. რაც შეეხება მდედრ. სქესის სუფიქსის a ხმოვანს, იგი უნდა იყოს ნაშთი მრ. რიცხვის სახელის ai დაბოლოებისა (> || ē), რომელიც გვხვდება ჩრდ. სემიტურში status constructus-სა და სუფიქსების წინ. მრ. რიცხვის სახელებიდან ეს დაბოლოება გადავიდა მხ. რიცხვის სახელებთანაც სუფიქსების წინ, რის გამოც სუფიქსიანი სახელის გარჩევა რიცხვში კონტექსტის გარეშე შეუძლებელია (ამაზე ქვემოთ). დახურულ მარცვალში ai > a², მაშინ როდესაც ღია აუსლაუტში (როგორც სიტყვის, ისე საერთოდ მარცვლის) ai ყოველთვის > ē³. ამის გამო ai-k (i) > aik (წარმოითქმის ah). აჰ^ჲ-ის ა-ის შესახებ იგივე ითქმის, რაც ჩვენ აღვნიშნეთ II პირის მდ. სქესის ნაცვალსახელის აჰ^ჲ-ის ა-ს შესახებ⁴.

მხ. რიცხვის III პირის ორივე სუფიქსი (აჰ^ჲ და აჰ) ა-დ იკითხება და მათ შორის მხოლოდ გრაფიკული განსხვავებაა. ეს განსხვავება შექმნილია იმით, რომ მდედრ. სქესის ფორმის აუსლაუტში ა-ს აღარ წერენ, ხოლო აჰ-ს თავზე წერტილია, როგორც ეს

¹ ა-ს წარმოთქმის შესახებ იხ. გვ. 41.

² შდრ. სუსტ ხმებთან იმავე მოვლენას (მაგ., qā'im > qāim > qam > qam ადგომა²).

³ შდრ. გვ. 101, სადაც იგივე ai > ē.

⁴ იხ. გვ. 96.

გვაქვს ხოლმე **თ**-ს მიმართ მდებარე. სქესის ფორმებში¹. ამგვარად, გრაფიკული განსხვავება მხ. რიცხვის III პირის სუფიქსებს შორის არ გამომდინარეობს არც მათი ეტიმოლოგიიდან და არც მათი თანამედროვე წარმოთქმიდან; ეს განსხვავება ხელოვნურია. თვით მამრ. სქესის ფორმა **ათფ**- კი მოდის ძველ არამეულში ცნობილი **აჰფ** (-*ahī*) ფორმიდან, რომლის ბოლოკიდური მარცვალი **ჰ** (**ჰ**) წარმოთქმაში დაიკარგა, დაცულია მხოლოდ მისი გრაფიკული გამოხატვა **ათფ**- (u). აქვე უნდა აღინიშნოს ასეთი ფაქტიც. ზეპირ მეტყველებაში ასურელები, როგორც წესი: განასხვავებენ ამ სუფიქსებს ერთმანეთისაგან: მამრ. სქესის სუფიქსს წარმოთქვამენ **u**-დ, ხოლო მდებარე. სქესისას — **o**-დ; აქედან **თფ**-სათვის **თფ**-ს წერა². მხ. რიცხვის III პირის აღნიშნულ სუფიქსებს პარალელური ფორმებიც აქვთ: მამრ. სქესისათვის **თ** (i) და მდებარე. სქესისათვის **თ** (a) (ძველი არამეული **eh** და **ah**). ასე, მაგალითად, **თფაჰ** და **თჰაჰ** „მისი (მდებარე.) სახლი“, ან **ათფაჰ** და **ათჰაჰ** „მისი (მამრ.) ეზო“. მაგრამ ასურულში **თ** (i) და **თ** (a) როგორც კუთვნილებითი ნაცვალსახელური სუფიქსები იშვიათად გვხვდება და ისიც, უმეტესად, ბიბლიურ და საეკლესიო ხასიათის ტექსტებში. სამაგიეროდ, **თ** (i) და **თ** (a)-ს ფართო გამოყენება აქვს ზმნებთან **Δ** ნაწილაკთან ერთად (**თა**, **თა**).

მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელურ სუფიქსებში (სამივე პირში) დაცულია მრ. რიცხვის სახელის ის დაბოლოება, რომელიც *status constructus*-სა და სუფიქსების წინ გვხვდება არამეულში (საერთოდ, ჩრდ. სემიტურში). ეს არის **aj** დაბოლოება, რომელიც ასურულში სახელს ჩამოშორდა და სუფიქსის კუთვნილებად იქცა. ამის გამო იგი (**aj**) ოდნავ სახეცვლილი გვხვდება როგორც მხ. რიცხვის, ისე მრ. რიცხვის სუფიქსებიან სახელებთან. **aj > a**, თუ მას უხმოვნო თანხმოვანი მოსდევს, ხოლო მარცვლის დია აუსლაუტში **aj e**-დ იქცევა.

¹ იხ. გვ. 93.

² ამგვარად ასურულ ლიტერატურაში ძლიერია ტენდენცია **თფ**-ს **თფ**-თი შეცვლისა.

მრ. რიცხვის I პირის სუფიქსი $\text{ā} +$ (an) წარმოადგენს ზემოაღნიშნულ a-ს ($< a_i$), რომელსაც არამეული სუფიქსი n დაერთვის ($a_i - n > an$). $\text{ā} +$ სუფიქსის გვერდით, ჩვეულებრივ ზეპირ მეტყველებაში, იხმარება სუფიქსი $\text{ā} +$ (-ēni). აქ არამეული ni სუფიქსის წინ იგივე a_i გვაქვს, მაგრამ უკვე e-დ კონტრაპირებული მარცვლის ღია აუსლაუტში მოხვედრის გამო. ერთმანეთის გვერდით გვხვდება: $baħčān$ და $baħčēni$ „ჩვენი ბალი“, $sčtan$ და $betēni$ „ჩვენი სახლი“ და მისთ.

მრ. რიცხვის II პირის სუფიქსი $\text{ā} +$ (-āihun $< a_iħūn$) მიღებული უნდა იყოს $\text{ā} +$ (-āihun)-იდან, სადაც i მომდევნო ლაბიალური ხმოვნის o/u-ს გაელენით $> u$. $\text{ā} +$ წარმოადგენს მრ. რიცხვის II პირის საერთოარამეულ სუფიქსს მანრ. სქესის სახელისათვის. ასურულში ეს მამრ. სქესის ფორმა საზიარო ვახდა მდედრ. სქესისათვისაც.

მრ. რიცხვის III პირის სუფიქსი $\text{ā} +$ (ē) წარმოადგენს სახელთა ხსენებულ a_i დაბოლოებას, კონტრაპირებულს ღია აუსლაუტში. ეს ē, რომელსაც წარმოშობით არაფერი აქვს საერთო ნაცვალსახელებთან, გაგებული იქნა როგორც ნაცვალსახელური სუფიქსი (ასე, მაგ.: $\text{ā} +$ „მათი სახლი“, $\text{ā} +$ „მათი მეფე“; შდრ. სირ. $\text{ā} +$ „მათი სახლები“ და $\text{ā} +$ „მათი მეფეები“). $\text{ā} +$ დაბოლოებისათვის ზოგჯერ გვხვდება $\text{ā} +$, რომელიც ისევე წარმოითქმის.

სპეციალური სუფიქსები ზმნასთან დამატების გამოსახატავად, როგორც ეს სხვა სემიტურ ენებშია, ასურულში არ არის. ზმნის ფინიტური ფორმების დაკარგვასთან ერთად დაიკარგა ის სუფიქსებიც, რომლებიც დამატების პირის გამოსახატავად მათ დაერთოდან. მიუხედავად აღნიშნულისა, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, არსებობს „ზმნის უღლება“ და არსებობს ამ ზმნასთან დამატებაც (ჩვეულებრივ, ირიბი, ზოგჯერ პირდაპირიც). ამ უკანასკნელისათვის გამოყენებულია ზემოაღნიშნული კუთვნილებითი ნაცვალსახელური სუფიქსები, რომელთა დართვა ზმნის ფორმებზე გაშუამავლებულია $\text{ā} +$ ნაწილაკით (ე. წ. nota dativi). ამგვარად მიღებულია:

მხ. რიცხვი

- 1 პ. **ب** „მე“ (მიცემითი ბრუნვა ან აკუსატივი)
- 2 პ. { მამრ. **له**
 { მდედრ. **لها** „შენ“

მრ. რიცხვი.

- 1 პ. **لهم** „ჩვენ“ (მიცემითი ბრუნვა ან აკუსატივი)
- 2 პ. **لهم** „თქვენ“

მესამე პირში აქ ნაცვალსახელური სუფიქსები ერთგვარ განსხვავებას გვიჩვენებენ სახელთან ხმარებული სუფიქსებისაგან. სახელდობრ: მხ. რიცხვის III პირში გაბატონებულია **لهم** და **لهم**-ს ნაცვლად მათი ძველი ვარიანტები **لهم** და **لهم**, მრ. რიცხვის III პირში კი **لهم**-ს ნაცვლად ხშირად (ლიტერატურაში ყოველთვის) იხმარება ძველი არამეული **لهم** (-m < -hm || -hm). ამგვარად, ზმნასთან გვექნება:

მხ. რიცხვი

მრ. რიცხვი

- 3 პ. { მამრ **لهم**
 { მდედრ. **لها** „მას“ 3 პ. **لهم, لهم || لهم** (იშვიათად) „მათ“

აღნიშნული ნაცვალსახელური სუფიქსები დაერთვიან ნაწილაკებსაც. ასე, მაგალითად: **لهم** „ჩემთვის“, **لهم** „შენსკენ“ (მამრ.), **لها** „მათზე“ და სხვ.

3. კუთვნილებითი ნაცვალსახელი

არამეულ ენაში, როგორც საერთოდ სემიტურში, დამოუკიდებელი კუთვნილებითი ნაცვალსახელი მსგავსად ქართული „ჩემი“, „შენი“-სა, და მისთ. შეიძლება ითქვას, რომ არ მოიპოვება¹. როგორც ცნობილია, ასეთ ნაცვალსახელთა როლს ასრულებს ნაცვალსახელური სუფიქსები, რომლებიც სახელს ბოლოში დაერთვის (მაგ., არაბ. **يُنِيكَ** „შენი (მამრ.) სახლი“, ებრ.

¹ სემიტურში გვიანდელი ხანის ტექსტებში კუთვნილ ნაცვალსახელი აქა-იქ გვხვდება.

٧٠٧٠ „მისი (მამრ.) სული“, სირ. ܐܰܠܰܚܰܝܰܝܰܬܰܝܰܗ „ჩემი ქალიშვილი“ და მისთ.). ასურულში სემიტურისათვის ჩვეულებრივი ზემოაღნიშნული ნაცვალსახელური სუფიქსების გარდა იხმარება კუთვნილებითი ნაცვალსახელებიც, რომლებიც ახალი წარმოშობისანი არიან. ეს ნაცვალსახელები თანამედროვე დიალექტების ნიადაგზე წარმოიქმნენ (ამ წარმოქმნას ხელი შეუწყო, ალბათ, იმ ენებმაც, რომელთა გარემოშიც ცხოვრობენ დღეს ასურელები, ძირითადად ურმიელები და რომელთაც დამოუკიდებელი კუთვნილებითი ნაცვალსახელები მოეპოვებათ: ირანული, თურქული).

თანამედრ. ასურულმა კუთვნილებითი ნაცვალსახელების შესაქმნელად გამოიყენა კუთვნილების გამომხატველი, ე. წ. რელაციური ნაწილაკი ܕ და ნაცვალსახელური, სუფიქსები: რელაც. ნაწილაკი ܕ გრძელი i-ს (ܦ-ს) საშუალებით დაკავშირებულია ნაცვალსახელურ სუფიქსებთან (ამ ܦ-ს წარმომავლობა ჯერ-ჯერობით გაურკვეველია). ამგვარად, დღეს ენაში შემდეგი კუთვნილებითი ნაცვალსახელებია მიღებული:

მხ. რიცხვი

- | | | |
|------|----------------------------------|--------|
| 1 პ. | ܦܰܝܰܝܰܬܰܝܰܗ | „ჩემი“ |
| 2 პ. | მამრ. (ܦܰܝܰܝܰܬܰܝܰܗ) ܦܰܝܰܝܰܬܰܝܰܗ | „შენი“ |
| | მდედრ. (ܦܰܝܰܝܰܬܰܝܰܗ) ܦܰܝܰܝܰܬܰܝܰܗ | |
| 3 პ. | მამრ. (ܦܰܝܰܝܰܬܰܝܰܗ) ܦܰܝܰܝܰܬܰܝܰܗ | „მისი“ |
| | მდედრ. (ܦܰܝܰܝܰܬܰܝܰܗ) ܦܰܝܰܝܰܬܰܝܰܗ | |

მრ. რიცხვი

- | | | |
|------|---------------------------|----------|
| 1 პ. | (ܦܰܝܰܝܰܬܰܝܰܗ) ܦܰܝܰܝܰܬܰܝܰܗ | „ჩემი“ |
| 2 პ. | (ܦܰܝܰܝܰܬܰܝܰܗ) ܦܰܝܰܝܰܬܰܝܰܗ | „თქვენი“ |
| 3 პ. | (ܦܰܝܰܝܰܬܰܝܰܗ) ܦܰܝܰܝܰܬܰܝܰܗ | „მათი“ |

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ ამჟამად ნაცვალსახელური სუფიქსების გვერდით არსებობს დამოუკიდებელი კუთვნილებითი ნაცვალსახელები. მათ ერთგვარად ფუნქციებიც დაინაწილეს. კუთვნილებითი ნაცვალსახელები, ჩვეულებრივ, მაშინ იხმარება, როდესაც ლოგიკური მახვილი კუთვნილებაზე მოდის. ასე,

მაგ.: **ᲕᲗ ᲕᲗ ᲕᲗ ᲕᲗ** („ქორწილი ჩვენს სახლში გამართეს“). აქ ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ქორწილი ჩვენს სახლში გაიმართა და არა სხვაგან; ხოლო წინადადებაში: **ᲕᲗ ᲕᲗ ᲕᲗ ᲕᲗ** მთქმელისათვის არ არის საინტერესო ის ფაქტი, თუ მოქმედებას სად ჰქონდა ადგილი (ჩვენს სახლში თუ სხვის სახლში). არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ კუთვნილებითი ნაცვალსახელები ხმარებიდან თანდათან დევნიან ნაცვალსახელურ სუფიქსებს ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც სუფიქსების ხმარება უფრო მოსალოდნელი იყო. დამოუკიდებელ კუთვნილებით ნაცვალსახელთა გაბატონების ტენდენცია განსაკუთრებით ჩანს ხალხურ მეტყველებაში. ამ უკანასკნელში ხშირად კუთვნილებითი ნაცვალსახელის წინ ჩაერთვის რელაციური ნაწილაკი **ᲕᲗ ᲕᲗ ᲕᲗ** „ჩემი სახლი“, **ᲕᲗ ᲕᲗ ᲕᲗ** „შენი ძმა“ და მისთ. აქ სიტყვათა ისეთივე დაკავშირებაა, როგორც არის ხოლმე ორ არსებით სახელს შორის (**ᲕᲗ ᲕᲗ ᲕᲗ** „მეთის ძე“, **ᲕᲗ ᲕᲗ ᲕᲗ** „ჩემი მეზობლის ძროხა“).

4. ჩვენებითი ნაცვალსახელი

თანამედროვე ასურულში აქეთა მწკრივის ჩვენებით ნაცვალსახელთათვის საკუთარი ფორმებია, ხოლო იქითა მწკრივის ნაცვალსახელთათვის საზიარო მესამე პირის ნაცვალსახელებთან.

აქეთა მწკრივის ნაცვალსახელებია:

მხ. რ. — **ᲕᲗ** (ორივე სქესისათვის) „ეს“,

მხ. რ. — **ᲕᲗ** (ზოგჯერ ტექსტებში **ᲕᲗ**) „ესენი“.

მხ. რიცხვის ჩვენ. ნაცვალსახელი **ᲕᲗ** შოდის **ᲕᲗ**-დან, სადაც ძველი ჩვენებითი ელემენტის **ᲕᲗ**-ს გაორკეცებაა¹. ეგევე **ᲕᲗ** გვხვდება ზმნისართში **ᲕᲗ ᲕᲗ** „ახლა, ამჟამად“, **ᲕᲗ** „ასე, ამგვარად“ და იმავე მნიშვნელობის სიტყვაში **ᲕᲗ ᲕᲗ**². ზეპირ მეტყველებაში ზოგჯერ **ᲕᲗ**-სთვის მხოლოდ **ᲕᲗ** ისმის (Ვ ᲕᲗ „ეს კაცი“, **ᲕᲗ ᲕᲗ** „ეს ვენახი“ და მისთ.).

¹ ეს **ᲕᲗ** ყველა სემიტურ ენაში გვხვდება სხვადასხვა დიფონსტრატივში.

² იხ. „ზმნისართი“.

მრ. რიცხვის ჩვენებითი ნაცვალსახელი **ჰჲ** იგივე უნდა იყოს, რაც იქითა მწკრივის (resp. III პირის) ნაცვალსახელი **ჰჲ**, ე. ი. < hāuīn. ერთ შემთხვევაში სიტყვის აუსლაუტში გრძელი i-ს დაწერა **ჰ**-ს სახით, ხოლო მეორე შემთხვევაში **ჰ**-ს სახით მეორეულია. ამ გზით გრაფიკაში განსხვავებულია აქეთა და იქითა მწკრივის მრ. რიცხვის ჩვენებითი ნაცვალსახელები. მეორეულია აღნიშნული ნაცვალსახელების განსხვავებაც წარმოთქმაში (იშვიათად): იქითა მწკრივის ჩვენ. ნაცვალსახელის აუსლაუტში i-ს ფშვინვით დამართვა (< ii < i)¹.

ძველი არამეული ჩვენებითი ნაცვალსახელის **𐤅𐤍**-ის შესატყვისი **𐤅** (< **ჰჲ**) დაკულია ზმნისართებში **𐤅𐤍𐤅** „ამლამ“ და **𐤅𐤍** „დღეს“. ეგვიპე **ჰჲ** (< **ჰჲ**) ნიშნავს „ამეამად, ახლა“.

იქითა მწკრივის ჩვენებითი ნაცვალსახელები, რამდენადაც ისინი იგივეა, რაც მესამე პირის ნაცვალსახელები, მხ. რიცხვში განსხვავებენ სქესს. ასე:

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
𐤅 „ის“ (მამრ.)	ჰჲ „ისინი“.
𐤅 „ის“ (მდედრ.)	

საინტერესო და ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ **𐤅** და **𐤅** როგორც ჩვენებითი ნაცვალსახელები სხვაგვარად წარმოითქმის, ვიდრე როგორც პირის ნაცვალსახელები. სახელდობრ: III პირის ნაცვალსახელებია **𐤅** — au, ხოლო **𐤅** — ai; მაგრამ თუ ისინი ჩვენებითი ნაცვალსახელებია, მაშინ ეს დიფთონგები კონტრაჰირებულია: **𐤅** = o (< 𐤅) და **𐤅** = e (< 𐤅). ასე, მაგალითად: **𐤅** **𐤍** **𐤅** **𐤍** **𐤅** au tili lkis malkā (იგი (მამრ.) მეფესთან მივიდა), მაგრამ — **𐤅** **𐤍** **𐤅** **𐤍** **𐤅** 𐤅 (o nāša lēli šidānā: ის კაცი გიყი არ არის); **𐤅** **𐤍** **𐤅** **𐤍** **𐤅** (ai šurīla limhāja: მან (მდედრ.) დაუწყო ცემა), მაგრამ **𐤅** **𐤍** **𐤅** **𐤍** **𐤅** 𐤅 (e brāta rāba šapirteva: ის გოგო ძალიან ლამაზი იყო) და სხვ. ამგვარად,

¹ i-ს iz-ად წარმოთქმის შესახებ იხ. გვ. 41.

ენებშია „რა“-ს მნიშვნელობით, აქ გვხვდება შედგენილ სიტყვებში. **رَامِدِنِي** „რამდენი“ < **رَامِد** + **نِي** (შედარების ნაწილაკი = ქართ. „-ვით“-ს) და **رَامِدِنِيْمِ** „რამდენიმე“ < **رَامِد** + **نِيْمِ** „ერთი“ (ზუსტად: „ერთი რამდენი“ = „რამდენიმე“) ¹. ეს **رَامِد** უნდა იყოს ნაცვალსახელ **رَامِد**-ში, რომლის ეტიმოლოგია თ. ნელ დეკემ წარმოადგინა: **رَامِد** + **رَامِد** (დემონსტრაცივი ²). აქედან—**mādi** (u აუსლაუტში დაიკარგა, როგორც ეს სხვა შემთხვევებშიცაა ³) და **m**-ს მალაბიალიზებული გავლენით > **mādi**, რაც გრაფიკაშიც გამოიხატა — **رَامِد**.

აღიქტიური კითხვითი ნაცვალსახელია **رَامِد** „რომელი“, სადაც ნათლად ჩანს საერთოსემიტური **רָמַד** (**Ṛ**).

6. ჩველმძისური და მფხატიკური ნაცვალსახელი

ჩველმძისური ნაცვალსახელი გამოიხატება სიტყვა **رَامِد**-ს („სული“) საშუალებით, რომელსაც სათანადო ნაცვალსახელური სუფიქსი დაერთვის: **رَامِد** (მხ. რ. III პ. მ.), **رَامِد** (მხ. რ. III პ. მდ.), **رَامِد** (მხ. რ. II პ. მამრ.) და ა. შ. (შეესატყვისება რუს. **сѣрѣ-ს**): **رَامِد** **رَامِد** „თავის თავს ცემა“ (= რუს. **пистнѣ сѣрѣ**). ასევე გადმოიცემა ემფატიკური ნაცვალსახელიც: **رَامِد** „თვით იგი“ (მამრ.), **رَامِد** „თვით მე“ და ა. შ. **رَامِد** **رَامِد** **رَامِد** — „ომში თვით მეფე მოვიდა“. **رَامِد** **رَامِد** **رَامِد** -- „დაიხოცნენ თვით იგი და მისი ცოლი“.

თავისთვის მყოფობას გამოხატავს იდენტური მნიშვნელობის სიტყვა **رَامِد**, რომელსაც აგრეთვე იგივე ნაცვალსახელური სუფიქსები დაერთვიან; ამასთანავე, **رَامِد**-ს წინ წინდებული **رَامِد** („-ში“) მიუძღვის: **رَامِد** „მარტო; მხოლოდ იგი“; მაგალითად: **رَامِد** **رَامِد** **رَامِد** **رَامِد** **رَامِد** — „ყველა სტუმარი წავიდა, სახლის პატრონი კი მარტო დარჩა“.

¹ ასევეა მაღლულაშიც: **رَامِد** „რამდენი; ზოგი“ < **kmā**.

² იხ. Nöldcke, ხს. შრ., გვ. 82.

³ შდრ. გვ. 83.

7. განუსაზღვრელი და განსაზღვრავიტი ნაცვალსახელი

განუსაზღვრელი ნაცვალსახელისათვის გამოყენებულია: „ვინ“-კლასისათვის **כִּי־** „ადამიანი, კაცი“, „რა“-კლასისათვის **כִּי־** „საგანი“. ამგვარად მიღებულია: **כִּי־** „ვინმე“, **כִּי־** „რაიმე“, **כִּי־** „არავინ“; **כִּי־** „არაფერი“. ასურულში გვხვდება განსაზღვრებითი ნაცვალსახელიც: **כִּ** (kīl), **כִּ** „ყოველი“, **כִּ** „ყოველად“, **כִּ** ან **כִּ** (kīle) „ყოველ“. **כִּ**-ს შეიძლება მხ. რიცხვის III პ. ნაცვალსახელი სუფიქსიც დაერთოს: **כִּ** (მამრ.) და **כִּ** (მდედრ.) „მთელი“ (მაგ. **כִּ** „მთელი სახლი“).

აქვე უნდა დავასახელოთ:

כִּ „ზოგიერთი“;

כִּ, **כִּ** „ესა და ეს, ფლანი“.

რელაციური (მიმართებითი) ნაცვალსახელი ასურულს არ გააჩნია, ამ ფუნქციას ასრულებს რელაციური ნაწილაკი **כִּ**, რომლის შესახებ მსჯელობა ნაწილაკებთანაა მოცემული¹.

ს ა ხ ე რ ი

თ ა ვ ი XV

ფუძის წარმოება

ასურულში არსებით და ზედსართავ სახელებს შორის მკვეთრი განსხვავება არ არის. ორივე სახელს ერთი და იგივე კატეგორიები აქვს: სქესი, სტატუსი, რიცხვი². ზედსართავისათვის დამახასიათებელი ხარისხი ასურულში ორგანული წარმოების არ არის. ეს გარემოება საფუძველს გვაძლევს არსებითი და ზედსართავი სახელები (ე. ი. ერთი და იმავე კატეგორიების მქონე მეტყველების ნაწილები) ერთად განვიხილოთ.

¹ იხ. თ. XXIV: „ნაწილაკები“. ისეთი შემთხვევები, როგორცაა ... **כִּ** და მისთ., რომლებიც კართულად თარგმნისას რელაც. ნაცვალსახელებით გადმოიყვება („ვინც“ და მისთ.), იქვეა განხილული.

² ბრუნვა აძეამად უცნობია და არც მისი რაიმე კვალი შეიმჩნევა.

1. სახელის ფუძე

თანამედრ. ასურულში, როგორც სემიტურში საერთოდ, სახელის ძირი მხოლოდ თანხმოვნებისაგან შედგება. ფუძე ვოკალაზებული ძირია: mlk — ძირია, mīlk — ფუძე („მეფე“). სემიტური ძირისათვის გამორიცხულია ხმოვნები, ხოლო ფუძისათვის ხმოვნის ქონება აუცილებელია. ფუძე ძირისაგან ზოგჯერ არა მარტო ვოკალიზაციით განსხვავდება, არამედ სხვა (არადირეული) თანხმოვნებითაც. მაგ.: \sqrt{mlk} — ფუძეა, \sqrt{ml} (ḥ) — ძირი („ძმა“).

ასურულ ძირებს სათანადო შესატყვისები დაეძებნება თითქმის ყველა სემიტურ ენაში მაშინ, როდესაც ამ ძირების შემცველი ფუძეები შეიძლება სხვადასხვა სემიტურ ენათა მიხედვით განსხვავებული იყოს. ამის გამო ზოგჯერ ერთ სემიტურ ენაში რაც ერთ-მარტველიანია, მეორეში — ორმარტველიანია. მაგ., ებრ.-არამ. mlk და არაბ. malik, ძირი კი საერთოა — mlk („მეფე“); ერთ ენაში ფუძეს შეიძლება ერთი გახმოვნება ჰქონდეს, მეორეში — სხვა (მაგ., არაბ. \sqrt{mlk} და ებრ. \sqrt{mlk} , მაგრამ აქად. \sqrt{mlk} და სირ. \sqrt{mlk} , ძირი საერთოა — \sqrt{mlk} „წვერი“).

ძირთა (და არა ფუძეთა) იდენტურობა¹ — აი, რა არის დამახასიათებელი მონათესავე ენებისათვის საერთოდ, და სემიტურისათვის კერძოდ. თანამედრ. ასურული ამ თვალსაზრისითაც კემშარიტი სემიტური ენაა.

სემიტურ სახელთა ეტიმოლოგიური კვლევა და პირველ რიგში ძირთა შედარებითი შესწავლა საკითხს სვამს სემიტური ძირის (როგორც სახელის, ისე ზმნის) თავდაპირველი შედგენილობის შესახებ. მოძველებულად უნდა მივიჩნიოთ სემიტოლოგიაში გავრცელებული მოსაზრება, რომ სემიტური ძირისათვის სამთანხმოვნოანობაა დამახასიათებელი. აქედან გამომდინარე ორთანხმოვნოანი ძირები მიჩნეული იყო ან მეორეულად (ერთ-ერთი ძირეულის დაკარგვის შედეგი), ანდა გამონაკლისად (ნათესაობის აღმნიშვნელი ზოგი სახელი, სხეულის ნაწილები, „წყალი“ და ზოგი სხვა), რისთვისაც სხვადასხვაგვარ ახსნას მიმართავდნენ (მაგ. ეგვიპტურის გავლენა და სხვ.). სამთანხმოვნოანი ძირის დაუშლელობის თეორიამ თანდათან ძალა დაკარგა და „დაუშლელი სამეული“ სხვადასხვა ცალკეულ შემთხვევაში ორთანხმოვნოანამდე იქნა დაყვანილი, ხოლო შესამე თანხმოვანი „არადირეულად“ გამოცხადდა².

¹ ცხადია, ბგერათა კანონზომიერ შესატყვისობათა გათვალისწინებით, როგორც ზემოაღნიშნულ მაგალითში ჩანდა: არაბ. \sqrt{mlk} , ებრ. \sqrt{mlk} , არამ. \sqrt{mlk} , ე. ი. არაბ. \sqrt{mlk} = ებრ. \sqrt{mlk} = არამ. \sqrt{mlk} .

² ასეთი ძიება ზრნასთან უკეთ ჩანს.

როგორც ირკვევა, სახელის ძირთა III თანხმომავანი სხვადასხვა წარმომობისა შეიძლება იყოს: 1) ბგერათგანვითარებისა თუ სხვა ფონეტიკური პროცესის შედეგი, 2) მორფოლოგიური ხასიათისა (ოდესღაც არსებული კლას-კატეგორიების გადმონაშთი, მაგ., ხ ცხოველთა სახელწოდებებში), 3) სხვა სიტყვის ნაწილი, შერწყმული მოცემულ სიტყვასთან და სხვ.

რადგან სემიტურ ძირთა თავდაპირველი შედგენილობის საკითხი საბოლოოდ გარკვეული არ არის, ამიტომ სახელისა თუ ზმნის ძირთა მიმართ ხმარება ტერმინებისა „სამთანხმონიანი ძირი“, „ოთხთანხმონიანი ძირი“ და მისთ. პირობითია და იგი უფრო ამ ძირთა დღევანდელ შედგენილობას ემყარება. აღნიშნულის მიხედვით ერთ სემიტ. ენაში სახელი შეიძლება ოთხთანხმონიანი იყოს, მეორეში—

სამთანხმონიანი. ასე, მაგ., „მელა“ არაბულად مَلَأَ, ძირეულებია f'lx (ოთხთანხმონიანი), არამეულად იგივე სიტყვა სამთანხმონიანი: 𐤌𐤋𐤁, ძირეულები -- f'x: არაბ. مَلَأَ-ის ბოლოკიდური ხ-ს შესატყვისი არამეულში არ არის. ანდა, „ბელურა, პატარა ჩიტი“— არაბ. عَفُور — 'sfir (ოთხთანხმონიანი), არამეულად — 𐤅𐤍𐤁𐤏 — spir (სამთანხმონიანი); არაბული სიტყვის თავკიდური f-ის შესატყვისი არამეულში არ ჩანს. ასეთი მაგალითები ბევრი შეიძლება დაიძებნოს. ამდენად, როდესაც ვლაპარაკობთ არაბულ عَفُور-ში f-ის შესახებ როგორც ძირეულზე, ან იმავე مَلَأَ-ის ხ-ზე როგორც ძირეულზე, ცხადია, მხოლოდ პ ი რ ო ბ ი თ. იგივე ითქმის ასურულ სახელთა ძირზე მსჯელობის მიმართაც წინამდებარე გრამატიკაში.

სახელი შეიძლება ერთი ან მეტი ფუძისაგან შედგებოდეს. პირველ შემთხვევაში გვექნება მ ა რ ტ ი ვ ფ უ ძ ი ა ნ ი სა ხ ე ლ ი, მეორე შემთხვევაში — რ თ უ ლ ფ უ ძ ი ა ნ ი სა ხ ე ლ ი ანუ კ ო მ პ ო ზ ი ტ ი.

ა. მარტივფუძიანი სახელები

მარტივფუძიანი სახელები სახელთა დიდ უმრავლესობას შეადგენს. მათ შორის გვხვდება როგორც განუვრცობელი ფუძის (ე. ი. მხოლოდ ვოკალიზებული ძირის) შემცველი სახელები, ისე აფიქსაციით გავრცობილი ფუძის შემცველნი. აქ მხოლოდ პირველს შეეხებით. აფიქსაციით გავრცობილ სახელებზე ქვემოთ იქნება მსჯელობა, სადაც მოცემულია სახელთა მაწარმოებელი აფიქსები¹.

¹ იხ გვ. 119 და შემდ.

ორთანხმოვნიანი სახელები თანამედრ. ასურულში ნაკლებადაა. ასეთებია: **𐎠𐎢𐎽** „და“ (<V³h (ძირეული² დაკარგულია, t მდ. სქესის ნიშანია), **𐎠𐎢𐎽𐎠** „წელიწადი“ (ძირეულები 𐎠 და n, რომელიც მოძღვენო მდ. სქესის ნიშანს t-ს დაემსგავსა), **𐎠𐎢𐎽𐎠** „ნაპირი; ბაგე“ (ძირეულები: s და n), **𐎠𐎢𐎽𐎠** „ხელი“ (ძირეულები: i და d), **𐎠𐎢𐎽** „სახელი“ (ძირეულები: 𐎠 და m), **𐎠𐎢𐎽** „სისხლი“ (ძირეულები: d და m), **𐎠𐎢𐎽** „წყალი“ (ძირეულები: m და i=არაბ. m და 𐎠-ს²), **𐎠𐎢𐎽** „მხევალი“ (ძირეულები: 𐎠 და m), **𐎠𐎢𐎽** „ძირი, ფსკერი“ (ძირეულები: 𐎠 და t) და ზოგი სხვა.

ზოგიერთი ორთანხმოვნიანი სახელი დამოუკიდებლად აღარ იხმარება. ასეთია **𐎠𐎢** „ძე“ (ძირეულები: b და r=საერთოსემიტ. b და n) და **𐎠𐎢** „მამა“ (ძირეულები: 𐎠 და b), რომლებიც გვხვდება აქედან ნაწარმოებ სხვა ფორმებში. ასე, **𐎠𐎢** კნინობითის ფორმაში — **𐎠𐎢𐎽** „ძე“ ან კომპოზიტებში, როგორიცაა **𐎠𐎢𐎽** „თესლი“, **𐎠𐎢𐎽** „აღამიანი“, მისი მდ. სქესის შესატყვისი **𐎠𐎢** კომპოზიტებში **𐎠𐎢𐎽** „ეხო“, **𐎠𐎢𐎽** „სათითე“ და მისთ². მეორე სიტყვა **𐎠𐎢** დატულია მხოლოდ მის მრ. რიცხვის ფორმაში — **𐎠𐎢𐎽** „მშობლების“ მნიშვნელობით.

სამთანხმოვიან სახელებთან სახელის სხვადასხვა ტიპი გვხვდება (იმისდა მიხედვით თუ ძირი როგორაა ვოკალიზებული). აქედან ჩვენ მხოლოდ ძირითადს აღვნიშნავთ სათანადო მაგალითების ჩვენებით.

ასურულში განსაკუთრებით გავრცელებულია ერთმარცვლიანი ფუძეები. აქედან:

(1) a ხმოვანით (ე. წ. qat| ტიპისა), როგორიცაა: **𐎠𐎢** „პური“, **𐎠𐎢** „მეფე“, **𐎠𐎢** „მთვარე“, **𐎠𐎢** „ქვეყანა“, **𐎠𐎢** „თოვლი“, **𐎠𐎢** „ძალი“, **𐎠𐎢** (<**𐎠𐎢**) „ხარი“, **𐎠𐎢** „სახლი“ და მრავალი სხვ.

¹ შდრ. არაბ. **ءل**.

² იხ. „კომპოზიტები“, გვ. 116—117.

აქვე უნდა დავასახელოთ გემინირებული თანხმოვნის მქონე სახელები a ხმოვნით, როგორცაა **كُتِّ** „პეშვი“ < kappā.

ამ რიგის სახელებში გემინატი გამარტივებულია, რის გამოც ღია მარცვალში $a > \bar{a}$. ამ უკანასკნელ ჯგუფს განეკუთვნება სახელები, სადაც ძირში გემინაცია სრული ასიმილაციის შედეგია: **حُتِّ** „ზურგი; წელი“ < ḥaḥṣā < ḥarsā.

ამ ტიპის სახელთა მდ. სქესში მეორე ძირეულის შემდეგ წარმოთქმაში ჩნდება i ხმოვანი, რაც ხშირად გრაფიკაშიც ჩანს: **حُتِّ** და მდ. **كُتِّ** „დედოფალი“, **حُتِّ** „ძალი“ და მდ. **كُتِّ**, **حُتِّ** „ხარი“ და მდ. **كُتِّ** „ძროხა“ (ზოგჯერ—**كُتِّ**), **حُتِّ** „ამხანაგი“ და მდ. **كُتِّ**.

(2) i ხმოვნით (qitl ტიპისა): **كُتِّ** „ნაცარი“, **كُتِّ** „გვერდი“, **كُتِّ** „შიშხილი“, **كُتِّ** „წვერი“, **كُتِّ** „ნახვრეტი“, **كُتِّ** „წვიმა“, **كُتِّ** „სიზმარი“, **كُتِّ** „ნაპრალი“ (< **كُتِّ**) და სხე.

აქვე შემოდის გემინირებული ძირეულის მქონე სახელები i ხმოვნით, როგორცაა **كُتِّ** „კბილი“, **كُتِّ** < pirā „ბატკანი“.

თანხმოვანთა სრული ასიმილაციით გემინირებული სახელები: **كُتِّ** „მხარე, გვერდი“ < gibbā < ḡinbā, **كُتِّ** „მუცელი“ < kissā < kirsā.

qitl ტიპის სახელთა მდ. სქესში II ძირეულის მეშველი ხმოვანი (წარმოთქმის გასაადვილებლად) a არის: **كُتِّ** „ბეჭედი“, **كُتِّ** „ხერხი“.

(3) u ხმოვნით (qutl ტიპისა), როგორცაა: **كُتِّ** „პირველშობილი“, **كُتِّ** „გზა“, **كُتِّ** „შესაწირავი“, **كُتِّ** „სიახლოვე; ახლო“, **كُتِّ** „სიღრმე“.

ამ ტიპის მდ. სქესის სახელებია: **كُتِّ** „ადგილი“, **كُتِّ** „ფაშატი“, **كُتِّ** „დაბალი“.

ამ ტიპისაა II უღლების ზმნების ვნებითის მიმღეობები, როგორცაა: **كُتِّ** „გაყიდული“ (მამრ.) და **كُتِّ** (მდ.), **كُتِّ**

„გადარჩენილი“ და მისი მდ. — **گَدْرَد**, **گَدْرَد** „გაგზავნილი“ და მისი მდ. **گَدْرَد** და სხვ.

ორმარცვლიანი ფუძის მქონე სახელთა გარკვეული (საკმაოდ დიდი) ნაწილი ენის განვითარების გვიანდელ საფეხურზე ერთმარცვლიან სახელებამდე დავიდა. ასეა ორ შემთხვევაში: პირველი, როდესაც წარმოშობით ორივე მარცვალში მოკლე ხმოვანი ივარაუდება და მეორე, როდესაც მეორე მარცვალში გრძელი ხმოვანი იყო, ხოლო პირველში — მოკლე. აღნიშნული ტიპის სახელთა ფუძისეული მოკლე ხმოვნები დაიკარგნენ (ზოგჯერ ულტრამოკლე ხმოვნის — შვას გავლით). ოდესღაც არსებულ ხმოვანთა კვალი ჩანს ისეთ სახელებში, რომელთა III ძირეული ბელადქეფათის ჯგუფისაა და გადაწეულია სპირანტში (რაც, როგორც ცნობილია, მხოლოდ ხმოვნის შემდეგ ხდებოდა). ასე, მაგალითად: **گِرَد** „კეთრი“ < girah, **دَاهَر** „ოქრო“ < dahah, **هَال** „რძე“ < halah, **دِهَل** „დედალი (ცხოველი)“ < nuqah და სხვ. სხვა შემთხვევაში კი II ძირეულთან არსებული მოკლე ხმოვნის ოდესღაც არსებობა ირკვევა სხვა სემიტ. ენებთან შედარებით: **گَمَل** „აქლემი“ < gumal || gamal (შდრ.

არაბ. **جَمَل**, ებრ. **גַמֶל**). ამგვარად, ისეთ შემთხვევაში, როდესაც ისტორიულად qatā (ან მისი მსგავსი) ტიპის სახელებია, ისინი ერთმარცვლიან სახელებს იძლევიან და ხმოვანი პირველ ძირეულთანაა დატული. ამით ეს ტიპი ემთხვევა qatī ტიპს.

მეორე შემთხვევაში, როდესაც ისტორიულად ისეთი ტიპის სახელია სავარაუდო, რომელსაც I ძირეულთან მოკლე, ხოლო II ძირეულთან გრძელი ხმოვანი აქვს (qatā, qitā და მისთ.), იკარგვის I ძირეულის ხმოვანი და ამგვარად მიღებულია ერთმარცვლიანი სახელი ორთანხმოვნიანი დასაწყისით (qitā, qitā, qitā). ასეთი ტიპის სახელები ძველ სემიტურში უცნობია, იგი ენის შემდგომი განვითარების პროდუქტია. ასე:

qitā: I უღლების ზმნის მასდარი, როგორცაა **قَتَا** „ქრა“, **قَتَا** „გაღება“, **قَتَا** „მოკვლა“, **قَتَا** „ცდა, ლოდინი“, **قَتَا** „წერა“ და სხვ.; კონკრეტული სახელები, როგორცაა: **قَتَا** „ვირი“, **قَتَا** „ქისერი“, **قَتَا** „ქაცი, ადამიანი“¹;

¹ ამავე ტიპისაა რიცხვითი სახელი „სამი“ — **قَتَا** (< tātā).

qāṭil: I უღლების ზმნების ვნებითი გვარის მიმღებები, როგორცაა **قَاتِلٌ**, მდ. **قَاتِلٌ** „დამთავრებული“; **قَاتِلَةٌ**, მდ. **قَاتِلَةٌ** „გატეხილი“; **قَاتِلًا**, **قَاتِلِينَ** „დაწერილი“ და სხვ.; კონკრეტ. სახელებიდან: **قَاتِلٌ** „ყინული“, **قَاتِلٌ** „მეცნიერი“;

qāṭil: ზედსართავეები, როგ. **قَاتِلٌ** „ბრტყელი“, **قَاتِلَةٌ** „წითელი“, **قَاتِلٌ** „შავი“.

თავდაპირველი ორმარცვლიანი ფუძე დატულია ისეთ შემთხვევაში, თუ I ძირეულთან გრძელი ხმოვანია და სახელდობრ ā. ასე გვაქვს qāṭil და qāṭul (qāṭol) ტიპის სახელებში:

qāṭil: ისტ. მოქმ. გვარის მიმღებობა, რომელიც ამჟამად გამოყენებულია ზოგადი დროებისა და მყოფადის საწარმოებლად¹ — **قَاتِلٌ** „ამთავრებს“, **قَاتِلٌ** „კლავს“, **قَاتِلٌ** „უშვებს“, **قَاتِلٌ** „აღებს“ და მისთ.; არს. სახელებიდან: **قَاتِلٌ** „კოჭი (სახლის)“, **قَاتِلٌ** „ნაკადული“;

qāṭul (qāṭol): nomen agentis, როგორცაა **قَاتِلٌ** „მკვლელი“, **قَاتِلٌ** „ჩქარი, მარდი“; არსებითი სახელებიდან: **قَاتِلٌ** „მამალი“, **قَاتِلٌ** „ქუჩა“.

ორმარცვლიანი ფუძეები დატულია სახელებში, რომელთა II ძირეული ოდესღაც გაორკეცებული (გემინირებული) იყო (ამჟამად ეს გაორკეცება აღარ ჩანს, დაკარგულია):

qatṭāl: ასეთა ხშირად nomen agentis-თან, როგ. **قَاتِلٌ** „მხედარი“ < rakkābā, **قَاتِلٌ** „მთიბავი“ < ḥaṣṣādā, **قَاتِلٌ** „მუშა“ < pallāhā; ზოგჯერ პირველი მარცვლის a > i, რომელიც შემდეგ გრძელდებოდა და ვლებულობდით ī-ს: **قَاتِلٌ** „ქურდი“ < giunāhā < gannāhā. სახელთა ამ ტიპს განეკუთვნება II უღლების ზმნათა ზოგიერთი nomen actionis: **قَاتِلٌ** „გადარჩენა“, **قَاتِلٌ** „გაგზავნა“, თუმცა უმეტესად მეორე ძირეულის შემდეგ ხმოვანი დამოკლებულია: **قَاتِلٌ** „ხარშვა“, **قَاتِلٌ** „გამოტანა, გამოყვანა“;

qitṭāl: **قَاتِلٌ** „ენა“ < liṣṣānā;

quṭṭāl: **قَاتِلٌ** „სიამოვნება“ < bussāmā, **قَاتِلٌ** „დასაწყისი“ < šurrāiā;

¹ ამის შესახებ იხ. გვ. 188—200.

q a t t i l: **𐌚𐌆𐌆𐌰** „მწარე“ < marrīrā, **𐌚𐌆𐌆𐌰** „მარჯვენა“ < iam-
mīnā, **𐌚𐌆𐌆𐌰** „მართალი, სამართლიანი“ < zaddīqā; ა-სათვის ზოგ-
ჯერ ā წერია, შესაძლებელია როგორც კომპენსაცია გემინაციის
დაკარგვისა: **𐌚𐌆𐌆𐌰** „რბილი“ < rakkikā, **𐌚𐌆𐌆𐌰** „ლამაზი“ < šap-
pīrā, **𐌚𐌆𐌆𐌰** „თბილი“ < šaḥḥīuā. ასეთი წარმოება მხოლოდ ზედ-
სართავებთან გვხვდება.

q a t t ū l: **𐌚𐌆𐌆𐌰** „მცირე“ < baṣṣūrā, **𐌚𐌆𐌆𐌰** „ლუმელი; თორ-
ნე“ < tannūrā და სხვ.

q i t t ū l (უმეტესად მდ. სქესის სახელებთან): **𐌚𐌆𐌆𐌰** და
𐌚𐌆𐌆𐌰 „ქაბის კალთის კიდე“ < šippulā, **𐌚𐌆𐌆𐌰** „კაზანა“ < dib-
būrta, **𐌚𐌆𐌆𐌰** „ფრჩხილი“ < tippūrta და სხვ.

ამ რიგის ორმარცვლიანი სახელებიც ზოგჯერ მთელი მარცვ-
ლის ან ხმოვნის დაკარგვის გამო ერთმარცვლიანებია. ასე, მაგალი-
თად, **𐌚𐌆𐌆𐌰** „თავთავი“ < šibbūlā, **𐌚𐌆𐌆𐌰** „თეთრი“ < ḥīyūārā.

ოთხთანხმოვნისანი სახელები ბევრად უფრო ნაკლებია, ვიდრე
სამთანხმოვნისანი. მკვიდრ (არაწილ) ოთხთანხმოვნისანი სახელთა
ძირები, ჩვეულებრივ, მიღებულია ორთანხმოვნისანი ან სამთანხმოვ-
ნისანი ძირებიდან (ძირის ერთ-ერთი ძირეულის გაორკეცებით, რაიმე
თანხმოვნის განვითარებით და სხვა).

ოთხთანხმოვნისანი სახელებიდან ხშირად გვხვდება: **𐌚𐌆𐌆𐌰**
ან **𐌚𐌆𐌆𐌰** „თავის ქალა“, **𐌚𐌆𐌆𐌰** „თავი“, **𐌚𐌆𐌆𐌰** „იდაყვი“, **𐌚𐌆𐌆𐌰** „რკინა“, **𐌚𐌆𐌆𐌰** „მორიელი“, **𐌚𐌆𐌆𐌰** „ჯორი“
(**𐌚𐌆𐌆𐌰**-სათვის). ყველა ამ სიტყვაში ფუძისეული ხმოვანი (თუ
ხმოვნები) მოკლეა. ასეა ხშირად nomina actionis-სთან: **𐌚𐌆𐌆𐌰**
„დაგვიანება“, **𐌚𐌆𐌆𐌰** „კანკალი“ და მისთ.

ასურულში გვაქვს ისეთი ოთხთანხმოვნისანი სახელებიც, რომელთა
მეორე მარცვალში გრძელი, ხოლო პირველში მოკლე ხმოვანია:
𐌚𐌆𐌆𐌰 „გართობა“, **𐌚𐌆𐌆𐌰** „არეულობა“ და სხვ. ასეა ხშირად
ზმნიდან ნაწარმოებ აბსტრაქტაში: **𐌚𐌆𐌆𐌰** „ზარალი, ზიანი“,
𐌚𐌆𐌆𐌰 „გამოკვება“; ა ხმოვნით: **𐌚𐌆𐌆𐌰** „ნაპერწყალი“, **𐌚𐌆𐌆𐌰**
„ნაწილი“ და სხვ.

ბ) კომპოზიტები

ძველი სემიტური ენებისათვის კომპოზიტები (შედგენილი სახელები) არ არის დამახასიათებელი. ისინი უმეტესად ძველ ებრაულში გვხვდება საკუთარი სახელებისათვის. კომპოზიტების გაჩენა და გავრცელება სემიტური ენებისათვის შედარებით ახალი მოვლენაა. კომპოზიტებმა განსაკუთრებული გავრცელება ჰპოვა არამეულის ცოცხალ დიალექტებში.

დღევანდელი კომპოზიტები უმეტესად გენეტიური კონსტრუქციებია, რომელთაგან პირველი სახელი status constructus-შია¹. ასეა მიღებული:

מֶלֶךְ אֱלֹהִים „მეპურე“ (ზუსტად: „მცხოვრილი პურისა“);

אֱלֹהֵי יִשְׂרָאֵל „მეჩემე“ (ზუსტად: „ჩემების მკერავი“);

אֱלֹהֵי אֲבֹתָנוּ „ცისარტყელა“ (ზუსტად: „ჩვენი უფლის მშვილდი“);

אֱלֹהֵי יִשְׂרָאֵל „ვახშამი“ (ზუსტად: „სალამოს ჭამა“);

אֱלֹהֵי יִשְׂרָאֵל „ობობა“ (ზუსტად: „თითისტრების მრთველი“);

אֱלֹהֵי יִשְׂרָאֵל „ობობა“ (ზუსტად: „ბადეების მქსოველი“);

אֱלֹהֵי יִשְׂרָאֵל „ფარვანა; ღამურა“ (ზუსტად: „ღამის მფრინავი“);

אֱלֹהֵי יִשְׂרָאֵל „ჭურჭლის სარეცხი“;

אֱלֹהֵי יִשְׂרָאֵל „წინაპრები“ (ზუსტად: „მოხუცი მამები“);

אֱלֹהֵי יִשְׂרָאֵל „მუხლის თავი“ (ზუსტად: „ფეხის თავი“);

אֱלֹהֵי יִשְׂרָאֵל „დედინაცვალი“ (ზუსტად: „მამის ცოლი“);

אֱלֹהֵי יִשְׂרָאֵל „დედოფალი“ (ზუსტად: „მეფის ცოლი“).

განსაკუთრებით ხშირია კომპოზიტების პირველ კომპონენტად (st. cs.-ში) „ძე“ — אָב, „ასული“ — אִמָּה, „სახლი; ადგილი (სამყოფელი)“ — אֶרֶץ (אֶרֶץ = אָרֶץ). ასე, მაგალითად:

„ძე“: אָבִי אֶרֶץ „თესლი, კურკა“ (ზუსტად: „თესლის ძე“),

אֶרֶץ אָבִי „ძე სისხლისა“ = მკვლეელი“,

¹ Status constructus-ის შესახებ იხ. გვ. 135 და შემდ.

גַּזְזִי „ადამიანის შვილი“ = „კაცი, ადამიანი“¹;

גַּמְבְּדָּרִי „გამხდრის შვილი, ძე“ = „გამხდარი“;

„ასული“: גַּזְזִי „თითის ასული“ = „სათითე“²;

גַּמְבְּדָּרִי „ხმის ასული“ = „ექო“³;

„სახლი“: גַּמְבְּדָּרִי < גַּמְבְּדָּרִי „ნისანის⁴ სახლი“ = „გაზაფხული“;

גַּמְבְּדָּרִי < גַּמְבְּדָּרִי „ლევწვის ადგილი“ = „კალო“;

גַּמְבְּדָּרִי „მელანი“, პირველად „სამელნე“ < גַּמְבְּדָּרִי „სახლი (სამყოფელი) მელნისა“;

גַּמְבְּדָּרִי „თავშესათარი“;

גַּמְבְּדָּרִი ან גַּמְבְּדָּרִי „სასათლაო“ (ზუსტად: „საფლავების ადგილი (სახლი)“.

ზედსართავი კომპოზიტების პირველი კომპონენტი, ჩვეულებრივ, სიტყვა „პატრონი, უფალი, მქონე“ არის, დასმული st. es.-ში — גַּמְבְּדָּרִי (status emphaticus⁵: גַּמְבְּדָּרִי ან גַּמְבְּדָּרִי) და ქართ. „იანი, -ოსანი“ მაწარმოებელი სუფიქსების შესატყვისია (= არაბ. و.ს). ამგვარად მიღებულია:

גַּמְבְּדָּרִי „ძვირფასი“ < גַּמְבְּדָּרִי „ძვირი“ + גַּמְבְּדָּרִי (ე. ი. „ძვირის მქონე, ძვირიანი“ = „ძვირფასი“);

גַּמְבְּדָּרִי „ორატორი“ < גַּמְבְּדָּרִი და גַּמְבְּדָּרִი „ენები“ (ზუსტად: „ენების მქონე, ენიანი“);

גַּמְבְּדָּרִי „სახლის პატრონი“ < גַּמְבְּדָּרִი და גַּמְבְּדָּרִი „სახლი“;

גַּמְבְּדָּרִი „სახელოვანი, ცნობილი“ < גַּמְבְּדָּרִი და גַּמְבְּדָּרִი „სახელი“;

גַּמְבְּדָּרִი „ძლიერი“ < גַּמְבְּדָּרִი და גַּמְבְּדָּרִი „ძალა, ღონე“;

גַּמְבְּדָּרִი „საშიში“ < גַּמְבְּדָּרִი და גַּמְבְּדָּרִი „შიში“;

¹ შდრ. ქართული „კაცი/შვილი, ადამიანი/შვილი“.

² ნელდეკსთან „ცერი“ (იხ. N i d e k e, ხს. შრ., გვ. 118, § 61).

³ ნელდეკსთან „ხმა“ (იხ. N i d e k e, ხს. შრ., იკვე).

⁴ „ნისანი“ თვის სახელწოდებაა — აპრილს.

⁵ იხ. გვ. 138 და შემდ.

დ. თ. ხა. „ნაყოფიერი“ < ხა. და დ. თ. „ნაყოფი“;

ხა. ხა. „ქკვიანი“ < ხა. და ხა. ხა. „ქკუა“;

ხა. ხა. „რქიანი, რქოსანი“ < ხა. და ხა. ხა. „რქა“, და მრავალი სხვ.

სხვა კომპოზიტებიდან აღსანიშნავია: ხა. ხა. ხა. „ქალარა“ (ზუსტად: „თეთრთმიანი“), ხა. ხა. ხა. „უდანაშაულო“ (ზუსტად: „თეთრსახიანი“), ხა. ხა. ხა. „დამნაშავე“ (ზუსტად: „შავსახიანი“), ხა. ხა. ხა. „საფეთქელი“ < ხა. ხა. ხა. „სარქველი (ცა) ტვინისა“, ხა. ხა. ხა. „სასა“ < ხა. ხა. ხა. „სარქველი სასისა“.

გვხვდება ისეთი კომპოზიტებიც, რომელთა პირველ კომპონენტს რიცხვითი სახელი ან ნაწილაკი წარმოადგენს. ასეა დღეთა სახელწოდებანი: ხა. ხა. ხა. < ხა. ხა. ხა. „კვირა“ (ზუსტად: „ერთშაბათი“), ხა. ხა. ხა. „ორშაბათი“, ხა. ხა. ხა. „სამშაბათი“ და ა. შ. როგორც ქართულში.

ნაწილაკების შემცველია კომპოზიტები:

ხა. ხა. ხა. „ქეთა“ < ხა. ხა. „უქან, შემდეგ“ და ხა. ხა. „კისერი“ (ზუსტად: „კისრის უქან“);

ხა. ხა. ხა. „გვერდულად, გვერდზე“ < ნაწ. ხა. ხა. „უქან, შემდეგ“ და ხა. ხა. „გვერდი“;

ხა. ხა. ხა. „სალამოს“ < ნაწ. ხა. ხა. „შორის“ და ხა. ხა. ხა. „სალამობი“;

ნეგაციურ ნაწილაკ ქს-სთან („არ“) ერთად:

ხა. ხა. ხა. ხა. ხა. „ურწმუნოება“ < ხა. და ხა. ხა. ხა. ხა. ხა. „რწმენა“;

ხა. ხა. ხა. ხა. „არასასიამოვნო, უსიამოვნო“ < ხა. + ხა. ხა. „სასიამოვნო, სასურველი“ და მისთ.

შემოდანიშნულ სახელთა კომპოზიტობაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ მათ მრ. რიცხვის მაწარმოებელი და კუთვნილებითი ნაცვალსახელური სუფიქსები მხოლოდ მეორე კომპონენტის ბოლოში დაერთვის. ასე გვაქვს: ხა. ხა. ხა. ხა. ხა. ხა. „კვირა დღეები“, ხა. ხა. ხა. ხა. ხა. ხა.

„ცისარტყელები“, **ᲑᲗᲗᲗᲗ** „მისი (მღ.) თესლი“, **ᲗᲑᲗᲗᲗ** „მისი (მამრ.) დედინაცვალი“, **ᲑᲗᲗᲗᲗ** „ჩემი დეიდაშვილი (ვაჟი)“ და სხვ.

ასურულში კომპოზიტები ჩვენს თვალწინ იქმნება. სემანტიკურად მკიდროდ დაკავშირებულ სიტყვათა გაკომპოზიტებისადმი ტენდენცია მეტად ძლიერია. კომპოზიტებად წარმოგვიდგება არა მარტო ძველი გენეტიური კონსტრუქციები, სადაც პირველი კომპონენტი ძველ *status constructus*-შია დაცული (**ᲑᲗᲗᲗ ᲗᲗ** და მისთ), არამედ ახალი, **Თ** ნაწილაკით შედგენილი გენეტიური კონსტრუქციებიც, როგორცაა:

ᲑᲗᲗᲗ ᲑᲗᲗᲗ „მებატე, ბატების მწყემსი“ < **ᲑᲗᲗᲗ** „მწყემსი“ და **ᲑᲗᲗ** „ბატები“;

ᲑᲗᲗᲗ ᲑᲗᲗ „ცრემლი“ < **ᲑᲗᲗ** „სისხლი“ და **ᲑᲗᲗ** „თვალები“ (ზუსტად: „თვალების სისხლი“);

ᲑᲗᲗᲗ ᲑᲗᲗ „მართალი; ღვთის მოშიში“ < **ᲑᲗᲗ** „მსურველი“ და **ᲑᲗᲗ** „ღმერთი“ (= „ღვთის მსურველი“);

ᲑᲗᲗᲗ ᲑᲗᲗᲗ „ქამარი“ < **ᲑᲗᲗᲗ** „თასმა“ და **ᲑᲗᲗ** „ზურგი, წელი“ და სხვ.

კომპოზიტების უხვად შექმნაში თანამედროვე ასურულმა არა თუ ძველ სემიტურს, არამედ ახალ სემიტურ დიალექტებსაც ბევრად წინ გაუსწრო.

2. სახელის მარჯვმდებელი აფიქსები

ზოგიერთი სახელის ფუძე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არა მარტო ვოკალიზებულ ძირს წარმოადგენს, არამედ იგი სხვა თანხმონებთანაც არის გავრცობილი. ასეთი მავრცობი შეიძლება პრეფიქსალურიც იყოს (ძირს თავში დაერთოდეს) და სუფიქსალურიც (ბოლოში დაერთოდეს). აღნიშნული აფიქსები უმეტესად გარკვეული მორფოლოგიური თუ სემანტიკური ფუნქციით არის დატვირთული. (გვხვდება ისეთი მავრცობიც, რომელიც სავესებით უფუნქციოდ ჩანს. ასეთია, მაგალითად, თავკიდური **Ბ** (?ა) სიტყვაში **ᲑᲗᲗᲗ** „ოთხი“, შდრ. **ᲑᲗᲗᲗ** „მეოთხე“).

ა) პრეფიქსები

სახელის მაწარმოებელ პრეფიქსთა შორის ასურულში განსაკუთრებით ხშირად გვხვდება **ა**. **ა** აწარმოებს ვერბალურ სახელთა დიდ უმრავლესობას; სახელდობრ: II უღლების ზმნების (მათ შორის ოთხთანხმოვნისა ზმნათა) ყველა ძირითად ფორმას¹. შემდეგში ეს **ა** პრეფიქსი დაიკარგა ყველგან იქ, სადაც მას სრული ხმოვანი არ ახლდა (ინტენსივის თემის ფორმებში)²; **ა** დაცულია მხოლოდ კაუზატივის თემის მაწარმოებელი **ა**-ს წინ მასდარსა და მოქმ. გვარის მიმღეობაში: **ა**კლეეინებს“, **ა**გალებინებს“, **ა**სმევს; რწყავს“; ამავე ზმნათა მასდარები: **ა**გაღაბს; **ა**გაღაბს (აგაღაბს), **ა**გაღაბს და მისთ. აქედან, ანალოგიით, **ა** ბრძანებითის ფორმაშიც გადავიდა — **ა**გაღაბს და nomen actionis-ში — **ა**გაღაბს, **ა**გაღაბს და **ა**გაღაბს, **ა**გაღაბს და **ა**გაღაბს და სხვ. **ა** დაცულია აგრეთვე მეორე სრული ხმოვნის **ა**-ს წინაც კაუზატივის თემის ვნებითი გვარის მიმღეობაში: st. emph. **ა**გაღაბს და st. abs. **ა**გაღაბს, **ა**გაღაბს და **ა**გაღაბს, **ა**გაღაბს და **ა**გაღაბს³.

ა პრეფიქსიანი ნაზმნარი სახელები გვხვდება ბიბლიის ტექსტებში ებრაული infinitivus absolutus-ის შესატყვისად (ჩვეულებრივ პარონომაზიულ გამოთქმებში), რაც ასურულისათვის დამახასიათებელი წარმოება არ უნდა იყოს. ასეთია, მაგალითად, **ა**გაღაბს „ვეთება“, **ა**გაღაბს „ხედვა“ და მისთ.

ა და **ა** პრეფიქსი სხვა ტიპის სახელებთანაც გვაქვს:

(1) **ა**-თია უმეტესად ნაწარმოები იარაღის აღმნიშვნელი სახელები, როგორცაა **ა**გაღაბს „ნამგალი“, **ა**გაღაბს „ფარი“, **ა**გაღაბს „თეფ-

¹ იხ. ქვემოთ.

² გამოწაკლისია ზმნა **ა**გაღაბს „პატივს სცემს“, სადაც **ა**-ის წინ უხმოვნო **ა** დაცულია. ნელდგე მას უმატებს კიდევ რამდენიმე ზმნას: **ა**გაღაბს „წეწყობა“, **ა**გაღაბს „გაცოცხლება“ (воскрешать) და ორიოდ სხვაც (იხ. Nöldeke, ხს. შრ., გვ. 103, § 49 და 212, § 101).

³ ამის შესახებ უფრო ვრცლად იხ. ქვემოთ.

ში“, მრ. რ. — „ქურკელი“, **ᲕᲗᲚᲗ** „სამართებელი“, **ᲕᲗᲗᲗ** „სასწორი“, **ᲕᲗᲗᲗᲗ** „ეტლი“; მოქმედების ადგილი: **ᲕᲗᲗᲗ** „ბინა; სამყოფელი“, **ᲕᲗᲗᲗ** „კარავი“, **ᲕᲗᲗᲗ** „საძოვარი“, **ᲕᲗᲗᲗ** „აღმოსავლეთი“, **ᲕᲗᲗᲗ** „დასავლეთი“ და სხვ.

(2) **ᲕᲗ** პრეფიქსი აწარმოებს: იარაღის სახელებს, როგორცაა **ᲕᲗᲗᲗᲗ** „სეარცხელი“, **ᲕᲗᲗᲗ** „საყერი“, **ᲕᲗᲗᲗ** „ნემსი“ < **ᲕᲗᲗᲗ** (მეტათეზისით) (ზუსტად: „საკერავი, რითაც კერენ“ < **ᲕᲗᲗᲗ** „კერავს“); აქვე შემოდის **ᲕᲗᲗᲗᲗᲗ** „საქმელი“ (**ᲕᲗᲗᲗ** „ქამს“) და **ᲕᲗᲗᲗᲗ** „ლარიბი, საწყალი“.

ᲕᲗ და **ᲕᲗ** პრეფიქსებით ნაწარმოები სახელები ასურულში ძალიან ცოტაა. ასეთია ვერბალური ამსტრაქტები **ᲕᲗᲗᲗᲗᲗ** „დიდება“, **ᲕᲗᲗᲗᲗᲗ** (< **ᲕᲗᲗᲗᲗᲗ**) „აღსარება“, **ᲕᲗᲗᲗᲗᲗ** „სამსახური“; ასევე კონკრეტული სახელი **ᲕᲗᲗᲗᲗᲗ** „მოწათე“. ამავე წარმოებისაა **ᲕᲗᲗᲗᲗ** „სამხრეთი“.

ბ) სუფიქსები

სახელთა მაწარმოებელი აფიქსებიდან განსაკუთრებით მრავალფეროვანია სუფიქსები.

(1) **ᲕᲗ** სუფიქსი ასურულში უაღრესად გავრცელებულია. იგი ისტ. მოქ. გეარის მიმლეობიდან აწარმოებს ახალ მიმლეობას (= nomen agentis), რომელიც მთლიანად ცვლის პირველს მოქ. გეარის მიმლეობის მნიშვნელობით (ისტ. მოქ. გეარის მიმლეობა მხოლოდ პრედიკატიული მნიშვნელობით გამოიყენება ზმნის უღლებაში¹): **ᲕᲗᲗᲗ** — ისტორიული მოქ. გვ. მიმლეობა, ამეამად აწმყოს მნიშვნელობით — „იპერს“, აქედან — **ᲕᲗᲗᲗᲗ** „დამპერი“; **ᲕᲗᲗᲗ** „წერს“ > **ᲕᲗᲗᲗᲗ** „დამწერი, მწერალი“, **ᲕᲗᲗᲗ** „გამოდის“ > **ᲕᲗᲗᲗᲗ** „გამომსვლელი“, **ᲕᲗᲗᲗ** „შეღის“ > **ᲕᲗᲗᲗᲗ** „შემსვლელი“, **ᲕᲗᲗᲗ** „აკეთებს“ > **ᲕᲗᲗᲗᲗ** „მკეთებელი“ და მისთ.

¹ ამის შესახებ იხ. თ. XVIII: „ზმნის უღლების სისტემა“.

გვერე სუფიქსი არსებითი სახელებიდან აწარმოებს ზედსართავებს და შეესატყვისება ქართულ მაწარმოებელ სუფიქსებს „-იან“, „-იერ“-ს. ასე, მაგალითად, **كَنْتَشْ** „სინათლე“ > **كَنْتَشْ** „სინათლიანი, ნათელი“, **كَنْتَشْ** „ძალა“ და აქედან **كَنْتَشْ** „ძლიერი“, **كَنْتَشْ** „სიბნელე“ > **كَنْتَشْ** „ბნელი“, **كَنْتَشْ** „მზე“ > **كَنْتَشْ** „მზიანი, სინათლიანი“, **كَنْتَشْ** „ნამი“ > **كَنْتَشْ** „ნამიანი, ნოტიო“ და მისთ. სათანადო მდ. სქესის სახელებს **كَنْتَشْ**-ს ნაცვლად **كَنْتَشْ** აწარმოებს: **كَنْتَشْ**, **كَنْتَشْ**, **كَنْتَشْ** და მისთ.

მოცემული სუფიქსი (მამრ. **كَنْتَشْ**, მდ. **كَنْتَشْ**) ვნებითი გვარის მიმღეობიდან ზოგჯერ აწარმოებს აბსტრაქტას: **كَنْتَشْ** „გადარჩენილი“ > **كَنْتَشْ** „გადარჩენა, ხსნა“, **كَنْتَشْ** „საქირო“ > **كَنْتَشْ** „საქიროება, აუცილებლობა“, **كَنْتَشْ** „ნაბრძანები“ > **كَنْتَشْ** „ბრძანება“ და სხვ. აქვე შეიძლება დავასახელოთ **كَنْتَشْ** „შესაწირავი“ < **كَنْتَشْ** „იხსენებს“, **كَنْتَشْ** „სამუშაო“ (ზოგჯერ წერენ: **كَنْتَشْ**) < **كَنْتَشْ** „მუშაობს“.

كَنْتَشْ (მდ. **كَنْتَشْ**) სუფიქსი კონკრეტულ სახელებშიც გვხვდება, სადაც მათი ფუნქცია გაურკვეველია. ასეა, მაგალითად, **كَنْتَشْ** „მამამთილი, სიმამრი“ (მდრ. **كَنْتَشْ** „დედამთილი; სიდედრი“ და **كَنْتَشْ** „მაზლი“), **كَنْتَشْ** > **كَنْتَشْ** „მკლავი“ (მდრ. ებრ. 517).

(2) **كَنْتَشْ**-თი ნაწარმოებ სახელებს დიმინუტივის (კნინობითის) მნიშვნელობა აქვს. იგი შეიძლება ზედსართავ სახელებსაც დაერთოს კნინობითის გადმოსაცემად. ამგვარად მიღებულია: **كَنْتَشْ** „წიგნაკი“ < **كَنْتَشْ** „წიგნი“, **كَنْتَشْ** „ბიჭუკელა, ბიჭიკო“ < **كَنْتَشْ** „ბიჭი“; ზედსართავ სახელებთან: **كَنْتَشْ** „ძალიან პატარა“ < **كَنْتَشْ** „პატარა“.

მდ. სქესის სახელებს აწარმოებს **كَنْتَشْ**: **كَنْتَشْ** „დაიკო“ < **كَنْتَشْ** „და“, **كَنْتَشْ** „ფისუნა“ < **كَنْتَشْ** „ფისო, კატა“, **كَنْتَشْ** „ფისო, ფისუნა“ < **كَنْتَشْ** „კატა“.

ზოგან **𐌸𐌹**-თი (resp. **𐌸𐌹𐌸**-) ნაწარმოებმა სახელმა დაჰყარვა კნინობითის მნიშვნელობა და ჩვეულებრივი მნიშვნელობის მქონეა. ასე, მაგალითად: „ძე“ **𐌸𐌹𐌵** და „ძმა“ **𐌸𐌹𐌸**, რომლებმაც ხმარებიდან სავესებით განდევნეს ის სახელები, საიდანაც თვით იყვნენ ნაწარმოები: **𐌸** და **𐌸**. ასევეა ნაწარმოები ნათესაობის აღმნიშვნელი სხვა სახელებიც; **𐌸𐌹𐌸** „ბაბა“ < **𐌸𐌹** „მოხუცი, ბერიკაცი“ და **𐌸𐌹𐌸** „ბებია“ < **𐌸** „დედა“ (თურქ. nine), **𐌸𐌹𐌸** „ბიძა“ (მამის ძმა) **𐌸𐌹**-ის გვერდით. ასეთივე წარმოებისა ჩანს **𐌸𐌹𐌸** „ბროწეული“.

(3) **𐌸** სუფიქსი არსებითი სახელებიდან აწარმოებს ზედსართავებს: **𐌸𐌹** „მშვიდობა“ და აქედან **𐌸𐌹** „მშვიდობიანი“, **𐌸𐌹** „სიშიშველე“ > **𐌸𐌹** „შიშველი“.

გვევე სუფიქსი აწარმოებს nom. gentilicia-ს: **𐌸𐌹** „ტიარელი“ < **𐌸𐌹** „ტიარი“ (აღვ. სახ.), **𐌸𐌹** „არაბი“, **𐌸𐌹** „იუდეველი; ებრაელი“ < **𐌸𐌹** (საკ. სახ.), **𐌸𐌹** „იაკობიანელი, იაკობის მიმდევარი“ < **𐌸𐌹** „იაკობი“ (საკ. სახ.), **𐌸𐌹** „ნესტორიანელი, ნესტორის მიმდევარი“ < **𐌸𐌹** „ნესტორი“ (საკ. სახ.), **𐌸𐌹** || **𐌸𐌹** „გერმანელი“ < რუს. немец და მისთ.

აღნიშნული სახელების საწარმოებლად უმეტესად **𐌸** სუფიქსის დართვა სათანადო სახელზე ხდება **𐌸** სუფიქსის შუამავლობით, ე. ი. **𐌸** რთული სუფიქსით: **𐌸𐌹** „მთა“ > **𐌸𐌹** „მთიელი“, **𐌸𐌹** „ხორცი, სხეული“ და აქედან „ხორციელი“ — **𐌸𐌹**, **𐌸𐌹** „ქვეყნიური“ < **𐌸** „ქვეყანა“, და სხვ.

თუ აღნიშნული სახის სახელთა წარმოება ხდება ორ და მეტმარცვლიანი სახელიდან, მაშინ **𐌸** სუფიქსის ნაცვლად იქნება **𐌸** — ე. ი. n-ს წინა a ჩავარდნა: **𐌸** „სალამასი“ (აღვ. სახ.) > **𐌸** „სალამასელი“, **𐌸** „ინგლისელი“ < **𐌸**; **𐌸** „რუსი“, **𐌸** „სომეხი“ და მისთ.

ქს- იხმარება ფერის აღმნიშვნელ სახელებთან მოცემული ფერის .მოდულიკაციის გადმოსაცემად. ასე, მაგალითად: **ქსი** „შავი“, აქედან **ქსი** „მოშავო“, **ქსი** „წითელი“, აქედან **ქსი** „მოწითალო“, **ქსი** „თეთრი“ > **ქსი** „მოთეთრო“, **ქსი** „ყვითელი“ > **ქსი** „მოყვითალო“ და მისთ.

ქს-ს შესატყვისი სუფიქსი მდ. სქესის სახელებთან არის **ქსი**. ასე: **ქსი** „მშვიდლობიანი, წყნარი (ქალი)“, **ქსი** „ყარიბი ქალი“, **ქსი** „ქართველი ქალი“, **ქსი** „მოყვითალო“ (მდ.) და სხვ.

(4) **ქსი**- სუფიქსი აწარმოებს აბსტრაქტას ზედსართავი სახელებიდან, როგორცაა: **ქსი** „მაღალი“ > **ქსი** „სიმაღლე“, **ქსი** „ყარიბი“ > **ქსი** „ყარიბობა, უცხოობაში ყოფნა“, **ქსი** „გიჟი“ > **ქსი** „სიგიჟე“, **ქსი** „გრძელი“ > **ქსი** „სიგრძე“, **ქსი** „გაკვირვებული“ > **ქსი** „გაკვირვება, განცვიფრება“, **ქსი** „მეგობარი“ > **ქსი** „მეგობრობა“, **ქსი** „ქარგი“ > **ქსი** „სიკეთე“, **ქსი** „ავი, ბოროტი“ > **ქსი** „სიავე, ბოროტება“ და მრავალი სხვა.

აბსტრაქტას ასეთი წარმოება უაღრესად გავრცელებულია და იგი ერთნაირად გვხვდება როგორც საკუთარი, ისე უცხოური წარმოშობის სახელებთან.

ქსი- სუფიქსი, როგორც ზემოდან ჩანს, დაერთვის მხ. რიცხვის სახელს (ზედსართავიდან წარმოებისას მამრ. სქესის სახელს). მაგრამ, როგორც ნ ე ლ დ ე კ ე სამართლიანად შენიშნავს, არის ისეთი შემთხვევაც, როდესაც **ქსი**- მრ. რიცხვის ფუძეს ერთვის. ასე, მაგალითად, **ქსი** „ამხანაგობა“ ნაწარმოებია არა **ქსი** „ამხანაგი“-დან, არამედ მისი მრავლობითი რიცხვიდან—**ქსი**.

¹ იხ. Nöldöke, ხს. შრ., გვ. 111, § 55.

ორიოდე შემთხვევაში აბსტრაქტაში **ქაფ**- დაბოლოების ნაცვლად **ფ** არის. ეს უკანასკნელი მიღებულია სახელის *status absolutus*-ში, სადაც **აფ** დაბოლოება უნდა ყოფილიყო¹. სიტყვის აულაუტში მოხვედრილი სპირანტიზებული **ქ** დაკარგულია და ამგვარად დარჩა მხოლოდ სუფიქსისეული ხმოვანი **ჰ** (**ფ**). ასეა სახელებში: **აჰაჰ** „ნადავლის გაყოფა“ და **აჰაჰ** „სიღრმე“, რომელმაც შემდეგ „ღრმა“-ს მნიშვნელობა მიიღო. ამ **ფ** დაბოლოების გვერდით ტექსტებში გვხვდება **აფ**-ც (**ჰი**), რაც ან **ჰ**-ს დიფთონგიზაციის შედეგია², ანდა აქ **ი** (**ა**) სპირანტიზებული **ქ**-ს რეფლექსია. ასე გვხვდება: **აჰაჰ** „გაჭირვება“, **აჰაჰ** „უბედურება“, **აჰაჰ** „სიჩქარე“, **აჰაჰ** „ტანჯვა“.

(5) **ქ**-, მდ. სქ. **ქაჰ**- სუფიქსი უმეტესად გვხვდება *qtu* ფუძის მქონე სახელებთან; აქედან მამრ. სქესის **ქ** ჩვეულებრივ აბსტრაქტაში: **ქაჰაჰ** „არეულობა“, **ქაჰაჰ** „სითბო“, **ქაჰაჰ** „ჩაგვრა“, ხოლო მდ. სქესის სუფიქსი **ქაჰ** რეალური მდ. სქესის სახელებთან, რომელთაც მამრ. სქესში **ქ** (ან აქედან მიღებული **ქ**-) დაბოლოება აქვთ; როგორცაა: **ქაჰაჰაჰ** „დედალი მერცხალი“ (მამრ. **ქაჰაჰ**), **ქაჰაჰაჰ** „დედალი გველი“ (მამრ. **ქაჰაჰ** **ქაჰაჰ**-სათვის³). და სხვ.

ქ (resp. **ქაჰ**). სუფიქსი აწარმოებს სხვა ფუძის სახელებსაც, მაგალითად, **ქაჰაჰ** „ჩრდილოეთი“. მოცემული სუფიქსი ზოგჯერ **ქ** სუფიქსითაა გართულებული — **ქაჰაჰაჰ** „ჩრდილი“, მდრ. სირ. **ქაჰაჰ**. მდ. სქესის **ქაჰ** აწარმოებს ერთეულის სახელებს კრებითიდან (როგორც არაბ. **ქ** —). ასე, მაგალითად: **ქაჰაჰ** „ხორბალი“, აქედან

¹ ამ დაბოლოების შესახებ *st. abs.*-ში იხ. გვ. 135.

² მდრ. გვ. 40.

³ მდრ. **ქაჰაჰ** „ცხენი“ **ქაჰაჰ**-სთვის. შემდეგში ჩვეულებრივ სხვა სახელთა ანალოგიით **ქაჰაჰ**-ც იხმარება.

ქაბჟი „ხორბლის ერთი მარცვალი“, ხაბჟი „ყურძენა“ > ქაბჟი „ყურინის ერთი მარცვალი“ და მისთ.

(6) ჭ-სუფიქსი ჩანს ორიოდ სიტყვაში, როგორცაა ქაბჟი „ნაბიჯი“ (შდრ. ჭაბჟი „აბიჯებს“), ქაბჟი „თვალის გუგა“ (შდრ. სირ. ქაბჟი), ქაბჟი „პეშვი; ხელის გული“ (შდრ. ებრ. פך, არაბ. كف).

(7) ჭ-სუფიქსი ჩანს სიტყვებში ქაბჟი „რწყილი“ (შდრ. ებრ. שפך), ქაბჟი (მამრ.) და ქაბჟი < ქაბჟი „სხვა, მეორე“ (შდრ. ქაბჟი „შემდეგ“ და ებრ. אחר „სხვა“).

(8) ასურულში სახელთა მაწარმოებელ აფიქსთა შორის საკმაოდ ხშირად გვხვდება თურქული წარმოშობის სუფიქსი ბჟ- (<fi), რომელიც პროფესიას აღნიშნავს. ეს სუფიქსი არა მარტო თურქული წარმოშობის სიტყვებთან იხმარება, როგორცაა ბჟი „მეაბანოე“ < აბანო „აბანო“, ბჟი „მენავე“ < აბი „ნავი, გემი“, ბჟი „მეპურე“ < აბი „პური“, არამედ სხვა წარმოშობის (მათ შორის მკვიდრ არამეულ) სიტყვებთანაც: ქაბჟი „გზა“ > ბჟი „მოგზაური“, ქაბჟი „მეწისქვილე“ > ბჟი (იგივე), ქაბჟი „ხბო“ > ბჟი „მეხბორე“, ქაბჟი „მოგზაურობა“ > ბჟი „მოგზაური“, ქაბჟი „ქარვასლა“ > ბჟი „მექარვასლე, ქარვასლის პატრონი“ და სხვ.

რაც შეეხება ბჟი || ბჟი სუფიქსს, რამდენადაც იგი ძირითადად ზმნისართებს აწარმოებს, ჩვენ მას აქ არ განვიხილავთ¹.

თ ა ვ ი XVI

სახელის ფლექსია

1. სქმნი

თანამედროვე ასურული სახელთა ორ სქესს არჩევს, როგორც ეს საერთოდ სემიტურშია: მამრობითსა და მდედრობითს. მამრობითი სქესის სახელები სპეციალურ ნიშანს არ დაირთავენ. სახელის გრამატიკული სქესის ჩვენება მხოლოდ მდედრობით სქესშია.

¹ იხ. ქვემოთ.

ასურულში აქა-იქ გვხვდება სახელთა სქესის გარჩევა თვით სახელის ძირების მიხედვით. ასეა ბუნებრივი სქესის შქონე სახელებთან, როგორცაა **𐌲𐌴𐌹𐌹** „მამაკაცი“ და ქურთულიდან ნასესხები სიტყვა **𐌲𐌴𐌹𐌹** „დედაკაცი“ (**𐌲𐌴𐌹𐌹**-დან ნაწარმოები მდ. სქესის სახელი ასურულში დაკარგულია), **𐌲𐌴𐌹𐌹** „მამაკაცი; მამალი ცხოველი“ (<ქურთ.) და **𐌲𐌴𐌹𐌹** „ქალი; დედალი ცხოველი“.

მდ. სქესის ჩვეულებრივი დაბოლოებაა **𐌲**, რომელიც stat. empb.-ში **𐌲**-ს სახისაა. ასე, მაგალითად: **𐌲𐌴** „ძალი“ და **𐌲𐌴𐌹** „ძუ ძალი“, **𐌲𐌴** „ულაყი“ და **𐌲𐌴** „ფაშატი“, **𐌲𐌴** „ქალწული“, **𐌲𐌴** „ქალიშვილი“, **𐌲𐌴** „დედაბერი“ (მდრ. **𐌲𐌴** „ბერიკაცი, მოხუცი“), **𐌲𐌴** „შვილიშვილი (ქალი)“ (მდრ. **𐌲𐌴** „შვილიშვილი (ვაჟი)“ და სხვ. ყველგან აქ **𐌲** დაბოლოება ახლავს რეალური მდ. სქესის სახელებს. ეგვე **𐌲** დაბოლოება გვხვდება გრამატიკული მდ. სქესის სახელებთან, როგორცაა: **𐌲𐌴** „სიცივე“, **𐌲𐌴** „ლოცვა“, **𐌲𐌴** „საქმელი“, **𐌲𐌴** „ეზო“, **𐌲𐌴** „დილა“ და სხვ.

𐌲 დაბოლოება მდ. სქესის სახელებს მამრობითისაგან ასხევეებს აგრეთვე ზედსართავსა და მიმღობებში: **𐌲𐌴** „თეთრი“ (მამრ.) და **𐌲𐌴** „თეთრი“ (მდ.), **𐌲𐌴** „დიდი“ (მამრ.) და **𐌲𐌴** მისი მდ. სქ., **𐌲𐌴** „პატარა“ და **𐌲𐌴** (მდ.), **𐌲𐌴** „მალალი“ (მამრ.) და **𐌲𐌴** (მდ.), **𐌲𐌴** „გრძელი“ (მამრ.) და **𐌲𐌴** (მდ.), **𐌲𐌴** „კეთილი“ (მამრ.) და **𐌲𐌴** (მდ.), **𐌲𐌴** „ქურთხეული“ (მამრ.) და **𐌲𐌴** (მდ.) და სხვ.

მდ. სქესის ზოგიერთი სახელი **𐌲**-ზე ბოლოვდება. ასეთია: **𐌲𐌴** „ბაგა“, **𐌲𐌴** „წისქვილი“, **𐌲𐌴** „სარკმელი“; უცხოური სახელებიდან — **𐌲𐌴** „ქვეყანა, მსოფლიო“. აღსანიშნავია, რომ **𐌲** დაბოლოება ისეთ სიტყვებთან გვხვდება, რომელთა ბოლო თანხმო.

ვანი α (i) უნდა ყოფილიყო. შემდეგში status emphaticus-ის დაბოლოებას $\bar{\alpha}$ -ს წინამდებელ ძირეულ i -თან კონტრაქცია მოუვიდა და მოგვცა $\bar{\epsilon}$, რომელიც ბოლოს \bar{i} -ში გადაიწია¹.

ბ—დაბოლოებიანი მდ. სქესის სახელების გვერდით გვხვდება ამავე დაბოლოების მქონე მამრ. სქესის სახელები: **ბაბა** „ღამე“, **ბაბა** „გველი“, **ბაბა** „ცხენი“. აქაც ყველგან ბოლო თანხმოვნად i იყო, რომელთანაც მომდევნო $\bar{\alpha}$ კონტრაქციით $\bar{\epsilon}$ -ს იძლევა, ხოლო ეს $\bar{\epsilon} > \bar{i}$. აქვე შეიძლება დავასახელოთ **ბაბა** „ბანი (სახლის)“.

მდ. სქესის საერთოსემიტური ატ დაბოლოება, რომელიც განსაკუთრებით გავრცელებულია არაბულში, ხოლო ებრაულსა და ძველ არამეულში აქედან $> \bar{\alpha}$, დაცული უნდა იყოს ასურულ ორთანხმოვნიან სახელებში **ბაბა** „ქალიშვილი, ასული“ და **ბაბა** „დედამთილი; სიდედრი“; სადაც პირველის ძირეულებია **ბ** და **ბ**, ხოლო მეორის **ბ** და **ბ**. შესაძლებელია ეგვეე ატ ფორმანტი დაცული იყოს **ბაბა** დაბოლოებაშიც, რომელიც გვხვდება მდ. სქესის III i სახელებთან, როგორცაა **ბაბა** „დედალი მერცხალი“ (შდრ. **ბაბა** „მამალი მერცხალი“), **ბაბა** „დედალი გველი“ (შდრ. **ბაბა** < **ბაბა**) და ზოგიერთი სხვაც. ამგვარად, **ბაბა** დაბოლოება აქ $i\bar{\alpha}\bar{\alpha}$ -დან მიღებულად წარმოგვიდგება (მაგ. **ბაბა** > **ბაბა** და მისთ.).

ატ $\bar{\alpha}$ -ს სახით (ს სპირანტიზაციის შედეგად დაკარგულია) დაცულია **ბაბა** („ასული“) სახელის stat. constructus-ში: **ბაბა** || **ბაბა** (< **ბაბა**). ასეა კომპოზიტებში: **ბაბა** „ეხო“ < **ბაბა** „ასული“ + **ბაბა** „ხმა“ (ზუსტად: „ხმის ასული“), **ბაბა** „სათითე“ < **ბაბა** + **ბაბა** „თითი“ (ზუსტად: „თითის ასული“)².

¹ $\bar{\epsilon} > \bar{i}$ -ს შესახებ იხ. გვ. 40.

² იხ: გვ. 136—137.

თანამედროვე ასურულში ისევე, როგორც სხვა სემიტურ ენებში, მდ. სქესი ყოველთვის არ არის რაიმე დაბოლოებით გამოხატული, უფრო მეტიც: აქ ასეთი უნიშნო მდ. სქესის სახელები სკარბობს ძველი არამეული დიალექტების სათანადო სახელებს.

სახელები, რომლებიც მდ. სქესს განეკუთვნებიან და სათანადო ნიშანს არ დაირთავენ, შემდეგია:

1. რეალური მდ. სქესის ზოგი სახელი, როგორცაა: **ܘܢܐ** „ღედა“, **ܚܠܐ** „რძალი“ (**ܕܚܠܐ**-ს გვერდით), **ܕܒܝܪܐ** „ბერწი ქალი“;

2. სხეულის ნაწილების სახელწოდებანი: **ܕܒܝܬܐ** „ხელი“, **ܕܒܝܬܐ** „თვალი“, **ܕܚܘܘܬܐ** „თითი“, **ܕܚܘܘܬܐ** „მუცელი“, **ܕܚܘܘܬܐ** „ფეხი“, **ܕܚܘܘܬܐ** „ყური“, **ܕܚܘܘܬܐ** „რქა“;

3. ზოგი ცხოველისა და მცენარის სახელწოდება: **ܕܚܘܘܬܐ** „მორიელი“;

4. **ܕܚܘܘܬܐ** „ქვეყანა; მიწა“, **ܕܚܘܘܬܐ** „ცა“, **ܕܚܘܘܬܐ** „ზღვა“, **ܕܚܘܘܬܐ** „მდინარე“, **ܕܚܘܘܬܐ** „ქაობი“, **ܕܚܘܘܬܐ** „წყარო“;

5. გეოგრაფიული სახელები (გარდა მთებისა და მდინარეების სახელწოდებისა) და ქვეყნის მხარეები: **ܕܚܘܘܬܐ** „ურმია“, **ܕܚܘܘܬܐ** „ეგვიპტე“, **ܕܚܘܘܬܐ** „ამერიკა“, **ܕܚܘܘܬܐ** „აღმოსავლეთი“, **ܕܚܘܘܬܐ** „დასავლეთი“;

6. მეტეოროლოგიური მოვლენები, როგორცაა: **ܕܚܘܘܬܐ** „ქარი“, **ܕܚܘܘܬܐ** „ელვა; მეხი“, **ܕܚܘܘܬܐ** „წვიმა“, **ܕܚܘܘܬܐ** „ღრუბელი“;

7. უცხოური აბსტრაქტული სახელების უმრავლესობა: **ܕܚܘܘܬܐ** „მზრუნველობა“, **ܕܚܘܘܬܐ** „რისხვა“, **ܕܚܘܘܬܐ** „ხარება“, **ܕܚܘܘܬܐ** „სანახაობა, სეირი“ და მრავალი სხვა¹.

თანამედროვე ასურულში ზოგიერთმა ძველმა უნიშნო მდ. სქესის სახელმა სათანადო გაფორმება მიიღო (დაირთო მდ. სქესის დაბოლოება). ასე, მაგ.: **ܕܚܘܘܬܐ** „მშვილდი“ (მდრ. არაბ. **ܩܘܨ**), **ܕܚܘܘܬܐ** „მატლი“ (სირ. **ܕܚܘܘܬܐ**), **ܕܚܘܘܬܐ** „დანა“ (სირ. **ܕܚܘܘܬܐ**), **ܕܚܘܘܬܐ** „ვაზი“ (სირ. **ܕܚܘܘܬܐ**).

¹ მაშრ. სქესისაა უცხოური სახელები: **ܕܚܘܘܬܐ** „მიხეზი, საბაბი“, **ܕܚܘܘܬܐ** „პასუხი“, **ܕܚܘܘܬܐ** „წყვრივი“, **ܕܚܘܘܬܐ** „საქმე“ და სხვ.

საინტერესოა, რომ ზოგი სახელი ძველ არამეულთან შედარებით საპირისპირო სქესს გვიჩვენებს. ასე, ძველ არამეულში მამრ. სქესისაა, ხოლო თანამედრ. ასურულში — მდ. სქესისა: **ܕܢܗܘܐ** „სათლავი“ (მრავლობით რიცხვს აწარმოებს ორგვარად: როგორც მამრ. სქესის სახელი და როგორც მდ. სქესის სახელი), **ܕܢܗܘܐ** „თევზი“, **ܕܢܗܘܐ** „ზღვა“, **ܕܢܗܘܐ** „ღრუბელი“, **ܕܢܗܘܐ** „თხრილი, ორმო“, **ܕܢܗܘܐ** (<**ܕܢܗܘܐ**) „სანთელი“, **ܕܢܗܘܐ** „ქნარი“, **ܕܢܗܘܐ** „ღრო“.

არის პირიქითი შემთხვევებიც, ე. ი. როდესაც სახელი ძველ არამეულში მდ. სქესისა იყო, ახლა კი მამრ. სქესისაა. ასეთებია: **ܕܢܗܘܐ** „ცეცხლი“, **ܕܢܗܘܐ** „ალი“, **ܕܢܗܘܐ** „ქა“, **ܕܢܗܘܐ** „ფრინველი“, **ܕܢܗܘܐ** „ენა“, **ܕܢܗܘܐ** „პირი“, **ܕܢܗܘܐ** „გული“, **ܕܢܗܘܐ** „წვივი“, **ܕܢܗܘܐ** „თავი“, **ܕܢܗܘܐ** „ქბილი“, **ܕܢܗܘܐ** „მკლავი“.

ასურულში გვხვდება ისეთი შემთხვევაც, როდესაც სახელი როგორც მამრობითი, ისე მდ. სქესის სახელად გვევლინება. ასეთია, მაგალითად, **ܕܢܗܘܐ** „მზე“ (მაგრამ **ܕܢܗܘܐ** „მთვარე“ მხოლოდ მამრ. სქესისაა).

უცხოური სახელები, ჩვეულებრივ, ინარჩუნებენ თავის სქესს (ცხადია, მხედველობაში გვაქვს იმ ენებიდან სესხება, სადაც გრამატიკული სქესი არსებობს). ეს განსაკუთრებით ითქმის იმ არაბულ სახელებზე, რომლებიც t-ზე ბოლოვდება, როგორცაა **ܕܢܗܘܐ** „ხალხი, მიღეთი“ (არაბ. **مَلَأ**), **ܕܢܗܘܐ** „კანონი, შარიათი“ (არაბ. **شريعة**) და სხვა მისთ. არაბულ სახელთა ასეთი გაგება სავსებით ბუნებრივია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ეგვიპე t მდ. სქესს აწარმოებს თვით ასურულშიც.

უცხოური ლექსიკის სესხებისას რეალური სქესის მქონე სახელებისათვის ამოსავალია მის მიერ გამოხატული პირის სქესი. ასე, მამრ. სქესისაა: **ܕܢܗܘܐ** „მეფე“, **ܕܢܗܘܐ** „ბატონიშვილი“, **ܕܢܗܘܐ** „ბატონი“; მდ. სქესისაა: **ܕܢܗܘܐ** „ქალბატონი“, **ܕܢܗܘܐ** „მხევალი“.

ასურულში თურქულისა და სპარსულის გზით შემოსული t-ზე დაბოლოებული არაბული სიტყვები ზოგი მამრ. სქესისაა და ზოგი კი მდედრობითისა. მამრ. სქესისაა: **ܕܢܗܘܐ** „უღაბნო“ (თურქ. **berriye** < არაბ.), **ܕܢܗܘܐ** „საფეხური; გრადუსი“ (სპ. **graje** < არაბ.),

მაგრამ მდ. სქესისაა: **كَلْبٌ** „სარგებლობა“ (სპ. **كلب** < არაბ.), **كَلْبٌ** „სიმაგრე, ციხე“ (სპ. **كلب** < არაბ.).

ზოგი უცხოური სიტყვა მდ. სქესის ფორმანტს ირთავს: **كَلْبِي**, **كَلْبِي**-ს გვერდით გვაქვს **كَلْبَانِي** „ქალბატონი“ (თურქ. **kadın**), **كَلْبَانِي** „საყვარელი“ და აქედან მისი მდ. სქ. — **كَلْبَانِي** (თურქ. **sevgili**), **كَلْبَانِي** „კომბალი“ (თურქ. **çomak**), **كَلْبَانِي** „ფურკამეჩი“ (სპ. **گاومیش**).

უცხოური არსებითი სახელებიდან, რომლებიც ზემოაღნიშნულ კატეგორიებს არ განეკუთვნება, ზოგიერთი მდედ. სქესისაა, მაგალითად: **كَلْبَانِي** „ქარიშხალი“, **كَلْبَانِي** „მათრახი“, **كَلْبَانِي** „სუნთქვა“, **كَلْبَانِي** „სათლავი“, **كَلْبَانِي** „ოთახი“, **كَلْبَانِي** „შუბი“, **كَلْبَانِي** „ქალამი“, ზოგიერთი კი მამრ. სქესისა, მაგალითად: **كَلْبَانِي** „შუშა“, **كَلْبَانِي** „გვირგვინი“, **كَلْبَانِي** „ქალალდი“, **كَلْبَانِي** „თოხი“ და სხვ.

უცხოურ სიტყვათაგან გვხვდება სახელები, რომლებიც ორივე სქესს გვიჩვენებს: ხან მამრობითს და ხან მდედრობითს. ასეა, მაგალითად, **كَلْبَانِي** „ჭავა; ამინდი“, **كَلْبَانِي** „ცხოველი“.

პროფესიის აღმნიშვნელი უცხოური სახელები, ჩვეულებრივ, ორივე სქესს თანაბრად განეკუთვნება: **كَلْبَانِي** „მგზავრი ქალი“ და აგრეთვე „მგზავრი მამაკაცი“, **كَلْبَانِي** „მზარეული ქალი“ და „მზარეული კაცი“, **كَلْبَانِي** „მოსამსახურე ქალი“ და „მოსამსახურე კაცი“ და სხვ.

რაც შეეხება უცხოურ ზედსართავეებს, ისინი მდ. სქესში, ჩვეულებრივ, სათანადო დაბოლოებას არ ირთავენ. ასე, მაგალითად, **كَلْبَانِي** „სუსტი, უძლური, ძაბუნნი“ როგორც მამრ. სქესის მიმართ ითქმის, ისე მდ. სქესის მიმართაც; ასევეა **كَلْبَانِي** „სულელი“ და სხვ. იშვიათია ისეთი შემთხვევა, როგორცაა **كَلْبَانِي** „მაგარი, ძლიერი“ და მისი მდ. — **كَلْبَانِي**.

ა-ზე დაბოლოებული უცხოური ზედსართავეები მდ. სქესში უცვლელია: **كَلْبَانِي** „ახალი“ (როგორც მამრ., ისე მდ. სქესში).

უცხოურ სახელთა მდ. სქესში გაფორმება **ᲑᲗ**- ფორმანტის გარდა მეორე ნიშნითაც (**Ბ** -თი) ხდება. ასეა გაფორმებული უცხოური ზედსართავეები: **ᲑᲗᲑᲗ** „მარდი“ (მდ.), მამრ. — **ᲑᲗᲑᲗ** (სპ. **مَرَد**), **ᲑᲗᲑᲗ** „ენერგიული, ყოჩაღი“ (მდ.), მამრ. — **ᲑᲗᲑᲗ** (ქურთ. **zahmi**), **ᲑᲗᲑ** „ყრუ“ (მდ.), მამრ. **ᲑᲗ** (<სპ. **كُر**), **ᲑᲗᲑ** „ბრმა“ (მდ.), მამრ. **ᲑᲗᲑ** (<სპ. **كور**); **ᲑᲗᲑ** „მუნჯი“ (მდ.), მამრ. **ᲑᲗᲑ** (<სპ. **ل**). როგორც ვხედავთ, ასეა უმეტესად ფიზიკური ნაკლის გამომხატველ უცხოურ ზედსართავეებთან.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც. ისეთ შემთხვევაში, როდესაც უცხოური სიტყვა იხმარება საკუთარი სიტყვის ნაცვლად, უცხოური სიტყვა, ჩვეულებრივ, იმ სქესისაა, რაც ჰქონდა თვით არამეულ სიტყვას. მაგალითად: **ᲑᲗᲑᲗ** „სიტყვა“ (<ქურთ.) ნაცვლად **ᲑᲗᲑᲗ**-სი მდ. სქესისაა, **ᲑᲗ** „სული“ ნაცვლად **ᲑᲗᲑᲗ**-სი (მდ.), **ᲑᲗᲑᲗ** „ცოდვა“ ნაცვლად **ᲑᲗᲑᲗ**-სი (მდ.) აგრეთვე მდ. სქესისაა; მამრ. სქესისაა: **ᲑᲗᲑᲗ** „ქიშკარი“, რადგან არამეული სიტყვა **ᲑᲗᲑᲗ** მამრ. სქესის სიტყვაა, და ზოგიერთი სხვაც.

ზოგჯერ ძირეული **Ბ** მდ. სქესის ნიშნადაა გაგებული, რის გამოც ასეთი სიტყვა მდ. სქესის სიტყვად მიიჩნევა. ასე, მაგალითად: **ᲑᲗᲑᲗ** „შაბათი; კვირა“ (<ებრ. **שבת**), **ᲑᲗᲑᲗ** „სიკვდილი“ (**mit**), **ᲑᲗᲑ** „სახლი“ (**bit**).

არის შემთხვევები პირიქითაც, როდესაც მდ. სქესის ნიშანი **Ბ** ძირს მიეკუთვნება. ამის გამო ასეთი სიტყვა მრავლობით რიცხვს მამრ. სქესის სახელის მსგავსად აწარმოებს და ზმნასაც მამრ. სქესში ითანხმებს. მაგ., **ᲑᲗᲑᲗ** „ოფლი; ხის ფისი“ (**id^c**): **ᲑᲗᲑᲗᲑᲗ** **ᲑᲗᲑᲗ** **ᲑᲗᲑᲗᲑᲗ** „სიკვდილის ოფლი გამოჩნდა“; შემასმენელი „გამოჩნდა“ მამრ. სქესშია (მდ. სქესია — **ᲑᲗᲑᲗᲑᲗ**).

Ბ ფორმანტს, რომელიც ძირითადად მდ. სქესის სახელს დაერთვის სქესის გამოსახატავად, სხვა მორფოლოგიური ფუნქციებიც აქვს. ეს არის სახელთა ერთი კლასიდან მეორის წარმოება. უნდა

ალინიშნოს, რომ **ა**-თი ნაწარმოები სახელები ყველა მდ. სქესისაა, რაც მდ. სქესის ფორმანტის მეორეულ გამოყენებაზე მიუთითებს (ერთი ფუნქციის მქონე ფორმანტის სხვა ფუნქციით მეორეული დატვირთვა ენისათვის, საერთოდ, უცხო არ არის). ამავე დროს, ასეთი **ა** ჩვეულებრივ სხვა სუფიქსალურ ელემენტთან არის დაკავშირებული და სახელის ერთ მთლიან დაბოლოებას ქმნის. ეს უკანასკნელი არა მარტო სახელთა წარმოების გარკვეულ ჯგუფზე (თუ კლასზე) მიუთითებს, არამედ გარკვეულ სქესზეც (მდედრობითზე), რამდენადაც იგი სქესის (მდედრობითის) ნიშანსაც შეიცავს. ასე, **ქა** დაბოლოება აწარმოებს კერძობით სახელებს კრებითიდან¹, ხოლო **ქაფ** აწარმოებს აბსტრაქტულ სახელებს².

2. სტატუსი

არამეული დიალექტებისათვის ბრუნება არ არის დამახასიათებელი. იყო თუ არა აქ ბრუნება, ჰქონდა თუ არა არამეულს ბრუნვები — ამის თქმა თვით არამეული მასალის მიხედვით ჭირს. არამეულის არც ერთმა დიალექტმა არ შემოინახა, თუნდაც გაქვავებული სახით (როგორც ეს, მაგალითად, ებრაულშია), ბრუნების რაიმე კვალი (ცალკეული ბრუნვები, მაგალითად)³.

არამეულში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელის მდგომარეობას, ე. წ. სტატუსს (status). სემიტურში (არამეულის გარდა) განარჩევენ სახელის ორ მდგომარეობას — ორ სტატუსს: ე. წ. status absolutus-სა და status constructus-ს. უკანასკნელი სტატუსი სახელის ისეთი მდგომარეობაა, როდესაც მოცემული სახელი წარმოადგენს საზღვრულს, განსაზღვრულს ნათესაობით ბრუნვაში დასმული მეორე სახელით. რამდენადაც status constructus-ში მყოფი სახელისათვის აუცილებელია ზემოაღნიშნული ტიპის მსაზღვრელი, ამდენად status constructus-ი გეხვდება მხოლოდ შესიტყვე-

¹ იხ. გვ. 25—26.

² იხ. გვ. 24.

³ კ. ბ რ ა კ ე ლ მ ა ნ ი ს მოსაზრება, რომ ძველი ბრუნვის ნიშნები არამეულში დაკუთვლია სუფიქსების წინ, მეტად საეჭვოა (ასე, მაგალითად, სახელობითის **u** მამრ. სქესის II პირის სუფიქსში **u** **u**: **abu** u „შენი (მამრ.) მამა“, ან აკუზატივის **u** იმავე პირის მდ. სქესში — **u** **u**); იხ. C. Brockelmann, Kurzgefasste vergleichende Grammatik der semitischen Sprachen, Berlin, 1908; გვ. 226, f და გვ. 231, c.

ბაში — სინტაგმაში. ამასთანავე, ეს შესიტყვება ყოველთვის კუთვნი-
ლებას, ერთი საგნის მეორისადმი მიმართებას, რელაციას გამოხა-
ტავს. იგი გულისხმობს სიტყვათა შორის გარკვეულ კონსტრუქციას,
კერძოდ, რელაციურ კონსტრუქციას, ან ე. წ. გენეტიურ კონსტრუქ-
ციას, რამდენადაც აქ კუთვნილების გამოხატვაა, ხოლო ეს უკანა-
სკნელი შორფოლოგიურად სახელის გენეტივით ხდება. აქედან გა-
მომდინარე აღნიშნული ტიპის შესატყვისებას გენეტიურ ან რელა-
ციურ კონსტრუქციას უწოდებენ, ხოლო სახელის იმ სტატუსს, რო-
მელიც ასეთ კონსტრუქციას ვარაუდობს — კონსტრუქციულ
სტატუსს (*status constructus*).

როგორც ვხედავთ, *status constructus*-ში დასმული სახელი ყო-
ველთვის განსაზღვრულია. მაგრამ ეს განსაზღვრა არ არის მორ-
ფოლოგიური ხასიათისა, (არტიკლით, ნაცვალსახელური სუფიქსით);
იგი — სინტაქსურია (განსაზღვრა შესიტყვებაში მეორე წევრით).
ამდენად, მასზე საუბარი, როგორც გარკვეული შესიტყვების წევ-
რის შესახებ, მოცემული იქნება ქვემოთ, სინტაქსში ხოლო რამ-
დენადაც *st. cs.*-ში დასმული სახელი ფორმით განსხვავდება სხვა
მდგომარეობის (სტატუსის) სახელისაგან, ეს ფორმა ცალკე განხი-
ლვას მოითხოვს, ფორმათა შესწავლა კი მორფოლოგიის საგა-
ნია. სახელის ყველა სხვა მდგომარეობა დამოუკიდებელი ხასიათი-
საა. თვით რელაციურ კონსტრუქციაშიც კი მას დამოუკიდე-
ბელ, აბსოლუტურ სტატუსს (*status absolutus*) უწო-
დებენ.

st. abs.-ში მდგომი სახელისათვის არ არის აუცილებელი რაიმე
შესიტყვების წევრი იყოს, ამიტომ ასეთ მდგომარეობაში მყოფი
სახელი შესაძლებელია გაბმული მეტყველების გარეშე, ცალკე სიტყ-
ვადაც შეგვხვდეს.

ამგვარად, სემიტური (არამეულის გარდა) იცნობს სახელის ორ
სტატუსს: *status constructus*-სა და *status absolutus*-ს. სახელი ამ
ორი სტატუსის გარეშე არ არსებობს.

არამეული იზიარებს სახელის საერთოსემიტურ სტატუსებს:
constructus-სა და *absolutus*-ს. მაგრამ, სხვა სემიტური ენებისაგან
განსხვავებით, არამეულში სახელს მესამე მდგომარეობაც შეიძლება
ჰქონდეს. ეს არის სახელის ისეთი მდგომარეობა, სადაც იგი (სა-
ხელი) გაძლიერებულია სუფიქსალური მსაზღვრელი არტიკლით. სა-
ხელის ამ მდგომარეობას, აღნიშნულის გამო, გაძლიერებულ
ემფატიკური სტატუსი (*status emphaticus*) ან გან-
საზღვრული სტატუსი (*status determinativus*) ეწო-
დება.

ა. Status absolutus

ასურულისათვის დღეს სახელის status absolutus-ში დასმა აღარ არის ცოცხალი მოვლენა, მაგრამ სახელის ეს სტატუსი ზოგ ფორმაში დაცულია. ასე, ათეულების აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები წარმოადგენს სათანადო ერთეულების მრ. რიცხვს st. abs.-ში. მაგალითად: „ორმოცდაათი“ არის „ხუთის“ მრ. რიცხვი st. abs.-ში **خَمْسَاتُ** („5“ — **خَمْسًا**), „სამოცდაათი“ — **سِتِّينَ** < „შეიდი“ — **سِتِّينَ** და ა. შ.¹ ეგევე დაბოლოება (მრ. რ. st. abs.) დაცულია ისტორიულ აქტიურ მიმღობასთან, რომელიც პრედიკატული მნიშვნელობით გამოიყენება ზოგადი დროებისა და მყოფადის საწარმოებლად: **قَدْ خَلَقَ**². St. abs. დაცულია აგრეთვე ვნებითის მიმღობებთანაც, რომლებიც ნამყო დროის წარმოებისათვის იხმარება: **خَلَقَ** და აქედან **خَلَقَ** „გავათავე“, **خَلَقَ** და აქედან **خَلَقَ** „დაწერა“ და მისთ³.

St. abs. გვხვდება კიდევ რამდენიმე აბსტრაქტასთან და ზმნისართთან გაქვევებული სახით: **سَلِيمٌ** „სიღრმე“, **سَاقِيٌّ** „გაპირვება, სიღუბკირე“, სადაც **سَاقِيٌّ** < **سَاقِيٌّ** (სა); სიტყვა **سَاقِيٌّ** „დღე“ ზმნისართებში **سَاقِيٌّ** (küllium) „ყოველდღე, ყოველთვის“ და **سَاقِيٌّ** (udju) „დღეს“, სიტყვა **سَاقِيٌّ** (sāqī) „თავი“ ზმნისართში **سَاقِيٌّ** (midri) „თავიდან, კვლავ, ისევ“.

აღნიშნულის გარდა st. abs.-ის კვალი ასურულში არ შეიმჩნევა.

ბ. Status constructus

ასურულში სახელის st. cs. ისევე, როგორც ზემოაღნიშნული st. abs., არ არის ცოცხალი, მაგრამ მისი კვალი გარკვევით ჩანს სპეციფიკურ გამოთქმებში, კომპოზიტებში, ზოგ რიცხვით სახელსა და ნაწილაკში.

არსებითი სახელებიდან st. cs.-ში გვხვდება:

¹ ამ რიცხვით სახელთა შესახებ იხ. თ. III: „რიცხვითი სახელი“, გვ. 159—160.

² იხ. ქვემოთ გვ. 188.

³ იხ. გვ. 200—202.

1) **ᲗᲗ** < **ᲗᲗ** „სახლი“ კომპოზიტებში: **ᲗᲗᲗ** (< **ᲗᲗᲗ ᲗᲗ**) „გაზაფხული“, ზუსტად — „სახლი (ადგილი) ნისანისა“; **ᲗᲗᲗ ᲗᲗ** „სასაფლაო“, ზუსტად — „სახლი (ადგილი) საფლავეებისა“; და ზოგი სხვა;

2) **ᲗᲗ** < **ᲗᲗ** „ცა“ კომპოზიტებში: **ᲗᲗᲗ** „სასა“ < **ᲗᲗ ᲗᲗ**, ზუსტად — „ცა სასისა“; **ᲗᲗᲗᲗ** „საფეთქელი“ < **ᲗᲗᲗ ᲗᲗ**, ზუსტად: „სარქველი (ცა) ტენისა“;

3) **ᲗᲗ** < **ᲗᲗ** „პატრონი; მქონე“ კომპოზიტთა დიდ რაოდენობაში, როგორცაა: **ᲗᲗᲗ ᲗᲗ** „ძვირფასი“, ზუსტად — „ფასის მქონე, პატრონი“; **ᲗᲗ ᲗᲗ** „რქოსანი“, ზუსტად — „პატრონი რქისა“ და მრავალი სხვა¹;

4) **ᲗᲗ**, **ᲗᲗ** < **ᲗᲗ** „თავი“ კომპოზიტში **ᲗᲗᲗᲗ** „მუხლის თავი“, ზუსტად — „ფეხის (**ᲗᲗᲗ**) თავი“. ნელ დეკეის მოაქვს ეგვიპტე სახელი ერთი მისალმების ფორმულაშიც: **ᲗᲗ ᲗᲗ ᲗᲗᲗ** „ქმთილი იყოს შენი მოსვლა!“, ზუსტად — „შენ მოხვედი ჩემი თვალების თავზე!“²;

5) **ᲗᲗ** (მამრ.) და **ᲗᲗ** (მდ.) (ეს უკანასკნელი < **ᲗᲗ**) < **ᲗᲗ**³ „ძე“ და **ᲗᲗᲗ** „ასული“ კომპოზიტებში: **ᲗᲗᲗᲗ** „თესლი“, ზუსტად — „ძე თესლისა“, **ᲗᲗᲗᲗ** (< **ᲗᲗ ᲗᲗ**) „მაზლი“, ზუსტად — „ძე მამამთილისა“ და აქედან ნაწარმოები მდ. სქესი — **ᲗᲗᲗᲗᲗ** „მული“ (და არა **ᲗᲗᲗᲗ**, რაც უფრო სწორი იქნებოდა); **ᲗᲗᲗ** „ექო“, ზუსტად: „ხმის ასული“ და ზოგი სხვა კომპოზიტიც⁴. **ᲗᲗ** გვხვდება გამოთქმაშიც, რომელიც პიროვნების ასაკს გამოხატავს, როგორცაა: **ᲗᲗ ᲗᲗ ᲗᲗ ᲗᲗ** „რამდენი წლისა ხარ?“ (ზუსტად: „რამდენი წლის ძე ხარ?“) და ამგვარი კითხვის პასუხში: **ᲗᲗ ᲗᲗ ᲗᲗ ᲗᲗ** „ათი წლისა ვარ“ (ზუსტად: „ათი წლის

¹ იხ. ამ სახის კომპოზიტები, გვ. 117—118.

² Nöldeke, ხს. შრ., გვ. 119, § 61.

³ ასეთი სახით აღარ იხმარება. იგი შეცვალა მისმა დიმიწუტივმა — **ᲗᲗᲗ**.

⁴ იხ. გვ. 116—117.

დე ვარ“. ეს შეკითხვა და სათანადო პასუხი ქალის მიმართაც იგივეა (ე. ი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში **ذ** სათანადო მდ. სქესით **ذ**-თი არ იცვლება);

6) **ذ**, რომელიც **ذ**-ის მრ. რიცხვია იმავე სტატუსში (ე. ი. st. cs.-ში), გვხვდება ამა თუ იმ გეოგრაფიული ადგილის მკვიდრთა სახელწოდებებში, მაგალითად: **ذ** „თბილისელები“, ზუსტად: „ძენი თბილისისა“, **ذ** „მოსკოველები“, ასევე გამოთქმებში: „სოფლელები“ — **ذ** და „ქალაქელები“ — **ذ**.

st. cs.-ში დასმული აქტიური მიმღებობებიდან რამდენიმე გვხვდება კომპოზიტში (ყველა ეს მიმღებობა მდ. სქესისაა):

1) **ذ** „მქსოველი“ < **ذ** „ქსოვს“ კომპოზიტში **ذ** „ობობა“, ზუსტად: „მქსოველი ბადეებისა“;

2) **ذ** „მრთველი“ < **ذ** „რთავს (მატყლს)“, კომპოზიტში **ذ** „ობობა“, ზუსტად: „თითისტრების მრთველი“;

3) **ذ** „მფრინავი“ < **ذ** „ფრინავს“ კომპოზიტში **ذ** „ობობა“, ზუსტად: „ლამის მფრინავი, ლამის ფრინველი“.

ზედსართავებიდან status constructus-შია:

1) **ذ** „თეთრი“ < **ذ** კომპოზიტებში: **ذ** „უხუცესი“. ზუსტად: „თეთრწვერა“, **ذ** „უდანაშაულო“, ზუსტად: „თეთრსახიანი“;

2) **ذ** „შავი“ კომპოზიტში **ذ** „დამნაშავე“, ზუსტად: „შავსახიანი“.

Status constructus-ში გვხვდება მასდარიც:

ذ < **ذ** „ქამა“ კომპოზიტში **ذ** „გახშამი“, ზუსტად: „სალამო დროის ქამა“. (წარმოთქმაში აქ **ذ**-ს რეგრესული სრული ასიმილაცია მოულის მომდევნო **ذ**-სთან).

რიცხვითი სახელებიდან status constructus-შია **ذ** „ორი“¹. St. cs.-შია აგრეთვე რაოდენობითი რიცხვითი სახელებიდან ნაწარმოები ე. წ. განსაზღვრული რიცხვითი სახელები, როგორცაა:

¹ იხ. თ. XVII: „რიცხვითი სახელი“, გვ. 156.

აბაჟ „ორივე“, ანაბაჟი „ოთხივე“, ანაბაჟი „ხუთივე“ და ა. შ., სადაც ა — დაბოლოება მრ. რიცხვის სახელის დაბოლოებაა st. es.-ში. ამ სახელებთან არსებითი სახელი იგულისხმება გენეტივში¹.

მრ. რიცხვის სახელის დაბოლოება st. es.-ში აქ || ē დაცულია ნაცვალსახელურ სუფიქსებთან. სახელის აღნიშნული დაბოლოება სუფიქსების წინ ბუნებრივია. სუფიქსდართული სახელი st. es.-ში იყო, მაგრამ შემდეგში ეს დაბოლოებანი სახელს დაშორდა და სუფიქსს შეერწყა. ამგვარად მიღებულია ასურული სუფიქსების ხმოვნები².

ასურულში რელაციური (resp. გენეტიური) კონსტრუქციები ამჟამად სპეციალური ნაწილაკის, ე. წ. რელაციური ნაწილაკის ჰ-ს საშუალებით იწარმოება: **ḫāṣṣā ḫāṣṣā** „შინაური ცხოველები“ (ზუსტად: „ცხოველები სახლისა“). ასეთმა წარმოებამ მთლიანად განდევნა ხმარებიდან ძველი status constructus-ით წარმოება.

გ. Status emphaticus

Status emphaticus-ში მდგომმა სახელმა დაკარგა მისთვის დამახასიათებელი მორფოლოგიური ფუნქცია (განსაზღვრა) და ამიტომ ამ სტატუსში მყოფი სახელი როგორც განსაზღვრული, ისე განუსაზღვრელი შეიძლება იყოს. Status emphaticus-ის დაბოლოება ასურული სახელისათვის სახელის ჩვეულებრივი დაბოლოებაა, ურომლისოდაც მხოლოდ უცხოური წარმოშობის სახელები გვხვდება (ისიც, არა ყველა). ძველი არამეულისათვის დამახასიათებელი გარჩევა სახელის სტატუსებს შორის, როდესაც emphaticus-ი ყოველთვის სახელის არტიკლით განსაზღვრაზე მიუთითებდა, თანამედროვე ასურულმა არ იცის. Status emphaticus-ი ერთადერთი სტატუსია, რომელიც ასურულმა სახელმა შემოინახა (თუ არ მივიღებთ მხედველობაში status absolutus-ისა და ძველი status constructus-ის აქა-იქ დაცულ ფორმებს). მაგრამ რადგან ამ სტატუსის გვერდით არ არის ცოცხალი სხვა ძველი სტატუსი, emphaticus-მა ძალა დაკარგა და ამიტომ მასზე საუბარი შეიძლება მხოლოდ როგორც ისტორიულ სტატუსზე.

¹ იხ. თ. XVII: „რიცხვითი სახელი“, გვ. 164—165.

² ამის შესახებ უფრო ვრცლად იხ. თ. XIV: „ნაცვალსახელი“, გვ. 99 და შემდ.

St. emph.-ის ყველაზე გავრცელებული დაბოლოება მხ. რიცხვის სახელთათვის არის \bar{a} \bar{z} (წარმოთქმაში ყოველთვის მოკლე \bar{z} , რადგან იგი უმახვილოა). ასე, მაგ.: $\bar{z}\bar{z}$ „სახლი“, $\bar{z}\bar{z}$ „მეფე“, $\bar{z}\bar{z}$ „დედა“, $\bar{z}\bar{z}$ „ძმა“, $\bar{z}\bar{z}$ „წიგნი“, $\bar{z}\bar{z}$ „საფლავი“, $\bar{z}\bar{z}$ „მზე“ და სხვ.

ასურულში მკვიდრ არამეულ სახელთა შორის არის არსებითი სახელები (საკმაოდ ცოტა), რომლებიც \bar{z} -ს ნაცვლად \bar{z} -ზე (i-ზე) ბოლოვდება (ეს i-ც უმახვილობის გამო მოკლე i-დ წარმოითქმის). აღნიშნული \bar{z} \bar{z} -დან მომდინარეობს¹. აქედან \bar{z} st. emph.-ის დაბოლოებაა, ხოლო \bar{z} ბოლო ძირეული თანხმოვანია, რომლის გავლენით $\bar{a} > i$: $\bar{z}\bar{z}$ „ბაგა“ (< $\bar{z}\bar{z}\bar{z}$), $\bar{z}\bar{z}$ „წისკვილი“ (< $\bar{z}\bar{z}\bar{z}$), $\bar{z}\bar{z}$ „ცხენი“ (< $\bar{z}\bar{z}\bar{z}$), $\bar{z}\bar{z}$ „ლამე“ (< $\bar{z}\bar{z}\bar{z}$), $\bar{z}\bar{z}$ „გველი“ (< $\bar{z}\bar{z}\bar{z}$). ასეთივე ცვლილება (-i \bar{a} > i \bar{i}) გვაქვს ნასესხებ სიტყვაში $\bar{z}\bar{z}$ „ქვეყანა“ (არაბ. *ḍun-iā*), სადაც \bar{z} -ის შემდეგი კონტრაქცია \bar{z} -სთან აღარ მოხდა.

აღნიშნულ სახელთა ანალოგიით \bar{z} გვაქვს \bar{z} -ს ნაცვლად მოკლედირიან სახელებთან: $\bar{z}\bar{z}$ „სარკმელი“, $\bar{z}\bar{z}$ „ბანი (სახლისა)“. საინტერესოა, რომ ამ რიგის სახელები \bar{z} დაბოლოებას ხშირად ცვლიან \bar{z} -თი (ამ უკანასკნელთა ანალოგიით). ასე, $\bar{z}\bar{z}$ -ს გვერდით ხშირია $\bar{z}\bar{z}$ -ს ხმარება, $\bar{z}\bar{z}$ -ს გვერდით — $\bar{z}\bar{z}$. ამ უკანასკნელ გარემოებას ხელი შეუწყო აგრეთვე მრ. რიცხვისაგან განსხვავების აუცილებლობამ: $\bar{z}\bar{z}$ — მრ. რ., ხოლო $\bar{z}\bar{z}$ — მხ. რ.

მრ. რიცხვის სახელთა დაბოლოება st. emph.-ში არის -i (<ისტ. \bar{e}), რომელიც, როგორც მხ. რიცხვის - \bar{a} და -i, მოკლე i-დ წარმოითქმის. ასე, მაგ.: $\bar{z}\bar{z}$ „ძაღვები“, $\bar{z}\bar{z}$ „ბატკნები“, $\bar{z}\bar{z}$ „კაცები, ადამიანები“ და სხვ.

¹ შდრ. N ö l d e k e, ხს. შრ., გვ. 123, § 63.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უცხოური სახელები ერთადერთი სახელებია, რომლებიც st. emph.-ის დაბოლოების გარეშე შეიძლება შეგვხვდეს. ასე, მაგ.: **ᲘᲠᲗ** „ცხოველი“, **ᲘᲠᲕ** „სუსტი“, **ᲘᲠᲗ** „ერი; ქვეყანა“, **ᲘᲠᲗᲗ** „მღებავი“, **ᲘᲠᲗ** „აბანო“, **ᲘᲠᲗ** „მოგზაურობა“, **ᲘᲠᲗᲗ** „კოლმეურნეობა“ და სხვ. მისთ. ასეა მხ. რიცხვში. მრ. რიცხვში კი ეს სახელებიც დაირთავენ st. emph.-ის **ᲘᲠ** დაბოლოებას: **ᲘᲠᲗᲗ**, **ᲘᲠᲕᲗ**, **ᲘᲠᲗᲗᲗ**, **ᲘᲠᲗᲗ**, **ᲘᲠᲗᲗᲗ** და მისთ.

თანხმოვანზე გათავებული უცხოური არსებითი სახელებიდან ზოგიერთი მხ. რიცხვში ირთავს **ᲘᲠ** დაბოლოებას; მაგ.: **ᲘᲠᲗ** „ქალღალდი“ (არაბ. ورق), **ᲘᲠᲗᲗ** „საპატიმრო“ (სპ. անز).

ზოგიერთ უცხოურ სიტყვას თვით ორიგინალში აქვს **Ი** დაბოლოება. ასეთ შემთხვევაში ეს **Ი** გაგებულია როგორც არამეული სახელის მხ. რიცხვის ჩვეულებრივი დაბოლოება (ე. ი. ისტ. st. emph.-ის -ā), რის გამოც მრ. რიცხვში მას **ᲘᲠ** ცვლის, ხოლო სუფიქსების დართვისას სულ იკარგვის. ასე, მაგ.: **ᲘᲠᲗᲗ** „წუთი“ (სპ. წუთ), მრ. რ. **ᲘᲠᲗᲗᲗ**, **ᲘᲠᲗᲗᲗᲗ** „მისი (მამრ.) წუთი“, **ᲘᲠᲗ** „მამა“ (თურქ. baba), **ᲘᲠᲗ** „ჩემი მამა“.

რაც შეეხება უცხოური წარმოშობის ზედსართავეებს, მცირე გამოწაკლისის გარდა, ისინი st. emph.-ის დაბოლოებას არ დაირთავენ. მრ. რიცხვში **ᲘᲠ** სუფიქსი მათაც დაერთვით.

3. რიცხვი

თანამედროვე ასურულში ორი რიცხვია: მხოლოებითი და მრავლობითი. აქა-იქ შეიმჩნევა ორობითი რიცხვის კვალიც. რიცხვის მაწარმოებლები სქესის მიხედვით განსხვავებულია. განვიხილოთ მრავლობითი რიცხვის მაწარმოებლები სქესის მიხედვით ცალ-ცალკე.

ა. მამრობითი სქესის სახელთა მრავლობითი რიცხვი

მამრობითი სქესის სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოება საკმაო მრავალფეროვნებით ხასიათდება. მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელთა შორის ყველაზე გავრცელებულია **ᲘᲠ** (i) დაბო-

ლოება, რომელიც status emphaticus-ის მრავლობითი რიცხვის დაბოლოებაა¹; იგი მხოლოდობითი რიცხვის $\text{ქ} \text{ } \text{ქ}$ დაბოლოებას ცვლის. ასე, მაგ., $\text{ქ} \text{ } \text{ქ} \text{ } \text{ქ}$ „სხვი“ > მრ. $\text{ქ} \text{ } \text{ქ} \text{ } \text{ქ}$, $\text{ქ} \text{ } \text{ქ}$ „მეფე“ > მრ. $\text{ქ} \text{ } \text{ქ}$, $\text{ქ} \text{ } \text{ქ}$ „კაცი“ > მრ. $\text{ქ} \text{ } \text{ქ}$ და სხვ.

ეს დაბოლოება ($\text{ქ} \text{ } \text{ქ}$) მრავლობით რიცხვს აწარმოებს მამრ. სქესის არამეული არსებითი სახელების დიდი უმეტესობიდან და ყველა მკვიდრი ზედსართავიდან. ასე, გვაქვს: $\text{ქ} \text{ } \text{ქ}$ „ლამაზი“ > მრ. $\text{ქ} \text{ } \text{ქ}$, $\text{ქ} \text{ } \text{ქ}$ „გრძელი“ > მრ. $\text{ქ} \text{ } \text{ქ}$, $\text{ქ} \text{ } \text{ქ}$ „წითელი“ > მრ. $\text{ქ} \text{ } \text{ქ}$, $\text{ქ} \text{ } \text{ქ}$ „თეთრი“ > მრ. $\text{ქ} \text{ } \text{ქ}$ და სხვ.

აღსანიშნავია, რომ მრ. რიცხვში დასმულ ზედსართავს მხოლოდ მამრ. სქესის დაბოლოება აქვს, როგორიცაა: $\text{ქ} \text{ } \text{ქ}$ $\text{ქ} \text{ } \text{ქ}$ „სხვა ქალები“, $\text{ქ} \text{ } \text{ქ}$ $\text{ქ} \text{ } \text{ქ}$ „გრძელი ჯაჭვები“, $\text{ქ} \text{ } \text{ქ}$ $\text{ქ} \text{ } \text{ქ}$ „თეთრი ძროხები“ და მისთ. ამგვარად, ზედსართავ სახელთა მრ. რიცხვს მხოლოდ $\text{ქ} \text{ } \text{ქ}$ აწარმოებს.

უცხოური არსებითი სახელები, რომლებიც მამრ. სქესს განეკუთვნებიან, მრ. რიცხვს $\text{ქ} \text{ } \text{ქ}$ -თი აწარმოებენ. ასეა: ა) კონსონანტურ აუსლაუტიან სახელებთან, როგ. $\text{ქ} \text{ } \text{ქ}$ „მტერი“ > მრ. $\text{ქ} \text{ } \text{ქ}$, $\text{ქ} \text{ } \text{ქ}$ „შუბი“ > მრ. $\text{ქ} \text{ } \text{ქ}$, $\text{ქ} \text{ } \text{ქ}$ „ხარჯი“ > მრ. $\text{ქ} \text{ } \text{ქ}$, $\text{ქ} \text{ } \text{ქ}$ „თოფი“ > მრ. $\text{ქ} \text{ } \text{ქ}$, $\text{ქ} \text{ } \text{ქ}$ „კოქლი“ > მრ. $\text{ქ} \text{ } \text{ქ}$ და სხვ.; ბ) $\text{ქ} \text{ } \text{ქ}$ -ზე დაბოლოებული არსებითი სახელები, როგ. $\text{ქ} \text{ } \text{ქ}$ „ჭიშკარი“ > მრ. $\text{ქ} \text{ } \text{ქ}$, $\text{ქ} \text{ } \text{ქ}$ „ბრმა“ > მრ. $\text{ქ} \text{ } \text{ქ}$; გ) $\text{ქ} \text{ } \text{ქ}$ -ზე დაბოლოებული არსებითი სახელები, როგორიცაა $\text{ქ} \text{ } \text{ქ}$ „სასწორის თეფში“ > მრ. $\text{ქ} \text{ } \text{ქ}$; დ) $\text{ქ} \text{ } \text{ქ}$ -ზე დაბოლოებული არსებითი სახელები მრ. რიცხვში უცვლელი რჩება, როგ. $\text{ქ} \text{ } \text{ქ}$ „ქვეყანა“ და „ქვეყნები“, $\text{ქ} \text{ } \text{ქ}$ „აზრი; დასკვნა“ და „აზრები; დასკვნები“. (მრ. რიცხვში სიჯამი შეიძლება იყოს: $\text{ქ} \text{ } \text{ქ}$, $\text{ქ} \text{ } \text{ქ}$).

უცხოური ზედსართავი, რომელიც თანხმოვანზე ბოლოვდება, როგორც წესი, უცვლელია. ასე, მაგ., $\text{ქ} \text{ } \text{ქ}$ „ყოჩაღი“: $\text{ქ} \text{ } \text{ქ}$

¹ იხ. გვ. 139.

ⲁⲓⲛⲓ „ყოჩალი, გულადი ჯარი“ და ⲁⲓⲛⲓ ⲛⲓⲛⲓⲛⲓ „გულადი ჯარები“; ⲁⲓⲛⲓ „ლარიბი“: ⲁⲓⲛⲓ ⲛⲓⲛⲓⲛⲓ „ლარიბი ბიკი“, ⲛⲓⲛⲓⲛⲓ ⲁⲓⲛⲓ „ლარიბი ბიკები“.

შულრესად იშვიათად ამ რიგის ზედსართავ სახელთათვის მრ. რიცხვში ⲛⲓ—ს დართვის შემთხვევებშიც გვხვდება. ასე, მაგ., ⲛⲓⲛⲓ „სუსტი“, მაგრამ ⲛⲓⲛⲓ ⲛⲓⲛⲓ „სუსტი ადამიანები“.

რაც შეეხება ⲛⲓ—ზე დაბოლოებულ უცხოურ ზედსართავეებს, ისინი მკვიდრ არამეულ ზედსართავთა მსგავსად, მრ. რიცხვს ⲛⲓ—თი აწარმოებენ. ასე, გვაქვს მიღებული: ⲛⲓⲛⲓ „ახალი“ > მრ. ⲛⲓⲛⲓ, ⲛⲓⲛⲓ „მუნჯი“ > მრ. ⲛⲓⲛⲓ.

მამრ. სქესის სახელთა მრავლობით რიცხვს აწარმოებს -āni (< -ānē) დაბოლოებაც—ⲛⲓⲛⲓ; უკეთ რომ ვთქვათ, აქ მრ. რიცხვის მაწარმოებელია -ān-, ხოლო ī (ⲛⲓ—) st. emph.-ის დაბოლოებაა სახელთა მრ. რიცხვში, როგორც ეს უკვე აღნიშნულიც იყო. -ān მაწარმოებელი ძველ არამეულშიც გვხვდება, მაგრამ ბევრად უფრო ნაკლებად, ვიდრე თანამედროვე ასურულში (ზოგჯერ -ān აწარმოებს მსხვრეულ მრავლობითს არაბულშიც¹). განსაკუთრებით ხშირია ⲛⲓⲛⲓ დაბოლოება ისეთ სახელებთან, რომელთა ბოლოძირეული სონორია: ⲛⲓⲛⲓ „ქუჩა“ > მრ. ⲛⲓⲛⲓⲛⲓ, ⲛⲓⲛⲓ „ყანა“ > მრ. ⲛⲓⲛⲓⲛⲓ. ⲛⲓⲛⲓ „დღე“ > მრ. ⲛⲓⲛⲓⲛⲓ, ⲛⲓⲛⲓ „ლენო“ > მრ. ⲛⲓⲛⲓⲛⲓ.

ასურული მასალიდან გამომდინარე, აქ მარტო ān კი არ წარმოგვიდგება მრ. რიცხვის მაწარმოებლად, არამედ -āni (ⲛⲓⲛⲓ) მრ. რიცხვის ორმაგი მაწარმოებელია (ⲛⲓⲛⲓ < ān + ī).

თანამედროვე ასურულში საკმაოდ ხშირად გვხვდება მრ. რიცხვის წარმოება ბოლო ძირეულის გამეორებით. ასეთი წარმოება განსაკუთრებით გავრცელებულია მოკლედირიან (ძირები, სადაც ორი სწორი თანხმოვანია) სახელებთან, მათ შორის უცხოური წარმოშობის სახელთანაც, როგორცაა: ⲛⲓⲛⲓ „ბალახი“ > მრ. ⲛⲓⲛⲓⲛⲓ, ⲛⲓⲛⲓ „სიტყვა“ > მრ. ⲛⲓⲛⲓⲛⲓ და სხვ.

¹ შდრ. მაგალითად, قَصَبٌ . ოტი < მრ. قَصَبَان.

ასევეა **ა**-ის შემცველ სამთანხმოენიან ძირებთანაც, რადგან **ა**-ის თანხმოენური ძალა დაკარგულია და, ამგვარად, ძირი ორთანხმოენიანად არის გაგებული: **كَلْبٌ** „ნახვრეტი“ > მრ. **كَلْبٌ، كَلْبٌ، كَلْبٌ** „ნაქერი“ > მრ. **كَلْبَاتٌ**; უცხოური სიტყვებიდან: **بَايَعْتُ** „ბაყაყი“ > მრ. **بَايَعْتُ، كَيْسٌ** „თოფი“ > მრ. **كَيْسَةٌ...**

მრ. რიცხვის ასეთი წარმოება იშვიათად გვხვდება სამთანხმოენიან სახელებთანაც: **كَلْبٌ** „მუხლი“ > მრ. **كَلْبَاتٌ، كَلْبَاتٌ** „აშია“ > მრ. **كَلْبَاتٌ.**

მრ. რიცხვის მაწარმოებელთა შორის ასურულში ერთგვარი გავრცელება ჰპოვა თურქულმა მაწარმოებელმა *lar* — **لَر**, რომელსაც ბოლოში მრ. რიცხვის სახელთა *st. emph.*-ის დაბოლოება **لَر** დაერთვის, როგორც ეს მრავლობითი რიცხვის სხვა არამეულ მაწარმოებლებთან გვექონდა (-*ān*, ბოლო ძირეულის გამეორება). ასეა იშვიათად თურქული წარმოშობის სახელებთან, მაგ.: **لَرَانٌ** „ბატონი“ > მრ. **لَرَانَةٌ، لَرَانَةٌ (لَرَانٌ)** „კუნძული“ > მრ. **لَرَانَةٌ (لَرَانَاتٌ)** „კუნძულები“.

მრ. რიცხვის აღმნიშვნელი მაწარმოებლები დღეს ცოცხალია და ისინი ადვილად აწარმოებენ მრ. რიცხვს მხ. რიცხვის სახელებიდან. მაგრამ გარდა ამ მაწარმოებლებისა, თანამედროვე ასურულში აქა-იქ დაცულია მრ. რიცხვის სხვა მაწარმოებლები, რომლებიც ძველ არამეულ დიალექტებში და სხვა სემიტურ ენებში უფრო მეტადაა გავრცელებული. ასეთია სახელთა მრ. რიცხვის დაბოლოებანი *st. abs.*-ში და ძველ *st. es.*-ში: *i* და *ai*¹.

ა (i), რომელიც ძველ არამეულში *n*-თია გავრცობილი (ებრაულში კი *m*-თი), შერჩენილია *st. abs.*-ში დაცულ სახელთან. ასეა, როგორც ჩვენ ზემოთ ვნახეთ², ისტ. აქტიური მიმღეობასთან და ათეულების აღმნიშვნელ რიცხვით სახელებთან, რომლებიც ერთეულების მრ. რიცხვს წარმოადგენს. ასე: **أَبْرَاهَامٌ** **أَبْرَاهَامٌ**-ის გვერდით — „მწერლები“; **أَبْرَاهَامٌ** — მრ. < მხ. **أَبْرَاهَامٌ** („დგება“) და სხვ.

¹ პირველი (i), გავრცობილი *m*-თი, მრ. რიცხვის ჩვეულებრივი დაბოლოებაა ებრაული მამრ. სქესის სახელისა, ხოლო *nā*-თი გავრცობილი — არაბული გენეტივისა.

² იხ. გვ. 135.

რიცხვით სახელებთან: **აჰაჰჰ** „ორმოცი“ <**აჰაჰ** „ოთხი“ და მისთ¹.

საერთოარამეული II მავროცი ამ I-სთან დაკარგულია².

ეგვე I უნდა იყოს III პირის ნაცვალსახელთან — **აჰ**³.

-ai სახელის მრ. რიცხვის დაბოლოებაა status constructus-ში. იგი დატულია ნაცვალსახელურ სუფიქსებთან⁴ და ზოგ არსებით სახელთან, რომელიც ძველ st. es.-შია უცვლელად შენახული, როგორცაა **აჰ** „ძეები“ გამოთქმებში **აჰაჰ** „სოფლები“, **აჰაჰაჰ** „ქალაქები“ და მისთ., სადაც ai > ē⁵.

ზოგიერთი მამრ. სქესის სახელი მრ. რიცხვს აწარმოებს მდებრობითი სქესის სახელთა მსგავსად. ასეა შემდეგ სახელებთან: **აჰ** „მამა“ > მრ. **აჰაჰაჰ**, **აჰაჰ** „ძმა“ > მრ. **აჰაჰაჰაჰ**, **აჰაჰ** „კალო“ > მრ. **აჰაჰაჰ** და სხვ.

მდებრობითი სქესის სახელთა მრავლობითი რიცხვის ამ მაწარმოებელთა (**აჰ** 一, **აჰ** 一, **აჰ** 一) შესახებ საუბარია ქვემოთ.

ბ. მდებრობითი სქესის სახელთა მრავლობითი რიცხვი

მდებრობითი სქესის მრავლობითი რიცხვის მაწარმოებლებიდან ყველაზე გავრცელებულია **აჰ** 一 (āī), სადაც მდ. სქესის სახელთა რიცხვის ფაქტიური მაწარმოებელია **āt**, ხოლო -i (<ē) უკვე ცნობილი status emphaticus-ის მრავლობითი რიცხვის დაბოლოებაა. აღნიშნული **āt** დაბოლოება ჩვეულებრივია მდ. სქესის სახელთა მრ. რიცხვის საწარმოებლად სხვა სემიტურ ენებშიც (შდრ. არაბ. **at** 一 მრ. რიცხვის სახელობით ბრუნვაში, ებრ. **at**, რომელიც **āt**-იდან მოდის). ეს დაბოლოება უმეტესად იხმარება უნიშნო მდ. სქესის სახელებთან, როგორცაა: **აჰ** „დედა“ > მრ. **აჰაჰ**, **აჰ** „ხელი“ > მრ. **აჰაჰ** და სხვ.

¹ იხ. თ. XVII: „რიცხვითი სახელი“, გვ. 159—160.

² ამ II-ს დაკარგვის შესახებ იხ. გვ. 83.

³ იხ. თ. I: „ნაცვალსახელი“, გვ. 97.

⁴ იხ. თ. I: „ნაცვალსახელი“, გვ. 99 და შემდ.

⁵ ai > ē კონტრაქციის შესახებ იხ. გვ. 39.

ქ^ა გვხვდება ამავე რიგის უცხოურ სახელებთანაც: ქ^ა „ტყე“ > მრ. ქ^ა „სული“ > მრ. ქ^ა...

ეგვევ დაბოლოება მრ. რიცხვს აწარმოებს ქ^ა-ზე დაბოლოებულ სახელთა ერთი ნაწილიდან: ქ^ა „ქუნძული“ > მრ. ქ^ა, ქ^ა „ქალიშვილი, ქალწული“ > მრ. ქ^ა, ქ^ა „ეზო“ > მრ. ქ^ა... და ქ^ა-ზე დაბოლოებული ზოგი სახელიდან: ქ^ა „სახელმწიფო“ > მრ. ქ^ა, ქ^ა „მოწმობა“ > მრ. ქ^ა...

ძალიან გავრცელებულია ქ^ა (-iāti) მაწარმოებელიც. იგი ხშირად გვხვდება სახელებთან, რომელთაც მხოლოდით რიცხვში ქ^ა-დაბოლოება აქვთ თანხმობის ან ა-ს შემდეგ. ასეა nomina actionis-თან: ქ^ა „ხსნა, შეელა“ > მრ. ქ^ა; არსებით სახელებთან, როგორცაა: ქ^ა „ზღაპარი“ > მრ. ქ^ა, ქ^ა „სიმღერა“ > მრ. ქ^ა...

ანალოგიურად აწარმოებს მრავლობით რიცხვს ზოგი უცხოური წარმოშობის ქ^ა-ზე დაბოლოებული სახელი: ქ^ა „ქონება“ > მრ. ქ^ა, ქ^ა „ვაკე, მინდორი“ > მრ. ქ^ა...

ქ^ა აწარმოებს მრ. რიცხვს ქ^ა და ქ^ა-ზე დაბოლოებულ სახელებიდანაც: ქ^ა „დედალი მერცხალი“ > მრ. ქ^ა, ქ^ა „ყარიბობა“ > მრ. ქ^ა და მისთ.

ასევე ქ^ა „ყური“ > მრ. ქ^ა (ალბათ, მოკლე ძირის გავრცობის ტენდენციის გამო).

მდ. სქესის სახელთა მაწარმოებელია ქ^ა- დაბოლოებაც. ეს ფორმანტი საერთოარამეულია. საინტერესოა, რომ იგი უმეტესად აწარმოებს მამრ. სქესის სახელებს ან ისეთი მდ. სქესის სახელებს, რომელთაც მხ. რიცხვში ქ^ა- დაბოლოება არა აქვთ. ასე, მაგალითად: (1) მამრ. სქესის სახელებიდან: ქ^ა „ძმა“, ქ^ა „ლამე“, ქ^ა „გული“; უცხოური წარმოშობის სახელებიდან: ქ^ა „მამა“, ქ^ა

„მსახური“ და სხვ. მათი მრ. რიცხვია: **ქაბაჲ, ქაბაჲ, ქაბაჲ, ქაბაჲ** და სხვ.; 2) მდ. სქესის სახელებიდან: **ქაჲ** „წისკვილი“ > მრ. **ქაბაჲ** და სხვ.

უფრო იშვიათია ასეთი მრ. რიცხვის წარმოება **ქა**-ზე დაბოლოებული მდ. სქესის სახელებიდან, როგორცაა **ქაბ** „სოფელი“ > მრ. **ქაბაბ, ქაბ** „და“ > მრ. **ქაბაბ** და მისთ. შესაძლებელია, მოკლე ძირის გავრცობის მიზნით (მდრ. **ქაბ** > მრ. **ქაბაბ**, სადაც **ბ**-ის ნაცვლად ფუძე გავრცობილია **ა**-ით).

მდ. სქესის სახელთა საკმაოდ დიდი რაოდენობა მრ. რიცხვს აწარმოებს მამრ. სქესის სახელთა ანალოგიით **ქა**-თი. ასეა, უნიშნო მდ. სქესის სახელებთან, როგორცაა **ქაბ** „ფეხი“ > მრ. **ქაბა, ქაბაბა**-ის გვერდით, **ქაბ** „თხრილი“ > მრ. **ქაბა ქაბაბა**-ის გვერდით, **ქაბა** „ღედაკაცი“ > მრ. **ქაბა...** ამგვარივე უცხოური წარმოშობის სახელებთან: **ქაბა** „ცოდვა“ > მრ. **ქაბა, ქაბაბა** „სეირი, სანახაობა“ > მრ. **ქაბა, ქაბაბა** „ოთახი“ > მრ. **ქაბაბა, ქაბაბა** „სიტყვა“ > მრ. **ქაბაბა...** ნიშნისანი მდ. სქესის სახელებიდან, რომლებიც მრ. რიცხვში ამ ნიშანს (t-ს) ჰკარგავენ: **ქაბა** „წელიწადი“ > მრ. **ქაბ, ქაბა** „კვერცი“ > **ქაბ**; უცხოური სახელებიდან: **ქაბა** „ფეხსაცმელი“ > მრ. **ქაბა**; მრ. რ-ში **ქა** გვხვდება ყველგან იქ, სადაც მდ. სქესის სახელი გადმოსცემს ერთეულს, ალებულს კრებულიდან. ასეა, აგრეთვე, **აბ**-ზე დაბოლოებულ სახელებთან: **აბაბა** „გაჭირვება“, **აბაბა** „უბედურება“ > მრ. **აბაბა და აბაბა**, სადაც ორ ხმოვანს შორის **ა** > **ბ** (i > u).

მდ. სქესის სახელთა ერთი ჯგუფი მრ. რიცხვს აწარმოებს დაბოლოებით **ქა** : **ქაბაბა** „ადგილი“ > მრ. **ქაბაბა, ქაბა** „რქა“ > მრ. **ქაბაბა**; უცხოური სიტყვებიდან: **ქაბა** „ბალი“ > მრ. **ქაბაბა**.

მდ. სქესის სახელთა მრ. რიცხვის ასეთი წარმოება (მამრ. სქესის მაწარმოებელთა საშუალებით) არ არის მხოლოდ თანამედროვე ასურულისათვის დამახასიათებელი. იგი სხვა სემიტურ ენებსაც ახასიათებს.

გ. მრავლობითი რიცხვის თავისებური წარმოება

მრავლობითი რიცხვის თავისებურ წარმოებას გვიჩვენებს სახელები **ქოძა** „ძე, ვაჟი“ და **ქႬა** „ასული; გოგო“. ამ სახელებში მეორე ძირეულია **ძ** (r), რომლის შესატყვისია ყველა სხვა (არაარამეული) სემიტური ენის n. (ეს მოვლენა არამეულის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია). მაგრამ ასეთი შესატყვისობა (r n-ს ნაცვლად) მხოლოდ მხოლოდობით რიცხვშია. მრავლობით რიცხვში მეორე ძირეულად თავს იჩენს საერთო სემიტური n: **ქႣა** და **ქႣა**.

ძველ სემიტურ ენებში მრ. რიცხვის სახელთა ფუძეებში გვხვდება h მავრცობი (მსგავსად u-სი). ასეა არაბულში -ahāt დაბოლოება, ებრაულში -āhōt, სირიულში -āhē. თანამედროვე ასურულში მრ. რიცხვის ამგვარი წარმოება დაცულია სიტყვაში **ქႣႣ** „მშობლები; წინაპრები“, რაც წარმოადგენს ასურულში ამჟამად დაკარგული სახელის **ქႣ** „მამა“ მრ. რიცხვს.

მსხვრეული მრავლობითი რიცხვი, რომელიც ასე ფართოდაა გავრცელებული არაბულ ენაში, არამეულშიც უნდა ყოფილიყო. ამ მრ. რიცხვის კვალი ჩანს სიტყვებში **ქႣ** და **ქႣႣ**, რომლებიც **ქႣ-ს** („სახლი“) მრ. რიცხვს წარმოადგენს (გვაქვს სწორი მრ. რიცხვის წარმოებაც **ქႣ-დან: ქႣႣ**). hāt ფუძეს შემდეგ მრ. რიცხვის სხვა მაწარმოებლები დაერთო: **ქ-** და **ქႣ**.

არის ისეთი სახელები, რომლებიც მრ. რიცხვს ორგვარად აწარმოებენ: როგორც მამრ. სქესის სახელები და როგორც მდ. სქესის სახელები. ასე, მაგ., **ქႣ** „ფეხი“ > მრ. **ქႣ** და **ქႣႣ**. ზოგჯერ წარმოების ეს სხვადასხვაგვარობა დაკავშირებულია მნიშვნელობათა დიფერენციაციასთან: **ქႣ** „თვალი“ და „წყარო“, მაგრამ **ქႣ** „თვალები“, ხოლო **ქႣႣ** „წყაროები“.

აღსანიშნავია კერძობით სახელთაგან მეორეული მრ. რიცხვის წარმოება. ასე: **ქႣ** „ყურძენი“ თავისი ფორმით მრ. რიცხვია. აქედან **ქႣ**-თი იწარმოება „ყურძენის ერთი მარცვლი“ — **ქႣႣ**, ხოლო შემდეგ ამ უკანასკნელიდან მრ. რ. — **ქႣႣ** „ყურძენის მარცვლები“ (ცალკეული მარცვლები და არა საერთოდ ყურძენი);

ასეა, აგრეთვე: כֹּהֵן „ხორბალი“, აქედან כֹּהֵן „ხორბლის ერთი მარცვალი“ და უკანასკნელიდან მრ. რ.: כֹּהֵן „ხორბლის მარცვლები“ (და არა „ხორბალი“ ზოგადად)¹.

დ. ორობითი რიცხვი

ორობითი რიცხვი თანამედროვე ასურულში არ არის ცოცხალი (როგორც, მაგალითად, არაბულში). მაგრამ მისი ოდესღაც არსებობა შეიმჩნევა უმნიშვნელო კვალით, რომელიც ერთ რიცხვით სახელში დარჩა (ებრაულში ეს კვალი ბევრად უფრო დიდია). ეს არის „ორი“ — שְׁנַיִם . ორობითი რიცხვის დაბოლოება აქ არის ים (שְׁנַיִם), რომელიც ים -იდან მოდის, ხოლო ეს უკანასკნელი — ים -იდან. ים აქაც იმავე რიგის მავრცობია, როგორცაა ים მრ. რიცხვის ים -ში (ეს ים = ებრაულ ים (i) ים -ს), ხოლო ים საერთოსემიტური მაწარმოებელია ორობითი რიცხვისა (შდრ. არაბული ים ორობითი რიცხვის სახელის ირიბ ბრუნვაში). ამგვარად, ים -ს ამოსავალი ფორმაა ים (შდრ. ამას ებრ. ים)². ორობითი რიცხვის სხვა კვალი ჩვენთვის უცნობია³.

ე. Pluralia tantum

ასურულში ე. წ. pluralia tantum-ის რამდენიმე შემთხვევა გვაქვს, ე. ი. მრავლობით რიცხვში დასმული სახელი მხოლოობითის შინაარსით იხმარება. ასეა სიტყვებში ים „წყალი“, ים „ცა“ (შდრ. ებრ. ים და ים), მაგრამ არაბულში ფორმითაც მხ. რიცხვია: ים და ים), ים „სიცოცხლე“, ים „მადლი“. ეს სახელები ზმნას მრავლობით რიცხვში ეთანხმებიან.

4. სახელი ნაცვალსახელური სუფიქსებით

სახელებს, როგორც აღნიშნული იყო, შეიძლება დაერთოს ე. წ. ნაცვალსახელური სუფიქსები, რომლებიც კუთვნილებას გამოხატავენ. ამ კუთვნილებით ნაცვალსახელურ სუფიქსებზე უკვე ზემოთ

¹ ასეთი გარჩევა რიცხვში ძველი სემიტურისათვის დამახასიათებელია. იხ. Nöldcke, ხს. შრ., გვ. 145, § 74.

² არამეულში ים -ს შესატყვისია ამ რიცხვ. სახელშიც, როგორც ים -ში („დგ“).

³ სირიულში ეგვევ ים (< ים) ჩანს მეორე რიცხვ. სახელშიც — „ორასი“ — ים . თანამედრ. ასურულში ამ რიცხვ. სახელის წარმოება აღწერილია: ים = „ორი ასი“ და არა „ასი“ ორობით რიცხვში.

იყო საუბარი¹. აქ ჩვენ განვიხილავთ სახელის იმ ფორმას, რომელიც მას (სახელს) აქვს სუფიქსების დართვისას.

მხ. რიცხვის სახელს სუფიქსის დართვისას ჩამოშორდება st. emph.-ის დაბოლოება **ك** (ორსავე სქესში), რის გამოც სუფიქსის წინ სახელი თანხმოვანზე იქნება დაბოლოებული (მდ. სქესის შემთხვევაში **ك**-ზე). ასე, **كَلْبٌ** „მეფე“ და **كَلْبَةٌ** „დედოფალი“. **ك**-ს ჩამოშორების შემდეგ გვექნება პირველ შემთხვევაში — **كَلْب** (malk-), ხოლო მეორე შემთხვევაში — **كَلْبَت** (malikt-). მათ ბოლოში უშუალოდ დაერთვის საპირო სუფიქსი. მაგ., **ك** „ჩემი“: **كَلْبِي** „ჩემი მეფე“ და **كَلْبَتِي** „ჩემი დედოფალი“. ასეა მიღებული: **مِيسِي** „მისი (მამრ.) მამა“, **مِيسَتِي** „მისი (მდ.) ვაეი“, **مِيسَتِي** „შენი (მამრ.) სახლი“, **مِيسَتِي** „ჩვენი სკოლა“, **مِيسَتِي** „თქვენი სახელმწიფო“, **مِيسَتِي** „მათი ადგილი“ და მისთ.

აღნიშნულ სახელთა ანალოგიით **ك**-ზე დაბოლოებულ მდ. სქესის სახელებს ჩამოშორდება ეს დაბოლოება და სუფიქსების დართვა ისე ხდება: **كَلْبِي** „ბანი, სახურავი“, აქედან „მისი (მამრ.) ბანი“ იქნება — **مِيسَتِي**; **مِيسَتِي** „ცხენი“, **مِيسَتِي** „მისი (მდ.) ცხენი“.

ამგვარად, სუფიქსდართულ სახელებში **ك**-ზე დაბოლოებული მდ. სქესის სახელები აღარ განსხვავდებიან **ك**-ზე დაბოლოებული მამრ. სქესის სახელებისაგან. განუსხვავებელია ამ მდგომარეობაში თანხმოვანზე დაბოლოებული სახელებიც (ე. ი. უცხოური წარმოშობის სახელები), რომელთაც სუფიქსები უშუალოდ დაერთვის: **مِيسَتِي** „მტერი“, აქედან **مِيسَتِي** „მისი (მამრ.) მტერი“, **مِيسَتِي** „ჩემი მაგიდა“ (< **مِيسَتِي** „მაგიდა“), **مِيسَتِي** „ჩემი ჩიბუხი“ (< **مِيسَتِي** „ჩიბუხი“), **مِيسَتِي** „მისი (მამრ.) შუბი“ (< **مِيسَتِي** „შუბი“), **مِيسَتِي** „მათი ნახშირი“ (< **مِيسَتِي** „ნახშირი“).

უცვლელია სახელები სუფიქსის დართვისას, თუ ისინი **ك**-ზე ბოლოვდებიან, როგორცაა **مِيسَتِي** „რაიმე, საგანი“, აქედან — **مِيسَتِي**

¹ იხ. გვ. 98 და შემდ.

„შენი (მღ.) საგანი“, მაგრამ **ك** იკარგება სუფიქსის წინ, თუ სახელი **ك**-ზე ბოლოვდება, როგორცაა **كُتِبَ** „აზრი; დასკვნა“, აქედან **كُتِبَ** „მისი (მღ.) დასკვნა“.

აბსტრაქტები, რომლებიც **ك**-სა და **ك**-ზე ბოლოვდებიან, სუფიქსის წინ ამ დაბოლოებას **ك** (უკ)-ით ცვლიან, სადაც **ك** (უკ) ანტიჰიატუსია ხმოვნებს შორის (სახელის **ك** დაბოლოებასა და სუფიქსის ხმოვანს შორის).

სუფიქსით დართვისას st. emph.-ის დაბოლოება **ك** ჩამოშორდება მრ. რიცხვის სახელსაც. ასე, **كُتِبَ** „მეფეები“, აქედან **كُتِبُوا** „თქვენი მეფეები“. მაგრამ, რადგან დაბოლოება **ك**-ს ჩამოშორებით მრ. რიცხვისა და მხ. რიცხვის სახელთა შორის განსხვავება დაიკარგა, ეგვიპე **كُتِبُوا** შეიძლება იყოს „თქვენი მეფე“-ც. **كُتِبُوا** „ბავშვი“ და **كُتِبُوا** „ბავშვები“, მაგრამ სუფიქსით ეს სახელები რიცხვში განსხვავებას ვეღარ იძლევა: **كُتِبُوا** „ჩემი ბავშვი“ და „ჩემი ბავშვები“. რიცხვში განსხვავება ჩანს წერაში, სადაც მრ. რიცხვის სახელს სპეციალური ნიშანი — „სიჯამი“ აქვს (შღრ. **كُتِبُوا** და **كُتِبُوا**). ეს უკანასკნელი მრ. რიცხვშია).

ასეა მამრ. სქესში, თუ სახელის მრ. რიცხვს მხოლოდ **ك** დაბოლოება აწარმოებს. მრ. რიცხვის სხვა წარმოებისას (**ك**-ით, ძირეულის გამეორებით) **ك**-ს ჩამოშორება ვერ სპობს განსხვავებას მხოლოდობითსა და მრავლობით რიცხვს შორის და ასეთი მრ. რიცხვის სუფიქსიანი სახელები ფორმით მაინც განსხვავდებიან სათანადოდ მხ. რიცხვის სახელებისაგან. ასე, მაგ., **كُتِبُوا** „ყანები“ და **كُتِبُوا** „ყანა“; აქედან **كُتِبُوا** „ჩემი ყანები“, მაგრამ **كُتِبُوا** „ჩემი ყანა“; **كُتِبُوا** „მისი (მამრ.) მთა“, ხოლო **كُتِبُوا** „მისი (მამრ.) მთები“, **كُتِبُوا** „ჩვენი ბალახი“, ხოლო **كُتِبُوا** „ჩვენი ბალახები“, **كُتِبُوا** „მისი (მღ.) მუხლი“, ხოლო **كُتِبُوا** „მისი (მღ.) მუხლები“ და მისთ.

ეგვეე $\text{ქ} \text{---}$ ჩამოშორდება მდ. სქესის სახელებსაც სუფიქსის დარ-
 თვისას, მაგრამ აქაც, როგორც უკანასკნელ შემთხვევებში, განსხვა-
 ვება მრ. რიცხვისა და სათანადო მხ. რიცხვის სახელებს შორის
 დაცულია: $\text{ქ} \text{---}$ „ეზო“, აქედან $\text{ქ} \text{---}$ „შენი (მამრ.) ეზო“, მრ.
 $\text{ქ} \text{---}$ „ეზოები“ და აქედან — $\text{ქ} \text{---}$ „შენი (მამრ.) ეზოები“
 (პირველ შემთხვევაში, მხ. რიცხვისას, $\text{d} \text{---}$ გვაქვს, სადაც t -ს
 წინ ხმოვანი არ არის, მეორე შემთხვევაში კი — $\text{d} \text{---}$, იმავე t -ს
 წინ გრძელი a არის); $\text{ქ} \text{---}$ „ქალი“ და $\text{ქ} \text{---}$ „ქალები“, აქე-
 დან $\text{ქ} \text{---}$ „მისი (მამრ.) ქალი“ და $\text{ქ} \text{---}$ „მისი (მამრ.)
 ქალები“, $\text{ქ} \text{---}$ „ჩემი რძალი“ და $\text{ქ} \text{---}$ „ჩემი რძლები“ და
 მისთ. სუფიქსიანი მდ. სქესის სახელთა შორის რიცხვში განსხვა-
 ვება მრ. რიცხვის ყველა სხვა წარმოებაშიც არის დაცული: $\text{ქ} \text{---}$
 „ჩემი ზღაპარი“ და $\text{ქ} \text{---}$ „ჩემი ზღაპრები“, $\text{ქ} \text{---}$ „ჩვენი
 ჯაქვი“ და $\text{ქ} \text{---}$ „ჩვენი ჯაქვები“; $\text{ქ} \text{---}$ „შენი (მდ.) სოფელი“
 და $\text{ქ} \text{---}$ „შენი (მდ.) სოფლები“, $\text{ქ} \text{---}$ „მისი (მამრ.) და“
 და $\text{ქ} \text{---}$ „მისი (მამრ.) დები“ და მისთ.

აღსანიშნავია, რომ სემიტურში სახელი სუფიქსების წინ *st.*
es.-შია დასმული. ამიტომ სახელს სუფიქსების წინ ძველ სემიტურ
 დიალექტებში სათანადო გაფორმება აქვს. ასე იყო ოდესღაც ასუ-
 რულში. მრ. რიცხვის სახელს სუფიქსების წინ ჰქონდა *aj*, *e* (< *ai*)
 დაბოლოება. შემდეგში იგი სუფიქსებს შეეხორცა და გაგებული იქნა
 როგორც სუფიქსისეული ელემენტი (ამის შესახებ საუბარია ნაცვალ-
 სახელურ სუფიქსებთან)¹.

თანამედროვე ასურულში სახელთან სუფიქსის შერწყმის ორი-
 ოდე შემთხვევა გვხვდება. ასე $\text{ქ} \text{---}$ < $\text{ქ} \text{---}$ + $\text{ქ} \text{---}$ „ჩვენი მასწავლე-
 ბელი“, რომელმაც შემდეგში „ბერის“ მნიშვნელობა მიიღო. ასეა
 კიდევ სიტყვაში $\text{ქ} \text{---}$, ზუსტად: „ჩვენი უფალი, ჩვენი პატრონი“
 < $\text{ქ} \text{---}$ + $\text{ქ} \text{---}$, რაც $\text{ქ} \text{---}$ „ღმერთი“-სათვის იხმარება (როგორც
 „უფალი“ ქართულში). სუფიქსისეული $\text{ქ} \text{---}$ -ის ფუძისათვის მითვლა
 დასტურდება ამ სახელთა მრ. რიცხვის წარმოებით, სადაც $\text{ქ} \text{---}$

¹ იხ. გვ. 101.

ძირეულადაა გაგებული: **ქაჲ** „ბერები“ და **ქაჲაჲ** კომპოზიტში **ქაჲაჲაჲ** „ცისარტყელა“ (ზუსტად: „მშვილდი უფლისა ჩვენისა“), აქედან მრ. რ. — **ქაჲაჲაჲაჲ** „ცისარტყელები“.

5. სახელის დეტერმინაციისათვის

არამეულისათვის დამახასიათებელი სახელის დეტერმინაცია სუფიქსალური არტიკლის -ა-ს საშუალებით, როგორც ეს უკვე აღინიშნა, ჯერ კიდევ კლასიკურ სირიულში მოიშალა, სადაც -ა სახელის ჩვეულებრივ დაბოლოებად გადაიქცა. თანამედროვე ასურულში -ა-ზე დაბოლოებული არსებითი სახელი (სახელი status emphaticus-ში) ისეთივე ნეიტრალურია დეტერმინაციის თვალსაზრისით, როგორც ქართულში -ი-ზე დაბოლოებული სახელი (შდრ. კაც-ი < კაც იგი). მაგრამ-ენაში სახელის დეტერმინაციისა თუ ინდეტერმინაციის საჭიროება იგრძნობოდა და ენამაც მიმართა ცნობილ ხერხს: დეტერმინაციის მიზნით გამოიყენა იქითა მწკრივის ჩვენებითი ნაცვალსახელი. ამრიგად მივიღეთ: **ქაჲ** **აჲ** „კაცი“ (= გერმანულ der Mensch), **ქაჲაჲ** **აჲ** „ქალი“ (= გერმ. die Frau).

ხსენებული **აჲ**-სა და **აჲ**-ს დეტერმინაციის თვალსაზრისით უპირისპირდება რიცხვითი სახელი **ქაჲ** (მდ. **ქაჲა**) როგორც განუსაზღვრელი არტიკლი: **ქაჲაჲ** **ქაჲ** „კაცი“ (= გერმ. ein Mensch), **ქაჲაჲ** **ქაჲა** „ქალი“ (= გერმ. eine Frau). ასეთსავე დეტერმინაციას ზოგჯერ ვხვდებით მრავლობით რიცხვშიც, სადაც ამ მიზნით გამოიყენება ჩვენებითი ნაცვალსახელი მრ. რიცხვისა — **აჲა** („ისინი“): **ქაჲაჲ** **აჲა** „სხვები“ (= გერმ. die Andre).

განუსაზღვრელ არტიკლად გვევლინება სახელი **აჲაჲ** („რაიმე“) ორიოდე დადასტურებულ შემთხვევაში, როგორიცაა **აჲაჲ** **ქაჲა** „ერთი ძალი“¹.

6. ზედსართავი სახელის ხარისხის შესახებ

თანამედროვე ასურულში ზედსართავის ხარისხის ორგანიული წარმოება, მსგავსად არაბულში ცნობილი ელატივისა, დადასტურებული არ არის. ხარისხის საწარმოებლად ენა მიმართავს აღწერით

¹ იხ. N ö l d e k e, Neusyr. 226.

ფორმებს. სახელდობრ, შედარებითი ხარისხის გამოხატვის მიზნით გამოიყენება სიტყვა **აფა** (<სპარს. **پس**) „უფრო“ (შდრ. სირ. **כִּבְיָא**), რომელიც ზედსართავის წინ დაისმის: **כִּבְיָא אֶפְהָא** „გრძელი“, **כִּבְיָא אֶפְהָא** „უფრო გრძელი“. შედარებისას შესადარებლის წინ წინდებული **აჟ** იხმარება: **אֶפְהָא כִּבְיָא אֶפְהָא** „მასზე უფრო გრძელი“ (ზუსტ. „უფრო გრძელი მისგან“), **אֶפְהָא אֶפְהָא אֶפְהָא** „იმ ბიჭზე უფრო დიდი“ და მისთ.

აღმატებითი ხარისხის საწარმოებლად ზემოხსენებულ სიტყვებს **აჟ**-სა და **აფა**-ს ემატება მესამეც, როგორც შესადარებელი საგანი — **აჟ** „ყველა“. იგი უშუალოდ მოსდევს **აჟ** წინდებულს. ამრიგად მიიღება: **כִּבְיָא אֶפְהָא אֶפְהָא אֶפְהָא** „ყველა აღამიანზე უფრო ლამაზი მეფე“ > „ულამაზესი მეფე“. შესადარებელი ობიექტი შეიძლება ზედსართავს წინ უსწრებდეს: **אֶפְהָא אֶפְהָא אֶפְהָא** „ყველაზე უკეთესი ცხენი“ (დალაგებულია ასე: „ერთი ცხენი ყველაზე უფრო კარგი“).

ხარისხის აღნიშნული წარმოების გვერდით ვხვდებით წარმოების შედარებით მარტივ სახეს: შედარებითი ხარისხის წარმოება მხოლოდ **აჟ** წინდებულის დახმარებით (**აფა**-ის გარეშე). ასე, მაგალითად, **אֶפְהָא אֶפְהָא** „მასზე უფრო დიდი“. **כִּבְיָא אֶפְהָא** „ის მასზე პატარაა“. ასევე იწარმოება ზოგჯერ აღმატებითი ხარისხიც: **כִּבְיָא אֶפְהָא אֶפְהָא** „რომელი მათგანია ყველაზე დიდი?“

ზოგჯერ (უაღრესად იშვიათად) აღმატებითი ხარისხის წარმოება **ჟ** ნაწილაკს აკისრია. ასეთ შემთხვევაში ზედსართავის წინ ჩვენებითი ნაცვალსახელი დაისმის: **כִּבְיָא אֶפְהָא אֶפְהָא** „ბავშვებში ყველაზე პატარა“ (ზუსტად: „ის პატარა ბავშვებისა“).

ზედსართავებიდან მხოლოდ ერთია, რომლის შედარებითი ხარისხი ცალკე სიტყვით (განსხვავებული ძირით) გამოიხატება. ეს არის **כִּבְיָא** „მეტი“, „უფრო მეტი“: **כִּבְיָא אֶפְהָא** „ჩემს ფულზე

უფრო მეტი“, **اَلْحَمْدُ لِلّٰهِ رَبِّ الْعَالَمِيْنَ** „ჩვენს სოფლებზე მეტი“. ზოგჯერ სიტყვა **اَلْحَمْدُ**-თან ერთადაც იხმარება: **اَلْحَمْدُ لِلّٰهِ** (იგივეა, რაც **اَلْحَمْدُ**).

თ ა 3 0 XVII

რ ი ც ხ ვ ი თ ი ს ა ხ ე ლ ი

წინამდებარე თავში განხილულია რაოდენობითი და რიგითი რიცხვითი სახელები; აგრეთვე ამ სახელებიდან ნაწარმოები სიტყვები, როგორცაა წილადები და ე. წ. განსაზღვრებითი რიცხვითი სახელები.

1. რ ა ო დ ე ნ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი თ ი ს ა ხ ე ლ ი

რაოდენობით რიცხვით სახელებს 1 — 19 სემიტურში ორივე სქესი აქვს: მამრობითი და მდედრობითი. მაგრამ თანამედროვე ასურულში რიცხვით სახელთა მხოლოდ თითო ფორმაა დაცული; გამონაკლისია „ერთი“, რომლის მდედრობითი სქესი მამრობითის გვერდით მხოლოდ ტექსტებში გვხვდება და სირიული ლიტერატურის გავლენას უნდა მიეწერებოდეს¹. ხალხურ მეტყველებაში კი „ერთი“-ც ერთსქესიანია. „1“ და „2“ მამრ. სქესის ფორმითაა წარმოდგენილი. პირველი დეკადის ყველა სხვა რიცხვითი სახელი („3“ — „10“) მდ. სქესისაა. აღნიშნული რიცხვითი სახელები status absolutus-შია დასმული².

اَحَدٌ (اَحَدٌ) „ერთი“, მდ. اَحَدٌ	اِحْدَى „ექვსი“,
اِثْنَانٌ (اِثْنَانٌ) „ორი“,	اِثْنَانٌ „შვიდი“,
ثَلَاثَةٌ (ثَلَاثَةٌ) „სამი“,	ثَلَاثَةٌ „რვა“,
ارْبَعَةٌ „ოთხი“,	ارْبَعَةٌ (اَرْبَعَةٌ) „ცხრა“,
خَمْسَةٌ „ხუთი“,	خَمْسَةٌ „ათი“.

اَحَدٌ-ში (h₂) ძირეულებია **ا** და **ح** (შდრ. არაბ. ا-ح, ებრ. א-ח). ფონეტიკური ცვლილებების შედეგად დაიკარგა სპირანტიზებული **ח** და სიტყვაში დარჩა მხოლოდ **ח** (**א**), ამიტომ ტექსტებში ხში-

¹ სქესის განსაზღვრისას ჩვენ ამოვდივართ სიტყვის სტრუქტურიდან და არა სინტაქსური ფუნქციებიდან.

² შდრ. N 5 l d e k e, Neusyr. 266.

რია ფონეტიკური დაწერილობაც — **𐌅𐌆** (*gdā < h̄dā*) მდ. სქე-
სის ფორმა **𐌅𐌆**-სი st. abs.-ში.

𐌅𐌆 (*trē*) < *traj*, სადაც *aj* ძველი ორობითი რიცხვის დაბოლო-
ებაა¹. მეორე ძირეული აქ **𐌅** (*r*) არის, რომლის საერთოსემიტური
შესატყვისია *u* (შდრ. არაბ. **رَئِيسٌ**, ებრ. **רִאשׁוֹן**).

რიცხვით სახელში **𐌅𐌆𐌅** (*tā*) მესამე ძირეული *t*, ხმოვანთა შო-
რის სპირანტიზებული, დაიკარგა, ხოლო მეორე ძირეული *t*-ს ემ-
ფაზის გამო წინამავალი *t* > *t̄*. ტექსტებში ხშირად გვხვდება ეტიმო-
ლოგიური დაწერილობის ნაცვლად ფონეტიკური — **𐌅𐌆**.

𐌅𐌆𐌆 (*ārpā*). ძირეულებია *r* *h* და *ʿ*. ეს უკანასკნელი დაკარ-
გულია, მაგრამ მისი გავლენით *h* > *p* და ხმოვნებიც ველარიზებუ-
ლია. **𐌅** (*a*) სიტყვის თავში პროთეტიკულია. იგი გაჩნდა არამეული
ენის განვითარების ადრეულ საფეხურზე, როდესაც ორთანხმოვანი
დაწყება ძნელად წარმოსათქმელი იყო და ასეთ შემთხვევაში მე-
შველი ხმოვანი ჩნდებოდა ხოლმე (შდრ. არაბ. **عَارِفٌ** და ებრ.
עֲרִיב).

𐌅𐌆𐌆 (*hāmā*).

𐌅𐌆𐌆 (*ištā*). აქაც **𐌅** პროთეტიკულია და იმავე ხასიათისაა, რაც
𐌅 **𐌅𐌆𐌆**-ში. ამ სახელის (**𐌅𐌆𐌆**-ს) ძირეულებია *št* (< *šdt*), ხოლო
შემდეგ გემინირებული *t* გამარტივდა; შდრ. არაბ. **سِتٌّ**, ებრ. **שֵׁט**.

𐌅𐌆𐌆 (*šāvā*). ძირეულებია *š* *b* *ʿ*. *b* სპირანტიზაციის გამო *r*-ში
გადაიწია, ხოლო *ʿ* დაიკარგა.

𐌅𐌆𐌆 (*tmāujā*). ძირეულებია *t* *m* *n*, რომელთა შესატყვისად
არაბულში *t* *m* *n* არის, ხოლო ებრაულში — *š* *m* *n* (**שָׁמַן** და
תַּמְנִי).

𐌅𐌆𐌆 (*ičā*, *učā*). ძირეულებია *t* *š* *ʿ*. პირველი ორი ძირეულის
შერწყმის შედეგად მივიღეთ აფრიკატა *č* (*tš* > *č*). დაკარგული *ʿ*-ის
გავლენით ეს *č* გამკვეთრდა > *č̄*, ხოლო თავკიდური **𐌅** წარმოთქმის

¹ იხ. გვ. 148.

გასაადვილებლად განვითარდა (ზღრ. **ქაჲჲ, ჰაჲჲ**). ტექსტებში ზოგჯერ ამ სიტყვის ფონეტიკური დაწერილობაა: **ქჲჲჲ** ან **ჰჲჲჲ** (შეცდომით **ჲ** სიტყვის თავში).

ჰსრაჲ (jsrā, usrā). პირველი ძირეული ^c დაკარგულია და ხმოვნები ველარიზებული.

სემიტურში რიცხვითი სახელები „ერთი“ და „ორი“ აღსარიცხ სახელს სქესში ეთანხმება. ასურულში ეს ჩანს „ერთ“-თან, სადაც, როგორც აღვნიშნეთ, ტექსტებში ზოგჯერ **ჰჲ** იხმარება **ჰჲ**-ს გვერდით. ასე, მაგალითად: **ჰჲჲჲჲჲჲ** „ერთი ბიჭი“, მაგრამ **ჰჲჲჲჲჲჲ** „ერთი გოგო“, **ჰჲჲჲჲჲჲ** „ერთი კაცი“, მაგრამ **ჰჲჲჲჲჲჲ** „ერთი ქალი“, **ჰჲჲჲჲჲჲ** „ერთი ხე“, მაგრამ **ჰჲჲჲჲჲჲ** „ერთი მდინარე“ და სხვ. უფრო ჩვეულებრივია **ჰჲ**-ს ხმარება ორივე სქესის მიმართ: **ჰჲჲჲჲჲჲ** და **ჰჲჲჲჲჲჲ**, **ჰჲჲჲჲჲჲ** და **ჰჲ**, **ჰჲჲჲჲჲჲ**, **ჰჲჲჲჲჲჲ** და **ჰჲჲჲჲჲჲ** და მისთ.

რაც შეეხება სხვა რაოდენობით რიცხვით სახელებს, ისინი ყოველთვის და ყველგან ორივე სქესის აღსარიცხის მიმართ იხმარება. ამასთანავე, „ერთი“-ს გარდა ყველა რაოდენობითი რიცხვითი სახელი აღსარიცხს მოითხოვს მრავლობით რიცხვში; ე. ი. ასურულში რიცხვითი სახელი აღსარიცხს რიცხვში ეთანხმება. სემიტურში ცნობილი წესი, რომლის მიხედვით „სამი“ და მეტი რაოდენობის აღმნიშვნელი სახელი აღსარიცხის საპირისპირო სქესს მოითხოვს, თანამედროვე ასურულისათვის, ცხადია, გამორიცხულია, რადგან რიცხვით სახელთან სქესი აღარ არის გარჩეული.

სემიტურ ენებში „3“ და მეტი რაოდენობითი რიცხვითი სახელები აღსარიცხ სახელს მრ. რიცხვის გენეტივში მოითხოვს; ე. ი. ეს სახელები (3—10) და აგრეთვე „2“-იც აღსარიცხ სახელთან st. cs.-შია მოცემული (რიცხვითი სახელი ყოველთვის უსწრებს აღსარიცხს).

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ასურულში?

ასურულშიც რიცხვითი სახელი უსწრებს აღსარიცხ სახელს, მაგრამ რიცხვითი სახელი st. cs.-ის ნაცვლად st. abs.-შია. ამგვარად **ჰჲჲჲჲჲჲ** „ერთი კაცი“, მაგრამ **ჰჲჲჲჲჲჲ** „ორი კაცი“ (ზუსტად:

„ორი კაცები“), **اَبَا** „სამი ქალი“, **اَبَا** „ოთხი ვაჟი“, **اَبَا** ან **اَبَا** „ხუთი ცხენი“, **اَبَا** „ექვსი სახლი“, **اَبَا** „შვიდი კვერცი“, **اَبَا** „რვა ვაშლი“, **اَبَا** „ცხრა მთა“, **اَبَا** „ათი მდინარე“ და სხვ.

რაოდენობით რიცხვით სახელებზე კუთვნილებითი ნაცვალსახელური სუფიქსების დართვა, რაც სემიტურში ჩვეულებრივია, ასურულში არ ხდება. ამ მიზნით გამოყენებულია განსაზღვრებითი რიცხვითი სახელები¹.

რიცხვითი სახელები 11—19 იწარმოება ასე: „ათს“ უშუალოდ უკავშირდება ერთეულების აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები. ამასთანავე, ეს ერთეულები უსწრებს „ათს“. ამ მიზნით გამოყენებულ „ათს“ სხვაგვარი გახმოვნება აქვს, ვიდრე ცალკე ხმარებულს: **اَبَا** (ცალკე ხმარებული), მაგრამ **اَبَا** „ათი“, რომელიც ერთეულებს

უკავშირდება (შდრ. არაბ. **عَشْر** და **عَشْر**, ებრ. **אָשֶׁר** და **עָשָׂר**).

ასევეა ძველ არამეულშიც: „ათი“ მამრ. სქესში — **asar**. ერთეულებთან დაკავშირებულ „ათში“ დაცული უნდა იყოს მამრ. სქესის სახელის st. abs., მაშინ, როდესაც პირველი დეკადის „10“ მდ. სქესის სახელია st. abs.-ში: **اَبَا**.

სემიტურში 11—19 რიცხვითი სახელების წარმოებისათვის განკუთვნილი ერთეულები st. abs.-შია და, ამასთანავე, 11—12-სათვის — „ათის“ შესატყვის სქესში, ხოლო 13—19-სათვის — საპირისპირო სქესში. მთლიანი რიცხვითი სახელის სქესს საზღვრავს „ათი“. თუ ეს უკანასკნელი მამრ. სქესშია, მაშინ ამ „ათის“ შემცველი 13, 15 და ა. შ. მამრ. სქესისაა, ხოლო თუ „ათი“ მდ. სქესისაა, მაშინ მისი შემცველი 13, 14 და ა. შ. მდ. სქესისაა.

როგორც უკვე ზემოთაღ აღვნიშნეთ, ასურულში დაცულია მხოლოდ ერთი სქესის რიცხვითი სახელები. სახელდობრ, 11—19 რიცხვითი სახელები წარმოშობით მამრ. სქესისაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ რიცხვით სახელთა შემადგენელი წევრი „ათი“ მამრ. სქესისაა. რაც შეეხება 11—19 რიცხვითი სახელების შემადგენელ ერთეულებს, აქ

¹ იხ. გვ. 164—165.

დაცულია საერთოსემიტური მდგომარეობა: ერთეულები მოცემულია st. abs.-ში და საერთო წესის თანახმად რიცხვით სახელებში 13—19 „10“-ის საპირისპირო სქესში, ე. ი. მდ. სქესში.

რიცხვითი სახელები 11—19:

אָבְדָּבָּ „თერთმეტი“,

אָבְדָּבָּ „თექვსმეტი“,

אָבְדָּבָּ „თორმეტი“,

אָבְדָּבָּ „ჩვიდმეტი“,

אָבְדָּבָּ „ცამეტი“,

אָבְדָּבָּ „თვრამეტი“,

אָבְדָּבָּ „ოთხმეტი“,

אָבְדָּבָּ „ცხრამეტი“¹.

אָבְדָּבָּ „თხუთმეტი“,

იქ, სადაც ერთეულების ბოლო ძირეული **א** ხვდება „ათის“ პირველ ძირეულს **א**-ს, ორი **א**-ის (**אָ**) ნაცვლად, რომელთა შორის მოსალოდნელია st. abs.-ის **ā** ხმოვანი, წერენ ხოლმე ერთ **א**-ს, წარმოთქმაში კი, ესეც დაკარგულია: **אָבְדָּבָּ** < **אָבְדָּבָּ**: **אָבְדָּבָּ** < **אָבְדָּבָּ**, **אָבְדָּבָּ** < **אָבְדָּבָּ**.

ჩადგან ყოველ ასეთ შედგენილ რიცხვით სახელში **א** იყო (ზოგან ორიც კი), ყველგან მაგარი ტემბრია.

אָבְדָּבָּ „11“: **בָּ** „ერთი“ მამრ. სქესის st. abs. და **אָבְ** „ათი“ იმავე სქესის st. abs. (შდრ. ებრ. „11“ **אָבְ** **אָבְ**, არაბ. **أَحَدَ عَشْرَ**). **בָּ**-ში **ב** (d) **א**-ის წინ ხშულადაა დაცული და გამკვეთრებული—t (hātšer).

אָבְדָּבָּ „12“: **אָבְ** „ორი“ (მამრ. st. abs.) და **אָבְ**; წარმოითქმის: trēsār.

אָבְדָּבָּ „13“: **אָבְ** „სამი“ (მდ. st. abs.), სადაც მომდევნო სიტყვის წინ -ātā დაბოლოებაში პირველი ხმოვანი შეიკუმშა (მამრ. სქესი იქნებოდა **אָבְ**) და **אָבְ** (შდრ. ებრ. **אָבְ** **אָבְ** და არაბ. **أَتَا**).

¹ გრაფიკულად ეს ფორმები დაემთხვა ძველ მამრ. სქესს.

عشر (ثلاثة عشر). აქაც მესამე ძირეული t მაგარ ტემბრში დაცულია t-ს სახით: taitāsār.

دَدَسْ „14“: دَدَسْ „ოთხი“ (მდ. st. abs.) და دَسْ; წარმოთქმის: ārpāsār.

دَسْ „15“: دَسْ „ხუთი“ (მდ. st. abs.) და دَسْ; წარმოთქმის: hāmšāsār.

دَسْ (ištāsār) „16“: دَسْ „ექვსი“ (მდ. st. abs.) და دَسْ.

دَسْ (šāvāsār) „17“: دَسْ „შვიდი“ (მდ. st. abs.) და دَسْ.

دَسْ (tmānāsār, tmānīsār) „18“: دَسْ (სათვის) „რვა“ (მდ. st. abs.) და دَسْ.

دَسْ, ზოგჯერ შეცდომით دَسْ (ištāsār, uštāsār) „19“: دَسْ „ცხრა“ (მდ. st. abs.) და دَسْ.

ათეულები 30—90 იწარმოება სათანადო ერთეულებიდან (3—9) და ამ უკანასკნელთა მრავლობით რიცხვს წარმოადგენს. ასე, „სამები“ = „30“-ს, „ოთხები“ = „40“-ს და ა. შ. ასურულ ათეულებში დაცულია მრ. რიცხვის სახელთა status absolutus-ი (მისი უ დაბოლოებით, რომელიც -īu-იდან მოდის¹). ასე მიღებულია:

دَسْ „30“ (tlāi), دَسْ „70“ (šāvī),

دَسْ „40“ (ārpī), دَسْ „80“ (tmāni),

دَسْ „50“ (hamši), دَسْ „90“ (ištī).

دَسْ „60“ (ištī),

دَسْ-ში მეორე ო სპირანტიზაციის შედეგად დაკარგულია, როგორც دَسْ-ში „სამი“.

დَسْ ზოგჯერ შეცდომითაა დაწერილი დَسْ-ს სახით.

¹ იხ. გვ. 83.

„20“-სათვის სემიტურში გამოყენებული იყო „10“-ის ორობითი რიცხვი („ორი ათი“, ე. ი. „ოცი“). მაგრამ შემდეგში ზოგ სემიტურ ენაში (სამხ. არაბულში, ეთიოპურში, აქადურში) „20“-ის დაბოლოება სხვა ათეულებზეც გადავიდა და ყველა ათეულს ამის გამო ორობითი რიცხვის დაბოლოება აქვს; ზოგში კი (არაბულსა, ებრაულსა და არამეულში) „20“ სხვა ათეულების ანალოგიით მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელდართული „10“-ია. ასეა თანამედრ. ასურულშიც: **𐎶𐎵** (ზუსტად: „ათები“), ნაცვლად **𐎶𐎵**-სი.

ათეულებისა და ერთეულების დაკავშირება (20-ის შემდეგ) ისევე მარტივად ხდება, როგორც ეს 11—19-ში გვექონდა. განსხვავება იმაშია, რომ ათეულები პირველ ადგილზეა, ერთეულები კი მეორე ადგილზე:

𐎶𐎵 𐎶𐎵 „21“,	𐎶𐎵 𐎶𐎵 „31“,	𐎶𐎵 𐎶𐎵 „41“.
𐎶𐎵 𐎶𐎵 „22“,	𐎶𐎵 𐎶𐎵 „32“,	𐎶𐎵 𐎶𐎵 „42“,
𐎶𐎵 𐎶𐎵 „23“,	𐎶𐎵 𐎶𐎵 „33“,	𐎶𐎵 𐎶𐎵 „43“,
და ა. შ.	და ა. შ.	და ა. შ.

თ. ნელ დეკეს მოწმობით, ტექსტებში იშვიათად გვხვდება ათეულებსა და ერთეულებს შორის **𐎶** კავშირი, როგ. **𐎶𐎵 𐎶** „65“¹.

„ასი“ სემიტურში წარმოადგენს მდ. სქესის არსებით სახელს. ასეა ასურულშიც: **𐎶𐎵** (imš). **𐎶** პროთეტიკულია და მხოლოდ მაშინ წარმოითქმის, როდესაც ერთ ასზეა საუბარი. ძირეულებია **𐎶** (m) და **𐎶** (?). ბოლო **𐎶** st. abs.-ში მდგომ მდ. სქესის სახელთა დაბოლოების **𐎶**-ს გრაფიკული გამოხატვაა (მდრ. არაბ. miʿat, ებრ. mēʿā). ასევეა სირიულშიც — **𐎶𐎵** (st. emph. mātā).

ასეულები იწარმოება „ასის“ წინ სათანადო ერთეულების დასმით (**𐎶** არ დაისმის „ასის“ წინ „ერთი ასის“ აღსანიშნად; ამ მიზნით ხმარობენ ზემოაღნიშნულ **𐎶𐎵**-ს). ასე მიიღება:

𐎶𐎵 𐎶 „200“ (და არა „ასის“ ორობითი რიცხვი, როგორც ეს, მაგალითად, სირიულშია),
𐎶𐎵 𐎶 „300“,

¹ იხ. N ü l d e k e, ხს. შრ., გვ. 153.

2. რიგითი რიცხვითი სახელი

რიგითი რიცხვითი სახელები, გარდა „პირველისა“ და ზოგ შემთხვევაში „მეორისა“, ხალხურ მეტყველებაში აღარ იხმარება; გვხვდება მხოლოდ ტექსტებში და ასევე, ზოგჯერ, წერა-კითხვის მცოდნეთა მეტყველებაში.

„პირველი“, როგორც ეს მრავალ ენაშია და, კერძოდ, სხვა სემიტურ ენებშიც, „ერთი“-დან კი არ იწარმოება, არამედ სრულიად სხვა ძირიდან, სახელდობრ, q ო m ძირიდან რაც „წინა“-ს ნიშნავს: მამრ. **قَدِيمٌ** (ან **قَدِيمٌ**), მდ. **قَدِيمٌ** (ან **قَدِيمٌ**)¹. უ ამ სიტყვაში სპირანტიზაციის შედეგად არ წარმოითქმის.

„მეორე“-სათვის ხშირად იხმარება სიტყვა „სხვა, შემდეგი“: მამრ. **ثَانِيٌ**, მდ. **ثَانِيٌ**.

2—10 რიგითი რიცხვითი სახელები იწარმოება სათანადო რაოდენობითიდან qatīl ტიპის მიხედვით, რომელსაც ბოლოს მიმართებითი ზედსართავის დაბოლოება ახლავს. მახვილის გამო არამეულში qatīl > qʿīl. თანამედრ. ასურულში ეს ულტრამოკლე -ც დაიკარგა და ამგვარად, qʿīl > qīl პლუს მამრ. სქესში -āiā, ხოლო მდ. სქესში -ētā (<āitā) დაბოლოება.

ამგვარად მამრ. სქესში გვაქვს:

قَدِيمٌ „მეორე“,	قَدِيمٌ „მეშვიდე“,
ثَانِيٌ „მესამე“,	ثَانِيٌ „მერვე“,
ثَلَاثِيٌ „მეოთხე“,	ثَلَاثِيٌ „მეცხრე“,
رَبَاعِيٌ „მეხუთე“,	رَبَاعِيٌ „მეათე“.
خَمْسِيٌ „მეექვსე“,	

წარმოება ზუსტად ისეთივეა, როგორც საერთოდ არამეულში, მაგალითად, სირიულში. წარმოთქმაში განსხვავებას ქმნის, როგორც ეს ზემოთაც აღვნიშნეთ, ის, რომ ძველ არამეულ დიალექტებში პირველი ძირეულის შემდეგ ხმოვანი (შვა) წარმოითქმოდა, აქ კი პირველი ძირეული უხმოვნოა. აქაც რომ უნდა ყოფილიყო პირველ ძირეულთან ხმოვანი, ამაზე მიუთითებს სპირანტიზებული **ق** (r) რიცხვით სახელებში **قَدِيمٌ** „მეოთხე“ და **قَدِيمٌ** „მეშვიდე“.

¹ **قَدِيمٌ** (**قَدِيمٌ**) იხმარება ზნისართული მნიშვნელობითაც: „პირველად, დასაწყისში“.

სირიულის მსგავსად აწარმოებს ასურული „მეორე“-საც (II-თი გავრცობილი): **ܩܢܝܢܐ** (შდრ. სირ. ܩܪܝܝܢܐ), მაშინ, როდესაც არამეულში ძირში R-ს ნაცვლად II თანხმოვანია: შდრ. იმავე სირიულში tenjānā.

აღნიშნულ რიცხვით სახელთა მდ. სქესი:

ܩܢܝܢܐ „მეორე“, სადაც დაბოლოებად **ܩ**-ს ნაცვლად **ܩ**- არის. ყველა სხვა მდ. სქესის რიცხვით სახელებს **ܩ**-ს ნაცვლად **ܩ**- დაბოლოება აქვს:

- ܩܢܝܢܐ** „მესამე“,
 - ܩܢܝܢܐ** „მეოთხე“,
 - ܩܢܝܢܐ** „მეხუთე“,
- და ა. შ.

მაგრამ ასეთი წარმოება, როგორც აღვნიშნეთ, „ლიტერატურულთა“. ჩვეულებრივ კი რიგითი რიცხვითი სახელების წარმოებისათვის რაოდენობითი რიცხვითი სახელის წინ სვამენ რელაციურ ნაწილს **ܩ**-ს და ამგვარად ლებულობენ:

- ܩܢܝܢܐ** „მეორე“,
 - ܩܢܝܢܐ** „მესამე“,
 - ܩܢܝܢܐ** „მეოთხე“,
- და ა. შ.

რადგან რაოდენობით რიცხვით სახელებს მდ. სქესის ფორმები არა აქვს, ამიტომ, ცხადია, ამგვარად ნაწარმოები რიცხვითი სახელები საერთოა ორივე სქესისათვის: **ܩܢܝܢܐ** **ܩܢܝܢܐ**, მაგრამ **ܩܢܝܢܐ** **ܩܢܝܢܐ** „მესამე ქალიშვილი“ ისევე, როგორც **ܩܢܝܢܐ** **ܩܢܝܢܐ** „მესამე ვაჟი“.

რიგითი რიცხვითი სახელები აღსარიცხის შემდეგ დაისმის (რაოდენობითთან, როგორც ვიცით, პირიქითაა: რიცხვითი სახელი აღსარიცხის წინაა): **ܩܢܝܢܐ** **ܩܢܝܢܐ** „პირველი კაცი“, მაგრამ **ܩܢܝܢܐ** **ܩܢܝܢܐ** „ერთი კაცი“.

10-ზე ზევით რიგითი რიცხვითი სახელების წარმოება მხოლოდ **ܩ** ნაწილაკის სათანადო რაოდენობით რიცხვით სახელზე დართვით ხდება:

ᲛᲗᲗᲗ „მეტამეტე“,

ᲛᲗᲗ „მეორმოცე“,

ᲛᲗ „მეასე“,

ᲛᲗ „მეთასე“ და მისთ.

3. წილადები და განსაზღვრებითი რიცხვითი სახელები

წილადები ასურულში ისე, როგორც სემიტურში საერთოდ, იწარმოება quxI ტიპის მიხედვით. ასე, მაგალითად: **ᲛᲗᲗ** „მესა-

მედი“ (შდრ. არაბ. **تُف**, არამ. **tultā**), **ᲛᲗᲗ** „მეოთხედი“ და ა. შ.

ჩვეულებრივ ამ წილადების წინ სვამენ მრიცხველის აღმნიშვნელ რაოდენობით რიცხვით სახელს: **ᲛᲗᲗ** **ᲛᲗ** „ერთი მეოთხედი“,

ᲛᲗᲗ **ᲛᲗᲗ** „სამი მეოთხედი“ და ა. შ. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი წარმოება თანდათან იზღუდება. მის ადგილს

იჭერს აღწერიითი წარმოება **Მ** ან **Მ** ნაწილაკთა (დახმარებით:

ᲛᲗᲗ **Მ** **Მ** „ერთი მეოთხედი“, **ᲛᲗᲗ** **ᲛᲗᲗ** „სამი მეოთხედი“ და ა. შ.

1/2-სათვის იხმარება ცალკე სიტყვა **ᲛᲗ** (ამავე ძირიდან ასურულში არის ზმნა **ᲛᲗ** „გაპყოფს, დაპყოფს“).

განსაზღვრებითი რიცხვითი სახელები იწარმოება რაოდენობითიდან **Მ** (ē) ან, უფრო ხშირად, **ᲛᲗᲗ** (-untē < untāi) დაბოლოების საშუალებით. ასეა მიღებული:

ᲛᲗᲗ ან **ᲛᲗᲗᲗ** **ᲛᲗ**-დან — „ორივე“,

ᲛᲗᲗᲗ „სამივე“, **ᲛᲗᲗᲗᲗ** „შვიდივე“,

ᲛᲗᲗᲗᲗ „ოთხივე“, **ᲛᲗᲗᲗᲗᲗ** „რვავე“,

ᲛᲗᲗᲗᲗᲗ „ხუთივე“, **ᲛᲗᲗᲗᲗᲗᲗ** „ცხრავე“,

ᲛᲗᲗᲗᲗᲗᲗ „ექვსივე“, **ᲛᲗᲗᲗᲗᲗᲗᲗ** „ათივე“.

ეს **Მ** დაბოლოება სხვა არაფერია, თუ არ მრ. რიცხვში st. cs.-ში მდგომი სახელის დაბოლოება. განსაზღვრ. რიცხვითი სახელები აღსარიცხის წინ დაისმის და st. cs.-ში იგულისხმება: **ᲛᲗᲗ** **ᲛᲗᲗ** „ორივე ბიჭი“ და მისთ.

როგორც ვხედავთ, α^2 დაბოლოება მხოლოდ „ორივე“-სთან ვვაქვს. ყველა სხვა რიცხვით სახელთან და^ამავე დროს „ორივე“-სათვისაც (α^2 -ს პარალელურად) α^2 დაბოლოება იხმარება, სადაც იგივე α^2 გამოიყოფა.

α^2 -ში σ α -ის ნაცვალა (მომდევნო i -თან დისიმილაციის შედეგად): $tirjai > tiryai > tiruē$. აქედან ეს α^2 -შიც გადავიდა.

ეგვე განსაზღვრ. რიცხვითი სახელები დაირთავენ ნაცვალსახელურ სუფიქსებსაც: α^2 „ტყვენ ორივე“, α^2 „ჩვენ სამივე“. აღნიშნული სუფიქსების დართვისას α^2 დაბოლოება რიცხვით სახელებს ეკვეცებათ: α^2 , მაგრამ α^2 . მრავლბითი რიცხვის III პირის ნაცვალსახელური სუფიქსიანი ფორმისათვის იგივე განსაზღვრ. რიცხვითი სახელია ყოველგვარი ცვლილების გარეშე. ასე, მაგალითად, α^2 შეიძლება ნიშნავდეს „ოთხივე“-ს და აგრეთვე — „ისინი ოთხივე“.

ზ მ ნ ა

თ ა ვ ი XVIII

ზმნის უღლების სისტემა

სემიტური ზმნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს მისი უღლება ასპექტის მიხედვით, რომელთანაც შინაარსობლივად დაკავშირებული დროის გამოხატვა. სახელდობრ, სემიტური პერფექტივი (სრული ასპექტი) ნამყო დროის გაგებას იძლევა, იმპერფექტივი (უსრული ასპექტი) კი გადმოსცემს აწმყოფად და ნამყო-უწყვეტელს. სრულიად სხვა ვითარებაა თანამედროვე ასურულში, სადაც სემიტური უღლების სისტემა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. დაიკარგა პირიანი ზმნა (ბრძანებითის გამოკლებით) და უღლების მთელი სისტემა დაეყრდნო ნაზმნარ სახელებს (მასდარსა და მიმლეობებს), ხოლო ახლად შექმნილ ზმნურ ფორმებს დაეკისრა უპირველეს ყოვლისა დროის გამოხატვა. ამას მოჰყვა მთელ რიგ ფორმათა ანალიტიკური წარმოება, რამაც შეცვალა სემიტური ზმნისათვის ტიპური ზოგიერთი სინთეტიკური

ფორმა. ანალიტიკური ფორმების ფართოდ გამოყენება თანამედროვე ასურულის ერთ-ერთ დამახასიათებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

ასურული ზმნის უღლების სისტემა ყურადღებას იქცევს იმ მხრითაც, რომ ენა ახერხებს ტემპორალ ფორმათა დიფერენციაციას მოქმედების ასპექტის მიხედვით (მოქმედების დასრულება თუ დაუსრულებლობა, მომენტალურობა თუ განგრძობითობა და სხვ.).

ასურული ზმნისათვის დამახასიათებელია შემდეგი კატეგორიები: თემა, კილო, დრო, ასპექტი, პირი, სქესი, რიცხვი და გვარი (ძველი სემიტურისაგან განსხვავებით ხსენებული ვერბალი კატეგორიები ზშირად ანალიტიკური წესითაა გამოხატული). ზმნის ცვლა ამ კატეგორიების მიხედვით წარმოადგენს ასურული ზმნის უღლების არსს. განვიხილოთ ზმნის აღნიშნული კატეგორიები.

1. თემები

სემიტური ენებისათვის, მათ შორის არამეულისათვისაც, დამახასიათებელია ზმნის წარმოება ე. წ. თემების მიხედვით. თემები გამოხატავენ ზმნით გადმოცემული მოქმედებისა თუ მდგომარეობის სახესხვაობას რაოდენობრიობის, თვისებრიობისა თუ მიმართულების თვალსაზრისით (ნ. ი უ შ მ ა ნ ო ვ ი)¹. ძველ არამეულში ცნობილია ექვსი თემა; რომელთაგან ერთი ძირითადია, ყველაზე მარტივი თავისი სტრუქტურით და პირველადი მნიშვნელობის თვალსაზრისით. ყველა სხვა თემა აქედან იწარმოება, რის გამო მათ ნაწარმოებ თემებს უწოდებენ. აქ შედის ინტენსივი, კაუზატივი და მათი რეფლექსივები.

თანამედროვე ასურულმა ძირითადი თემის მიმღობათა და მასდარის გვერდით დაიცვა ინტენსივისა და კაუზატივის ნაზნარი სახელებიც. ამასთანავე დაცულია ყველა ამ თემის ბრძანებითი კილოს ფორმები.

ძირითადი თემის (Peal-ის) ზმნების რაოდენობა თანამედროვე ასურულში ძველ არამეულთან შედარებით გაიზარდა, რაც ნაწარმოებ თემათა ხარჯზე მოხდა. ბევრი ნაწარმოები თემის ზმნადღეს ისევე იწარმოება, როგორც ძირითადი თემის ზმნები (მაგალითად, ზოგიერთი რეფლექსივის ზმნა)².

¹ Н. В. Юшманов, Строй арабского языка, Ленинград, 1938, გვ. 31.

² იხ. ქვემოთ.

ინტენსივის თემა (Pael) როგორც ფორმის, ისე მნიშვნელობის თვალსაზრისით მეორეულია. იგი იწარმოება ძირითადი თემისაგან და უმთავრესად მოქმედების სიძლიერეზე მიუთითებს. ფონეტიკურ ცვლილებათა შედეგად ინტენსივის ზოგიერთი ფორმა მთლიანად ემთხვევა ძირითადი თემის სათანადო ფორმას¹.

კაუზატივის თემა (Afel), იწარმოება რა ძირითადისაგან, ჩვეულებრივ მოქმედების იძულებითობას (კაუზატიურობას) გადმოსცემს. თემის მაწარმოებლის ძირთან შეხორცების გამო სწორი ძირის ზმნები ოთხთანხმოვნიან ზმნად იქცევიან და ისევე იუღლიან, როგორც პირველადი ოთხთანხმოვნიანი ზმნები.

რეფლექსივის თემები, რომლებიც ძველ არამეულში ყოველ ზემოხსენებულ თემას ჰქონდა (აქედან—ძირითადი თემის რეფლექსივი, ინტენსივის რეფლექსივი, კაუზატივის რეფლექსივი), თანამედროვე ასურულში აღარ გვხვდება. შემორჩენილია მხოლოდ მათი ნაშთები, რომლებმაც სხვა თემებში გადაინაცვლეს. ამასთანავე, ენაში განვითარდა რეფლექსივის წარმოების ახალი, აღწერითი წესი.

თემათა წარმოების ჟრთიერთშედარების საფუძველზე აღნიშნავენ ფლექსიის ორ ტიპს, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდება ვოკალიზაციის საფუძველზე. ერთი ტიპი ძირითადი თემის ზმნების უღლებას მოიცავს, მეორე კი ნაწარმოები თემების ზმნებისას (უღლების ერთი ნიმუში ნაწარმოებ თემებში საფუძველს იძლევა მათი ერთ ტიპად გაერთიანებისათვის).

შდრ. მოქმედ. გვარის მიმღეობა: -ā-i-i- -ā-i-i- (-a-i) (𐎠𐎢𐎩 „ამთავრებს“ და 𐎠𐎢𐎩 „იხსნის, გადაარჩენს“, 𐎠𐎢𐎩 „გააღებინებს“),

ენებ. გვარის მიმღეობა: -ī-ā: -u-ā (u-i-ā) (𐎠𐎢𐎩 და 𐎠𐎢𐎩, 𐎠𐎢𐎩),

მასდარი: -ā-ā: -a-u-ī (𐎠𐎢𐎩 და 𐎠𐎢𐎩, 𐎠𐎢𐎩),

ბრძანებითი: -u-: -a-i-i- (𐎠𐎢𐎩 და 𐎠𐎢𐎩 < 𐎠𐎢𐎩, 𐎠𐎢𐎩).

ამრიგად, ზმნების ფლექსიაში გარკვევით შეინიშნება ფუძეების წარმოების ორი ტიპი, რაშიც ვლინდება ძველი სემიტური უღლება თემათა მიხედვით. ამის საფუძველზე აღნიშნავენ უღლების ორ ტიპს თანამედროვე ასურულში: I უღლება² გულისხმობს სემი-

¹ უფრო დაწერილობით იხ. ქვემოთ ინტენსივის წარმოებასთან.

ტურში ცნობილ ძირითად თემას, ხოლო II უღლება ვარაუდობს ნაწარმოებ თემათა ზმნების ფლექსიას. II უღლებას განეკუთვნება ოთხთანხმოვნიანი ზმნებიც¹.

2. კილო, ღრო, ასპექტი

„სამშობლო ტკბილია“, **إِنَّمَا فِي الْوَالِدِ** „ადეჟი, წადი აქედან!“
და სხე.

ინტონაციის თვალსაზრისით ასურულში გვაქვს თხრობითი, კითხვითი და ძახითი წინადადებები.

კითხვითი წინადადების ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი კითხვის ინტონაციაა, რითაც ის განსხვავდება შესატყვისი თხრობითი წინადადებისაგან. ასეა ზოგადი კითხვის შემთხვევაში; შღრ. **إِنَّمَا أَلْ تَلِيَّانِ كُفَّوْا هَذَا** „მამაშენი გუშინ სოფელში წავიდა“ და **إِنَّمَا أَلْ تَلِيَّانِ كُفَّوْا هَذَا** „მამაშენი

გუშინ სოფელში წავიდა?“ სპეციალური კითხვის შემთხვევაში კი იხმარება სათანადო სიტყვები, რომლებიც ჩვეულებრივ წინადადების დასაწყისში დაისმის: **إِنَّمَا هَذَا كَيْفَ تَدْرَأُ لِي كَيْفَ**

„როგორ გადავიდეთ ამ რუხე?“, **إِنَّمَا هَذَا كَيْفَ تَدْرَأُ لِي** „რატომ მიყუფ?“ **إِنَّمَا هَذَا كَيْفَ تَدْرَأُ لِي** „რა გინდათ?“ არ არის გამორიცხული ისეთი შემთხვევებიც, როდესაც კითხვითი სიტყვა ქვემდებარის ან დამატების შემდგომ დგას, მაგრამ ყოველთვის შემსმენლის წინ: **إِنَّمَا هَذَا كَيْفَ تَدْرَأُ لِي** „ჩემო შაშვო, სადა ხარ?“, **إِنَّمَا هَذَا**

إِنَّمَا هَذَا كَيْفَ تَدْرَأُ لِي „ეს სასიამოვნო სუნის საიდანაა?“, **إِنَّمَا هَذَا** „ჩვენ ვინა ვართ?“

ძახითი წინადადებისათვის, გარდა სათანადო ინტონაციისა, დამახასიათებელია ბრძანების გამომხატველი ზმნა, რომელიც ბრძანებით კილოსა ან კავშირებით კილოშია წარმოდგენილი (კავშირებითშია, როგორც ცნობილია, თუ ბრძანება სხვა პირშია, გარდა მხ. რ-ის II პირისა). ასე, მაგალითად, **إِنَّمَا هَذَا كَيْفَ تَدْرَأُ لِي**

إِنَّمَا هَذَا كَيْفَ تَدْرَأُ لِي „მოდით ჩემს ზურგზე, ერთად გადავიდეთ!“, **إِنَّمَا هَذَا كَيْفَ تَدْرَأُ لِي** „მობრძანდი, მობრძანდი, ძმავო მელა!“, **إِنَّمَا هَذَا**

إِنَّمَا هَذَا كَيْفَ تَدْرَأُ لِي „გამოდით ჩვენთან!“ ძახით წინადადებებში, განსაკუთრებით ირიბი ბრძანების შემთხვევაში (ე. ი. არა მეორე პირში), ფართოდაა გამოყენებული ნაწილაკი **إِنَّمَا** „დე!“, რომელიც **إِنَّمَا** ზმნის ბრძანებითი ფორმიდან (**إِنَّمَا**) უნდა მოდიოდეს.

ძახითი წინადადებები შეიძლება გამოხატავდეს ემოციას (მოწონებას, აღტაცებას, გაკვირვებას და მისთ.). ასეთი წინადადებები

შეიცავენ ძახით ინტონაციას და, ზოგჯერ, შორისდებულებს: **لَا تَسْأَلْ مَنْ يَدْعُكَ** „ჩოი, უფალო ღმერთო!“, **إِذَا دَعَاكَ فَاجِبْ** „**لَا تَسْأَلْ مَنْ يَدْعُكَ**“ „ჩოი, საწყალო, რა განსხვავებაა შენთვის ღღესა და ღამეს შორის!“

ყველა ხსენებული ტიპის წინადადება შეიძლება შეიცავდეს მტკიცებას (წართქმითი წინადადება) ან უარყოფას (უკუთქმითი წინადადება). უკუთქმითი წინადადება წართქმითისაგან იმით განსხვავდება, რომ მისი შემასმენელი უკუთქმითი ფორმითაა გადმოცემული. ასეთი ფორმები, როგორც ცნობილია, შეიცავენ ნეგაციურ ნაწილაკებს. მაგ.: **لَا يَدْعُكَ مَنْ يَدْعُكَ** „მე არ მიყვარს ასეთი ამხანაგი“, **لَا تَسْأَلُ مَنْ يَدْعُكَ** „ღედაბერს მისი ხმა არ ესმოდა ხოლმე“, **لَا يَدْعُكَ** „არ შევიდა გამოქვამულში“ და სხვ.

აღსანიშნავია, რომ უცხოური წარმოშობის ნეგაციური ნაწილაკების (**لَا**, **مَنْ**) ხმარების შემთხვევაში მათთან ერთად იხმარება საკუთარი ნეგაციაც, რის შედეგადაც ვღებულობთ ორმაგ უარყოფას წინადადებაში: **لَا يَدْعُكَ مَنْ يَدْعُكَ** „ის კაცი მეტი აღარ მოსულა“ („სულ აღარ მოსულა“). **لَا تَسْأَلُ مَنْ يَدْعُكَ** „მაგრამ გამომსვლელთა კვალს მე სრულებით ვერ ვხედავ“ და სხვ. ასეთი უარყოფა ჩვეულებრივ კატეგორიულ ხასიათს ატარებს.

2. წინადადების წმკრები და მათი აღმღლი წინადადებაში

ა. ქვემღებარე

ქვემღებარის ფუნქციით წინადადებაში გვხვდება ყოველგვარი სახელი: არსებითი, საკუთარი, ზედსართავი, ნაზმნარი, რიცხვითი და ნაცვალსახელი.

არსებითი სახელი ქვემღებარის როლში მხოლოდ status emphaticus-ის ფორმითაა (გამონაკლისია ზოგიერთი ნასესხები სიტყვა). ასე, მაგალითად: **لَا يَدْعُكَ مَنْ يَدْعُكَ** „მეფე განცვიფრდა პატარა გოგონას გულადობით“, **لَا يَدْعُكَ**

ხედსართავია ქვემდებარის ფუნქციით: **შაქაჲ ანაჲ**
.. **ანაჲ ანაჲ ანაჲ** „უმცროსი გამოვიდა და წაეიდა
სხვა ქვეყანაში“, **აშოაჲ ანაჲ** „ლატაკი
ცხენიდან ჩამოვიდა“ და მისთ.

რიცხვითი სახელი ქვემდებარეს წარმოდგენს ისეთ შემთ-
ხვეცებში, როგორცაა: **აშოაჲ ანაჲ** „ერთმა მათ-
განმა მას უთხრა“, **ანაჲ ანაჲ** „ორი ჩვენი
ჯარისკაცთაგანი გაიქცა“ და მისთ.

ნაცვალსახელი-ქვემდებარე. თუ იგი პირის ნაცვალსახე-
ლია, ყოველთვის დამოუკიდებელი სახისაა, ე. ი. სახელობით ბრუნ-
ვაში ივარაუდება: **ანაჲ აშოაჲ ანაჲ** „მას თავისი უფროსი ვაჟი ძალიან უყვარდა“, **ანაჲ ანაჲ**
ანაჲ ანაჲ „დღეს მე კურდღელს დაეწილავე“
და სხვ.

საყურადღებოა, რომ პირის ნაცვალსახელის ხმარება ქვემდებარედ შემასმენელთან ერთად ხშირად განპირობებულია ამ შემასმენლის მიერ გამოხატული პირისათვის ხაზგასასმელად. რამდენადაც პირი თვით ზმნის ფორმაშია წირმოდგენილი, ქვემდებარე-ნაცვალსახელი ხშირად გამოტოვებულია ხოლმე: **ანაჲ** „მოხვედი?“ (და არა **ანაჲ ანაჲ**), **ანაჲ ანაჲ** „(ნე) გამოვიქეცი აქ, რათა ეს ამბავი შენ გითხრა“. ხოლო პირის ნაცვალსახელის „განმეორებით“ ხმარება ლოგიკურ მახვილს სვამს ნაცვალსახელით წარმოდგენილ სუბიექტზე. ასე, მაგალითად: **ანაჲ ანაჲ** **ანაჲ** „მე რა გავაკეთო?“ (ჩვეულებრივ **ანაჲ**-ს გარეშე იტყვიან — **ანაჲ ანაჲ**), **ანაჲ ანაჲ** „ნათესაობის საქმეს მე გაგიკეთებ შენ“ და სხვ. მისთ. ასეთ შემთხვევაში ნაცვალსახელი უმეტესად წინადადების ბოლოშია.

ქვემდებარედ შეიძლება შეგვხვდეს რეფლექსიური ნაცვალსახელიც (თვით ზე, თვით იგი და მისთ.). აქაც უმეტესად ნაცვალსახელი ზმნას მოსდევს: **ანაჲ ანაჲ** „მოკვდა თვით იგი (მღ.)“, **ანაჲ ანაჲ** „მე თვით მოვედი“ და მისთ

ჩვენებითი ნაცვალსახელი ცანსაკუთრებით აქეთა მწკრივისა).

რომელიც ქვემდებარეს წარმოადგენს, როგორც წესი, შემასმენელს უსწრებს წინ: **כֹּה־אָמַר יְהוָה** „ეს კარგია“, **כֹּה־אָמַר יְהוָה** „ეს ლამაზი იყო“, **כֹּה־אָמַר יְהוָה** „ამან ყველა გარისკაცი დახოცა“, **כֹּה־אָמַר יְהוָה** „მან მკითხა მე“ და სხვ.

იგივე ითქმის კითხვით და განუსაზღვრელ ნაცვალსახელებზე, როდესაც ისინი ქვემდებარეს გადმოსცემენ: **הֲאֵלֹהִים אֱלֹהִים** „ვინ გიამბო შენ?“, **הֲאֵלֹהִים אֱלֹהִים** „რა მოხდა?“, **הֲאֵלֹהִים אֱלֹהִים** „ყველა სუფრასთან დაჯდა“, **הֲאֵלֹהִים אֱלֹהִים** „არავეის არ სურს ომი“, მაგრამ ასევე: **הֲאֵלֹהִים אֱלֹהִים** „ჩემთან არავეის მოდის“.

ნაზმნარი სახელი ქვემდებარედ ხშირი მოვლენაა. მათ შორის გვხვდება როგორც მიმლეობები, ისე მასდარები. რამდენადაც მოქმედების გვარის მიმლეობის ფუნქცია ამეამად **כֹּה־אָמַר** (მდ. **כֹּה־אָמַר**) დაბოლოებიან მოქმედის სახელს აკისრია¹, ამდენად სწორედ ეს სახელებია წარმოდგენილი სათანადო შემთხვევაში ქვემდებარედ: **כֹּה־אָמַר יְהוָה** „მოქიდავემ ხელი ასწია“, **כֹּה־אָמַר יְהוָה** „ფიცის გამტეხი მალე გაიქცა“, **כֹּה־אָמַר יְהוָה** „იმ გამოქვაბულიდან გამომსვლელი არ არის“, **כֹּה־אָמַר יְהוָה** „ჩვენი მასწავლებელი ჩვენ მაგრად გვეცმდა ხოლმე“.

ვნებითი გვარის მიმლეობა, ისევე როგორც ზედსართავიც, გასუბსტანტივების შემთხვევაში ასრულებს ქვემდებარის როლს: **כֹּה־אָמַר יְהוָה** „სწავლულები შეიკრიბნენ, იფიქრეს...“.

მასდარი (ასევე მოქმედების სახელიც) ქვემდებარის ფუნქციით: **כֹּה־אָמַר יְהוָה** „პაპაჩემის მონახულეებამ (სტუმრობამ) გაალო ჩემი კარი ყველას წინაშე“, **כֹּה־אָמַר יְהוָה** „შენი მწუხარება (ზუსტ. წუხილი) შენი სიავის ბრალია“, და სხვ.

¹ იხ. ზემოთ, გვ. 2.7.

ბ. შემასმენელი

ვერბალ წინადადებაში შემასმენლის ფუნქციით თითქმის ყველა მეტყველების ნაწილი გვხვდება: ზმნა, სახელი, ნაწილაკი. აქ პირველ რიგში უნდა გავარჩიოთ მარტივი და შედგენილი შემასმენელი.

მარტივი შემასმენელი, უწინარეს ყოვლისა, პირიანი ზმნაა. ასეთად გვხვდება არა მხოლოდ „მემკვიდრეობით მიღებული“ ზმნა, როგორცაა ბრძანებითის ფორმა, არამედ ძველი მოქმედებითი გვარისა და ვნებითი გვარის მიმღეობებიც, რომლებიც მხოლოდ status absolutus-შია წარმოდგენილი (როგორც უკვე აღინიშნა, ასეთი ფორმები პირიან ზმნებად აღიქვება¹). მაგალითად: **اَدْبَدُ** „აადულეთ ჩაი!“, **اَدْبَدُ** „წადით აქედან!“, **اَدْبَدُ** „დაჯექ ჩემთან!“, **اَدْبَدُ** „ქურდღელი კარგად დარბის“, **اَدْبَدُ** „კაცი ყოველდღე დადიოდა მუხასთან“, **اَدْبَدُ** „ერთმა მედუქნემ დღისით სანთელი დაანთო“ და სხვ.

მარტივ შემასმენელს წარმოადგენს არსებობის გამომხატველი ზმნაც—verbum existentium, მაგ. **اَدْبَدُ** „იყო ერთი მეფე“, **اَدْبَدُ** „ბაღდადში იყო ერთი კაცი სახელად აბულ კასიმი“, **اَدْبَدُ** „[მას] ჰქონდა ერთი წყვილი ფეხსაცმელი“, **اَدْبَدُ** „ჩვენ არ გვყავს ბევრი მტერი“ და სხვ.

შედგენილ შემასმენლად გვევლინება სახელი ან ზმნისართი კობულასთან ერთად. კობულას verbum substantivum-ი წარმოადგენს, ხოლო შედგენილი შემასმენლის ნომინალი წევრი შეიძლება იყოს ყოველგვარი სახელი: არსებითი სახელი, ზედსართავი, ნაზმნარი სახელი, რიცხვითი სახელი და ნაკვალსახელი: **اَدْبَدُ** „ის ბიჭი მოწაფეა“, **اَدْبَدُ** „ეს ქალი რიგში პირველია“, **اَدْبَدُ**

¹ ზეპორ. გვ. 174—175.

ᲁᲗ Კᲁ ᲛᲁᲗ „მე სახლში ვიყავი“, **Მᲁ ᲛᲁᲗᲗᲗ ᲛᲁᲗᲗ ᲛᲁᲗᲗ**
 „ჩვენი მეზობლის ქალიშვილი ღამაზია“, **ᲛᲁᲗᲗ ᲛᲁᲗ ᲛᲁᲗ ᲛᲁᲗ**
ᲁᲗ ᲛᲁᲗᲗ ᲛᲁᲗᲗ „ჩვენგან ყველაზე ზარმაცი ჩემი უმცროსი
 ძმა იყო“, **Მᲁ ᲛᲁᲗᲗ ᲛᲁᲗ ᲛᲁᲗ** „ყველა ესენი — ჩვენი მტრებია
 (ზუსტ. ჩვენი მტრები არიან)“, **Მᲁ ᲛᲁᲗᲗ ᲛᲁᲗᲗ ᲛᲁᲗᲗ**
 „ჩვენი წინა ფეხები მოკლეა“ (ზუსტ. მოკლეები არიან)“, **ᲛᲁᲗ**
ᲛᲁᲗᲗ Მᲁ ᲛᲁᲗ „მაგრამ ეს შენი არ არის“, **ᲛᲁᲗᲗᲗ ᲛᲁᲗ**
ᲛᲁᲗᲗ ᲛᲁᲗ ᲛᲁᲗᲗ ᲛᲁᲗ „ეს გამარჯვება მთელი საბ-
 კოთა ქვეყნის გამარჯვებაა“, **ᲛᲁᲗᲗ Კᲁ Მᲁ ᲛᲁᲗᲗ** „თქვენ
 არა ხართ ტრაბახები“, **ᲁᲗ Მᲁ ᲛᲁᲗᲗ ᲛᲁᲗ** „ჩვენ
 ხუთნი ვიყავით“ და სხვ.

ამგვარადეა აგებული ზმნის *verbum substantivum*-იანი ფორ-
 მები (დინამიკური ზმნის პერფექტი, კონკრეტული დროები, წინარე
 ნამყო II, დურატივ-ინხოატივის ასპექტის ფორმები და სტატი-
 კური ზმნის დროები), სადაც „ყოფნა“ მეშველ ზმნასთან მოცემუ-
 ლია ისტორიული ნაზმნარი სახელი¹. მაგრამ ამ უკანასკნელ შემთ-
 ხვევაში, როგორც ეს თავის ადგილას ითქვა, საქმე გვაქვს არა შედ-
 გენილ შემასმენელთან, არამედ შედგენილ (რთულ) დროსთან².

ნომინალ წინადადებაში მხოლოდ მარტივი შემასმენელი
 გვხვდება, რომელიც *status emphaticus*-ში მდგომ (ან ნაცვალსახე-
 ლური სუფიქსითა თუ გენეტივით განსაზღვრულ) სახელს წარმოად-
 გენს. ჩვეულებრივ ასეთი შემასმენელი შეესატყვისება ვერბალი წინა-
 დადების შედგენილ შემასმენელს ან ზმნის რთულ დროს, სადაც
verbum substantivum-ი გამოტოვებულია. შდრ. **ᲛᲁᲗ ᲛᲁᲗᲗᲗ**
ᲛᲁᲗᲗᲗ ᲛᲁᲗᲗᲗ ᲛᲁᲗᲗ ᲛᲁᲗ „დაინახა, რომ ერთი ყვავი მის
 ახლოს ზის“ (ზუსტ. „მჯდომარე“) და **ᲛᲁᲗᲗᲗ ᲛᲁᲗᲗ ᲛᲁᲗ ᲛᲁᲗᲗ**...;
ᲛᲁᲗᲗᲗ Მᲁ ანდა **ᲛᲁᲗᲗ ᲛᲁᲗᲗ ᲛᲁᲗᲗ ᲛᲁᲗᲗ ᲛᲁᲗᲗ ᲛᲁᲗ**
ᲛᲁᲗᲗ ᲛᲁᲗᲗ ᲛᲁᲗᲗ „მე რკინის პატარა ნაჭერი ვარ, თქვენ —
 ასე მაღალი და სქელი ხეები!“ და **ᲛᲁᲗᲗ ᲛᲁᲗᲗ ᲛᲁᲗ ᲛᲁᲗᲗ**

¹ იხ. ზემოთ, გვ. 179, ნემდ.

² შდრ., მაგალითად, გვ. 189.

ბრძანებდა: „თქვენ ხართ ასე მაღალი და სქელი ხეები“. სხვა
ტ.იპის შემასმენელი ნომინალ წინადადებაში ასურულში არ გვხვდება.

ვერბალ წინადადებაში შემასმენელი იწყებს წინადადებ-
ბას. თუ იგი გადმოცემულია ზმნებით **בְּיָמַי** „ამბობს“, **וְאֵלַי** „უპა-
სუხებს“, **בְּיָמַי** „ჰკითხავს“. ასეთ შემთხვევაში ქვემდებარე მეორე

აღვილზეა: **וְאֵלַי אֲשׁוּבָה** „უთხრეს მას ქურდებმა“,

וְאֵלַי „უპასუხა მოგზაურმა“. ხშირად შემასმენელი

უსწრებს ქვემდებარეს ისეთ შემთხვევაშიც, თუ ვერბალი წინადა-

დება გარემოებით იწყება: **וְאֵלַי** „ერთხელ შევიდნენ ქურდები სახლში და წაიღეს ყველა-

ფერი“, **וְאֵלַי** „მგლის ყელში ჩარჩა ძვლის ნატეხი“.

წინადადება ხშირად შემასმენლით იწყება, თუ ეს უკანასკნელი

verbum existentium-ს წარმოადგენს:

וְאֵלַי „იყო ერთ სოფელში

ორი ძმა“, **וְאֵלַי** „იყო ერთი ბერიკაცი და

ღვდაბერი“, **וְאֵלַი** „იყო ორი ჯოხი“. მაგრამ

გვაქვს პირუკუ შემთხვევებიც:

וְאֵלַי „ერთი პატარა ბიჭი იყო“, **וְאֵლַי**

„ამ ქვეყანაში როგორი წესია?“

ხშირია შემთხვევები, როდესაც ქვემდებარე წინადადებაში წარ-

მოდგენილი არ არის (ჩვეულებრივ ბრძანებით წინადადებებში და

დიალოგებში). ასეთ დროს წინადადების თავში შემასმენელი გვევ-

ლინება: **וְאֵלַי** „მოიცა. ერთად წავიდეთ!“,

וְאֵלַי „გაყიდე შეშა, შეილო!“ **וְאֵლַי**

„...მაპატიეთ, ღვთის გულისათვის!“-

სხვა შემთხვევაში უმეტესად ქვემდებარე უსწრებს შემასმენელს,

ამასთანავე, თუ წინადადებაში აღვილისა და დროის გარემოება

არ არის მოცემული, ქვემდებარე წინადადებას იწყებს: **וְאֵლַי**

„...“

:ჴიჲ **აბა** **აბა** **აბა** **აბა** **აბა** **აბა** „ერთ კაცს
 ჰქონდა ფულით საესე ქისა“, **აბა** **აბა** **აბა** „ღმერთმა შეი-
 წყალა“, **აბა** **აბა** **აბა** **აბა** **აბა** **აბა** **აბა** **აბა** **აბა**
 „პატარა მინდორი დაფარული იყო მწვანე და მალაღი
 ბალახით“, მაგრამ **აბა** **აბა** **აბა** **აბა** **აბა** **აბა**
აბა „სამზარეულოში სადილის დროს კამათი წარმო-
 იშვა“ (ზუსტ. „აღვა კამათი“), **აბა** **აბა** **აბა** **აბა** **აბა**
აბა „ერთ ქარხანაში დაიკარგა რაღაც ძვირ-
 ფასი“, **აბა** **აბა** **აბა** **აბა** **აბა** **აბა** „ამ დროს გაიღო
 ეზოს კარი“. ასეთი დალაგება (შემასმენელი-ქვემდებარე) გვხვდება
 უგარემოებო ვერბალ წინადადებაშიც: **აბა** **აბა** **აბა** **აბა**
აბა „გავიდა ოთხი თუ ხუთი წელი“.

როგორც ეს ზემოთ დავინახეთ¹, რთულ შემასმენელში
 კომპონენტებად გვაქვს სახელი და ზმნა (კოპულა). რამდენიმე სიტყ-
 ვა მათი თანამიმდევრობის შესახებ. მტკიცებით წინადადებაში
 კოპულა უშუალოდ მოსდევს ნომინალურ წევრს: **აბა** **აბა**
აბა „ჩვენ ასურულები ვართ“, **აბა** **აბა** **აბა** „იგი კარგა-
 დაა“ (ზუსტ. „მისი მდგომარეობა კარგია“), **აბა** **აბა** **აბა**
აბა **აბა** **აბა** „ვინ გასწავლა, რომ მამაშენი მგელია?“
 გამონაკლისს წარმოადგენს ზოგჯერ ანდაზები, სადაც კოპულა
 (verbum substantivum) წინ არის გადმონაცვლებული, რითაც ხაზი
 გაესმის სახელით გადმოცემულ მნიშვნელობას: **აბა** **აბა**
აბა **აბა** **აბა** „შრომა კურთხეულია (არის კურთ-
 ხეული), უსაქმურობა — უბედურება“. ასეთი მაგალითები იშვიათად
 სხვა შემთხვევებშიც გვხვდება.

უკუთქმით წინადადებაში, პირიქით, კოპულა ნეგაციურ ნაწი-
 ლაკთან ერთად მეორე კომპონენტის წინ დაისმის: **აბა** **აბა** **აბა**
აბა „ის არ არის ხასიათზე“ (ზუსტ. „ის არ არის თავის
 გულში“), **აბა** **აბა** **აბა** **აბა** „შენ არა ხარ ჩემი მეგობარი“,

¹ იხ. გვ. 367—368.

მე არა ვარ ქურდი“. ნომინალური წევრის წინ დაისმის ზმნა-კოპულა რელაციურ წინადადებებშიც, რომლებიც ნაწილაკით უერთდება მთავარ წინადადებას¹.

ნომინალ წინადადებაში, როგორც წესი, სახელი-შემასმენელი ქვემდებარეს უშუალოდ მოსდევს. ასეა იმ შემთხვევაშიც. როდესაც სახელი-შემასმენელი ირიბ ბრუნვაშია: **სოლო ბიჭი კარგია**, **ბიჭი კარგია** „სოლო დანა მის ჯიბეში [იყო]“.

3. დამატება

დამატების ფუნქციით გვხვდება სახელი (არსებითი, ზედსართავი, ნაცვალსახელი, რიცხვითი სახელი, ნაზმნარი სახელები). იგი შეიძლება წარმოადგენდეს როგორც პირდაპირ, ისე ირიბ დამატებას.

პირდაპირი დამატება ჩრდ. სემიტურ ენებში სათანადო ნაწილაკით ე. წ. *nota accusativi*-თ გამოიხატება, რაც ცვლის სამხრ. სემიტური აქუსატივის ბრუნვას (შდრ., მაგალითად, ებრ. **לפי**, სირ. **ל**). თანამედროვე ასურულში *nota accusativi*-ს ფუნქცია აკისრია წინდებულ **ל**-ს, რომელიც ხშირად (განსაკუთრებით დიალექტებში) წინადადებაში გამოტოვებულია. მაგალითად:

(1) **ל** ნაწი-ით: **ל** **אשר** **אכל** **ל** **עם** **א** **ל** **עם**
 „მას ძალიან უყვარდა უფროსი ვაჟი“, **ל** **עם** **א** **ל** **א**
ל **א** **ל** **א** **ל** **א** „სპილომ თანჯარაში გააყო თავისი გრძელი ხორთუმი“, **ל** **א** **ל** **א** **ל** **א** „მოკვლავ ჩემს უფროს ძმას“;

(2) **ל**-ს გარეშე: **ל** **א** **ל** **א** **ל** **א** **ל** **א** **ל** **א** **ל** **א**
ל **א** **ל** **א** „დურგალი ხისაგან აკეთებს კარებს, თანჯრებს, მაგილებს, კარადებს, სკამებს და სხვ.“, **ל** **א** **ל** **א** **ל** **א**
ל **א** **ל** **א** „მამალი დასვა საცერის ქვეშ“.

იშვიათად სალიტერატურო ენაში პირდაპირ დამატებაზე მიუთითებს წინდ. **ל** (სასაუბრო ენაში ასეთი ხმარება ბევრად უფ-

¹ იხ. გვ. 365—366.

რო ხშირია). ასე, მაგალითად, **აბაჲ აბაჲჲ აბაჲჲ აბაჲჲ აბაჲჲ** „მე არ წამიყვანა“ (**აბაჲჲჲ აბაჲჲჲ** „მე არ წამიყვანა“).

ი რ ი ბ და მ ა ტ ე ბ ა ზ ე მიუთითებს როგორც ზემოაღნიშნული **ა**, ისე წინდებული **აჲ**. ამ შემთხვევაში ეს ნაწილაკები გამოხატავენ მიცემით ბრუნვას და ცნობილნი არიან როგორც „მიცემითის ნაწილაკები“ (nota dativi). ასეთია **ა** შემდეგ მაგალითებში: **აბაჲჲჲ აბაჲჲჲ აბაჲჲჲ აბაჲჲჲ აბაჲჲჲ**... „მგზავრმა ვერ მიალწია დასასვენებელ ადგილს“, **აბაჲჲჲ აბაჲჲჲ აბაჲჲჲ**... **აბაჲჲჲ** „სპილომ წყალი სახლში წაიღო“; **აბაჲჲჲ აბაჲჲჲ აბაჲჲჲ** „წადით მთელ ხალხთან!“, **აბაჲჲჲ აბაჲჲჲ აბაჲჲჲ** „ძალმა ბავშვი სოფელში მოიყვანა“.

აჲ წინდებულით: **აბაჲჲჲ აბაჲჲჲ აბაჲჲჲ აბაჲჲჲ აბაჲჲჲ** „კურდღელს ეუბნებიან „გაიქეცი!“, მწვეარს — „დაიჭირე!“, **აბაჲჲჲჲ აბაჲჲჲჲ აბაჲჲჲჲ** „უთხრა მას (მამრ.) მისმა ცოლმა“, **აბაჲჲჲჲ აბაჲჲჲჲ აბაჲჲჲჲ** „დედაბერმა უთხრა შეილიშვილს“, **აბაჲჲჲჲ აბაჲჲჲჲ აბაჲჲჲჲ** „გაუგზავნე ეს იმ კაცს!“

ხშირია ი რ ი ბ ი და მ ა ტ ე ბ ი ს ხ მ ა რ ე ბ ა ტ ზ ე მ ო ხ ს ე ნ ე ბ უ ლ ი ს პ ე ც ი ა ლ უ რ ი ნ ა წ ი ლ ა კ ე ბ ი ს გ ა რ ე შ ე . ასე, მაგალითად: **აბაჲჲჲ აბაჲჲჲ აბაჲჲჲ**... **აბაჲჲჲ** **აბაჲჲჲჲ აბაჲჲჲჲ აბაჲჲჲჲ** „მსაჯულმა... ყოველ მათგანს არშინი მისცა“.

დამატება, თუ იგი ნაცვალსახელს წარმოადგენს, გადმოიცემა სათანადო ნაცვალსახელური სუფიქსებით, რომლებიც უმეტესწილად ზმნას დაერთვის¹:

(1) ბ რ ძ . კ ი ლ ო შ ი : **აბაჲჲჲ აბაჲჲჲ აბაჲჲჲ აბაჲჲჲ** **აბაჲჲჲჲ აბაჲჲჲჲ** „გამომიყვანე ამ ცეცხლიდან, მიხსენი ამ საშინელი ტანჯვისაგან!“;

(2) ღ რ ო თ ა I ჯ გ უ ფ შ ი : **აბაჲჲჲჲ აბაჲჲჲ აბაჲჲჲ აბაჲჲჲ**

¹ იხ. თ. XX: „ზნა სუფიქსებით“, გვ. 255, შეხედ.

აქვე **בְּלֵילָא**¹ „ერთ დღეს ჩემთან მოვიდა ბიძაჩემი, რათა მე
თან წავეყვანე“;

(3) დროთა II ჯგუფში: **אָבִיבֵּן אֶבְרָהָם שָׁלַח בְּיָדוֹ**
בְּאַבְרָהָם בְּנֵי אֱלֹהֵי „ადამიანი შეევედრა გველს: „რატომ მახჩობ?“;

(4) პერფექტში: **בָּרַךְ אֱלֹהֵינוּ אֶת אֲבוֹתֵינוּ** „სოფლე-
ლებმა ჩვენ ტყეში დაგვმალეს“.

ჩვეულებრივ ასე გამოიხატება პირდაპირი დამატება. თუმცა
გვაქვს შემთხვევები, როდესაც ამავე წესით გადმოცემულია ირიბი
დამატება: **וַיִּשְׁלַח אֱלֹהֵינוּ אֶת אֲבוֹתֵינוּ**
בְּאַבְרָהָם „დღედაბერმა უთხრა შვილიშვილს: „არ მოგცემ დღეს სა-
უზმეს“, **וְאַבְרָהָם אָמַר** „...მაგრამ რას გადამიხ-
დის ის მე?“

ხშირად ნაცვალსახელური სუფიქსების ასეთი ხმარებით ხაზი
გაესმის პირდაპირ დამატებას, რომლის შესატყვისი სუფიქსი ზმნას-
თანაა წარმოდგენილი. ასეა ხოლმე იმ დამატების მიმართ, რომე-
ლიც აკუზატივში მდგომ განსაზღვრულ სახელს წარმოადგენს:
וַיִּשְׁלַח אֱלֹהֵינוּ אֶת אֲבוֹתֵינוּ „გატეხეთ ფანჯარა (ზუსტ. გატეხეთ
იგი — ფანჯარა), წადით!“, **וַיִּשְׁלַח אֱלֹהֵינוּ אֶת אֲבוֹתֵינוּ**
בְּאַבְרָהָם „თუ არ ამოხსნი გამოცანას (ზუსტ. თუ
არ ამოხსნი მას — ამოცანას), სადილამდე მშიერი დარჩები“, **וַיִּשְׁלַח**
אֱלֹהֵינוּ אֶת אֲבוֹתֵינוּ „ერთი
ღრმად დაბერებული ლომი... მძიმედ სუნთქავდა (ზუსტ. ეწეოდა
მას — მის სუნთქვას)“, **וַיִּשְׁלַח אֱלֹהֵינוּ אֶת אֲבוֹתֵינוּ** „ვინ წველის მას—
თხას?“ ასეო შემთხვევაში საუბრობენ დამატების ორმაგ გამო-
ხატვაზე. ანალოგიური ვითარებაა მაშინაც, როდესაც სახელი-დამა-
ტება პირველ ადგილზეა (წინ უსწრებს შემასმენელს)².

თავისებურია დამატების (ობიექტის) გამოხატვა იმ დროებში,
რომლებიც ფუძედ ვნებითი გვარის მიმღეობის status absolutus-ის
ფორმას იყენებენ. აქ დამატება გადმოიცემა არა ნაცვალსახელური

¹ **בְּלֵילָא**.
² იხ. ქვემოთ, გვ. 376.

თან“; განსაზღვრება—რიცხვითი სახელი: **مَنْعًا مِّنْ تَجِدُوا لِيَصَلِّ** „ხუთი კაცი მოვიდა ჩვენთან სტუმრად“, **وَأَمَّا** **مَنْعًا** **مِّنْ تَجِدُوا** „იაკობი ჩემი მეორე ვაჟი იყო“; განსაზღვრება—ჩვენებითი ნაცვალსახელი: **جِبِّ** **مَنْعًا** **مِّنْ تَجِدُوا** **مَنْعًا** „ეს სახლი ჩემი სახლია“; განსაზღვრება—კითხვითი ნაცვალსახელი: **مَنْعًا** **مِّنْ تَجِدُوا** **مَنْعًا** „ის ბიჭი ვისია?“; განსაზღვრება—კუთვნილებითი ნაცვალსახელი: **مَنْعًا** **مِّنْ تَجِدُوا** „ჩვენს კოლმეურნეობაში ბევრი სულია“.

ხშირია განსაზღვრების როლში არსებითი სახელიც, თუ იგი გენეტივში ივარაუდება: **مَنْعًا** **مِّنْ تَجِدُوا** **مَنْعًا** **مِّنْ تَجِدُوا** „ერთმა ამერიკელმა ინდიელმა (ამერიკის ინდიელმა) ხეზე ჩამოჰკიდა ღორის გაბოლილი ბარკალი“, **مَنْعًا** **مِّنْ تَجِدُوا** **مَنْعًا** **مِّنْ تَجِدُوا** „ამ დროს სახლის პატრონი ბრუნდებოდა სეირნობიდან“, **مَنْعًا** **مِّنْ تَجِدُوا** **مَنْعًا** **مِّنْ تَجِدُوا** „ახლობელი მეზობელი უკეთესია, ვიდრე შორეული ძმა“.

განსაზღვრებად შეიძლება რთული შედგენილობის მსაზღვრელიც შეგვხვდეს. ასეა, თუ მსაზღვრელი წარმოადგენს შედარებით ან აღმატებით ხარისხში მდგომ ზედსართავს. რამდენადაც ზერსართავის ორივე ხარისხი (შედარებითი და აღმატებითი) აღწერით იწარმოება, ზედსართავთან ერთად განსაზღვრებაში შედის ხარისხის მაწარმოებელი სიტყვები **أَفْ** „უფრო“ და წინდებული **أَفْ** (=ქართ. თანდებელ „გან“-ს); ასევე **أَفْ**, თუ საქმე გვაქვს აღმატებით ხარისხთან¹. მაგალითად: **أَفْ** **أَفْ** **أَفْ** **أَفْ** **أَفْ** „ეს იყო ჩემი უფრო დიდი საქმე“, **أَفْ** **أَفْ** **أَفْ** **أَفْ** „უფრო ღრმა და გრძელი ხეობები“. აღმატებითი ხარისხი: ... **أَفْ** **أَفْ** **أَفْ** **أَفْ** „მაგრამ ყველაზე უკეთესი ხერხი ესაა...“ (მსაზღვრელ-საზღვრულის

¹ შდრ. გვ. 152 — 153.

უთხრეს, „**აშაჲამ ებე კბჲამ კბჲამ ჯჲა**“ ერთი ყვავი იჯდა მის ახლოს“.

შეთანხმება სქესსა და რიცხვში გვაქვს მაშინაც, თუ ქვემდებარედ პირის ნაცვალსახელია: **კბ ოჲ კბჲამ ებე აჲამ ებე** ... **ჲჲამ ჲჲამ** „მე იმიტომ ვყეფ, რომ ჩემი ხმა გაიგონ...“, **აჲამ აჲამ ებე კბჲამ ებე აჲამ აჲამ აჲამ აჲამ აჲამ** „მაგრამ ყველაზე უკეთესი ხერხი ისაა, რომ არც შენ ნახო ძალები და არც ძალებმა განახონ შენ“.

რაც შეეხება ჩვენებით ნაცვალსახელსა და კითხვით ნაცვალსახელს, რომლებიც სქესს არ არჩევენ, აქ მნიშვნელობა აქვს მათ მიერ აღნიშნულ საგანს, მამრობითი სქესისაა იგი თუ მდედრობითისა. თუ ნაცვალსახელით აღნიშნული საგანი მამრ. სქესისაა, მაშინ მასთან შემასმენელიც მამრ. სქესში დგას, ხოლო თუ საგანი მდ. სქესისაა, შემასმენელიც მდ. სქესში იქნება: **ჲჲამ ებე ებე** „ამან ბევრი იტირა“ (იგულისხმება **კბჲამ** „გოგონა“, ამიტომ **ებე** „ეს“ მოცემულია მდ. სქესის ზმნის ფორმასთან — **ჲჲამ**), ხოლო თუ აქ ვაჟი (**კბჲამ**) ივარაუდებოდა, მაშინ გვექნებოდა ასე: **ებე ჲჲამ ებე**. **ჲჲამ ებე ებე ებე** „ეს წითელია“ (თუ მითითებული საგანი მამრ. სქესისაა) და **კბჲამ ებე ებე ებე** (თუ საგანი მდედრ. სქესისაა). ასევეა კითხვით ნაცვალსახელებთან „ვინ?“ — **ჲჲამ ან ებე** და „რა“ — **ჲჲამ, აჲამ: ებე ებე ებე ებე** „ვის უნდა მსახური?“ **ჲჲამ** ვარაუდობს მამრ. სქესს, ამიტომ შემასმენელიც მამრ. სქესშია — **ჲჲამ**. **ჲჲამ**-ს რომ მდედრ. სქესი ევარაუდებინა, მაშინ გვექნებოდა: **ებე ებე ებე ებე** (**ებე** — III პირის მდ. სქესის ფორმა). აღსანიშნავია, რომ ისეთ შემთხვევაში, როდესაც სუბიექტი გაურკვეველია, შემასმენლის სქესი მდედრობითია. ასეა ისეთ გამოთქმაში, როგორცაა „რა მოხდა?“ — **ებე ებე ებე ებე**, „რა არის?“ — **ჲჲამ აჲამ** და მისთ.

ანალოგიური ვითარებაა კითხვით ნაცვალსახელებთან შემასმენელთან რიცხვში შეთანხმების შემთხვევაში: **ებე ებე ებე** „ვინ

მოვიდნენ?“ (თუ საქმე მრავალს ეხება) და **؟شَدِيدٌ حَبٌّ** „ვინ მოვიდა?“ (თუ საუბარია მამრ. სქესის ერთ პიროვნებაზე) და **حَبٌّ ؟شَدِيدٌ** „ვინ მოვიდა?“ (თუ საუბარია მდ. სქესის პიროვნებაზე).

კრებით სახელებთან, რომლებიც ფორმით მხ. რიცხვს წარმოადგენენ, შემასმენელი, როგორც წესი, მხ. რიცხვში დგას, ე. ი. აქ აღვლილი აქვს შეთანხმებას ფორმალური ნიშნის მიხედვით: **شَدِيدٌ شَدِيدٌ حَبٌّ حَبٌّ** „ეს ერი დაეცა და მეტი ველარ წამოდგა“, **حَبٌّ حَبٌّ حَبٌّ حَبٌّ حَبٌّ حَبٌّ** „გაიხედა, ხედავს მეფის ჯარი მოდის“. ყველგან აქ შემასმენელი მხ. რიცხვშია: **شَدِيدٌ حَبٌّ حَبٌّ حَبٌّ حَبٌّ حَبٌّ** „მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც კრებით სახელთან შემასმენელი მრავლობით რიცხვშია, ე. ი. აღვლილი აქვს შეთანხმებას შინაარსეული ნიშნის მიხედვით: **حَبٌّ حَبٌّ حَبٌّ حَبٌّ حَبٌّ حَبٌّ** „ომის დროს მთელი ხალხი აქედან გაიქცა“ (აქ — „მთელი ხალხი გაიქცნენ“).

ამავე ნიშნით არის შეთანხმება ქვემდებარესა და შემასმენელს შორის, თუ ქვემდებარე შინაარსით მრავალს გამოხატავს. ასეოია **حَبٌّ** „ბევრი“, **حَبٌّ** „ცოტა“, **حَبٌّ** „რამდენი“, **حَبٌّ** „რამდენიმე; ზოგიერთი“. ასე, მაგალითად: **حَبٌّ حَبٌّ** „რამდენიმე მოვიდა“ (ზუსტ. „რამდენიმე მოვიდნენ“), **حَبٌّ حَبٌّ حَبٌّ** „იქ ბევრი დარჩა“ (ზუსტ.: „ბევრი დარჩნენ“) და სხვ. გვხვდება ასეც: **حَبٌّ حَبٌّ حَبٌّ حَبٌّ حَبٌّ حَبٌّ** „ცოტა [მცენარე] აღმოცენდა ყანაში“ (**حَبٌّ**-სთან ზმნა მხ. რიცხვშია!).

მრავლობით რიცხვს მოითხოვს არს. სახელიც, რომელიც *paralia tantum*-ს წარმოადგენს. ასეა ყოველთვის **حَبٌّ** („წყალი“) და **حَبٌّ**-სთან („ცა“): **حَبٌّ حَبٌّ حَبٌّ حَبٌّ** „წყალი მინდორში გადის“ (შემასმენელი **حَبٌّ** ჯ მრ. რიცხვშია), **حَبٌّ حَبٌّ حَبٌّ** „ცა გაიხსნა როგორც ყაყაჩო“ (**حَبٌّ**—მრ. რიცხვია, ზუსტ. „ცანი განიხუნეს“). ასევეა მრავალწევრიან ქვემდებარესთანაც — შემასმენელი მრ. რიცხვშია: **حَبٌّ حَبٌّ حَبٌّ**

წილაკია, რომლის პირველადი ფუნქცია კუთვნილების გამოხატვაა¹. ხშირად ეს ნაწილაკი ხსენებული ტიპის რაულ წინადადებაში ნაცვალსახელებთან (როგორიცაა, **აჲ** და **აჲ**, **აჲ**, **აჲ**, **აჲ**) ერთად გვხვდება და ამ სახით წარმოგვიდგება მაქვემდებარებელ კავშირად: **აჲ** **აჲ** „ვინც“, **აჲ** **აჲ** „რაც“ და მისთ². ასე, მაგალითად: **აჲ** **აჲ** **აჲ** **აჲ** „რასაც დასთეს, იმას მოიმკი“, **აჲ** **აჲ** **აჲ** **აჲ** „ვისთვისაა ადგილი ვიწროა, ის გავიდეს!“

ხშირია რელაციურ **აჲ** ნაწილაკთან კორელატებად ჩვენებითი ნაცვალსახელების ხმარება (**აჲ**, **აჲ**): **აჲ** **აჲ** ან **აჲ** **აჲ** „ის ვინც; ის რაც“. ასე, მაგალითად: **აჲ** **აჲ** **აჲ** **აჲ** „ის, ვინც ფეხქვეშ იყურება, არ ჩაეარდება ქაში“, **აჲ** **აჲ** **აჲ** **აჲ** „ის, ვინც გაურბის პატარა საქმეს, უფრო დიდს წააწყდება“ (ზუსტ.: „...უფრო დიდში ჩაეარდება“), **აჲ** **აჲ** **აჲ** **აჲ** „ის, ვისაც ქარიშხლის ეშინია, არ შეუძლია გახდეს მენავე (მეზღვაური)“.

როგორც ზემოთაღნიშნა, რთული რელაციური ქვეწყობილი წინადადების დამოკიდებული წინადადება უმეტესად განსაზღვრებითი ხასიათისაა. ასეთი განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება განმარტავს:

(1) ქვემდებარეს: **აჲ** **აჲ** **აჲ** **აჲ** „შეყვარებული სილამაზეს არ უყურებს“ (ზუსტ.: „გული, რომელიც დაქერილია, არ უყურებს სილამაზეს“), **აჲ** **აჲ** **აჲ** **აჲ** „სტუმარს, რომელიც საკუთარი ფეხით მოვა, არ ექნება პატივი“, **აჲ** **აჲ** **აჲ** **აჲ**

¹ იხ. ზემოთ, გვ. 347.

² იხ. გვ. 348.

თბაქაძე „კურდღელმა დაიწყო სირბილი ქვალის ერთი თავი-
 დან მეორისაკენ, ვიდრე მას ფეხებში ძალა არ გამოეღია“, **ბბბ**
ბბბბ „ეს მის ოქროებთან ერთად დარჩეს მსახურთან, ვიდრე მის პატ-
 რონს არ იბოვი“, **ბბბბ** „როდესაც მოვიდა სპილო, მან ჩვეულებსამებრ თავისი
 ხორთუმი გაიშვირა“;

(2) რთული ქვეწყობილი წინადადება ადგილის გარემოე-
 ბითი დამოკიდებული წინადადებით: **ბბბ** „მე იქით წავალ, სადაც ჩემი ვაჟია“,
ბბბ „ბიჭები
 და გოგონები შეიკრიბნენ, სადაც მათი ამხანაგი დაიკარგა“;

(3) რთული ქვეწყობილი წინადადება ვითარების გარე-
 მოებით დამოკიდებული წინადადებით: **ბბბ** „ღვთის და-
 ლით, როგორც თქვენ გესიამოვნებათ, ისე გმართავთ თქვენ“,
ბბბ „ცხოველი დაღონე-
 ბული უყურებდა თავის პატრონს სახეში, თითქოს ესმოდა, თუ რა
 უნდა მომხდარიყო მის თავზე“, **ბბბ** „იყოს,
 როგორც შენ მოითხოვ“;

(4) რთული ქვეწყობილი წინადადება მიზეზის გარემოე-
 ბითი დამოკიდებული წინადადებით: **ბბბ** „ქარგი ჰქმენ მო-
 ხედი, რადგან ჩემი გული შენ ძალიან მოგიტხოვდა“, **ბბ** „
ბბ „ვტირი, რადგან ფული დავკარგე“, **ბ** „ნესტარმა მის
 ზურგში ვერ გაატანა, რადგან იგი ძელისა იყო“;

(5) რთული ქვეწყობილი წინადადება მიზნის გარემოე-
 ბითი დამოკიდებული წინადადებით, სადაც მარტოვი

2 კავშირის გვერდით გვხვდება შედგენილი 2 სმ, რომელიც უფრო
 სასაუბრო ენისათვისაა დამახასიათებელი: **oššē ʔāšmē ʔāhāh**
ʔāhāh oššē ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh „ზოგი
 ცხოველი, რომელმაც ნახა მისგან ზარალი, მოვიდა, რათა შური
 ეძია“, **ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh**
 „არ დაჯდეს სუურის თავში, რათა არ აღმოჩნდეს მის ბოლოში“
 (ზუსტ.: ...რათა არ იქნეს ჩამოსული ქვემოთ), **ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh**
ʔāhāh ʔāhāh „საჭიროა გულადობა (ზუსტ.: გული), რომ მოკლა
 დათვი“.

პირობითი დამოკიდებული წინადადების შემცველია რთული
 წინადადებები: **ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh**
 „რად მინდა ეს ბუღბუღი, თუ არ იგალობს?“, **ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh**
ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh
ʔāhāh ʔāhāh „თუ ჩვენ არ შეგითანხმდებით შენ, შენ ვერ შესძლებ
 თუნდაც ერთი პატარა ტოტი მოკრა ჩვენგან“, **ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh**
ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh „რომ მომკვდარიყავი, ძალიან დამამწუხ-
 რებდი“. ყველგან აქ მაქვემდებარებელს პირობითი კავშირი წარ-
 მოადგენს (ʔāhāh).

აქვე შეიძლება დავასახელოთ პირდაპირი და ირიბი ნათქვამისა
 თუ კითხვის გადმოცემის შემთხვევები, როდესაც ნათქვამი და კითხ-
 ვა მთავარ წინადადებას 2 კავშირის საშუალებით ექვემდებარება.
 ასეა ჩვეულებრივ ირიბ ნათქვამთან: **ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh**
ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh „ის ბევრს ფიქრობდა, თუ როგორ მოქცეულიყო“,
ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh
ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh
 „ბიჭმა ჰკითხა მას, თუ რატომ არ მოვიდა იგი სკოლაში
 გუშინ“.

ხშირია პირდაპირი ნათქვამის მთავარ წინადადებასთან
 დაქვემდებარების შემთხვევებიც: **ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh**
ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh ʔāhāh

„ჭკითხეს ბალახს, რომ, შენ არავითარი სუნი არ გქონდა, ეს საამო სურნელი კი საიდანღააო?“, **بَلَّحٌ يَخْبِي سَائِلٌ لَّيْلٍ**
بَسْمٌ لَّيْلٍ يَخْبِي بَلَّحٌ „ბალახმა უპასუხა, რომ მიხაკის ბუჩქთან ვემგობრობდიო“.

3. რთული უკავშირო წინადადება

თანამედროვე ასურულში ფართოდაა გავრცელებული რთული უკავშირო წინადადებათა ხმარება.

უკავშირო რთულ წინადადებათა დიდი ნაწილი მოდის თანწყობილ წინადადებებზე, სადაც უმეტესად გამოტოვებულია მამორისპირებელი კავშირები, როგორცაა, მაგალითად: **بَلَّحٌ**

يَخْبِي بَلَّحٌ يَخْبِي بَلَّحٌ „შრომა კვებაეს ადამიანს, [ხოლო] უსაქმურობა აფუქებს“, **بَلَّحٌ يَخْبِي بَلَّحٌ**

يَخْبِي بَلَّحٌ „მე პატარა რკინის ნაქერი ვარ, [ხოლო] თქვენ — ასეთი მაღალი და მსხვილი ხეები!“ არც ისე იშვიათია მაჯგუფებელი კავშირების გამოტოვება: **بَلَّحٌ يَخْبِي بَلَّحٌ** „მოვიდა სახედარი

[და] შეწყვიტა სიმღერა“, **بَلَّحٌ يَخْبِي بَلَّحٌ**

بَلَّحٌ „არც შენ დაინახო ძაღლები, [და] არც ძაღლებმა დაგინახონ შენ“.

უკავშირო რთულ ქვეწყობილ წინადადებათა დიდი ნაწილი განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებიანია. ეს ჩვეულებრივ ნომინალი დამოკიდებული წინადადებაა, რომელიც ქვემდებარეს ან დამატებას ხსნის. ასეთ შემთხვევაში დამოკიდებული წინადადების ქვემდებარეს ახლავს ნაცვალსახელური სუფიქსი, რომელიც მთავარი წინადადების ქვემდებარეს ეთანხმება და ამრიგად მთავარი წინადადების ქვემდებარულ წევრს განსაზღვრავს:

بَلَّحٌ يَخْبِي بَلَّحٌ „ერთმა მონადირემ, რომლის სახელია ხოშიბ (ზუსტ.:

სახელი მისი ხოშიბ), შაშვს რამდენიმე სიტყვა ასწავლა“.

თუ განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება მთავარის დამატებას განმარტავს, მაშინ დამოკიდებული წინადადების ქვემდებარეს მისი შესატყვისი ნაცვალსახელური სუფიქსი დაერთვის:

გვანამ მამა, გვანამ მამა „ბიჭმა მიაღწია ერთ
წყაროს, რომლის წყალი (ზუსტ.: წყალი მისი) ცივია“.

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში გვხვდება ქვემდებარული და
დამატებითი დამოკიდებული წინადადებანიც, რომლებიც ყოველ-
გვარი კავშირის გარეშე არიან წარმოდგენილი. სახელდობრ, ქვე-
მდებარული დამოკიდებული წინადადება აქ ჩვეუ-
ლებრივია ისეთი ტიპის გამოთქმებთან, როგორიცაა „საჭიროა;
უნდა; აუცილებელია“¹: **გვანამ მამა, გვანამ მამა**

„საჭიროა, [რომ] წახვიდეთ თქვენ მამასთან“, **გვანამ მამა, გვანამ მამა**
გვანამ მამა, გვანამ მამა „არ არის აუცილებელი, [რომ] ეს საქმე
დღესვე გააკეთო“.

რთული ქვეწყობილი წინადადება დამატებითი დამოკი-
დებული წინადადებით არც ისე იშვიათი მოვლენაა ენაში:

გვანამ მამა, გვანამ მამა, გვანამ მამა, გვანამ მამა
„თავგებმა დაიწყეს ფიქრი, [თუ] როგორ გამოაცალონ მათი კვერცხი
ყვავს“, **გვანამ მამა, გვანამ მამა, გვანამ მამა** „არ ვიცი, [თუ]
სად დასრულდება ჩემი სიცოცხლე“, და სხვ.

¹ შდრ. Nöldeke, Neusyr. Gr., გვ. 367.

ბიბლიოგრაფია

1. ბავსტავი

1. წერეთელი კონსტანტინე, თანამედროვე ასურულის ქრესტომათია ლექსიკონითურთ, თბილისი, 1958.
2. წერეთელი კ., მასალები არამეული დიალექტოლოგიისათვის. 1. ურმიული ტექსტები. — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 91, 1960.
3. Калашев К., Айсорские тексты. — Сборник по описанию местностей и племен Кавказа, вып. XX, Тифлис, 1894.
4. Церетели К. Г., Образцы современной ассирийской речи. (Вавские тексты). — Семитские языки, Москва, 1963.
5. Церетели Константин, Материалы по арамейской диалектологии. I: Урмийский диалект. Вып. 1, Тбилиси, 1965.
6. Bergsträsser G., Einführung in die semitischen Sprachen, München, 1928 (Darmstadt, 1963), (გვ. 93—96).
7. Duval R., Les dialectes néo-araméens de Salamas, Paris, 1883.
8. Friedrich J., Zwei russische Novellen in neusyrischer Übersetzung und Lateinschrift, Wiesbaden, 1960.
9. Garbell I., The Jewish Neo-Aramaic Dialect of Persian Azerbaijan, The Hague, 1965.
10. Kampfmeyer G., Neusyrische Sprichwörter im Dialekt von Urmia. — Mitteilungen des Seminars für orient. Sprachen zu Berlin, Abt. II, Berlin, 1905.
11. Lidzbarski M., Die nearamäischen Handschriften der Königl. Bibliothek zu Berlin, Bd I, Weimar, 1896.
12. Löwy A., On a Unique Specimen of the Lishana shel Imrani, the modern Syriac or Targum of the Jews in Kurdistan and adjacent countries. — Transactions of the Society of Biblical Archeology, 4, 1875, (გვ. 98 — 117).
13. Merx A., Neusyrisches Lesebuch, Breslau und Tübingen, 1873.

14. Prym E. und A. Socin, Der neuaramäische Dialekt des Tūr-^cAbdīn, Bd I, Göttingen, 1881.
15. Ritter H., Tūrōyō, die volkssprache der syrischen christen des Tūr Է Abdīn, A: Texte, Bd I, Beirut, 1967.
16. Rödiger E., Chrestomathia Syriaca, Halle, 1838 (გვ. 138, შემდ.).
17. Schahbaz D., Erzählungen, Sprichwörter der heutigen Syrer in Nordpersien. Texte im Dialekte von Urmia.— Mitteilungen des Seminars für orient. Sprachen zu Berlin, Abt. III, Berlin, 1919.
18. Segal J. B., Neo-Aramaic proverbs of the Jews of Zakho.— Journal of Near Eastern Studies, vol. XIV, № 4, Chicago, 1955.
19. Socin A., Die neuaramäischen Dialekte von Urmia bis Mosul, Tübingen, 1882.
20. Yaure L., A Poem in the Neo-Aramaic dialect of Urmia.— Journal of Near Eastern Studies, vol. XVI, № 2, Chicago, 1957.

2. გრამატიკული ლიტერატურა

1. წერეთელი კონსტანტინე, ნარკვევი თანამედროვე ასურული დიალექტების შედარებითი ფონეტიკისა, თბილისი, 1958.
2. წერეთელი კ., კუთვნილებითი ნაცვალსახელი ურმიის არამეულ დიალექტში. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე (სმამ), XIII, თბილისი, 1952.
3. წერეთელი კ., ზმნის უღლების სისტემა თანამედროვე ასურულ დიალექტებში. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, ტ. II, თბილისი, 1956.
4. წერეთელი კ., ჰა-/სა- კაუნატივის კვალი თანამედროვე ასურულში.—სმამ, XVII, თბილისი, 1956.
5. წერეთელი კ., სახელის ფუძის წარმოებისათვის ასურულ დიალექტებში. — საქ. სსრ მეცნ. აკად. ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, ტ. III, თბილისი, 1960.
6. წერეთელი კ., კინოზობითის წარმოებისათვის თანამედროვე ასურულ დიალექტებში.—საქ. სსრ მეცნ. აკად. საზოგად. მეცნიერებათა გან-ბის მოამბე, 1961, ტ. I.

7. წერეთელი კ., რეფლექსივის შესახებ თანამედროვე არამეულ დიალექტებში. — თსუ-ის შრომები, ტ. 99, 1962.
8. Церетели К. Г., Современный ассирийский язык, Москва, 1964.
9. Церетели К. Г., Силтаксические функции частицы d' в современных арамейских диалектах. — Семитские языки, Вып. 2, Москва, 1965.
10. Юшманов Н. В., Ассирийский язык и его письмо. — Письменность и Революция, I, Москва—Ленинград, 1933.
11. Юшманов Н. В., Загадочное ш новосирийского диалекта. — Язык и Мышление, V, Москва—Ленинград, 1935.
12. Юшманов Н. В., Сингармонизм урмийского диалекта. — Памяти акад. Н. Я. Марра, Москва—Ленинград, 1938.
13. Bergsträsser G., Einführung in die semitischen Sprachen, München, 1928.
14. Friedrich J., Neusyrisches in Lateinschrift aus der Sowjetunion. — ZDMG, Bd 109, 1959.
15. Friedrich J., Das Neusyrische als Typus einer entarteten semitischen Sprache. — Annali, IV, Roma, 1962.
16. Guidi I., Beiträge zur Kenntnis des neuaramäischen Felihî-Dialektes. — ZDMG, Bd 37, 1883.
17. Maclean A. J., Grammar of the Dialects of Vernacular Syriac, Cambridge, 1895.
18. Nöldeke Th., Grammatik der neusyrischen Sprache am Urmia-See und in Kurdistan, Leipzig, 1868.
19. Jastrow O., Laut- und Formenlehre des neuaramäischen Dialekts von Midin im Tur 'Abdin, Bamberg, 1967.
20. Osipoff S., Syriac. — Le Maître Phonétique, Paris, 1913.
21. Polotsky H. J., Studies in Modern Syriac. — Journal of Semitic Studies, vol. 6, № 1, Manchester, 1961.
22. Rhétoré J., Grammaire de la langue Soureth ou Chaldéen vulgaire, Mossul, 1912.
23. Rosenberg I., Lehrbuch der neusyrischen Schrift- und Umgangssprache, Wien, 1913.
24. Sachau E., Skizze des Fellichi-Dialekts von Mosul, Berlin, 1895.
25. Siegel A., Laut- und Formenlehre des neuaramäischen Dialects des Tür-'Abdin, Hannover, 1923.

26. Stoddard D. T., Grammar of the modern Syriac language, New-Haven, 1855.
27. Tsereteli Konstantin, A type of nominal syntagm in modern Aramaic dialects. — BSAOS, vol. XXVIII, part 2, London, 1965.
28. Tsereteli Konstantin, Analytical verbal forms in Modern Aramaic dialects. — XXVII International Congress of Orientalists. Papers presented by the USSR delegation, Moscow, 1967.
29. Tsereteli Konstantin, The Static Verbs in Modern Aramaic Dialects.—Studi sull'Oriente e la Bibbia, Genova, 1967.

3. ლექსიკონები

1. წერეთელი კ., ასურულ-ქართული ლექსიკონი (თანამედროვე ასურული ენის ქრესტომათია ლექსიკონითურთ, თბილისი, 1958, გვ. 01—0226).
2. Архимандрит Саргис, Русско-сирский лексикон, Урмия, 1909.
3. Калашев А., Русско-айсорский и айсорско-русский словарь. — Сборник по описанию местностей и племен Кавказа, вып. XX, Тифлис, 1894.
4. Церетели К. Г., Ассирийско-русский словарь (Хрестоматия современного ассирийского языка со словарем, Тбилиси, 1958, стр. 01—0224).
5. Lidzbarski M., Die neuaramäische Handschriften der Königlichen Bibliothek zu Berlin, Bd II: Glossar, Weimar, 1896.
6. Maclean A. J., A Dictionary of the Dialects of Vernacular Syriac, Oxford, 1901.
7. Graham A. J., Dictionary of the Stabilized and Enriched Assyrian Language and English, Chicago, 1943.

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა	83-5
შესავალი (ძველი არამეული ენა, ახალი არამეული ენა, თანამედროვე სალიტერატურო ასურული ენა, თანამედროვე ასურული ენის შესწავლა) .	17

ნ ა წ ი ლ ი I: ფ ო ნ ე ტ ი კ ა

A. ბგერათა სისტემა	21
თავი I. ასურული დამწერლობა	21
თავი II. თანხმოვნები	27
თავი III. ხმოვნები	35
1. მოკლე ხმოვნები	35
2. გრძელი ხმოვნები	37
თავი IV. ნახევარხმოვნები და დიფთონგები	41
B. მთავარი ფონეტიკური მოვლენები	43
თავი V. ასიმილაცია	44
თავი VI. სინჰარმონიზმი .	52
თავი VII. თანამოვანთა პალატალიზაცია .	67
თავი VIII. სპირანტიზაცია .	70
თავი IX. დისიმილაცია	75
თავი X. ბგერათდაკარგვა	79
თავი XI. მეტათეზისი	85
თავი XII. მახვილი	87
თავი XIII. კითხვის ნიშნები	90

ნ ა წ ი ლ ი II: მ ო რ ფ ო ლ ო ბ ი ა

თავი XIV. ნაცვალსახელი	95
1. პირის ნაცვალსახელი	95
2. პირის ნაცვალსახელური სუფიქსები	98
3. კეთვნილებითი ნაცვალსახელი	102
4. ზეენებითი ნაცვალსახელი	104
5. კითხვითი ნაცვალსახელი	106
6. რეფლექსიური და ემჟატიკური ნაცვალსახელი	107
7. განუსაზღვრელი და განსაზღვრებითი ნაცვალსახელი	108

ს ა ხ ე ლ ი

თავი XV. ფუძის წარმოება .	108
1. სახელის ფუძე	109
ა. მარტივფუძიანი სახელები .	110
ბ. კომპოზიტები	116

2. სახელის მაწარმოებელი აფიქსები .	119
ა. პრეფიქსები	120
ბ. სუფიქსები	121
თავი XVI. სახელის ფლექსია .	126
1. სქესი	126
2. სტატუსი	133
ა. Status absolutus	135
ბ. Status constructus .	135
გ. Status emphaticus .	138
3. რიცხვი	140
ა. მამრობითი სქესის სახელთა მრავლობითი რიცხვი	140
ბ. მდედრობითი სქესის სახელთა მრავლობითი რიცხვი .	144
გ. მრავლობითი რიცხვის თავისებური წარმოება .	147
დ. ორობითი რიცხვი .	148
ე. Pluralia tantum	148
4. სახელი ნაცვალსახელური სუფიქსებით .	148
5. სახელის დეტერმინაციისათვის	152
6. ზედსართავი სახელის ხარისხის შესახებ	152
თავი XVII. რიცხვითი სახელი .	154
1. რაოდენობითი რიცხვითი სახელი . .	154
2. რიგითი რიცხვითი სახელი .	162

ზმნა 165

თავი XVIII. ზმნის უღლების სისტემა .	165
1. თემები	166
2. კილო, დრო, ასპექტი .	168
3. სქესი, რიცხვი, პირი	174
4. გვარი	175
5. გარდამავლობა, დინამიკურ-სტატიკურობა .	177
6. ზმნების კლასიფიკაცია	178

თავი XIX. Verbum substantivum და verbum existentium 179

1. Verbum substantivum .	179
2. Verbum existentium .	183

თავი XX. სწორი სამთანხმონიანი ზმნა 187

I უღლება	187
A. დინამიკური ზმნა	188
I. მოქმედებითი გვარი	188
II. ვნებითი გვარი	211
B. სტატიკური ზმნა	218

ზნები II ჰ და ღ 223

II უღლება	224
ინტენსივი	225
I. მოქმედებითი გვარი	225
II. ვნებითი გვარი	232

კახუბატივი	237
I. მოკმედებითი გვარი	238
II. ენებითი გვარი	249
თავი XXI. ზმნა სუფიქსებით .	255
თავი XXII. სუსტი ზმნა	263
1. ზმნები I სუსტი ძირეულით	264
2. ზ-ით დაწყებული ზმნები	268
3. ზმნები II სუსტი ძირეულით	270
4. ისტორიულად გეპინირებული ზმნები	275
5. ზმნები III სუსტი ძირეულით	276
თავი XXIII. ორმაგად სუსტი ზმნა	288
1. ზმნები I და II სუსტი ძირეულით	288
2. ზმნები I და III სუსტი ძირეულით .	290
3. ზმნები II და III სუსტი ძირეულით	301
თავი XXIV. სამმაგად სუსტი ზმნა	310
თავი XXV. ოთხთანხმონიანი ზმნა .	314
1. სწორი ოთხთანხმონიანი ზმნა	315
2. სუსტი ოთხთანხმონიანი ზმნა	318
თავი XXVI. თავისებური ზმნები	326
1. ზმნა აჟ .	326
2. ზმნა ათჟ	319
3. ზმნა აჟ	329
4. ზმნა ჰჟ .	332
5. ზმნა აჟ	336
თავი XXVII. ნაწილაკები	340
1. ზმნისართი .	340
2. წინდებულები	343
3. ნაწილაკები	346
4. კავშირები .	348
5. შორისდებულები	348

ნ ა წ ი ლ ი III: ს ი ნ ტ ა მ ს ი

თავი XXVIII. შესიტყვება	350
1. ნომინალური შესიტყვებანი	350
2. ვერბალური შესიტყვებანი .	356
3. ადერაზიალური შესიტყვებანი	360
თავი XIX. მარტივი წინადადება .	360
1. წინადადების ძარითადი სახეები	360
2. წინადადების წვერები და მათი ადგილი წინადადებაში	363
ა. ჰევედებარე	363
ბ. შეპასმენელი .	377
გ. დამატება	371

დ. განსახლურება .	376
ე. გარემოება	379
3. წინადადების მთავარ წევრთა სინტაქსური ურთიერთობა	379
თავი XXV. რთული წინადადება	383
1. თანწყობილი წინადადება	383
2. ქვეწყობილი წინადადება	384
3. უკავშირო წინადადება .	399
ბიბლიოგრაფია	
1. ტექსტები	391
2. გრამატიკული ლიტერატურა	392
3. ლექსიკონები	393



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამედიკოლოგიის კათედრის შრომები

1. გ. წერეთელი, არაბული ქრესტომათია, 1949.
 2. გ. წერეთელი, არაბულ-ქართული ლექსიკონი, 1951.
 3. ალ. ლექიაშვილი, არაბული ზმნის ფორმათა პარადიგმები., 1953.
 4. კ. წერეთელი, თანამედროვე ასურულის ქრესტომათია ლექსიკონითურთ, 1958.
 5. ალ. ლექიაშვილი, სახელთა სქესისა და რიცხვის წარმოება სემიტურ ენებში, 1963.
 6. კ. წერეთელი, თანამედროვე ასურული ენის გრამატიკა, 1963.
 7. ალ. ლექიაშვილი, ბრუნების სისტემა სემიტურ ენებში (იბეჭდება).
 8. ვ. კრახკოვსკაია, არაბული ეპიგრაფიკის სახელმძღვანელო (იბეჭდება).
-

Константин Григорьевич Церетели

Грамматика современного ассирийского языка

Учебник для студентов
Тбилисского государственного университета
(на грузинском языке)

გამომცემლობის რედაქტორი მ. მენტეშაშვილი
მხატვრული რედაქტორი თ. კარბელაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მ. გოგინავა
კორექტორი ნ. ბაბალიკაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 7.8.1968; ქალაქის ზომა 60×90,
სასტამბო ფორმათა რაოდენობა 25,0; სააღრიცხვო-საგამომცემლო
ფორმათა რაოდენობა 21,88.

ტირაჟი 1000 უფ 00205 შეკვ. № 1835

ფასი 87 კპ.

გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, კამოს ქ. 18.
Издательство „Ганатлеба“, Тбилиси, ул. Камо, 18.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა, თბილისი, ი. ჯავახიშვილის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета, Тбилиси, пр. И. Чавчавадзе, 1.